სერგეი ლაზარევი

## მომავლის ადამიანი

# პირველი ნაბიჯი მომავალში

თბილისი
2009

სერგეი ლაზარევი, პირველი ნაბიჯი მომავალში. გვ. 274.
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2009.

წინამდებარე ნაშრომის ავტორი **სერგეი ლაზარევი** მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ეზოთერული მიმართულების მეცნიერი-მკვლევარი. თორმეტი წიგნისაგან შემდგარი მისი **„კარმის დიაგნოსტიკა"** დიდი ხანია ბესტსელერად იქცა.

**ლაზარევი** მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული. მას იცნობენ არა მარტო როგორც ფილოსოფოსს, ფსიქოლოგს, თეოლოგსა და ეზოთერიკოსს, არამედ როგორც მწერალსა და მხატვარს. იგი, ამავე დროს, პრაქტიკოსი მკურნალიცაა, რომელიც ამ სფეროში დაუჯერებელ შედეგებს აღწევს.

ქართველი მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება წინამდებარე წიგნი – **„პირველი ნაბიჯი მომავალში“**, რომელიც პირველი ტომია სამი წიგნისაგან შემდგარი ნაშრომისა – **„მომავლის ადამიანი“**.

ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა.

წიგნი რუსულიდან თარგმნა **რამინ კვარაცხელიამ**

რედაქტორი: **ვალერი კვარაცხელია,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტი: **გია თოფურია**

**ISBN 978-9941-9056-9-8**

# ქართული გამოცემის რედაქტორისაგან

ეზოთერიით გატაცებული არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ ამ საკითხებთან დაკავშირებულ ლიტერატურასაც ნაკლებად ვიცნობ. ამ წიგნის რუსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელმა, ჩემი ბავშვობის მეგობარმა **რამინ კვარაცხელიამ** როდესაც თარგმანის წაკითხვა და აზრის გამოთქმა მთხოვა, ვურჩიე ამ საკითხებში უფრო კომპეტენტური სხვა რომელიმე პირისთვის მიემართა, მაგრამ ის მარწმუნებდა, რომ ჩემგან მხოლოდ ლიტერატურულ-სტილისტურ დასკვნას ითხოვდა და მეტს არაფერს.

ამთავითვე ვიტყვი, რომ არალიტერატორის მიერ (ბატონი რამინი განათლებით იურისტი გახლავთ) ამ მოცულობის, საკმაოდ რთული (მხატვრულ-რელიგიურ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური) ტექსტის თარგმნა იოლი საქმე არ გახლავთ, მაგრამ მთარგმნელს თავი ამ საქმისთვის ჩინებულად გაურთმევია. თარგმანი არ შორდება ორიგინალს არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ სტილისტურადაც. წიგნში თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია ავტორის ხელწერა, მისი სული და ენობრივი ქსოვილი. ამავე დროს, ნაწარმოები ამეტყველებულია ქართულად, თავისუფალია რუსული კალკებისგან და იკითხება ლაღად, თავისუფლად, ტექსტში თითქმის ვერ იპოვით ხელოვნურ, დამძიმებულ წინადადებებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მთარგმნელს უმუშავია კეთილსინდისიერად და, რაც მთავარია, ნიჭიერად.

ჩემი ფუნქცია იმით უნდა ამოწურულიყო, რაც ეს-ესაა მოგახსენეთ, მაგრამ როგორც ამგვარ სიტუაციებში ხდება, საბოლოოდ წიგნის მთლიანი რედაქტირებაც მე დამეკისრა და, ამდენად, ვალდებული ვარ ორიოდე სიტყვა თვით ნაშრომის შესახებაც მოგახსენოთ...

**სერგეი ლაზარევი** არა მარტო ეზოთერიკოსი, არამედ ღრმად განათლებული თეოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, მწერალი და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მკურნალიცაა. იგი სისტემატურად ატარებს შეხვედრებს მის უამრავ მკითხველთან, თაყვანისმცემელთან, პაციენტთან. ჩვენი პლანეტის ხუთი-

ვე კონტინენტიდან მრავალმილიონიანი აუდიტორია ყველაზე რთული და ყველაზე უცნაური შეკითხვებით, რომლებიც მას უჩნდება, სწორედ სერგეი ლაზარევს მიმართავს. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც ლაზარევის ვებ-გვერდზე შევა. აი, რამდენიმე შეკითხვა, რომელიც ინტერნეტიდან ამოვწერე:

„რამდენად საშიშია გარედან თავსმოხვეული მაგიური ზემოქმედებანი და როგორ დაეიცვათ თავი ამგვარი ზემოქმედებისგან?“

„ძალიან მიყვარს როკ-მუსიკა. მსურს გავიგო, მოაქვს თუ არა მას ზიანი სულისთვის?“

„რატომ ხდება, რომ ჩემი შვილის ხელში ბურთულიან კალამს მელანი გასდის?„

„უკანასკნელ პერიოდში საათს რომ ვუყურებ, ერთსა და იმავე ციფრებს (17; 17,09; 09; 13,13) ვხედავ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?“

„საშიშია თუა არა ორგანიზმისათვის ინგლისური ენის შესწავლა ე.წ. 25-ე კადრის გამოყენებით?“

„შეიძლება თუ არა ქრთამის მიცემა?“

„ღვთისმსახურისგან გავიგე, რომ მკვდარ ზღვაში ბანაობა დიდი ცოდვაა. როცა ამის შესახებ სხვა მღვდელს ვკითხე, მიპასუხა, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. მაინტერესებს თქვენი აზრი...“

არ ვიცი რა მასშტაბის განათლება და ერუდიცია უნდა ჰქონდეს ადამიანს, ასეთი უკიდეგანო სპექტრის ათასობით და მილიონობით შეკითხვას კომპეტენტური პასუხი რომ გასცეს, ეს ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ეს კითხვები სხვა რამის საილუსტრაციოდ მოვიხმე, კერძოდ იმის თუ როგორია მილიონობით ადამიანის დამოკიდებულება ლაზარევის პიროვნების, თუ გნებავთ, ლაზარევის ფენომენის მიმართ.

მკურნალობის საქმეში სერგეი ლაზარევის მიერ მიღწეული შედეგები დაუჯერებელია, გამაოგნებელია, მაგრამ ამ შედეგებს ადასტურებენ მისი პაციენტები.

ლაზარევთან სეანსების გაელის შემდეგ ადამიანები შეუძლებელს აღწევენ. ისინი უკვე ახერხებენ თავიანთი უნარების გან-

ვითარებას; საკუთარი ხასიათის ფორმირებას და შეცვლას; რამეზე დამოკიდებულების (მაგალითად, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე და სხვა) გადალახვას; სტრესული სიტუაციების გადალახვას; სურვილთა გადალახვას; უკურნებელი სენის გადალახვას; დაბერების პროცესის გადალახვას და სხვა.

ლაზარევის სწავლება გაჟღენთილია სიყვარულისა და სიკეთის ქადაგებით. იგი ახალ რელიგიას კი არ ქმნის, არამედ არსებულ ტრადიციულ რელიგიურ სისტემებს (განსაკუთრებით, ქრისტიანულს) ეყრდნობა და ცდილობს მისი მკითხველებისა და პაციენტების სულში ქრისტეს მოძღვრების ნათელს ახალი ცხოველმყოფელობა შესძინოს.

რატომ არის, ან რისთვის არის ეს საჭირო?

**„თანამედროვე ადამიანში თანდათანობით ატროფირდება თვითშეზღუდვის ცნება, — წერს ლაზარევი, — აიღე ცხოვრებისგან ყველაფერი, გაჰკივის სატელევიზიო რეკლამა. არ შეჩერდე არაფრის წინაშე, მოგვიწოდებენ პოპულარული წიგნების ავტორები. განა ეს გარყვნილება არ არის? ეს არის სურვილების წაქეზება და სიყვარულსა და ზნეობაზე უარის თქმა, რის შემდეგ ყველა თავისებურად ვარდება სურვილების თაყვანისცემის ჭაობში, შედეგი კი ყველასთვის ერთნაირია."**

ლაზარევის ამოცანა, მისი უმთავრესი მიზანი ადამიანის გაკეთილშობილება, მათთვის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისკენ გზის გაკვლევაა. მას ამისთვის შექმნილი აქვს მთელი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, რელიგიას, მეორე მხრივ, მეცნიერებას (მედიცინა, ფსიქოლოგია), მესამე მხრივ კი საკუთრივ პიროვნებას (ინდივიდს), მასში დაფარულ უამრავ უნარს (არაცნობიერ ფსიქიკურს, ეზოთერულ საიდუმლოებებს) ეფუძნება.

სიტყვა — ეზოთერია მოდის ბერძნულიდან და ნიშნავს შინაგანს, ღრმას (საიდუმლოს გაგებით). შემდგომში სიტყვა ეზოთერიამ უფრო მისტიკური ელფერი მიიღო, ხოლო მისი მეცნიერული შესატყვისის სახით არაცნობიერი ფსიქიკური დამკვიდრდა, მაგრამ ამჟერად ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

ზოგიერთები თვლიან, რომ ეზოთერია (ეზოთერიზმი) ბიბლიი-

სა და, საერთოდ, ქრისტიანობის საწინააღმდეგო მოვლენაა, მაგრამ ეზოთერიული ბევრი მიმდინარეობა ესადაგება ან სულაც ბიბლიიდანაა აღებული, მაგალითად, ღვთაებრივის არსისა და ენერგიის საკითხის გაგება (ვარლაამ კალაბრიელი, გრიგორი პალამა და სხვ.). შუა საუკუნეებში, როცა ეკლესიას სულაც არ ეკავა უკანასკნელი პოზიციები, ასტროლოგია, ალქიმია, ჯადოქრობა ჩვეულებრივ სასწავლო დისციპლინებად ითვლებოდა.

ფილოსოფია თუკი მეცნიერებაა (სხვათა შორის, ეს საკითხიც დღემდე საკამათოა), მაშინ ეზოთერიისა და მეცნიერების გამიჯვნაც გაჭირდება. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი **რუდოლფ შტაინერი** (ავტორი გახმაურებული ნაშრომისა – **„თავისუფლების ფილოსოფია“**), მუდამ ცდილობდა დარჩენილიყო ფილოსოფიის ფარგლებში, მაგრამ თითქმის ყოველთვის გადადიოდა ეზოთერიის სფეროში.

მთავარი არ არის თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს ადამიანი, მთავარი ისაა, თუ რა მიზანს ისახავს მისი მოღვაწეობა.

ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, ურთულესი ფენომენია. მას მართავს უნართა, შესაძლებლობათა, სურვილთა და დამოკიდებულებათა მთელი სისტემა. მისთვის ძნელია გაერკვეს ამ სისტემაში, რის გამოც ხშირად იგი დაბნეულია და არ იცის რა ქნას. ამიტომაც მოუწოდებდა იგივე **შტაინერი** ადამიანს: **„მოიპოვე შენთვის სიმშვიდის წამები და შეეცადე ერთმანეთისგან გაარჩიო მთავარი და მეორეხარისხოვანი.“** ეს კი, როგორც ირკვევა, არც ისე იოლი საქმეა, ვინაიდან სამყარო სრულიადაც არ არის ისე მოწყობილი, როგორიც გვგონია, ან როგორიც გვეჩვენება.

ლაზარევის მიხედვით არ არსებობს ერთმანეთისგან მოწყვეტილი წარსული, აწმყო და მომავალი, არამედ არსებობს ერთიანი დრო. ეს ძალიან რთული ფილოსოფიური საკითხია. ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არ არის ცნობილი, თუ რა იქნება ან რა მოხდება მომავალში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის, რაც უნდა იყოს მომავალში, საერთოდ არ არსებობდეს, როგორც ერთგვარად განსაზღვრული მოცემულობა. მახსენდება

ჩემი უახლოესი მეგობრის, ცნობილი თეოლოგისა და ფილოსოფოსის, აწ განსვენებული პროფესორის ვახტანგ გოგუაძის მსჯელობა დროის კატეგორიის შესახებ: **„ჩვენ როცა პირველად ვუყურებთ ამა თუ იმ ფილმს, არ ვიცით როგორი იქნება ფინალი, მაგრამ თვითონ ფილმმა ხომ იცის ეს ფინალი, რომელიც ვერ იქნება სხვაგვარი, ვიდრე მოიაზრა და გადაიღო რეჟისორმა“.** დიდი რეჟისორისთვის, უზენაესი ძალისთვის, **„რომელმან შექმნა სამყარო“**, შეუძლებელია დრო წარმავალი იყოს, ვინაიდან იგი თავად არის განუყოფელი, ერთიანი და მარადიული ანუ – აბსოლუტი. რაც შეეხება ადამიანს, იგი, რა თქმა უნდა, არ არის აბსოლუტი, მაგრამ მასში, თურმე, უამრავი ისეთი შესაძლებლობა და უნარია ჩასაიდუმლოებული, რომელთა შესახებ წარმოდგენაც არა გვაქვს. ეზოთერიის ცნობილი მკვლევარი, ამერიკელი ანთროპოლოგი, **კარლოს კონსტანედა** ამბობს: **„ჩვენ მიახლოებითაც კი ვერ ვაცნობიერებთ, თუ რა ულევი რესურსი გაგვაჩნია ჩვენ თვითონ.“** ავტორიტეტული ადამიანები ამტკიცებენ, რომ მომავალი ეკუთვნის არა იმათ, ვის ხელშიცაა ძალაუფლება ან ფული, არამედ იმათ, ვისაც პარანორმალური შესაძლებლობები გააჩნიათ.

საერთოდ, ჩვენ მიჩვეულები ვართ ერთი მიმართულებით აზროვნებას. ერთხელ და სამუდამოდ ვირჩევთ ამა თუ იმ მსოფლმხედველობრივ საყრდენს, საფუძველს და შემდგომ მთელს ჩვენს ცხოვრებას და მოღვაწეობას განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ სისტემათა უარყოფას შევალევთ-ხოლმე, ნაცვლად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ჭეშმარიტების ძიებას ვუძღვნათ. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნს საქართველოში ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდება, რომლებიც სწორედ რომ ერთხელ და სამუდამოდ არჩეული მსოფლმხედველობრივი პოსტულატებიდან გამომდინარე, ბევრ რამეზე შეუვალი სკეპტიციზმით იტყვიან უარს, მაგრამ განა ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რა არის და სად არის ჭეშმარიტება. თვით კარლ მარქსიც კი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ სამყაროსა და საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონები აღმოაჩინა, მხოლოდ შეფარდებითი ჭეშმარიტებით კმა-

ყოფილდებოდა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ადამიანური გონისთვის მიუწვდომლად აცხადებდა. აქედან გამომდინარე, არც საკუთარ თეორიას განიხილავდა ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ, უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად, არამედ მას მუდმივად განვითარებად დიალექტიკურ მოძღვრებად მიიჩნევდა.

ასე რომ, ჩვენს მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეული ამა თუ იმ მსოფლმხედველობრივი პოზიციის ახირებულ და აკვიატებულ დაცვას, ჭეშმარიტების ძიების პროცესი სჯობს და თუ წინამდებარე ნაშრომი ზოგიერთ რამეს ახლებურად დაგვანახებს, ან ჩვენთვის სულაც მიუღებელი პოზიციებიდან გააშუქებს, ნუ შევშინდებით ამის გამო, მითუმეტეს, ნუ გავბრაზდებით და გავნაწყენდებით, რამეთუ ათობით და ასობით მეცნიერულ თეორიას ერთი კონკრეტული და ჯიუტი ფაქტი გადაწონის ზოგჯერ, თუკი ეს ფაქტი იმ თეორიათა ჩარჩოში ვერ თავსდება, ანუ იქიდან ამოვარდნილი აღმოჩნდება. იგივე კარლოს კონსტანედა, ცნობილ ნაშრომში — **„დროის ბორბალი“**, წერს: **„შეუცნობელ სამყაროებს სათვალავი არა აქვთ, თანაც ისინი აგერ, ჩვენს თვალწინ არიან“.**

რელიგია და ეზოთერია თითქოს შეუთავსებელი ცნებებია, მაგრამ ვინ შეძლებს ლოგიკურად ამტკიცოს, რომ **სერგეი ლაზარევის** ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში არის რამე არარელიგიური და ქრისტიანული თვალსაზრისით მიუღებელი: **„ყველაფრის საფუძველი სიყვარულია. რაც უფრო ნაკლებია სიყვარული, მით უფრო აგრესიულად იქცევიან დაპირისპირებულნი და მით უფრო მეტია მათ შორის განსხვავება. სიყვარულის უნარი შესაძლებლობებს გვაძლევს ადამიანური ბედნიერების ყველა დონეზე მაღლა დავდგეთ, ხოლო მიჯაჭვულობის შემცირებასთან ერთად გვტოვებენ ავადმყოფობები და აგრესია“.** განა, რელიგიები სხვა რამეს ქადაგებენ? არა, ვერცერთი ღვთისმსახური ამ მსჯელობას წუნს ვერ დასდებს, მაგრამ ლაზარევის ზოგიერთი მსჯელობა სულიერი მამებისთვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს, ვთქვათ, ასეთი: **„საერთოდ, მკურნალობა ძალიან საშიში საქმეა.**

**ბევრი მკურნალი ავად ხდება შაქრიანი დიაბეტით, ან კიბოთი, ან კვდება, ერთი შეხედვით, უმიზეზოდ. ბევრს უჩნდება ფსიქიკუ-**

**რი ხასიათის პრობლემები, ან ხასიათში ეწყება პათოლოგიური ცვლილებები. ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ პაციენტებისგან წლების განმავლობაში უგროვდებათ სულიერი ჭუჭყი, შემდეგ კი ხდება მისი აფეთქება."** არ ვარ დარწმუნებული, რომ ეკლესია ამ მსჯელობას მოწონებით შეხვდება. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სამედიცინო საზოგადოება ან, საერთოდ, სამეცნიერო წრეები შეხვდებიან ამ მსჯელობას განსაკუთრებული აღფრთოვანებით. მიუხედავად ამისა, ჩემი ღრმა რწმენით, ამ მოსაზრების ხელაღებით უკუგდება და მასში რაციონალური მუხტის არდანახვა დიდი შეცდომა იქნება. სამყარო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ არის და ვერც იქნება ისე მარტივად მოწყობილი, რომ ადამიანური გონისთვის ყველაფერი მისაწვდომი იყოს. კაცობრიობა ნელა, კუს ნაბიჯებით, საფეხურ-საფეხურ მიდის ჭეშმარიტებისკენ. ამიტომ, რომელიმე მოაზროვნე, ასე ვთქვათ, საფეხურგამოტოვებით თუ ივლის ამ ურთულეს გზაზე, მას, როგორც წესი, დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უწევს ხოლმე...

აი, თითქმის ყველაფერი ის, რისი თქმაც მკითხველისთვის წინასწარ მინდოდა, დასკვნას კი, რა თქმა უნდა, მკითხველი თავად გააკეთებს...

ნაშრომის ქართულ ენაზე მთარგმნელს, ბატონ **რამინ კვარაცხელიას** მადლობას მოვახსენებ პატივის გამო, რომელიც მან დამდო ამ შესანიშნავი წიგნის ქართული გამოცემის რედაქტორობის დაკისრებით და დავემშვიდობები შტაინერის სიტყვებით: **„ნებისმიერი შემეცნება, რომელსაც ეძებ შენი ცოდნის გასამდიდრებლად, ანუ ეძებ მხოლოდ იმიტომ, რომ შენში დააგროვო ცოდნის საუნჯე, ამრუდებს შენს გზას, ხოლო შემეცნება, რომელსაც ეძებ იმისთვის, რომ წვლილი შეიტანო ადამიანების გაკეთილშობილებისა და სამყაროს განვითარების საქმეში, შენ გამაღლებს და წინ გიბიძგებს!"**

**ვალერი კვარაცხელია,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე...
ყოველ დღეს საკმარისი აქვს თავისი საზრუნავი".
მათე 6,34

## როგორია იგი, მომავლის ადამიანი?

დილით ადრე კაცი გამოვიდა თავის ყანაში. გაიარა და ყურადღებით დააკვირდა მიწას. შემდეგ აიღო ერთი მუჭა მიწა და ხელისგულებით გასრისა. გახედა ცას და მინდორს იქით მდგარ ხეებს. მოუსმინა ჩიტების გალობას. ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია არა მხოლოდ აწმყოში, არამედ მომავალში. ხომ არ იქნება სუსხიანი ზამთარი? შევიდა თუ არა გაზაფხული ძალაში, ხომ არ დაითესოს მარცვალი? ადამიანი იხსენებს იმ ნიშნებს, რომლებიც ცნობილი იყო მისი მამისა და პაპისთვის. ნიშნები — ეს არის კავშირები, რომლებიც აერთიანებს აწმყოს მომავალთან. არის განსაკუთრებული დღეები, როდესაც წარსულისა და მომავლის კავშირები ბევრად უფრო ძლიერდება. თუკი რომელიღაც დღეს ცივი და მოღრუბლული ამინდია, ასეთივე შეიძლება იყოს მთელი გაზაფხული. მისტიკური კავშირი, რომელიც აერთიანებს წარსულისა და მომავლის მოვლენებს, რა თქმა უნდა, არის. ადამიანისათვის ეს არის ბედის ცნება, იგივე კარმა. ცნება „კარმა" ვრცელდება არა მხოლოდ ერთ სიცოცხლეზე, არამედ მასში შეიცნობა კავშირი ადამიანის აზრებსა და გრძნობებს შორის, ჯანმრთელობას და ბედისწერას შორის, არამარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალ ცხოვრებაშიც.

ძველ აღთქმაში აღწერილია თუ როგორ გავლენას ახდენს მშობლების ქმედება შვილების ბედზე, რა თქმა უნდა, ალეგორიულად. ცოდვისათვის, ე.ი. მშობლების არასწორი საქციელისთვის, ღმერთი სჯის შვილებს მესამე-მეოთხე თაობამდე. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ სამყარო ერთიანია, ჰოლოგრაფიული არა მხოლოდ სივრცეში, არამედ – დროშიც. და თუკი მომავალი დაკავშირებულია აწმყოსთან უწყვეტად, ასეთ შემთხვევაში ჩვენ თუ უარს ვიტყვით აწმყოს შესახებ ზერელე შეხედულებაზე, შეგვიძლია დავინახოთ მომავალი.

დავიწყოთ მიზეზ-შედეგობრიობის კანონის ელემენტარული გაგებით. ადამიანი თესავს მარცვალს და იმედი აქვს შემოდგომით მოიმკის მოსავალს. მაგრამ, თუკი მარცვალი გამოდგება დამპალი, მოსავალს ვერ მიიღებს. ადამიანს შეუძლია მონდომებით დაამუშაოს მიწა, რეგულარულად მორწყას იგი, მაგრამ მარცვალი არ ამოვიდეს. მაშინ, შემოდგომაზე იგი შეწუხდება, ზამთარში იშიმშილებს. თუკი შემდგომი გაზაფხულისთვის იგი გადარჩება, ვილაცას ვალად გამოართმევს მარცვალს, მაგრამ უკვე ყურადღებით დააკვირდება და შეაფასებს მოვლენებს, რადგან აწმყოში მის ამ საქციელზე არის დამოკიდებული მისი მომავალი.

მეორე ადამიანმა, მისმა მეზობელმა, ზამთრისთვის არ გაიკეთა მარაგი. ბევრს ჭამდა, მხიარულობდა, დროს ატარებდა და შემოეხარჯა მარცვლის მარაგი. მეზობლებმა, იცოდნენ რა მისი ხასიათი, გაზაფხულზე მას ვალად არ მისცეს მარცვალი. მასაც შეუძლია დაამუშაოს და მორწყას თავისი ყანა, მაგრამ არა აქვს მარცვალი, ამიტომ იგი ამ წელიწადს ვერ მიიღებს მოსავალს.

ჩვენი საქციელი და სამყაროსადმი ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ როგორ მოსავალს მივიღებთ რამდენიმე ხნის შემდეგ. და ყოველმა ჭკვიანმა მეურნემ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გადარჩეს, არამედ იმიტომ, რომ კარგად იცხოვროს, უნდა იცოდეს მომავლის მეშვეობით აწმყოზე ზემოქმედების და მისი მართვის წესები. საუკეთესო მარცვალი უნდა შევინახოთ

მომავალ გაზაფხულამდე. მარცვალი არ უნდა იყოს ნოტიო და იგი უნდა შევინახოთ მშრალ ადგილას. უნდა დაითესოს თავის დროზე. ამასთან მიწაც უნდა იყოს კარგად დამუშავებული, ნოყიერი და გაფხვიერებული. მარცვალი უნდა დაითესოს გარკვეულ სიღრმეში და ერთმანეთისგან გარკვეულ სიშორეზე. ჩვენ ეხლა ვლაპარაკობთ მიზეზ-შედეგობრიობის ელემანტარულ კანონებზე. და რაც უფრო ნათლად ვხედავთ კავშირს წარსულსა და მომავალს შორის, მით უფრო მთლიანად და ზუსტად შევძლებთ გავლენა მოვახდინოთ აწმყოზე, გადავრჩეთ და განვვითარდეთ შორეულ მომავალში.

ეხლა კი მოისმინეთ სხვა ისტორია. ერთხელ იმავე კაცმა დათესა საუკეთესო მარცვალი, დათესვამდე კი კარგად მოამზადა ნიადაგი, ყველაფერი გააკეთა კოხტად და კეთილსინდისიერად. მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო დაიღუპა. მოსავლის მცირე ნაწილმა, რომელიც გადარჩა გადაატანინა მას ზამთარი. მაგრამ წინასწარ რომ არ გაეკეთებინა საკვების მარაგი, შეიძლება ოჯახი დაღუპულიყო. მომავალ წელს მან უფრო მონდომებით დაიწყო მოსავალზე ზრუნვა. ამინდიც ხელს უწყობდა და უხვი მოსავალიც უნდა მიეღო. მაგრამ, როდესაც მოსავლის აღებამდე დარჩენილი იყო რამდენიმე კვირა, ცა მოიქუფრა და დაიწყო ჭექა-ქუხილი. შემდეგ კი ყანას გადაუარა ძლიერმა სეტყვამ და მთლიანად გაანადგურა მოსავალი. და ისევ, რა მოსავალიც არ უნდა აიღოს მეურნემ, ძლივს ყოფნის თავის გასატანად.

მან კი უნდა იცოცხლოს და იზრუნოს თავის ახლობლებზე, უნდა გადაარჩინოს მარცვლეულის ნაწილი მაინც და მოემზადოს მომავალი წლისთვის. მომავალ წელს კი ისევ გადის თავის ყანაში. მან აიღო თესლი ვალად და შემოდგომისთვის უნდა მიიღოს უხვი მოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ოჯახო დაიღუპება. დათესვამდე დარჩენილია ერთი კვირა. ახლა საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, უნდა დაიხმარიოს თავისი ორი შვილიც, და შეუდგეს მომავლის მართვას აწმყოთი. მეორე დღეს კაცი ადგა საწოლიდან, მაგრამ უცებ სხეულში იგრძნო საშინელი

ტკივილი. იგი მიხვდა, რომ ავად გახდა და ვერ დაეხმარებოდა თავის ოჯახს. მის გარდა ავად გახდა მისი ორივე შვილიც.

კაცი წვება ლოგინში და შეჰყურებს ჭერს. იგი განწირულია, ყველა ძალისხმევა უნაყოფოა. თავიდან მას არ უმართლებდა, შემდეგ კი თავს დაატყდა უბედურება. ამჟამად უბედურებაა როგორც გარეთ, ასევე შიგნით. და უცბად მიხვდა, რომ მისი ავადმყოფობაც და თავს დატეხილი უბედურებაც იყო მომავალი. დიახ, მომავლის მართვა შესაძლებელია, თუკი შევცვლით გარესამყაროს: ავარჩევთ საუკეთესო თესლს, მოვამზადებთ ნიადაგს, საყანედ კი ავირჩევთ მიწის ნოყიერ ნაკვეთს. მაგრამ, თურმე, ეს არ ყოფილა მთავარი. მომავლისათვის მთავარი ყოფილა ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, ვინაიდან ყველაზე მთავარი თესლი მდებარეობს სულში. როგორი ვიქნებით სულიერად, ისეთი იქნება ჩვენი ბედი. თუკი მეზობელი სულით დაცემულია, იგი მთელ მოსავალს დროსტარებაში გაფლანგავს. და თუკი გამოფხიზლდება და სხვების მიბაძვით, დათესავს მარცვალს და იწყებს მის მოვლას, მოსავალი მაინც დაეღუპება.

კაცი წევს ლოგინში ერთი კვირა, შემდეგ მეორე. იგი უკვე აღარ ფიქრობს მატერიალურ კეთილდღეობაზე, სმა-ჭამაზე. ფიქრები იმაზე, რომ ჩვენი სული დაკავშირებულია ჩვენსავე ბედთან, უფრო ნათელი ხდება. კაცი იხედება გარშემო და ამჩნევს, რომ სულ სხვანაირად დაუწყო ყურება გარესამყაროს. ამ დროს გვერდით ამჩნევს ბიბლიას, რომლისთვისაც ადრე არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. აცახცახებული ხელებით იღებს მას, ალალბედზე ხსნის და კითხულობს: **თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ. მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამფრთხალი, მიწისგან აღვგვი მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. . . (ლევ. 26, 3–6).**

და უცბად ავადმყოფ კაცს გონება გაუნათდა. იგი მუდამ აგინებდა და ლანძღავდა თავის ფუქსავატ მეზობელს. იგი მუდამ უკმაყოფილო იყო, როგორც თავის თავით, ასევე ბედით, რადგან საკმარისი მოსავალი ვერ მოჰყავდა. უკმაყოფილი იყო ადამიანებზე, რომლებიც არასწორად იქცეოდნენ. იმის მაგივრად, რომ მათთვის ეთქვა მათ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელის შესახებ, კიცხავდა და მათზე გული მოსდიოდა.

კაცმა გადასდო ბიბლია და ჩაფიქრდა. მან იგრძნო თუ როგორ დაეწყო შინაგანი ცვლილებები. ისევ აიღო ბიბლია და ალალბედზე იწყო კითხვა. შეძრწუნებულმა და თვალცრემლიანმა წაიკითხა: **არ იპაროთ, არ იცრუოთ და არ მოატყუოთ ერთმანეთი... არ აწყენინოთ თქვენს ახლობელს და ნუ გაძარცვავთ ნურავის. დაქირავებულისთვის მისაცემ გასამრჯელოს ნუ დაიტოვებთ დილამდე. ნუ შეაგინებ ყრუს, და ბრმას წინ ნუ დაუდებ ისეთ რამეს, რომ ფეხი წამოსდოს... გულში ნუ ემტერები შენს ძმას; ამხილე შენი ახლობელი და მის მაგივრად არ იტვირთო ცოდვა. შური არ იძიო და არ გქონდეს ბოროტი ზრახვები შენი მოძმეების მიმართ, მაგრამ გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი...**

გამოდის, რომ სულიერი ურთიერთკავშირები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ კავშირები ფიზიკურ დონეზე. გამოდის, რომ სულიერი და ფიზიკური მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ფიზიკურს შეუძლია გავლენა მოახდინოს სულიერზე და გააფორმოს იგი. ხოლო, სულიერი გავლენას ახდენს ფიზიკურზე და მართავს მას. მაგრამ სულიერი, თურმე ბევრად მნიშვნელოვანია. ფიზიკური სინამდვილეში წარმოადგენს სულიერის დამატებას და მისი შემდგომი განვითარების ინსტრუმენტია.

გაკვირვებულმა მიწათმოქმედმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა და შენიშნა, თუ როგორი მშვენიერი გახდა სამყარო. იგი მიხვდა, რომ უყვარდა თავისი ცოლი, რომელსაც აქამდე ყოველთვის საყვედურობდა და მისგან მორჩილებას ითხოვდა. იგი მიხვდა, თუ როგორ უყვარდა თავისი შვილები, რომლებსაც აქამდე ვერც კი ამჩნევდა. მოულოდნელად მან გაიგო, რომ არ იყო სწო-

რი, როდესაც თავის უცნაური მეზობელი გაკიცხა და მოექცა მას როგორც ტუტუც ბავშვს, რომელიც არ უნდა გალანძღო, მაგრამ არც უნდა გაანებივრო ყოველდღიური დახმარებით. საჭირო იყო დახმარების აღმოჩენა არა მისი სხეულისთვის, არამედ პირველ რიგში მისი სულისათვის. და ამდენად, ყველაზე უკეთესი დახმარება – ეს არის აღზარდო სხვა ადამიანი. ხოლო იმისათვის, რომ დაეხმარო სულს, ზოგჯერ სხეული უნდა გაანებივრო, ზოგჯერ კი დასაჯო.

და იმ დღეს კაცმა ბედნიერად დაიძინა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა მომავალი. მას არ შეეძლო დაეთესა მარცვალი ახალი მოსავლისთვის, ალბათ, ვერც გამოჯანმრთელდება. ახლა უკვე ლუკმაპური მისთვის არ არის ბედნიერების მთავრი საზომი. იგი მიხვდა, თუ როგორ გადაუკეტა მატერიალურ კეთილდღეობაზე ყოველდღიურმა ზრუნვამ საკუთარი სულისკენ მიმავალი გზა. მხოლოდ ეხლა მიხვდა, თუ როგორი უბედური იყო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მისმა სულმა მიატოვა მხიარულება, და სამყარომ დაკარგა მიმზიდველობა და საამური ფერები. იგი მუდმივად უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ მისი ბეღელი სავსეა ჭირნახულით, და ეს იყო მისთვის მთავარი ბედნიერება. მაგრამ ახლა, ავადმყოფმა და მომაკვდავმა, მოულოდნელად გაიგო, რომ მისმა სულმაც მოიწია მოსავალი, ხოლო ამ ბოლო წლების განმავლობაში ეს მოსავალი შედგებოდა გულგრილობის, წყენისა და სიძუნწისაგან.

<u>როდესაც სული იტანჯება, არსებობს უბრალო საშუალება მისი ტანჯვის შესამსუბუქებლად: საჭიროა გადაერთო მატერიალურზე, დაირწმუნო თავი, რომ მთავარი ბედნიერება – ეს არის ფული, მატერიალური სიკეთე, სექსუალური კმაყოფილება. თუ ჩვენ ვივიწყებთ სულს, მისი ტანჯვაც ჩვენთვის შეუმჩნეველი ხდება.</u>

ამ დროს ავადმყოფმა და მომაკვდავმა მიწათმოქმედმა გაიხსენა ძველი ანდაზა: „ყველაზე დიდი დანაკარგია ის, რომელსაც ვერ ამჩნევ“. მაშინ მან გაიგო, რომ ყველაზე დიდი ბედნიერებაა – სულიერი ბედნიერება. და მიუხედავად მისი მდგომარეო-

ბის უიმედობისა, მას მშვიდად ჩაეძინა. იმ ღამეს ეძინა მშვიდად და უშფოთველად. მეორე დილით გაღვიძებულმა, გაკვირვებით შენიშნა, რომ იგი უფრო ცუდად იყო. დღის განმავლობაში, სუნთქვის დროს, მთელი სხეული სტკიოდა. ამასთან ერთად შენიშნა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა. უსიამოვნებები, დანაკარგები და ფიზიკური ტკივილები უკვე აღარ იწვევდნენ მის გულგატეხილობას, გაღიზიანებას და ბედით უკმაყოფილებას. ავადმყოფობა ხდიდა მას უფრო კეთილსა და შემწყალებელს. ტკივილი აიძულებდა დაევიწყებინა სხეულის არსებობა და ამაღლებულიყო სულიერად.

სხეულის გადარჩენისათვის თუკი საჭიროა პური, სულის გადარჩენისთვის საჭიროა სიყვარული. და მარცვლები, რომლებიც ღმერთის ნაჩუქარია, ყოველთვის სუფთა და მაცოცხლებელია. რამდენადაც მეტად იტანჯებოდა ადამიანი, მით უფრო მეტ სიყვარულს გრძნობდა ღმერთისადმი. კიდევ რამდენიმე დღეს ავადმყოფობდა იგი, მაგრამ შედარებით უკეთ იყო როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურადაც. მან გაკვირვებულმა დაინახა, რომ მისი ბავშვებიც გამოკეთდნენ, და მაშინ მიხვდა, რომ სამყაროსადმი მისი არასწორი დამოკიდებულება კლავდა არა მარტო მას, არამედ მის შვილებსაც. ერთი კვირის შემდეგ იგი გავიდა მინდორში და შვილებთან ერთად შეუდგა თესვას. შემდეგ მოულოდნელად ყანას თავს დაატყდა სუსხი, არც წვიმა მოდიოდა თავის დროზე, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მოსავალი აიღო უფრო უხვი, ვინემ გასულ წლებში, ამასთან ხორბლის თავთავი იყო შესანიშნავი და დამპალი მარცვლები საერთოდ არ ერია.

ახლა მოვეშვათ ამ ისტორიას და დავუბრუნდეთ დღევანდელ დღეს. ყოველ გაზაფხულზე ადამიანები თესავენ მარცვლეულს. კაცობრიობა წინ წავიდა უხვი მოსავლის მიღების საქმეში. ყოველდღე ჩვენ ვთესავთ ჩვენს სულებში ჩვენი ბედის თესლს. ადრე მე ძალიან დაინტერესებული ვიყავი წიგნებით, რომლებშიც მოთხრობილი იყო მომავლის ადამიანების შესახებ. ამიტომ მე მინდა დავსვა სულ სხვა კითხვა: იქნება კი, ის, მომავლის ადამიანი? ყოველი ადამიანი არის საზოგადოების ნაწილი, და იმი-

სათვის, რომ მოგვევლინოს მომავლის ადამიანი, როგორც მინიმუმი, საჭიროა გადარჩეს თანამედროვე ცივილიზაცია.

სამი ათასი წლის წინ ებრაელებმა დაიწყეს, ღმერთის მიერ მოცემული მცნებების დაცვა. ცდილობდნენ არ ექურდათ, არ ეძარცვათ, არ მიცემოდნენ სექსუალურ თავაშვებულობას და ანგარებას. არ ჭამდნენ ღორის ხორცს, იმიტომ, რომ ღორის ხორცი ითვლებოდა უწმინდურად, ე.ი. ვნებდა სულს. მათგან ვინმეს, რომ ეცადა წარმოედგინა, თუ როგორი იქნებოდნენ ადამიანები ათას ხუთასი წლის შემდეგ თავისუფალ ისრაელის სახელმწიფოში, მოსეს თანამედროვე ადამიანი მათ ალბათ, წარმოიდგენდა, როგორც ანგელოზებს, რომლებსაც უკვე არა აქვთ არავითარი ცოდვები. ამდენად, თუ ჩვენ ავიღებთ ახალ აღთქმას, დავინახავთ, როგორ გამოდევნის ქრისტე ადამიანის სხეულიდან ეშმაკეულს და შეჰყრის მას ღორების კოლტში. ღორები კი, სხვათაშორის იყო ორი ათასი. ეს დღევანდელ სინამდვილეშიც არ არის ცოტა.

ეს მიანიშნებს, რომ შინაგანად ადამიანებმა მიატოვეს ღმერთის მიერ მოცემული მცნებების დაცვა, რაც გამოჩნდა გარეგნულადაც — მთავარი მცნებების იგნორირებაში. ეს იყო ღმერთის რწმენისა და მთლიანად იუდაიზმის მიმართ კრიზისიც. მოსეს თანამედროვე ადამიანი თუკი მოინდომებდა წარმოედგინა, როგორი გახდებოდა ადამიანი სამი ათასი წლის შემდეგ, მე ვფიქრობ მას უბრალოდ ამის წარმოსახვისთვის ფანტაზია არ ეყოფოდა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა სასწაული და ჩვენმა წინაპარმა წამიერად დაინახა მომავალი. რას იფიქრებდა იგი, რომ ენახა ჰომოსექსუალების პარადი? ანდა რომ ენახა თანამედროვე ტელემაუწყებლობა საზეიმო პორნოკულტურითა და საზარელი მკვლელობების გაუთავებელი ჩვენებით, იგი ალბათ იფიქრებდა, რომ შეიშალა.

— ეს ადამიანები ეთაყვანებიან მანკიერებებს, — იტყოდა იგი, — ისინი ტკბებიან თავისი ცოდვებით და ამზეურებენ მას სახალხოდ. ამ ადამიანების სულებს ხელოვნებაც კი ვერ განწმენდს, პირიქით აზიანებს და აბინძურებს მას. მათ გამოიგონეს მექანიზმე-

ბი და მოწყობილობები, რომლებიც ანადგურებს თვითონ მათ. საინტერესოა, თუ რას იტყოდა თანამედროვე ადამიანზე დანიელ წინასწარმეტყველი? კი, რაიმე რომ თქვა მომავლის ადამიანზე, ეს მომავლი უნდა დაინახო. წინასწარმეტყველზე უკეთესად ვის შეუძლია თქვას, თუ როგორი იქნება მომავლის ადამიანი?

სიზმრების ახსნით მომავლის დანახვის გასაოცარი შემთხვევა აღწერილია ძველ აღთქმაში. ბაბილონის მბრძანებელი ნაბუქოდონოსორი ბედნიერად ცხოვრობდა თავის სამეფოში, და ამ ბედნიერებამ ჩაუკეტა მას უზენაესი ნების დანახვის შესაძლებლობა. მან ბრძანა ჩამოესხათ ვებერთელა სიდიდის ოქროს კერპი და ვინც არ ეთაყვანებოდა ამ კერპს, მას კლავდნენ. იგი აკეთებდა ყველაფერს, რაც მას უნდოდა და არავის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ უბედურებამ ჩაიბუდა მის სულში, იგი ხედავდა ცუდ სიზმრებს, რის შემდეგაც აზრზე ვერ მოდიოდა. ამ სიზმრებში ნაწინასწარმეტყველები იყო მისი მომავალი: იმპერიის დაცემა, შვილების დაღუპვა, ჭკუიდან შეშლა. როდესაც დანიელ წინასწარმეტყველმა უთხრა მას ამის შესახებ, მეფე დაეცა მუხლებზე. მაგრამ მრავალი ათწლეულობით ნასაზრდოები ჩვევების, ერთბაშად შეცვლა ძნელია. და როდესაც, რამდენიმე კაცმა არ ისურვა თაყვანი ეცათ ოქროს კერპისთვის, რადგან სწამდათ ერთი ღმერთი, მან ბრძანა ჩაეყარათ ისინი ცეცხლში. ცეცხლის ალი იმდენად ძლიერი იყო, რომ მისგან დაიღუპა მეფის რამდენიმე მსახური, რომლებმაც დამნაშავენი ჩაყარეს ცეცხლში. **ხოლო ეს სამნი — შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო ცეცხლით გახურებულ ღუმელში შებოჭილნი ჩაცვივდნენ. მიმოდიოდნენ ისინი შუაგულ ცეცხლში, უგალობდნენ ღმერთს და აკურთხებდნენ უფალს (დან. 3, 23-24).** შეძრწუნებულმა მეფემ აპატია მათ და გაიღო მოწყალება.

იწამო სასწაული ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ადამიანი შეიცვალა. მიწამ მოსავალი რომ მოგცეს, საჭიროა მასზე განუწყვეტლივ ზრუნვა. ჩვენმა სულმა, რომ მოგვცეს კარგი მოსავალი, საჭიროა უფრო მეტი ვიზრუნოთ მასზე. ბიბლიაში აღწერილია განსაცვიფრებელი სურათი, თუ როგორ გადადის ნაბუქოდონოსო-

სორის ცოდვა მის შვილზე, რომელსაც დარჩა სამეფო. სწორედ მაშინ, როდესაც მისმა შვილმა გამართა ყველაზე დიდი ნადიმი ათასობით თავისი დიდებულის პატივსაცემად, და ნადიმის სუფრაზე ტევა აღარ იყო სხვადასხვა კერძისა და ოქროსა და ვერცხლის სასმისებისა, მეფემ მიიღო ცნობა, რომ მალე მოკვდებოდა.

იმ დროს, როცა ისინი სვამდნენ და ადიდებდნენ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ხის და ქვის ღმერთებს, სასანთლის წინ გამოჩნდა ადამიანის ხელი, რომელმაც კედელზე დაწერა. შემდეგი სიტყვები: **მენე, მენე, თეკელ, უფარსინ (დან. 5, 25)**. გაგიჟებულმა და შეშინებულმა მეფემ გამოიძახა დანიელ წინასწარმეტყველი და მან აუხსნა მეფეს დაწერილი სიტყვების შინაარსი: **დაითვალა ღმერთმა შენი სამეფოს დღენი და ბოლო მოუღო მას; შენ აიწონე სასწორზე და მსუბუქი აღმოჩნდი; გაიყოფა შენი სამეფო და მიდიელებსა და სპარსელებს მიეცემა იგი (დან. 95, 26-28)**. დანიელი უხვად დასაჩუქრდა, რადგან მეფე მიხვდა, რომ მან სიმართლე უთხრა და ზუსტად უწინასწარმეტყველა მომავალი. იმავე ღამეს ქალდეველების მეფე ბალთაზარი მოკლულ იქნა.

ვცდილობთ რა, ვიყოთ მომავლის ადამიანები, ჩვენ პირველ რიგში უნდა გავიგოთ, როგორი არ უნდა იყოს იგი. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ როგორი არ უნდა იყოს მომავლის საზოგადოება, გამოვიკვლიოთ ცივილიზაციის დაღუპვის მექანიზმი, გავიგოთ, თუ როგორ არის დაკავშირებული ადამიანის სული მის ბედთან. საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ყველაზე მთავარი საშიშროებები, რომლებსაც შეუძლიათ გაანადგურონ როგორც ერთი ადამიანის, ასევე მთელი საზოგადოების მომავალი. ჩვენ უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს, არა ის თუ როგორი იქნება მომავლის ადამიანი, არამედ ის თუ როგორი უნდა იყოს ის, რომ გადარჩეს. მომავალი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ თესლს ავირჩევთ, როგორ შევინახავთ მას და როგორ მიწაზე დავთესავთ. რომ განვსაზღვროთ თუ როგორი იქნება მომავლის ადამიანი, ჩვენ უნდა მიმოვიხედოთ ირგვლივ და შევხედოთ ერთმანეთს. ჩვენ უნდა მივხვდეთ თუ როგორი უნდა ვიყოთ ამჟამად, რათა ხვალ გვქონდეს მომავალი.

## ზეციერი საუფლო

რომ გავიგოთ თუ რას წარმოადგენს სიცოცხლე, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ცნობიერების ფენომენი. სიცოცხლე და აზროვნება განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. როდესაც ჩვენ შევეცდებით გავიგოთ თუ რას წარმოადგენს ცნობიერება, წავაწყდებით პარადოქსს. ყოველი სწორად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ ცნობიერება დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე, ესე იგი სუფთა ფიზიკურ ფაქტორებზე. ვერცერთმა მაუგლიმ ჯერჯერობით ვერ ისწავლა ლაპარაკი. თუკი სიცოცხლის პირველ სამ წელიწადს ბავშვი არ ურთიერთობს სხვა ბავშვთან, ადამიანი მისგან ვერ დადგება. მახსენდება სტატია, რომელშიც ლაპარაკი იყო განსაცვიფრებელ ფაქტებზე. დასავლეთ ციმბირში მონადირეებმა დაინახეს მგლების ხროვაში ბიჭი. მონადირეები გარს შემოერტყნენ მგლების ხროვას და შეეცადნენ გაენთავისუფლებინათ იგი. მგლები არ გაიქცნენ და შეეცადნენ ბოლომდე დაეცვათ ბავშვი. მონადირეებმა ისინი დახოცეს. ბიჭი იქცეოდა როგორც ნამდვილი მგელი, ილრინებოდა და იკბინებოდა. განსაცვიფრებელია, მაგრამ ძვლებიც შეცვლილი ჰქონდა და ძალიან ჰგავდა მგელს.

თურმე ჩვენი გენოტიპი არც ისე მყარია, როგორც აქამდე ვფიქრობდით. ადრე მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ დნკ აქტიურად მუშაობს მხოლოდ ნაყოფის განვითარების დროს. ამჟამად გაირკვა, რომ მთავარი საბაზო ინფორმაცია მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში აქტიურად ურთიერთქმედებს გარესამყაროსთან. ევროპელები, რომლებიც ცხოვრობენ აზიაში ემსგავსებიან აზიელებს. მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ემსგავსებიან ერთმანეთს. დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: შემეცნება ყალიბდება მატერიალური ფაქტორებით.

რუსეთში იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვთა სახლში ჩაბარებული ბავშვი, რომელიც სიცოცხლის პირველ სამ წელიწადს ვერ ღებულობდა ალერსს, სითბოს და ურთიერთობას, ხდებოდა გონებრივად ჩამორჩენილი ინვალიდი. დრო გაშვებული

იყო და ფიზიოლოგიურმა ცვლილებებმა მიიღეს შეუქცევადი ხასიათი.

მაგრამ არის პარადოქსის მეორე მხარეც. მსოფლიოში დაგროვილია, ფაქტობრივი მასალები, რომლებიც ამტკიცებენ ცნობიერების არსებობას ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგაც. ყველა რელიგია აღიარებს სულის არსებობას, რომელიც, ასევე განაგრძობს არსებობას ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგ. მეცნიერება ამტკიცებს, რომ ცნობიერება არის სხეულის ფუნქცია, ცნობიერება – ეს არის მაღალორგანიზებული მატერიის – ტვინის პროდუქტი. რელიგია ამტკიცებს, რომ სული ცოცხლობს სხეულზე ბევრად უფრო დიდ ხანს და მასზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვინემ ეს მიაჩნიათ მეცნიერებს. ამ გარეგნულად შეუთავსებელი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებების შერიგება შესაძლებელია თუკი დავუშვეთ, რომ არსებობენ შემეცნების სხვადასხვა ფორმები.

თესლისგან აღმოცენდება ხე, და თავისუფლად შეიძლება იმის მტკიცება, რომ თესლი პირველადია. მაგრამ ეს თესლი გაჩნდა ხის ნაყოფისგან, და შეიძლება ასეთივე დანამდვილებით იმის მტკიცება, რომ ხე პირველადია. და ისევ წამოიჭრება კითხვა: რა არის პირველადი – შემეცნება თუ მატერია? ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება, თუ დაუშვებთ, რომ, როგორც მატერია, ასევე შემეცნებაც – ორივე ერთი და იგივე სუბსტანციის გამოვლინებაა.

სიტყვამ მოიტანა და, ახლახან გადაიჭრა მრავალსაუკუნოვანი სადაო საკითხი: რა არის პირველადი – ქათამი თუ კვერცხი. გენეტიკოსების მიერ გამოტანილ იქნა მოულოდნელი დასკვნა. დადგინდა, რომ კვერცხი პირველადია ვინემ ქათამი. მტკიცებულება გამოვიდა ძალიან მოხდენილი: გენეტიკოსებმა დაადგინეს, რომ სიცოცხლის განმავლობაში ცოცხალი არსების გენოტიპი კარდინალურად არ იცვლება. ზედაპირული ცვლილებები შესაძლებელია, მაგრამ სიღრმისეული სტრუქტურა უცვლელი რჩება. ამდენად, ახალი ცოცხალი არსება შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ კვერცხში, ესე იგი, ქათამი გაჩნდა კვერ-

ცხიდან, რომელიც დადო მეორე ცოცხალმა არსებამ. აღნიშნული ფაქტი გვაიძულებს დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა არის ევოლუცია.

შევეხოთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს – ადამიანის წარმოშობას. დარვინამდე მიაჩნდათ, რომ მთელი სამყარო ღმერთის მიერ იყო გაჩენილი. ის, რომ ცოცხალი არსებები შეიძლებოდა შეცვლილიყვნენ შემდეგ თაობებში, ადამიანებს ვერც წარმოედგინათ. დარვინმა შეძლო გაეერთიანებინა ცალკეული დაკვირვებები ერთ სისტემაში, და ეს სისტემა უდავოდ ამტკიცებდა შემდეგს: თუკი რომელიმე სახეობის ცოცხალ არსებას, მოვათავსებთ ახალ გარემოში, მაშინ, შემდგომ თაობებში დაიწყება ცვლილება და დროთა განმავლობაში შესაძლებელია გაჩნდეს ცოცხალი არსების ახალი სახეობა. დარვინის დასკვნა სრულებით ლოგიკურია. ახალი ცოცხალი არსების წარმოშობის მიზეზი არის არა ღმერთი, არამედ მატერიალური გარემოს ცვლილება.

თანამედროვე მეცნიერული კვლევები განუხრელად ამტკიცებენ დარვინის თეორიის სისწორეს. აღმოჩნდა, რომ ყოველი ცოცხალი არსება თავის თავში ატარებს წინა თაობების ხსოვნას. აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ გარესამყაროში მომხდარი მოვლენებია ერთმანეთთან დაკავშირებული უხილავი ძაფებით. ვმკურნალობდი რა ავადმყოფებს, მე არაერთხელ მინახავს, როდესაც ზეგავლენას ვახდენთ აწმყოზე, იმავდროულად ვახდენთ ზემოქმედებას მომავალზეც. ვცვლით რა დამოკიდებულებას წარსულის მიმართ, ჩვენ გავლენას ვახდენთ აწმყოზე და მომავალზე.

გაიხსენეთ სახარების სცენა, როდესაც ქრისტესთან მოდის ავადმყოფი ადამიანი. ავადმყოფობა არის ცოდვის შედეგი. ეს ცნობილი იყო ძველ ინდოეთშიც, და ამაზე ხშირად არის ლაპარაკი ძველ აღთქმაში. და უცებ ქრისტე ამბობს იმ დროისათვის მკრეხელურ ფრაზას: „შეგენდობა შენ ცოდვები შენი“ ცოდვები – ეს არის წარსულში ჩადენილი ქმედება, რომელმაც გააჩინა ამჟამინდელი ავადმყოფობა. ამდენად, ქრისტეს შეეძლო შეეც-

ვალა ადამიანის წარსული. ინდოეთში კი იტყოდნენ, მას შეუძლია გამოწვეას ნეგატიური კარმის მარაგი. იგი ფლობდა დროების მართვის საიდუმლოებას.

ამდენად, ადამიანი ატარებს თავის თავში ყველა მისი წინაპრების ხსოვნას, და, ამდენად, მშობლების საქციელი და ცოდვა შესაძლებელია გადმოეიდეს მასზე. რასაც მკურნალები უწოდებენ წყევლას, რომელიც გადმოდის გვარზე, ესეც ფაქტია. მე ჩემი მკურნალობის პრაქტიკაში არაერთხელ მინახავს, თუ როგორ იტანჯება და ავადმყოფობს არაერთი თაობა შთამომავლებისა, თუკი მათმა წინაპარმა ჩაიდინა მკვლელობა ან თვითმკვლელობა. მაგალითად, ქალს თუკი დიდი ხნის განმავლობაში არ უნდოდა სიცოცხლე ან გაიკეთა აბორტი ორსულობის ბოლო პერიოდში. მაგრამ, თურმე, ჩვენ ვატარებთ ჩვენში წინაპრების ხსოვნას არამარტო ემოციების და ქცევების შესახებ.

მეცნიერებმა ჩაატარეს არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი. ცდისპირები ჰიპნოზის ქვეშ ჩააყენეს ბავშვობის მდგომარეობაში. პულსი, სუნთქვა, სისხლის ანალიზი და საერთო ფიზიოლოგიური მდგომარეობა მათ ჰქონდათ ისეთივე, როგორც აქვთ ბავშვებს. აზროვნება, კითხვების და პასუხების დონეც იყო შესაბამისი. ამის შემდეგ ცდისპირებს შესთავაზეს მოეთხროთ იმ შემთხვევებზე რაც მათ მოუვიდოდათ მომავალში (რომელიც სინამდვილეში მათთვის უკვე იყო წარსული). ისინი სიამოვნებით ყვებოდნენ, თუ რომელ სკოლას დაამთავრებენ, რომელ ინსტიტუტში მოეწყობიან, სად იმუშავებენ, როდის დაქორწინდებიან, რამდენი შვილი შეეძინებათ. რამდენადაც ექსპერიმენტატორებს ეს ინფორმაცია უკვე ჰქონდათ, ისინი ადვილად დარწმუნდნენ იმაში, რომ ფაქტები ერთმანეთს დაემთხვნენ.

შემდეგში მოხდა ყველაზე საინტერესო. ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფ ცდისპირებს წინადადება მისცეს მოეთხროთ თუ რა მოუვიდოდათ მათ მომავალში. და ისინი მოჰყვნენ, თუ რა მოუვიდოდათ მათ ხუთი და ათი წლის შემდეგ. ეს ინფორმაცია არ იცოდა არავინ, და მისი დადასტურება ჯერჯერობით შეუძლებელია. დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ. მაშასადამე, წარსულისა

და მომავლის მოვლენები არ წარმოადგენენ განცალკევებულ ნაწილებს. ეს ერთიანი ცოცხალი ჯაჭვია. და ვზემოქმედებთ რა, დროის ცალკეულ მონაკვეთზე, ჩვენ ვზემოქმედებთ მთლიანად დროზე.

მხოლოდ ქრისტეს დაბადებიდან ორი ათასი წლის შემდეგ გამოჩნდა კაცი, რომელმაც გაიგო, რომ შესაძლებელია ზემოქმედება დროზე და ამით ადამიანების განკურნება. ეს კაცი იყო ზიგმუნდ ფროიდი. იგი თვლიდა, რომ წარსული არსად არ მიდის, არამედ მუდმივად ინახება ადამიანის ქვეცნობიერებაში. ამდენად, თუკი შევცვლით ნეგატიური მოვლენებისადმი ადამიანის ქვეცნობიერებაში არსებულ დამოკიდებულებას, შესაძლებელია ადამიანი განიკურნოს. ფროიდმა გასინჯა და მას გამოუვიდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, აქედან განვითარდა ფსიქოანალიზის მეთოდი. სიტუაცია აფორმებს ემოციებს და წარმოქმნის ავადმყოფობებს. გამოდის, რომ ცნობიერება მეორადია. ავადმყოფობას ბადებს გარემო. მაგრამ ჩვენ ჩვენი ცნობიერებით ვცვლით დამოკიდებულებას მომხდარ სიტუაციაზე, და ამრიგად ვზემოქმედებთ წარსულში მომხდარ მოვლენებზე და ვცვლით მის კოდს ჩვენს მეხსიერებაში. ამდენად, შემეცნება არც ისე ძალიან არის დამოკიდებული მომხდარ მოვლენებზე.

ჰიპნოზის ქვეშ ადამიანს შეუძლია თავი დაირწმუნოს, რომ ცივი წყალი მდუღარეა, და იგი მას წვავს. იმავე ჰიპნოზის ქვეშ ადამიანი ირწმუნებს თავს, რომ მდუღარე წყალი არ არის მდუღარე, არამედ ცივი წყალია, და მას არ წვავს. როგორც მდუღარე წყლით სავსე კასრში მჯდომი ტიბეტელი მონაზონი უხსნიდა გამვლელებს „თქვენ დაირწმუნეთ თავი, რომ ეს არის მდუღარე წყალი და ამიტომ მას შეუძლია თქვენ დაგწვათ, მაგრამ მე დავირწმუნე თავი, საწინააღმდეგოში და ამიტომ არ მწვავს". მეცნიერეული თვალსაზრისით ეს შეუძლებელია: იგი უნდა მოხარშულიყო. გამოდის რომ, მართლაც შემეცნება განაგებს გარესამყაროს და შეუძლია შეცვალოს მატერიალური ობიექტების ფიზიკური თვისებები.

მაგრამ დაუბრუნდეთ დარვინის თეორიას. ადამიანის ჩანასა-

ხი თავიდან ჩნდება, როგორც წყალში მცხოვრები უბრალო ერთუჯრედიანი არსება. ჩასახვის აქტი კი იმეორებს, დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის მომენტს. სიცოცხლე, როგორც ინფორმაცია, ანაყოფიერებს მსოფლიო ოკეანის ნივთიერებას. ჯერ წარმოიშობიან ერთუჯრედიანები, შემდეგ კი თევზები. ადამიანის ნაყოფსაც, ჯერ უჩნდება ლაყუჩები და კუდი, შემდეგ იგი გარდაიქმნება ხელიკისმაგვარ ქვეწარმავლად. შემდგომი ევოლუციის შედეგად იგი ხდება ადამიანი. ამრიგად, ადამიანი გაჩნდა ევოლუციის შედეგად. მაგრამ ჯერ-ჯერობით მეცნიერებმა ვერ დაადგინეს გარდამავალი რგოლი ადამიანსა და მაიმუნს შორის. ამიტომაც ბევრნი ამტკიცებენ, დარვინის თეორიის უსწორობას.

არის მხოლოდ ორი პოზიცია: ან იგი სწორია, ან არასწორია. ვეცადოთ ავხსნათ ეს პარადოქსი. არ არის გამორიცხული, რომ ადამიანი გაჩენილიყო უცბად, და მის გაჩენამდელი პერიოდი ყოფილიყო ერთი-ორი თაობა. ესე იგი კრომანიონელებს მათი შვილების ნაცვლად ეშვათ ადამიანები. ისევე, როგორც, არა ქათმის მიერ დადებული კვერცხიდან, ერთხელაც გამოიჩეკა წიწილა. ეს კი ნიშნავს, რომ ინფორმაცია ახალი ცოცხალი არსების შესახებ, მოვიდა მომავლიდან. და უნდა ვთქვათ, რომ დრო არ არის ერთგვარი ამორფული სიდიდე. ის შედგება ორი ნაკადისაგან, რომლებიც მოძრაობენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს. ფაქიზ დონეზე კი, ისინი ერთიანია. მაშინ, გამოდის, რომ რელიგია, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი შეიქმნა უზენაესის ნებით, სწორია, ხოლო დარვინი, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი – ეს არის სხვა ცოცხალი არსებების ევოლუციის შედეგი, არასწორია.

სიცოცხლის მთავარი ნიშანი არის ცნობიერება. იგი შედგება ორი ნაწილისაგან ეს არის მეხსიერება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ წარსულის გამოცდილება, – გენეტიკური მეხსიერება, მეხსიერება ხანგრძლივი და მეხსიერება მოკლე. მეორე ნაწილი – ეს არის წარმოსახვა, მომავლის მოდელირება, ურომლისოდაც არ შეუძლია გადარჩენა არც ერთ ცოცხალ არსებას.

ადამიანი ცხოველისაგან განსხვავდება იმით, რომ ბევრად უკეთესად ახსოვს წარსული, და ამასთან აქვს მომავლის დაგეგმვისა და მოდელირების უნარი. თუკი ადამიანებს ტრავმის შედეგად ავიწყდებოდათ წარსული, ისინი ხდებოდნენ ინვალიდები. ასეთივე ინვალიდები ხდებოდნენ ისინი, თუკი ვერ შეძლებდნენ მომავლის მოდელირებას. ცნობიერება როგორღაც კუმშავდა დროს და კრებდა მათ ერთ წერტილში. ამრიგად, რა არის პირველადი, სული თუ მატერია? მატერია ჩვენთვის — ეს არის წარსული, სული კი — მომავალი. ერთიც და მეორეც არიან დროის ფუნქციები და, ამდენად, გაჩნდნენ ერთდროულად. ზეფაქიზ დონეზე, სადაც სამყარო ერთიანია, სამყაროს ყველა მოვლენა რომელიც მოსახდენი იყო, უკვე მომხდარია. ხოლო გარეგან დონეზე წარსული თანდათანობით გარდაიქმნება მომავლად. ფაქიზი დონიდან შესაძლებელია ამ პროცესზე ზემოქმედება. არის წარსულის რამდენიმე შრე, რომელიც შემდეგში გადადის მომავალში. როგორც რუსულ მატრიოშკაში, ერთი შრის ქვეშ იმალება მეორე.

ამდენად, ყველა მომხდარი მოვლენა არის მომავლისა და წარსულის ერთიანობა, და ევოლუციის ამოუხსნელი ნახტომების ახსნა შესაძლებელია ძალიან უბრალოდ. ესენი არიან ახალი ინფორმაციის პაკეტები, რომლებიც მოვიდნენ მომავლიდან და რომლებმაც უნდა გაანაყოფიერონ აწმყო. ამდენად, დიდი აფეთქების შედეგად ციებადი სამყაროს შესახებ თეორია სწორია მხოლოდ სანახევროდ. სამყაროში მუდმივად მოდის ახალი ინფორმაციის პაკეტები, სამყარო არის აქტიურად განვითარებადი არსება. პრინციპში ამის დადასტურებაა სამყაროს გაფართოება. ამდენად, ვარსკვლავები და პლანეტები, მათ შორის ჩვენი დედამიწაც, არ არიან ჩასაქრობად განწირული სხეულები. მომავლიდან მუდმივად მოდის ენერგია, რომელიც საჭიროა მზის სიკაშკაშისთვის და დედამიწისთვის მასის მოსამატებლად. დრო გარდაიქმნება ენერგიად, ენერგია ხდება ნივთიერება. და ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ადამიანი არის არსება, რომელსაც აქვს სხეულთან დაკავშირებული და

სხეულზე დამოკიდებული ცნობიერება, რომელიც სხეულის სიკვდილის შემდეგ განიფრქვევა. ერთდროულად ადამიანი არის ცნობიერების ფორმა, რომელიც განსაზღვრავს სხეულის არსებობას და განაგრძობს არსებობას მას შემდეგაც, რაც სხეული გაიხრწნება.

სიცოცხლე თავიდან გაჩნდა, როგორც გონის ფორმა. ამ სამყაროს გონმა გაანაყოფიერა ცილოვანი ნივთიერება, რომელიც არსებობდა სამყაროს ოკეანეში. ამრიგად, სიცოცხლე არის მომავლისა და წარსულის უწყვეტი ერთობა. გონი და ველი – არიან მომავალი, სხეული, მატერია – ეს არის წარსული. არსებობს ყველასათვის ცნობილი ფრაზა: „ადამიანი – თავის ბედის შემქმნელია“. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს თავისი ნებისყოფით, თავისი შეგნებით, შეუძლია გავლენა მოახდინოს თავის ბედზე და მომავალზე. ამაზე არანაკლებ სამართლიანია ფრაზა: „ბედი – ადამიანის ბატონია“. ეს ნიშნავს, რომ ქვეცნობიერება, სადაც ჩამალულია წარსული და მომავალი, არანაკლებ გავლენას ახდენს ადამიანზე.

კაცობრიობა ყოველთვის ცდილობდა გაეგო თავისი მომავალი. ყველა მთავარს თავის კარზე ყოველთვის ჰყავდა მარჩიელები, ასტროლოგები, მოგვები და წინასწარმეტყველები. დიდი ხნის წინ, ძველ ინდოეთში მომავალზე ჰქონდათ ასეთი წარმოდგენა: მომავალი უცვლელია, გარდუვალია, და მასზე ზემოქმედება შეუძლებელია. გადიოდა ათასწლეულები კაცობრიობა ვითარდებოდა. იუდაიზმში დრო უკვე განიხილებოდა, რამდენადმე განსხვავებულ სიდიდედ. თურმე ჩვენი ქცევებით ჩვენ ზემოქმედებას ვახდენთ მომავალზე, და ის ცოდვები, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ წარსულში, გვმართებენ ავადმყოფობებს და უბედურებებს, არა მარტო აწმყოში, არამედ მომავალშიც. ჩვენს მიერ წარსულში ჩადენილი ცოდვების გამო, ზღვავენ ჩვენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. მაგრამ თუკი მივმართავთ ღმერთს და მოვინანიებთ, შესაძლებელია ცოდვების შენდობა, ესე იგი, შესაძლებელია აწმყოსა და მომავლის შეცვლა.

მანუს კანონებში, რომელსაც ინდოეთში თვლიან კაცობრიობის პირველსაწყისად, ლაპარაკი არ არის მონანიებაზე. მასში ყოველი დანაშაულისათვის სასჯელია გათვალისწინებული. მაგრამ იუდაიზმში, სასჯელის ანულირება შესაძლებელია ჩვენი წარსულის გადახედვითა და მონანიებით, თუგინდ ეს სასჯელი ზემოდან იყოს მოვლენილი.

ქრისტიანობაში მომავალი გამოიყურება სრულიად სხვანაირად. იგი არის ფიზიკური რაობა, მასთან შეიძლება ურთიერთქმედება. თურმე მას შეუძლია ჰქონდეს გარკვეული ნიშნები და თავისებურებები. თურმე ადამიანი აქტიურად ურთიერთქმედებს მომავალთან, რომელსაც გააჩნია სულ სხვა სტრუქტურა, ვინემ აწმყოს. და როდესაც ადამიანი შეეხება ამ ახალ მომავალს, ის შეიძლება მოკვდეს კიდევაც.

ინდურ ფილოსოფიაში წარსული მდოვრედ გადადის მომავალში. ყველაფერი წინასწარ არის გათვალისწინებული და შემოქმედი არ ერევა მიმდინარე მოვლენებში. იუდაიზმში ღმერთი ურთიერთობს ადამიანებთან და იძულებულს ხდის მათ შეიცვალონ საქციელი. მცნებების დაცვა ადამიანებს საშუალებას აძლევს გადარჩნენ და შეცვალონ თავიანთი საქციელი. ინდურ ფილოსოფიაში ავადმყოფობა — ეს არის ადამიანის საქციელის შედეგი, და ამიტომ მის მკურნალობას აზრი არა აქვს. ტანჯვითა და წვალებით უნდა განვლო შენი კარმა. იუდაიზმში ავადმყოფობა, ასევე არის დაგროვილი ცოდვების შედეგი, მაგრამ ლოცვის მეშვეობით, მონანიებითა და მცნებათა დაცვით, შესაძლებელია ცოდვების მოხსნა და შთამომავლობისა და თქვენი მომაელის გაუმჯობესება.

ქრისტიანობა ყურდღებას არ ამახვილებს დანაშაულზე, რომელიც ადამიანმა ჩაიდინა წარსულში. ღმერთის ინტენსიური სიყვარულით და შინაგანი ცვლილებებით შესაძლებელია დასძლიოთ ყოველგვარი ნეგატიური წარსული. ამდენად, მთავარი — ეს არის არა ტანჯვა, როგორც გამოხსნის ფორმა, და არა მკაცრი დაცვა მცნებებისა და მონანიებისა, როგორც ფორმა წარსულის ცვლილებისა, არამედ ღმერთის ინტენსიური სიყვარული,

როგორც შესაძლებლობა წარსულისა და მომაელის ცვლილებისა. მაშინ წამოიჭრება კითხვა, როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომ შეეხოს ახალ მომავალს? და რატომ უნდა მოკვდეს იგი მომავლის შეხების შემდეგ?

ადამიანს შეუძლია იცოცხლოს და შეასრულოს ზემოდან მოცემული ყველა მცნებები. მაგრამ, როდესაც მოვა ახალი მომავალი, იგი შესაძლებელია მოკვდეს. ესე იგი, მრავალრიცხოვანი მცნებების შესრულება და სწორი მოქცევა, არ არის მომავალში მოხვედრის ის კოდი, რომელიც მოდის ჩვენსკენ. და მორწმუნე ადამიანები, რომლებიც მარხულობენ და ცდილობენ დაიცვან რელიგიური დოგმები, შესაძლებელია განწირული იყვნენ დასაღუპად, როდესაც მოახლოვდება ახალი ეპოქა და ახალი დროება. გადარჩებიან მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც თავის თავში ატარებენ მომავალი გადარჩენის დამალულ პაროლს. ქრისტემ იპოვა გამოსავალი გადარჩენისა, რომელიც გამოდგა ის, რის გულისათვისაც იყო შექმნილი ყველა წესი და მცნება. ეს იყო სიყვარული.

ანთებული სანთელი ანათებს ჩემს წინ მაგიდაზე. მე დიდ ხანს ვუყურებდი მას და ვცდილობდი წესრიგში მომეყვანა ჩემი აზრები და გრძნობები. შემდეგ მზერა ფანჯრის იქით გადამქონდა. ბერლინში გაზაფხულია. მწვანე ფოთლები ხეებზე ქმნიან ენით აღუწერელ ატმოსფეროს, მხიარულად ჭიკჭიკებენ ჩიტები. დღეს მე მქონდა მიღება. მიღებაზე მოსახვედრად ადამიანები ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ცხოვრების ისტორიები სხვადასხვანაირია და ხშირად სრულიად ჩახლართულნი. მე ველაპარაკები ყველას, და ჩვენ ერთად, თანდათანობით, ვარჩევთ მათი ცხოვრების ყველა შემთხვევას. მე ვუხსნი, წარსულში მათმა აზრებმა, გრძნობებმა და საქციელმა, თუ როგორი გავლენა მოახდინეს მათ ჯანმრთელობაზე, ხასიათზე და ბედ-იღბალზე და არა მხოლოდ მათზე, არამედ მათ შვილებსა და შვილიშვილებზეც. როდესაც გადიხარ ფაქიზ დონეებზე და ხედავ იმას, რასაც ეწოდება ადამიანის სული, მაშინათვე შეგიძლია გააკეთო დასკვნა, მის შემდგომ ბედზე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

დღეს ჩემთან მიღებაზე იყო ცოლ-ქმარი საბერძნეთიდან. ისინი მომიყვნენ საინტერესო ისტორიას. მათ ნათესავებს საბერძნეთში, რომლებიც დიდი ხანია იქ ცხოვრობენ, აქვთ რამდენიმე სახლი, აყვავებული ბიზნესი და დიდი ანგარიშები ბანკში. ახლახან მათ კიევიდან სტუმრად დაპატიჟეს ძმისშვილი. ყმაწვილი, რომელიც გაიზარდა სიღარიბეში, საჭიროებდა ყველა სიკეთეს. ის იყო ჩვიდმეტი წლის, ხოლო ამ ცოლ-ქმარს არ ჰყავდათ შვილი.

ყმაწვილი იყო ძალიან კარგი და კეთილი. ნათესავები მალე შეეჩვივნენ მას და თხოვეს, რომ იგი დარჩენილიყო და ეცხოვრა მათთან. იგი სიამოვნებით დათანხმდა. ცოლ-ქმარი შეპირდნენ, რომ უანდერძებდნენ მთელ ქონებას: სახლს, და ფულს, იმ პირობით, თუ იგი არ მიატოვებდა და დარჩებოდა მათთან. ერთი წლის შემდეგ მან ითხოვა, რომ რამდენიმე კვირით გაეშვათ იგი სამშობლოში, რათა ენახა თავისი ქალაქი და მოენახულებინა მშობლები. იქ მოხდა მოულოდნელი რამ: მას შეუყვარდა იქაური გოგონა და ავად გახდა. ნათესავები სთხოვდნენ, რომ დაბრუნებულიყო და ემკურნალა, მაგრამ მას ფიზიკურად არ შეეძლო ამის გაკეთება. ორი კვირის შემდეგ მან დაურეკა ნათესავებს და უთხრა, რომ უარს ამბობს მათ ქონებაზე და არ უნდოდა საბერძნეთში დაბრუნება.

— რა მოხდა შემდეგ? — შევეკითხე მე.

ერთმა მეუღლეთაგანმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— იგი დარჩა კიევში. რატომღაც მან გადაწყვიტა, რომ ავად გახდა იმიტომ, რომ დარჩა საბერძნეთში. ამდენად, ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი აქ ჩამოსვლისა, არის იმის გაგების სურვილი, თუ რა დაემართა იმ ყმაწვილს.

— თქვენ გინდათ გაიგოთ, სწორი იყო თუ არა ის? — ვუსვამ მე შემხვედრ კითხვას.

მამაკაცი გამომცდელად მიყურებს და თავს მიქნევს.

— დიახ.

— იცით თქვენ, რომ ყმაწვილებს სული უფრო სუფთა აქვთ, ვინემ უფროსებს. ისინი, როგორც წესი, არ არიან გამსჭვალულნი

უპირატესობის გრძნობით, დამაჯერებლობით და დაცულობით. ამიტომ ისინი უფრო კარგად გრძნობენ სიყვარულს და იმ საშიშროებას, რასაც სიყვარული უქადით. თუკი ის შეყვარებული გახდებოდა არა თვრამეტის, არამედ ოცი ან ოცდასამი წლისა, მაშინ შეიძლებოდა მომკვდარიყო. მას არ ჰქონდა შხამსაწინააღმდეგო აცრა მის თავს მოულოდნელად დამტყდარი იმ სიმდიდრის მიმართ, რომელიც მას არ გამოუმუშავებია.

ჯანმრთელობისა და ბედნიერების საიდუმლო, ძალიან მარტივია. თქვენ გასცემთ სიყვარულისა და ენერგიის ულუფას და ღებულობთ მის შესაბამის ჯანმრთელობას, სულს და ბედნიერების სხვა ფორმებს. თუკი თქვენ გაეცით ხუთჯერ მეტი ენერგია, ვინემ მიიღეთ ფული და კეთილდღეობა, თქვენ გექნებათ სტაბილური ჯანმრთელობა, ბედნიერება. ასეთ შემთხვევაში ფულის მოულოდნელი გაჩენა და კეთილდღეობა თქვენ არ მოგკლავთ. მაგრამ, თუკი თქვენ მიიღეთ ან გინდათ მიიღოთ მრავალჯერ მეტი, ვინემ გაეცით, მაშინ ხართ ავადმყოფი ადამიანი, რამეთუ ამ შემთხვევაში თქვენ კი არ განაგებთ ამ სიმდიდრეს, არამედ ის ხდება თქვენი განმგებელი.

ამრიგად, როდესაც თქვენი ნორჩი ნათესავი ჩამოვიდა საბერძნეთში და უზრუნველად მიიღო ყველაფერი, რაზეც ოცნებობდა, მისმა სულმა შეუმჩნევლად იწყო სიკვდილი. მაგრამ მას არ ჰქონდა კამერტონი, რომელიც მისცემდა ნიშანს, რომ სულს გზა აებნა. ამიტომ, როდესაც ის შეეხო სიყვარულს, მაშინათვე მთელი ჭუჭყი გამოვიდა გარეთ. სულმა იწყო განწმენდა და ჭუჭყი გადავიდა სხეულზე, ამიტომაც იგი ავად გახდა. ბევრს, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ ნამდვილ სიყვარულთან, დიდ ხანს შეუძლიათ იცხოვრონ უზრუნველად და ბედნიერად. მაშინაც კი, როდესაც დაკარგავენ შესაძლებლობას შინაგანად შეიყვარონ და გასცენ ენერგია, ამ შემთხვევაშიც, იცხოვრებენ სრულ კომფორტში.

ტრაგედიაა ის, როდესაც ადამიანს შეუძლია გაექცეს სიყვარულს, რათა იცხოვროს უჭირველად. თუკი კონცენტრაციას მოვახდენთ ბედნიერების გარე გამოვლინებაზე და მის მატერია-

ლურ ასპექტზე, შესაძლებელია ვერც შევნიშნოთ, თუ როგორ კვდება სული. მაგრამ, თუკი ამ ადამიანს ეყოლება შვილები, მაშინ მათ მოუწევთ სიყვარულთან შეხვედრა. ამ დროს ყველაფერს, რასაც კი ასწავლენ შვილები, თავიანთი ზურგით წაიღებენ მშობლები, და გააკეთებენ ამას არაერთი სიცოცხლის განმავლობაში. სული ხომ არაერთჯერადი ცნებაა.

არა თუ ადამიანს, არამედ სახელმწიფოსაც შეუძლია ასე მოიქცეს. შესაძლებელია ჩვენს შვილებს განვუვითაროთ სიყვარულისადმი შემწყნარებლური და ქარაფშუტული დამოკიდებულება. შესაძლებელია სიყვარულად მოვიხსენიოთ სექსუალური ურთიერთობები. შეიძლება დაარწმუნო შენი თავი იმაში, რომ შეგიძლია სიყვარული მართო. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი შთამომავლობის რამოდენიმე თაობა გულგრილი იქნება სიყვარულის მიმართ.

მაგრამ, ადრე თუ გვიან, სახელმწიფო და მომავლიდან საზოგადოება შეეხებიან, ამ გრძნობას. და რაც უფრო მაღალი იქნება სიყვარულისაგან დასაცავი ზღუდე, მით უფრო სატირალი შედეგი დადგება მათთვის, ვინც სიყვარულისაგან თავს იცავდა. ასე რომ, იმ ყმაწვილმა იგრძნო და გაიგო, რომ სიყვარულის წინ ადამიანი უნდა იყოს დაუცველი და მან უკუაგდო ყველაფერი, რაც მას იცავდა. რატომ კლავს ადამიანს დაუმსახურებელი ფული? იმიტომ, რომ მასში მოხმარება ბევრად მეტია, ვინემ გაცემა. ის, ვისაც მეტის მიღება უნდა, ვინემ გასცემს, იწყებს გადაშენებას.

რატომ ანათებენ ვარსკვლავები? იმიტომ, რომ უნდათ იყვნენ ბედნიერნი. ენერგიის გაცემა — ეს არის ბედნიერება, არა მარტო ცოცხალი არსებისთვის, არამედ უსულოთათვისაც. ფაქიზ დონეზე ცოცხალი და უსულოც ერთნაირად გრძნობენ და რეაგირებენ. ვღებულობთ თუ გავცემთ გარეგან დონეზე, შინაგანად ყოველთვის უნდა იყოს სიყვარულის ენერგიის გამოტყორცნა. ჩვენ ვღებულობთ საჩუქარს და გვიხარია, ეს არის ენერგიის გამოტყორცნა. ჩვენ ვაჩუქეთ სხვას საჩუქარი და, ასევე გვიხარია, ეს უფრო მეტი ენერგიის გამოტყორცნაა. ეს არის უნივერსალური კანონი.

ახლახან მე წავიკითხე ისტორია მეფეზე, რომელიც ცხოვრობდა შუა საუკუნეებში. იგი მოგზაურობდა უბრალო რაინდად გადაცმული. ერთხელაც გზა აებნა და დაიწყო თავშესაფრის ძებნა. მხოლოდ ერთ სახლში მიიღეს იგი სიხარულით. მეფემ გაამხილა თავისი ვინაობა და უთხრა, რომ ასეთი კეთილი საქციელისთვის, აძლევდა მას უმაღლეს წოდებას. მოულოდნელად მის წინ მდგომი კაცი შეყოყმანდა: „ბოდიშს გიხდით თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ თქვენ არ იცით ჩემი პროფესია" — „მე ჩემს ბრძანებებს არ ვცვლი, — არ შეყოვნებულა ისე უთხრა მეფემ — დაასახელე ხელობა, რომელსაც შენ მისდევ". — „მე ჯალათი ვარ" — უპასუხა მან.

მეფეს თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. კაცმა, რომელმაც შეუშვა მეფე სახლში, მიიღო ტიტული და შესაბამისი მატერიალური სიკეთეც. მეფე იყო სწორი, იმიტომ, რომ კაცს, რომელიც მუშაობდა ჯალათად, სინამდვილეში არავინ არ მოუკლავს, იგი ასრულებდა თავის მოვალეობას და ეხმარებოდა მსხვერპლს მინიმალური წვალებით წასულიყო საიქიოში. ქვეშევრდომებს მაღალი წოდებები ენიჭებათ მათ მიერ ჩადენილი გმირობისთვის. ყველა გმირობას საფუძვლად უდევს თავგანწირვა და სიყვარულის გრძნობა, რომლის გარეშეც მსხვერპლი არ არსებობს. და ჯალათად მომუშავე კაცმა, ეს თავგანწირვა და სიყვარული გამოავლინა.

როგორ სიტუაციაშიც არ უნდა ჩაგვაგდოს ბედმა, როგორი როლიც არ უნდა ვითამაშოთ, ჩვენ არა გვაქვს უფლება უარი ეთქვათ ღმერთის სიყვარულზე. ამ გრძნობის დაკარგვიდან იწყება ყველა დანარჩენი დანაშაული. ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს სიმდიდრე და ბედნიერება მანამდე, სანამ ისინი არ დაგვიწყებენ ხელშეშლას, შეყვარებაში, მსხვერპლის გაღებასა და ენერგიის გაცემაში. და ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეყვარება, ყოველთვის ინტუიციით გაჩერდება იმ ზღვარზე, რომლის იქითაც კეთილდღეობა დაუწყებს მას მოკვდინებას და უარს იტყვის სიმდიდრეზე, რომელმაც დაიწყო მისი სულის განადგურება.

მე გამახსენდა ოცი წლის წინანდელი ამბები. რამდენიმე წელი ვმუშაობდი მხატვარ-გამფორმებლად საქვეყნოდ ცნობილ მარინის თეატრთან ახლოს მდებარე კულტურის სახლში. შემდეგში ეს კულტურის სახლი დახურეს და ჩემთვის დაიწყო უმუშევრობის პერიოდი. მაშინ რომ მქონოდა რამე სხვა სამუშაო მე არ დავიწყებდი ასე სერიოზულად მკურნალად მუშაობას, არ დავიწყებდი იმიტომ, რომ ვგრძნობდი რა საშიში ხელობაც იყო იგი. მაგრამ გამოვიდა, რომ თვითონ სიტუაცია მიბიძგებდა ექსპერიმენტებისკენ. მე მახსოვდა ჰიპოკრატეს ფიცი: „ექიმი-ფილოსოფოსი ღმერთის დარია" და გადავწყვიტე მეცადა ფილოსოფიისა და მედიცინის გაერთიანება. სწორედ მაშინ გაკვირვებულმა შევნიშნე, რომ, თუკი ავად იყო სხეული, ხშირად ეს დაკავშირებული იყო სულის ავადმყოფობასთან და ადამიანის ბედთან.

ნაცნობმა მითხრა ერთხელ: „ჩვენთან აღმოსავლეთში არის ანდაზა: „ქონების დაკარგვა ავადმყოფობას წინ უსწრებსო". მე გავიფიქრე, რაღაც მსგავსი ჩვენთან, რუსეთშიც არის მეთქი: „მოვიდა უბედურება – გაალე ჭიშკარი". რატომ ხდება ავადმყოფობა და ადამიანის ბედის დანგრევა? რა მიზეზებით ავადდება ადამიანის სული? ადამიანის ხასიათის ნაკლოვანება რატომ იწვევს ავადმყოფობას? მაშინ ამ კითხვებზე პასუხი მე არ მქონდა.

მე ისევ ვუბრუნდები აწმყოს. ახლა 2007 წლის გაზაფხულია. არის ბევრი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ, მომავლის ახალი ულუფის ჩვენთან მოახლოებას. ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ აწმყო ნელა გადადის მომავალში, რომელიც აფორმებს მას, მაგრამ ვერ ვამჩნევთ უკუ პროცესებს. ზოგჯერ კი მომავალი თითქოსდა აზამბარებს და აქტიურად ერთვება აწმყოში. მაშინ ძველი სამყარო ნადგურდება და ადგილს უთმობს ახალს.

არის დინოზავრების გადაშენების რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: ჩამოვარდა მეტეორიტი, და მკვეთრად შეიცვალა დედამიწაზე არსებობის პირობები. ასეთივე მიდგომა გამოიყენება ადამიანის გაჩენის ასახსნელადაც: თუკი [illegible]

უძლებელია მოიძებნოს გარდამავალი საფეხური მაიმუნსა და ადამიანს შორის, ასეთ შემთხვევაში, ახსნა ასეთია: კოსმოსიდან მოფრინდნენ უცხოპლანეტელები და მათ მისცეს დასაბამი ცოცხალ არსებათა ახალ სახეს – ადამიანებს. ამრიგად, თუკი სიტუაცია აუხსნელია, საჭიროა დაუშვათ არსებობა ისეთი ფაქტორისა, რომელიც გავლენას მოახდენდა ამ სიტუაციაზე გარედან. ყველაზე უბრალო – ეს არის კოსმოსი, და მას მიაწერენ ყველა აუხსნელ მოვლენას.

მაგალითად, ჩვენი პლანეტის გაფართოებას მეცნიერები ხსნიან დედამიწაზე დაცემული მეტეორიტების რაოდენობით. თუმცა ეს ეწინააღმდეგება საღ აზრს, მაგრამ ოფიციალური მეცნიერება დაჟინებით იცავს ამ ჰიპოთეზას, იმიტომ, რომ სხვა ჰიპოთეზები, უბრალოდ, არა აქვთ. მეცნიერება ამტკიცებს, რომ დედამიწა – ციებადი ციური სხეულია, იმიტომ, რომ ეს შეესაბამება კანტ-ლაპლასის თეორიას, რაც ჯდება სამყაროს წარმოშობის შესახებ მიღებულ შეხედულებაში.

საკმარისია ჩავატაროთ ელემენტარული ექსპერიმენტი, რომ დავრწმუნდეთ ამ თეორიის ნაკლში. დადგით გაზქურაზე ჩაიდანი. დაელოდეთ სანამ წყალი არ ადუღდება და ჩაიდანის თავსახური არ დაიწყებს სტომას, გამორთეთ გაზი და მიდით ჩაიდანთან ხუთი წუთის შემდეგ. თუკი თავსახური ძველებურად სტის და იქიდან გამოდის ორთქლი, თქვენ იქნებით ძალიან გაკვირვებულნი, იმიტომ, რომ სხეულში, რომელიც ცივდება, არ შეიძლება მიმდინარეობდეს აქტიური პროცესები.

ასე რომ, თუკი დაუჯერებთ ელემენტარულ ფიზიკურ კანონებს, დედამიწაზე არ უნდა იყოს მიწისძვრები. ეს „ჩაიდანი" ცივდება უკვე ხუთი მილიარდი წელია, და, თუკი დავივიწყეთ იმ შიშის შესახებ, რომელიც მოყვება სამყაროს დაღუპვას, ჩვენ უნდა ვცნოთ უბრალო ჭეშმარიტება: პლანეტა დედამიწა არ არის ჩამქრალი სხეული. მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა ამას ადასტურებს. უფრო მეტიც, ჩვენი პლანეტა შედის მომეტებული არასტაბილურობის პერიოდში. მასთან ენერგია მოდის გარედან და თხუთმეტი კუბური კილომეტრიც, რომლითაც ყო-

ველწლიურად იმატებს დედამიწის მოცულობა, არაფრით არ ეთანხმება მეტეორიტული წვიმის თეორიას. ბავშვიც მიხვდება, რომ ჩვენს პლანეტას მასა ემატება არა გარედან, არამედ შიგნიდან. დედამიწაზე დაცემულ მეტეორიტებს არ შეუძლიათ გაწიონ მატერიკები. ამდენად, კოსმიური ფაქტორის მოყვანა მტკიცებულებად, არის უხეში მცდელობა როგორღაც ახსნან აუხსნელი რამ. თუკი ამოცანაში შევიყვანთ „მომავლის" ცნებას, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე აღმოჩნდება.

მე მახსოვს, როგორ ვიყავი გაკვირვებული, როცა დავინახე, რომ ადამიანს შეუძლია ქვეცნობიერად მოახდინოს რეაგირება მომავალზე. „რა უცნაურია, — ვფიქრობდი მე, — შემთხვევა ჯერ არ მომხდარა, კაცი კი მასზე რეაგირებას ახდენს". მერე მე ვნახე, რომ ბავშვების ბევრი ავადმყოფობა, დამოკიდებულია არა წარსულზე, არამედ მომავალზე, ესე იგი, ავადმყოფობა — ეს არის მომავალი მოვლენებისადმი ადაპტაცია, მაგრამ თუ ადამიანი რეაგირებს მომავალზე, მაშინ იგი არსებობს, მაშინ იგი არის ფიზიკური სიდიდე, რომელთანაც შეიძლება ურთიერთქმედება. და მაშინ მომავლის აუხსნელი ცვლილება, შეიძლება გავიგოთ, როგორც გაძლიერებული ზემოქმედება მომავლისა აწმყოზე. რატომ გადაშენდნენ დინოზავრები? იმიტომ, რომ მათ დაიწყეს პრინციპულად ახალი ცოცხალი არსებების გაჩენა. ესე იგი, დინოზავრის კვერცხიდან გამოიჩეკნენ „წიწილები", ხოლო კრომანიონელებმა კი დაიწყეს ადამიანების დაბადება — იმათი დაბადება, ვინც თავისი მახასიათებლებით შეესაბამებოდა ახალ დროებას.

ასე რომ, ახალი დროება განსხვავდება ძველისაგან. თუკი ადამიანი არ შეესაბამება მომავლის ენერგეტიკას, ის იქ უბრალოდ ვერ გადარჩება. რით განსხვავდება აწმყოს სივრცე, ენერგია და დროება, იმავე კატეგორიის მომავლის ახალი ულუფისგან, რომელიც, შესაძლოა მალე მოვიდეს? თუკი გამოვალთ სამყაროს წარმოშობის შესახებ არსებული ჩვეულებრივი შეხედულებიდან, მაშინ იგი წარმოიშვა დიდი აფეთქების შედეგად, ნელ-ნელა ცივდება და კარგავს თავის ჩვეულებრივ იმპულსს.

მაშინ მომავლის ახალი ულუფა უნდა იყოს აწმყოზე უფრო სუსტი. თუკი დაუშვებთ, რომ სამყარო არის აქტიურად განვითარებადი ორგანიზმი, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ მასში მიმდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესები, და გარდა ჩამქრალისა, უნდა იყვნენ გააქტიურებულებიც.

ამრიგად, მომავალი აწმყოზე სუსტი იქნება თუ ძლიერი? მე მახსენდება საგაზეთო შენიშვნა. ადამიანები აკვირდებოდნენ მზეს უკანასკნელი ორას ოცდაათი წლის განმავლობაში, და ყოველთვის თერთმეტწლიანი აქტიურობის ფაზა იცვლებოდა ასეთივე ციკლის „მშვიდი" მზით. გამონაკლისი ამ წესიდან არ ყოფილა. მზე, ემორჩილება რა სამყაროს რიტმს, თანაბრად და მშვიდად „სუნთქავს". მაგრამ მგონი გასულ წელს პირველად მოხდა აუხსნელი რამ. „აქტიური" მზის ფაზა, გადავიდა არა მშვიდში, არამედ უფრო აქტიურ ფაზაში. უბრალო ენით რომ ვთქვათ, საიდანღაც იწყო მოდინება ენერგიამ და მზე თითქოს ცდილობდა მასთან შეგუებას.

არ არის გამორიცხული, რომ მომავლის ახალი პაკეტს ექნება ბევრად უფრო ძლიერი ენერგია. მაშასადამე, გადარჩენა მასში შეეძლებათ მხოლოდ არსებებს მომეტებული ენერგოცვლით. ახლანდელი „დინოზავრები", ალბათ, გადაშენდებიან. <u>რა შემთხვევაში ხდება ჩვეულებრივი ადამიანში ენერგოცვლის მომატება? როდესაც იგი იმყოფება მისთვის დამღუპველ, სასიკვდილო სიტუაციაში, როდესაც იგი ხედავს და იგებს, რომ მას ემუქრება საშიშროება. ენერგოცვლა იმატებს, როდესაც ადამიანი აქტიურად მოქმედებს და მუშაობს. ენერგოცვლა მომეტებულია, როდესაც ჩვენ გვინდა დავეხმაროთ სხვას და ვზრუნავთ ვინმეზე. ენერგია მკვეთრად იწევს, როდესაც ჩვენ გვიყვარს.</u>

ყოველივე აქედან, შეიძლება უბრალო დასკვნის გამოტანა. რომ მოამზადო ახლანდელი კაცობრიობა მომავლისთვის, აუცილებელია კატაკლიზმების მონაცვლეობა, რომლის დროსაც იგრძნობს სიკვდილის საშიშროებას და ბევრი დაიღუპება კიდეც. ასეთ შემთხვევაში ადამიანები იზრუნებენ ერთმანეთზე და გადალახავენ კატაკლიზმების შედეგებს. მაშინ ყოველ დღეს ბევრნი

ალიქვამდნენ იქნება როგორც უკანასკნელს. და ეს გაწყვეტს ბორკილებს, რომლითაც ისინი მიჯაჭვულნი არიან კეთილდღეობასა და სტაბილურობას. ადამიანები კვლავ იგრძნობენ სიყვარულს, და ის დაეხმარება მათ გადალახონ ყველა მავნე ჩვევები. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ის მაღალი ენერგეტიკა. როდესაც მას უწვეტად უყვარს, მუდამ უხარია და გასცემს ენერგიას, — ეს არის ჩვენი ბავშვობა. და თუკი ჩვენ შევინარჩუნებთ სიყვარულისა და ენერგიის პოტენციალს, რომელიც გვახასიათებდა ბავშვობაში, მაშინ ჩვენ გვაქვს შანსი გადავრჩეთ მომავალში.

გადავშლი ბიბლიას და მასში ვკითხულობ ფრაზას, რომელიც ადრე ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. მოჰყავდათ მასთან ბავშვები, რათა შეხებოდა მათ, მოწაფეები კი საყვედურობდნენ მომყვანებს. ეს, რომ შეამჩნია იესომ, გაწყრა და უთხრა მათ: „გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, ვერ შევა შიგ“ (მარკოზი 10, 13-15). ამის შემდეგ აღწერილია უცნაური ეპიზოდი. ქრისტესთან ვილაცამ მიირბინა დაეცა მის წინ მუხლებზე და შეეკითხა მას: კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო? (მარკოზი 10, 17)

დავფიქრდეთ ამ ფრაზაზე. რა არის სიკეთე? ეს არის უცოდველობა. ჩვენ მივეჩვიეთ სიკეთე ვუწოდოთ სტაბილურობასა და მატერიალურ უზრუნველყოფას. მაგრამ ჭეშმარიტი სიკეთე — ეს არის სიყვარულის ენერგია. კეთილია ადამიანი, რომელსაც აბსოლუტურად არ გააჩნია ცოდვები. ჩვენებურ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, სცენა გამოიყურება შემდეგნაირად: კაცი მიდის იესოსთან და ეუბნება: „შენ უცოდველი ხარ, მაშასადამე შენ გადარჩები მომავალ ახალ ეპოქაში. რა გავაკეთო მე, რომ გავხდე ისეთივე უცოდველი, როგორიც ხარ შენ?“. მას უნდა შეეზარდოს, მიეწებოს მაცხოვარს.

და უცებ ქრისტე მოულოდნელად პასუხობს: „უცოდველი მხოლოდ ღმერთია! და რომ გადარჩე, უპირველეს ყოვლისა მხოლოდ შენი თავის იმედი უნდა გქონდეს“. არავითარი იმედი

ქრისტესი და არავითარი ხვეწნა გადარჩენაზე არ დაგეხმარება, თუკი არ გადადგამ დამოუკიდებელ ნაბიჯს. თუკი თვითონ არ მოინდომებ განიცადო შენს თავში ღვთაებრივი, შენ არავინ დაგეხმარება.

ქრისტე ხსნის თუ როგორ შეიძლება გადარჩე. წესი პირველი: წახვიდე სიყვარულისაკენ და, მაშასადამე, მოიქცე ისე, რომ სიყვარული შემოდიოდეს შენს გულში, და არა გადიოდეს გულიდან. არ იმრუშო, არა კაც კლა, არ იპარო, არ დადგე ცრუ მოწმედ, არ აწყენინო, პატივი ეცი მშობლებს. წესი მეორე: აბსოლუტური შინაგანი დაუცველობა. რომ შეეხო ცათა სასუფეველს და არ მოკვდე, საჭიროა, რომ სულით არ ატარებდე აგრესიას. აგრესია ეს არის დაცვა. თუკი დასაცავი არაფერი გვაქვს, არც გვექნება აგრესია. როდესაც ადამიანს აქვს სიმდიდრე, სტაბილურობა და დაცულობა, მაშინ მისი ეს მდგომარეობა თანდათანობით იპყრობს სულს. და თუკი სიამოვნება, რომელსაც ღებულობ მატერიალური კეთილდღეობის ფლობით, უფრო მეტია ვინემ სიამოვნება მიღებული სიყვარულისგან, მაშინ ასეთი ადამიანის სული სულ უფრო აგრესიული ხდება, და იგი მოკვდება სიყვარულთან შეხებისთანავე.

ღმერთს ჩვენ შევიცნობთ, სიყვარულის გრძნობის მეშვეობით და ამ გრძნობის წინაშე უნდა ვიყოთ აბსოლუტურად დაუცველნი. მე ისევ მაგონდება იესო ქრისტეს სიტყვები: შვილებო, რა ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა მათთვის ვინც, სიმდიდრეზეა მინდობილი! (მარკოზი 10, 24). რისი იმედიც გვაქვს — მისკენ მივისწრაფით. ის, რისკენაც ჩვენ მივისწრაფით, ხდება ჩვენი არსებობის მთავარი აზრი. და თუკი ადამიანის მთავარი მიზანი — ეს არის სიმდიდრე, როგორც მისი სხეულისა და ინსტინქტების დაცვის საშუალება, მაშინ მისი სული თანდათანობით დაკარგავს სიყვარულს. ხოლო, სულიერებისგან დაცლილ ადამიანს არა აქვს მომავალი. მისი სხეული უბრალოდ განწირულია. ბავშვები დაუცველნი არიან და ეს ეხმარება მათ შეინარჩუნონ სიყვარული. და რომ, დასავლეთის ქვეყნებში ბავშვები კარგავენ მშობლებისადმი პატივისცემის გრძნობას და შეუძლიათ კი-

დევაც უჩივლონ მათ სასამართლოში, მიუთითებს უბრალო ფაქტზე: ბევრ ადამიანს, დასავლეთში, უკვე არა აქვს მომავალი.

მე ვცდილობ მოვიშორო თავიდან ეს აზრები, და ისევ მახსენდება ოცი წლის წინანდელი ამბები. მე მახსენდება ჩემი მომცრო სახელოსნო ბალტიის სადგურთან ახლოს მდებარე დამტვერილ ქუჩაზე, სადაც მე დავიწყე ჩემი პირველი პაციენტების მიღება. ყოველი მიღება – ეს იყო სპექტაკლი. გარედან უნდა გამაერთიანო ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი დაშორიშორებული ყველა მოვლენა, შეკუმშო ისინი „მარცვლის როლში". და აი მე ვხსნი. დიდი ხნის განმავლობაში წყენის დაგროვებამ თუ როგორ გამოიწვია ავადმყოფობები, სულში არსებული პრობლემები თუ როგორ გადადიან სხეულზე და წარმოშობენ ავადმყოფობებს, მატერიალური ღირებულებების თაყვანისცემა თუ როგორ მიგიყვანს უბედობამდე, ხოლო საყვარელი ადამიანის თაყვანისცემა – ეჭვიანობამდე, წყენამდე და განქორწინებამდე.

ხდებოდა არასტანდარტული სიტუაციებიც. ერთ იმათთაგანზე ეხლა მოგიყვებით: ერთხელ ჩემთან მოვიდა ქალბატონი და მთხოვა მიმეღო მისი ვაჟიშვილი.

– რა პრობლემები აქვს მას? – შევეკითხე, მე.

მან ცოტა გაკვირვებით შემომხედა, შემდეგ კი ჩუმად მითხრა:

– მისი პრობლემები დაკავშირებულია ფსიქიკასთან.

– სად არის ამჟამად?

– სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის განყოფილებაში. – ქალი გაჩუმდა, მერე კი დაამატა: – მე მოველაპარაკები ექიმებს და მას გამოუშვებენ ერთი დღით. – შემდეგ შემომხედა და შემეკითხა: – რა უნდა გააკეთოს მან თქვენთან მიღებაზე მოსვლის წინ? – მე მხრები ავიჩეჩე.

– პრინციპში არაფერი. შეუძლია შევიდეს ეკლესიაში, მით უფრო, ის ხომ გვერდითაა.

ქალმა ისევ უცნაურად შემომხედა.

– იქნებ არ იყოს საჭირო, სჯობია პირდაპირ თქვენთან მოვიდეს.

— როდესაც ის მოვა, მოვიდეს ბოლომდე გახსნილად, — დავუმატე მე, — ის, რასაც მე დავინახავ, შევადაროთ მასთან, რასაც ის მომიყვება.

მეორე დღეს ის მოვიდა. ოთახში შემოვიდა საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი და დაჯდა ჩემს წინ. მის სახეზე არაფერი იკითხებოდა, მზერა ჰქონდა სრულიად ჩამქრალი. როგორც ეტყობა, მას აძლევდნენ ცხენის დოზას. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და ამიტომაც მომმართეს მე.

— გეთაყვა, მომიყევით ყველაფერი თავიდან ბოლომდე. — შევთავაზე მე.

დიდ ხანს ის გამოშტერებული იყურებოდა. შემდეგ მისი მზერა დაიწმინდა და გახდა გააზრებული.

— ჩვენს გვარში გვყავდა ჯადოქრები, — დაიწყო მან მოყოლა, შემდეგ შემომხედა და აღფრთოვანებულმა ამ კითხვით, განაგრძო: — მამის მხრიდან. მამაჩემს ჰქონდა ძლიერი ენერგეტიკა და ჰიპნოზის საოცრად დიდი ცოდნა. — მან ისევ შემომხედა და, იგრძნო რა შემდეგი კითხვა, განაგრძო: — მე არაფერი მსგავსი ცხოვრებაში არ მქონია. ვიყავი ნორმალური, საშუალო ბავშვი.

მას სახე დაემწუხრა, და ისევ ერთ ადგილს დაუწყო ყურება.

— შემდეგ მე შემისრულდა თვრამეტი წელი და წამიყვანეს ჯარში. ვმსახურობდი ავღანეთში. თქვენ ხომ იცით როგორი საქმეებიც იქ იყო. ატმოსფერო იყო საშინელი. ასე რომ, მე იქ პირველად გავსინჯე ნარკოტიკი, და ეს მომეწონა. — შემდეგ კი... იგი გაჩუმდა.

პაუზა გაგრძელდა.

— შემდეგ თქვენ დაგეწყოთ პრობლემები ფსიქიკაში, და თქვენ ავად გახდით? — დავეხმარე მე.

მან ნელა გადმოიტანა მზერა ჩემზე და უარყოფის ნიშნად გაიქნია თავი.

— არა, ჯანმრთელობა მე მქონდა შესანიშნავი, თავი კი ნათელი და სუფთა. მაგრამ ჩემს ცნობიერებას რაღაც დაემართა, მან თითქოს განზე გაიწია. სამყაროს შეცნობა თითქოსდა შეიცვალა.

იგი ისევ დაფიქრდა. გასაგები იყო, რომ მას უჭირდა ლაპარაკი.

– ერთხელ მე ვიდექი საგუშაგოზე, და აი მაშინ დამეწყო ყველაფერი. საგუშაგოსთან ახლოს იყო მინდორი. ამ მინდორზე სიარული არ შეიძლებოდა. მაგრამ ღობეს ჰქონდა ხვრელი, და შეიძლებოდა იქიდან მოკლე გზით გასვლა. და ბევრნი არ აქცევდნენ ყურადღებას გუშაგებს და დარბოდნენ თავიანთ საქმეებზე. ერთხელ მე ვდგევარ საგუშაგოზე და ვხედავ ვიღაცა ცდილობს გავიდეს ღობის ამ ხვრელით. მე გავბრაზდი ამ ადამიანზე და გულში ვუბრძანე მას: „დაეცი! დაეცი იმ ეკლიან მავთულს და გაიკაწრე“ ყველაფერი მოხდა ზუსტად ისე, როგორც მე გავიფიქრე.

– ასე რომ, – განაგრძო მან, ოდნავ ჩაფიქრებულმა, – ამ მომენტიდან დაიწყო ყველა ჩემი ნატვრის ასრულება. დავუშვათ, მიდის ჩემს წინ ადამიანი და მიაქვს ორი პარკით ბოთლები და ქილები. მე მას გულში ვეუბნები: „დაეცი!“ და იგი მაშინვე ეცემა.

ყმაწვილმა გაიხსენა ეს სცენა და ძალაუნებურად გაიცინა.

– წევს მიწაზე, ყვირის, ვერაფერი ვერ გაეგო, ყველა ქილა და ბოთლი დაემტვრა. და რაც არ უნდა მებრძანებინა ვინმესთვის გულში, ყველა ჩემი ბრძანება სრულდებოდა.

ის ისევ მოიღუშა და ჩაფიქრდა.

– შემდეგ კი იყო ბევრად უარესი. მე შევნიშნე, რომ ჩემი ბრძანებები ვრცელდებოდა არა მარტო ადამიანებზე.

მან შემომხედა და განაგრძო:

– დიახ, დიახ, მე შემეძლო მებრძანებინა უსულო საგნებისთვის და გარშემომყოფი ბუნებისათვის. მივხვდი, რომ შემეძლო მემართა ამინდი და ყველა ის მოვლენა, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა. ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ ჩემი ეს უნარი კი არ მცირდებოდა, არამედ იზრდებოდა. შემეძლო რაღაცა გამეფიქრა და ეს ნატვრა მაშინათვე მისრულდებოდა.

– როგორ მდგომარეობაში იყო თქვენი ფსიქიკა? დაეინტერესდი მე.

მან მხრები აიჩეჩა.

— ძველებურად კარგად, და ფიზიკურადაც ჯანმრთელი ვიყავი. მაგრამ ჩემს სულში რაღაც ხდებოდა. გამიჩნდა გრძნობა ადამიანებზე ჩემი დიდი უპირატესობის შესახებ. რაც არ უნდა გამეკეთებინა, ვთვლიდი, რომ ყველაფერში სწორი ვიყავი. მე შევნიშნე, რომ უფრო და უფრო ვამცირებდი ადამიანებს, და ეს მანიჭებდა სიამოვნებას. მაშინ გადავწყვიტე წავსულიყავი ეკლესიაში, რათა ცოტათი მაინც შემემცირებინა ეს პროცესი.

მე გამოვუტყდი მოძღვარს, რომ ჩემს სულში იზრდებოდა ბოროტება და სხვისი დამცირების, დამორჩილების სურვილი. მოძღვარმა მითხრა, რომ ის წაიკითხავდა ლოცვებს, მე კი უნდა ემდგარიყავი მის გვერდით. შემდეგ, კითხულობდა რა ლოცვებს, მან გამიყვანა საკურთხევლის ქვეშ. და აი ამ დროს რაღაც მოხდა. თითქოს ჩემს შიგნით რაღაც გატყდა. მე გამოვედი ეკლესიიდან საშინელ მდგომარეობაში. ისე ცუდად ვიყავი, რომ ასე ცუდად არასდროს არ ვყოფილვარ. დამეწყო ფსიქიკის მოშლა. მოვედი სახლში, მაგრამ მიუხედავად ამისა ძალიან ცუდად ვიყავი. მივაღწიე საღამომდე იმ იმედით, რომ გამოვიძინებდი და ყველაფერი გამივლიდა. გამახსენდა, რომ მოძღვარმა მირჩია ბიბლია დამედო სასთუმალქვეშ. ასეც გავაკეთე. ღამე მეძინა შედარებით მშვიდად. მაგრამ როცა გამეღვიძა, ვიგრძენი, რომ თავს ველარ ვწევდი. თავი დამძიმებული მქონდა და საშინლად მტკიოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ღამე თავი გრდემლზე მედო და უროს მირტყამდნენ.

იგი ცოტა ხანს გაჩუმდა და ჩაფიქრდა. შემდეგ ხელი აიქნია.

— დიახ, გამახსენდა, რომ, როდესაც გავდიოდი საკურთხევლის ქვეშ, მე დამეუფლა ენითუთქმელი სევდა და ეს სულის ტკივილი არ მტოვებდა. მეორე დღეს მე უბრალოდ სასოწარკვეთილი ვიყავი. მაშინ გადავწყვიტე მელოცა. მაგრამ მაშინათვე ოთახში გაიღო ყველა ფანჯარა და დაუბერა ძლიერმა ქარმა. რამდენიმე წუთში ცა დაიფარა ღრუბლებით და წამოვიდა თავსხმა წვიმა, შემდეგ კი ჭექა-ქუხილი.

— ამის შემდეგ არ გიცდიათ გელოცათ? — ცნობისმოყვარეობით შევეკითხე მე.

მან ისევ აიჩეჩა მხრები.

— ვცდილობდი, მაგრამ ყოველთვის იგივე ხდებოდა. შემდეგ ვიგრძენი, რომ ვერ ავიტანდი ასეთ სევდას, ვინაიდან მქონდა პრობლემები ფსიქიკაში და უნდა მემკურნალა.

ვუყურებდი მას და ვფიქრობდი: „ეს ჯერჯერობით ერთი მრავალთაგანია. რა დაემართება კაცობრიობას თუკი ასეთი ადამიანები ხშირად დაიბადებიან?“ მე გამახსენდა გენიალური გამომგონებლის ნიკოლო ტესლის ფრაზა: „ჩემი ტექნიკური შესაძლებლობების დონე ამჟამად ისეთი მაღალია, რომ შემიძლია დედამიწა გავანადგურო“.

მეხსიერებაში ამოტივტივდა მოვლენები, რომლებიც მოხდა უფრო ადრე, როდესაც მე ვმუშაობდი ექსკურსიის გიდად. ერთხელ მოვხვდი კამპანიაში, სადაც ყველა ცდილობდა მოეყოლა თავშესაქცევი ისტორიები. მათ მიერ მოყოლილი ერთ-ერთი ისტორია მოხდა დაახლოებით 1900 წელს. რუსეთში მაშინ ცხოვრობდა ერთი გამომგონებელი, რომელიც უცნაურ გარემოებებში მოკლეს. მისი მკვლელობის შემდეგ, ბინა, სადაც ის ცხოვრობდა, გაჩხრიკეს და იქიდან წაღებული დოკუმენტები გაქრა მეფის ოხრანკის არქივებში. მაშ ასე, ეს კაცი ამტკიცებდა, რომ გამოიგონა აპარატი, რომელიც გამოსცემდა სხვადასხვანაირ ტალღებს. ცნობილია, რომ ყოველი საგანი, ცოცხალი იქნება ის თუ უსულო, არის თავისი ტალღების გენერატორი, და, შედის რა მასთან რეზონანსში, შესაძლებელია მოახდინოს მასზე ისეთი ზემოქმედება, რომ შეცვალოს მისი სტრუქტურა, შექმნას ახალი ან დაანგრიოს არსებული. მზეც, თურმე, ყოფილა გარკვეული ტალღების გენერატორი. „ახლა მე შემიძლია გავანადგურო მზე, და მაქვს ამის შესაძლებლობა“, — ამბობდა ეს კაცი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მოკლეს.

მე ვუყურებდი ჩემს წინ მჯდომ ახალგაზრდა კაცს.

— ჩვენ ყველანი ვნატრობდით გაგვევითარებინა ჩვენი შესაძლებლობები, — ვუთხარი მას. — და დაგვავიწყდა, რომ პირველ რიგში უნდა გაგვევითარებინა სიყვარული და გვეზრუნა სულზე. სიყვარული — ეს არის ავტომანქანის მძღოლი, ხოლო უნა-

რი — მისი ძრავა. ძლიერი ძრავისა და გამოუცდელი მძღოლის შემთხვევაში, გადარჩენის შანსი ნულის ტოლია. თქვენ, თქვენი შესაძლებლობებით გადარჩენის შანსი არ გქონდათ. თქვენ გადაგარჩინათ იმან, რომ წახვედით ეკლესიაში. თქვენ რომ მისულიყავით ეკლესიაში უფრო გვიან, მაშინ თქვენ მოკვდებოდით პირდაპირ საკურთხეველზე.

ამჟამად თქვენი შესაძლებლობები შებოჭილია. თქვენ უნდა ისწავლოთ შეყვარება. თქვენმა მშობლებმა უნდა მოუხსნან ერთმანეთს თქვენი ჩასახვის წინ არსებული წყენა. განსაკუთრებით სამუშაოა თქვენს დედასთან, იმიტომ, რომ მას ჰქონდა ქმრისადმი წყენა ჩასახვის წინ. ყოველ ადამიანს სულში აქვს ენერგია, და მისი დიდი ნაწილი უნდა დაუბრუნდეს ღმერთს, ხოლო მცირე ნაწილი კი უნდა წავიდეს სულიერ და ფიზიკურ ძალებში. თუ ჩვენ, ვივიწყებთ სიყვარულს, არ ვზრუნავთ სიყვარულზე, მაშინ მომეტებულად ხდება მატერიალური კეთილდღეობის მოდინება, ნიჭიერების მომატება და სხვ. ჩვენ გვიხარია, რომ გაგვიჩნდა მოზღვავებული ფული, გვისრულდება სურვილები და არ უფიქრდებით იმას, რომ ეს არის ჩვენი სულის გაძარცვა და ამ „ბედნიერებას" ჩვენ მრავალგზის ვზღავთ ჩვენი სულიერი მწუხარებითა და ფიზიკური ენერგიის მოშლით. ქრისტე ამბობდა, რომ მდიდრებს გაუძნელდებათ ცათა სასუფეველში მოხვედრა. მატერიალური სიმდიდრე — ეს არის დიდი ცდუნება. ასე რომ, სულიერი დაცულობა — არის ბევრად უფრო საშინელი რამ. ამიტომაც ამბობდა ქრისტე: „ნეტარ არიან სულით ღარიბნი".

ბევრნი, უარს ამბობენ რა თავიანთ სხეულის სიამოვნებაზე, შიმშილობით, სექსუალური თავშეკავებით, განმარტოებით მკვეთრად აძლიერებენ თავიანთ სულიერ შესაძლებლობებს. მათ ეხსნებათ ზეშესაძლებლობები, ისინი ხდებიან ნათელმხილველნი და ხშირად ვერ ხვდებიან, რომ სულიერი სიმდიდრე უფრო მეტი საცდუნებელია, ვინემ მატერიალური. შემდეგ კი იწყება იმის კანონზომიერი განკარგვის პროცესი, რასაც ჩვენ ვეთაყვანებით. ნიჭიერება, სულიერება, ცნობიერება — ესენი ერთი

რიგის მოვლენებია. თუკი ჩვენ მათ ვეთაყვანებით, ისინი ჩვენ გვიმორჩილებენ, გვიმონებენ, და ჩვენი სულის გადასარჩენად ღმერთი გვართმევს ცნობიერებას და ნიჭიერებას.

ის ახალგაზრდა მე მეტი არ შემხვედრია. მშობლებმა მითხრეს, რომ ჩვენი შეხვედრის შემდეგ ის უკეთესად გახდა. იმედი მაქვს, რომ ის ამჟამად ლოცულობს.

წარსულის შემთხვევები ისევ მიცურავენ ოქროსფერ ნისლში. მე ისევ ვუბრუნდები მოახლოებული მომავლის თემას. ის, როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს აწმყოსაგან, ფაქიზ დონეზე ყველაფერი ერთიანია, და ხშირად, მომავლის პროგნოზირებისათვის, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ წარსული. რათა უბედურება არ განმეორდეს მომავალში, ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რატომ მოხდა ის წარსულში. არის უბრალო პრინციპი, რომელიც ამბობს შემდეგს: რაც უფრო არალოგიკურია მომხდარი უსიამოვნება ან უბედურება, რაც უფრო გაუგებარია და გაუთვალისწინებელი, მით მეტი ალბათობაა, რომ ჩაერივნენ უზენაესი ძალები.

როდესაც სწორ ადგილზე ადამიანს თავზე ატყდება უბედურება, პირველი აზრი რაც მას მოსდის, არის – ღმერთმა დამსაჯა! მაგრამ თუკი ეს კაცი ათეისტია, ურწმუნო, მაშინ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ღმერთმა კერძოდ ამისთვის დასაჯა. როგორც შენ ეპყრობი შემომქმედს, ისიც ასევე გექცევა. მაგრამ, თუკი შენ ხარ მორწმუნე, მაშინ რატომღა გსჯის? თუკი ის იცავს მცნებებს და ზნეობრივად იქცევა, მაშინ რატომღა ავადმყოფობს და, რატომ ხდება მის თავს უბედურებები?

მე მახსენდება თუ რა შეკითხვა დამისვა სემინარზე ერთმა ქალბატონმა.

– მითხარით, შესაძლებელია თუ არა ღვთაებრივი თვალსაზრისით აიხსნას სომხების გენოციდი, რომელიც მოხდა 1915 წლს, მაშინ ხომ მილიონზე მეტი კაცი დაიხოცა?

– მოდით, ვცადოთ გავერკვეთ, – ვუთხარი მე. – სომხებმა მიიღეს ქრისტიანობა ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ესე

იგი ისლამის გამოჩენამდე. ღმერთის რწმენა ასაზრდოებს სიყვარულს სულში, ხოლო სიყვარული გამოაშკარავდება მაღალი სულიერებით, გრძნობიერებითა და დიდი მატერიალური შესაძლებლობებით. სიყვარული — ეს არის საძირკველი, ხოლო შენს წინ გადაშლილი შესაძლებლობები და სიმდიდრე — არიან კედლები.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ საძირკველი გაანგარიშებულია სამ სართულზე. პატრონი იწყებს პირველი სართულის აშენებას, შემდეგ მეორის და ხედავს, რომ მისი მატერიალური ბედნიერება ხდება უფრო და უფრო მასშტაბური და წონასრული. მას ავიწყდება იმის შესახებ, რომ მას შეუძლია ააშენოს მხოლოდ სამი სართული, და აშენებს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სართულებს. შემდეგ კი სახლი უნდა დაინგრეს და ქვეშ მოიყოლიოს პატრონი.

ასე რომ, ხალხმა, რომელსაც არ სწამს ღმერთი, უნდა იცხოვროს ქოხში. ესლანდელ პირველყოფილ ტომებს, რომლებიც არსებობენ დედამიწაზე, სიყვარულის და ზნეობრიობის ცნება არა აქვთ განვითარებული, როგორც ერთიანი ღმერთის რწმენა. მაგრამ სანამ ისინი ცხოვრობენ ქოხში, მათთვის ეს უმტკივნეულოა. მაგრამ, თუკი მათ ექნებათ შეხება თანამედროვე ცივილიზაციასთან, დაიწყება მათი დაჩქარებული გადაშენება.

ახლა მოდით გავიხსენოთ, იყო თუ არა კაცობრიობის ისტორიაში, სომხების გენოციდის მსგავსი შემთხვევა. დიახ, იყო, და პირველ რიგში — ებრაელების ამოწყვეტა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტიდან. რატომ უბრძანა ფარაონმა გაეწყვიტათ მამრობითი სქესის ებრაელი ბავშვები? იმიტომ, რომ მან დაინახა, — თუ როგორ იზრდებოდა მათი რიცხვი და, ეს კი მათთვის საშიშროებას წარმოადგენდა. ფარაონს შეეშინდა თავისი დაცულობის. მაგრამ მსხვერპლი და ბოროტმოქმედნი ყოველთვის გვანან ერთმანეთს. თუკი ქურდმა ვიღაცას მოპარა ფული, ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულსაც აქვს ისეთივე პრობლემები, მაგრამ ღრმად, სადღაც შიგნით. ებრაელების მომეტებული დაცულობის გრძნობამ გააძლიერა მათი ქვეცნობიერი

აგრესია, რამაც ფარაონის მხრიდან მოახდინა გარეგანი აგრესიის პროვოცირება. ფიზიკურმა დაცულობამ მატერიალური სიკეთის სახით, შესაძლებელია დაჩრდილოს სიყვარული. სულიერი დაცულობა ასეთ შემთხვევაში უფრო საშიშია.

უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, ალალმართლობისა და უპირატესობის გრძნობა — ეს არის მომავალი უბედურების წყარო. მაგარამ არის უფრო საშინელი შემთხვევები. ეს არის სულის დაცულობა. ის მაშინ გამოჩნდება, როდესაც ადამიანი გაიგებს კანონებს, რომლებიც განაგებენ სამყაროს. ათასწლეულების განმავლობაში ებრაელები მონდომებით კითხულობდნენ თორას და დედის რძესთან ერთად ითვისებდნენ გარესამყაროსთან სწორ დამოკიდებულებას: არ გშურდეს, არ იცრუო, არ იპარო, არ ძარცვო და არა კაც კლა.

ათასეული წლების მანძილზე ისინი ხედავდნენ, თუ როგორ გადარჩებოდა, მცნებების დამცველი კაცი, ხოლო შურიანი, ძუნწი და ავხორცი ავადმყოფობდა და იღუპებოდა. ხოლო თვითონ თუ იყო ჯანმრთელი, მაშინ ავადმყოფობდნენ და კვდებოდნენ მისი ბავშვები. ებრაელებმა მიიღეს ინსტრუქცია გადარჩენის შესახებ. სამყაროს მიზეზ-შედეგობრიობის მექანიზმის ცოდნა, სულის შესახებ კანონების ცოდნა — ეს არის კოლოსალური სიმდიდრე, ხოლო ცოდნა იმის შესახებ, რომ ავადმყოფი სული შობს ფიზიკურ ავადმყოფობებს და უბედურებს, — არის დიდი კაპიტალი. მაგრამ ამ დაცულობამ შესაძლებელია გადაკეტოს ღვთაებრივის ხილვა. ბევრი მორწმუნე გულითადად თვლის, რომ ღმერთი ვალდებულია ისინი დაიცვას, თუკი ისინი დაიცავენ ყველა მცნებას. ასე გაჩნდა ღვთისრჩეულობის შეგრძნება. ამრიგად, მცნებები და რიტუალები მათ გაიხადეს მიზნად, ხოლო შემომქმედი — საშუალებად, მაგრამ დაცულობა და სიყვარული შეუთავსებადია.

სხვა ხალხებზე აბსოლუტური უპირატესობის იდეა, ზემოდან უმაღლესი რჩეულობის და დაცულობის იდეა მიიღეს ფაშისტებმა, რომლებმაც გამოაცხადეს: „ჩვენთან არს ღმერთი“. მათ გაანადგურეს დაახლოებით ექვსი მილიონი ებრაელი, და თვი-

თონაც განადგურდნენ. რატომ დაისაჯა ზემოდან პრომეთე ადამიანების დახმარებისათვის? იმიტომ, რომ გადასცა რა ადამიანებს ღვთაებრივი ცეცხლი, მან ისინი გახადა უფრო დაცულები. ტყუილად კი არ არსებობს ანდაზა, „სანამ არ იქუხებს, გლეხი პირჯვარს არ გადაიწერს"-ო. სწორედ გარესამყაროს განადგურების და სრული დაუცველობის დროს, ჩვენ ვერთიანდებით უსასრულობასთან და ვისწრაფით დავიცვათ თავი.

ვასრულებთ რა, ღვთაებრივ მცნებებს, ჩვენ ვერთვებით სიყვარულში და უსასრულობაში და ვამჩნევთ, რომ ჩვენი სული და სხეული იწყებს გამოჯანმრთელებას. მაგრამ, როგორც კი ჩვენ გავიფიქრებთ, რომ რიტუალები და მცნებები ჩვენ დაგვიცავენ, ჩვენ ვკარგავთ მთავარს, რისთვისაც არსებობენ ეს მცნებები, — სიყვარულისა და ღმერთთან ერთიანობის გრძნობას. და მაშინ მორწმუნე და სულიერად ამაღლებულ კაცს ემართება ავადმყოფობები და სხვა უბედურებები.

ღვთაებრივი არ ითხოულობს დაცვას, რადგან იგი მუდმივია. თუკი სულმა მოითხოვა დაცულობა, ეს ნიშნავს, რომ მან უკვე დაკარგა ერთიანობა ღვთაებრივთან. მან დაკარგა უსასრულობის შეგრძნება და, ამდენად, უნდა გადარჩეს და დაიცვას თავი. ჩვენ ვიცით, რომ მორწმუნე ადამიანს და მის შთამომავლობას ეხსნებათ ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები სიყვარულისთვის, გრძნობადობისთვის, სურვილების შესრულებისა და მატერიალური სიკეთის დაგროვებისთვის. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ სიყვარულის გრძნობისთვის მორწმუნის პასუხისმგებლობა ბევრად უფრო მეტია, ვინემ დანარჩენების, და სიყვარულის დაკარგვისათვის მორწმუნე უფრო მკაცრად იქნება დასჯილი, ვინემ დანარჩენები.

ერთ-ერთი მცნებათაგანი ამბობს: არ დადგე ცრუ მოწმედ! თითქოს ყველაფერი გასაგებია, ჩვენ ხშირად ვტყუით საკუთარი მოგებისათვის, მაშასადამე, ტყუილის თქმა ცუდია, სხვა მხრივ, მატერიალურ გამორჩენაზე კონცენტრაცია შემდეგ ავადმყოფობამდე და უსიამოვნებობამდე მიგვიყვანს. მაგრამ მოდით დავფიქრდეთ, თუ რა არის ცრუმოწმეობა? ეს არის არა-

გულწრფელობა, ხოლო არაგულწრფელობა – ეს არის სულის ჩაკეტვა, ესე იგი, მისი დაცულობის ამაღლება. გულწრფელობა სულს დაუცველს ხდის და, მაშასადამე, აღებს მას ტკივილისათვის და უბიძგებს სიყვარულისაკენ.

ადამიანს შეუძლია დამალოს თავისი აზრები, მაგრამ არ უნდა დამალოს თავის გრძნობები თავის სულში, იმიტომ, რომ გრძნობების დამალვა არის მისი დათრგუნვა, ხოლო გრძნობების დათრგუნვა სულს ხდის აგრესიულს. ამიტომაც არაგულწრფელი ადამიანი შინაგანად ყოველთვის აგრესიულია. და რაც უფრო აქტიურად ემალება ადამიანი სულიერ ტკივილებს, მით უფრო მალე კარგავს იგი სიყვარულის გრძნობას. სულიერად რაც უფრო მეტად გულწრფელია ადამიანი, მით უფრო მეტი ტკივილის განცდა შეუძლია და მით უფრო ინტენსიურად უნდა წავიდეს სიყვარულისაკენ და სწამდეს ღმერთი. ასეთებზე ამბობდა ქრისტე: „ნეტარ არიან გულით სუფთანი, რამეთუ ისინი ნახავენ ღმერთს“.

ყოველი მოვლენა, როგორც ტალღა, განფენილია დროში. და ის მოვლენა, რომელიც უნდა მოხდეს, უკვე რაღაც ხარისხით უხილავად ესწრება აწმყოს. თუკი ჩვენ არასწორად ვრეაგირებთ პირველ ნიშნებზე, ჩვენ შეიძლება ვერ გავიაროთ გამოცდა, როდესაც ჯერ კიდევ სრულებითაც არ ვიცით მის შესახებ.

მე ხშირად ვხედავდი შემდეგ სურათს: ადამიანს ბედნიერების დიდი ულუფა უნდა მიეღო. ეს შეიძლება ყოფილიყო ფული, რომელსაც ის გამოიმუშავებდა; სახლი, რომელსაც ის ააშენებდა; ნიჭი, რომელიც მას განუვითარდებოდა და მოუტანდა პატივსცემას და გაუთქვამდა სახელს; სიყვარული, რომელსაც იგი იგრძნობდა ქალის მიმართ. სანამ ადამიანს რამეთი დააჯილდოვებს, ღმერთი ამოწმებს, შეუძლია თუ არა მას მსხვერპლის გაღება. მას, ვისაც არ შეუძლია დაკარგოს, არა აქვს შეძენის უფლება. და მაშინ ადამიანი შესაძლებელი ბედნიერების ნაცვლად ღებულობს ავადმყოფობას ან სიკვდილს.

გამოცდილი მწვრთნელი მოუმზადებელ სპორტსმენს არ დაუშვებს შეჯიბრებაზე. ასე რომ, ყველაზე პირველი ტალღა,

რომელიც მოდის მომავლიდან, ურთიერთქმედებს ჩვენს სულთან და ჩვენს გრძნობებთან. და თუ სული აგრესიულია, მაშინ მომავალში ბედნიერების ნაცვლად შეიძლება მივიღოთ ავადმყოფობები, დანაკარგები და სიკვდილი. იმიტომ, რომ ყველაზე მთავარი არჩევანი კეთდება არა ჩვენი სხეულისა და ცნობიერების დონეზე, არა ჩვენი სულის დონეზე, არამედ უფრო ღრმად, სადაც ღვთაებრივი გარდაიქმნება ადამიანურად.

ცათა სასუფეველი მოდის ჩვენთან, – ვფიქრობ მე, – ხმა რომ დადიოდა ქვეყნიერების დასასრულის შესახებ, არ ყოფილა უსაფუძვლო. დროის იმპულსმა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ეტყობა გამოიმუშავა თავისი სიმძლავრე, და ახალი დროების იმპულსი უკვე არ არის შორს. ასეა მოწყობილი ცხოვრება, ინგრევა ფორმა და რჩება წარსულში, ხოლო მისი შინაარსი ქმნის ახალ ფორმას, ინახავს რა ძველის მემკვიდრეობითობას. ისინი, ვისთვისაც ფორმა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ შინაარსი, დარჩებიან წარსულში. უბრალოდ რომ ვთქვათ, გადარჩებიან ისინი ვინც ისწავლიან სიყვარულს.

## მისტიკა

მალე უნდა დაიწყოს მიღება ტელეფონით. ამის წინ კი, მე ვხუჭავ თვალებს და ყველაფრისგან ვთავისუფლდები. რატომღაც წამომიტივტივდა ხილვა იმისა, თუ როგორ მოევლინება სული ჩვენს სამყაროს.

შემოქმედთან შეხება აქვს არა ადამიანის სხეულს ან ცნობიერებას, არამედ თავად მის სულს. თუკი ჩვენი სულები პერიოდულად არ დაბრუნდებიან პირველსაწყისთან, მაშინ ისინი თანდათანობით კარგავენ უზენაეს ენერგიას. დაივიწყებენ უზენაესი სიყვარულის გრძნობას, უზენაესი სიამოვნების გრძნობას, რასაც წარმოადგენს ღმერთთან ერთიანობა, რომელიც, ასევე, ერთდროულად წარმოადგენს, უზენაესი ენერგიის წყაროს. ყოველივე ამის გარეშე, სულები დაიწყებენ დაცლას, დასუსტებას, რის შემდეგაც გადაგვარებას იწყებენ ჩვენი ფიზიკური სხეულებიც.

საინტერესოა, თუ რატომ მოდიან ჩვენთან მზის ცენტრის გავლით, გამორჩეული შვილების სულები? მეხსიერებაში ამოტივტივდა სურათი, რომელიც წინ უსწრებს ჩასახვას. მარტოხელა სული, კაშკაშითა და ლიცლიცით, სხვა სამყაროებიდან შემოდის ჩვენს სამყაროში. საათზე ნაკლებს გრძელდება მისი მზის ცენტრში შემოსვლა და იქ დარჩენა. შემდეგ რამდენიმე ხანს იგი ტრიალებს მზის გარშემო და მხოლოდ ორი სამი კვირის შემდეგ მიდის დედამიწისკენ. რამდენიმე ხანს სული ჩერდება სამხრეთ პოლუსის რაიონში, შემდეგ კი დაფარფატებს დედამიწის გარშემო, და ისევ უბრუნდება რა სამხრეთ პოლუსს, თანდათანობით იწყებს დედამიწაზე დაშვებას.

დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში სული იმყოფება მომავალი მშობლის გვერდით, უფრო სწორად დედის გვერდით. ამ დროს სულები ურთიერთობენ ერთმანეთთან. მომავალი ბავშვის სულმა უნდა იურთიერთოს დედის სულთან და უნდა გააერთიანოს იგი თავის ენერგეტიკულ გარსთან, რომელშიც იმყოფება ინფორმაცია მშობლების, წინაპრების და მომავალი თაობების შესახებ.

როდესაც მე ვწერდი მეთორმეტე წიგნს, ვფიქრობდი, რომ სიცოცხლე წარმოიქმნა სივრცეში, რომელიც მდებარეობს მზესა და დედამიწას შორის. შემდეგ მივხვდი ამ მოსაზრების უსაფუძვლობას. თუკი სული მოდის სხვა სამყაროებიდან, მაშინ ლოგიკურად გამოდის, რომ ის იქ უნდა დაიბადოს. მაგრამ, ყველა პროცესი იმეორებს სამყაროსეულ ციკლს, და მამასადამე, სიცოცხლე ან ის, რაც იყო სიცოცხლის წინ, გაჩნდა სამყაროს წარმოშობასთან ერთად.

მე ვხედავდი იმასაც, თუ რა მოსდიოდა გარდაცვლილი ადამანის სულს. სამი დღე სული დაეხეტება სხეულის გარშემო, ამ დროს ენერგეტიკულად ჯერ კიდევ ერთიანია მასთან. მეცხრე დღემდე სული მოგზაურობს დედამიწასა და მზეს შორის, თან პერიოდულად ბრუნდება ჩვენს პლანეტაზე. მეცხრე დღის შემდეგ იძარცვება გარე ფენები, და სული აბსტრაგირებას ახდენს მიწიერი სიცოცხლისაგან. იწყება მომზადება საიქიო ცხოვრებისათვის. მასში შესვლა ხდება მეორმოცე დღის შემდეგ, სადღაც მზესა და დედამიწას შორის. ორმოცი დღეა საჭირო, ცნობიერების იმ ზედა ფენების მოსაცილებლად, რომლებიც აკავშირებენ ადამიანს მიწიერ ცხოვრებასთან. ამ ხნის განმაელობაში ყველა ინფორმაცია, რომელიც დაგროვდა გასული სიცოცხლის განმავლობაში, უნდა განზოგადდეს, შეიკუმშოს და გადავიდეს ქვეცნობიერში, ესე იგი, სულის ფაქიზ დონეზე.

შემდეგ სული გადადის საიქიოში და დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში არის იქ. თუკი ადამიანმა თავის ცხოვრების განმავლობაში არ დააგროვა ბევრი შინაგანი აგრესია, მაშინ მისი სული მუდმივად არ რჩება საიქიოში, არამედ გადადის უფრო ფაქიზ დონეებზე, სხვა სამყაროებში. იქ მას ეძლევა შესაძლებლობა მთელ სამყაროში არსებულიდან, უფრო მეტი ინფორმაცია და უფრო მეტი ფაქიზი ენერგია მოიპოვოს. რაც უფრო სუფთაა სული, მით უფრო ახლოს აღწევს შემოქმედთან. შემდეგ ცხოვრებაში ასეთმა სულმა, შეიძლება მიიღოს უნიკალური ბედი და დიდი შესაძლებლობები. განსაკუთრებით სუფთა ადამიანების სულები ორმოც დღემდე ტრიალებენ მზის გარ-

შემო, შემდეგ შედიან მის ცენტრში და საიქიოს გავლის გარეშე, გადადიან სხვა სამყაროში.

სული არ ცხადდება მზესა და დედამიწას შორის, არამედ გამოდის სხვა სამყაროდან სადღაც ამ მონაკვეთში. მისი უმთავრესი შემადგენელი მოდის მზის ცენტრის გავლით. პრინციპში ადამიანის სულს ახსოვს ყველაფერი, რაც მას თავს გადახდა სხეულს გარეთ. ალბათ, ამიტომ არსებობდა მიცვალებულთა სხეულის დაწვის ჩვეულება. ეს იყო იმიტაცია ადამიანის სულის მზის გავლით წასვლისა.

განუვითარებელი ადამიანების სულები მოდიან პირდაპირ საიქიოდან და მიისწრაფიან დედამიწისკენ, მიდიან ისინი ასევე მშვიდად, იმყოფებიან რა შორს მზის სიკაშკაშისგან. საფიქრალია, რომ, ისინი ვისაც ქვეცნობიერად ახსოვს ამის შესახებ, ცდილობენ შორს ამყოფონ თავიანთი გარდაცვლილი სხეული, ე.ი. მიწაში დამარხოს იგი. წეს-ჩვეულებები, რომლებიც ითვალისწინებენ მიცვალებული სხეულის ხელშეუხლებლობას, ბალზამირებას, მდიდრული სასაფლაოების მოწყობას, სარკოფაგებს, თავის თავში ატარებენ მომეტებულ ტენდენციას შენახულ იქნეს გარე ენერგეტიკული საფარი. ყოველივე ეს საკმაოდ ძლიერ მიაჯაჭვავს მიცვალებულის სულს მიწასთან და აძნელებს მის არსებობას ახალ გარდასახვაში, იმიტომ, რომ, მაშინ სულს გაუძნელდება გადასვლა საიქიო ცხოვრებიდან უფრო ფაქიზ დონეებზე. სუფთა ადამიანების სულები მიდიან მზის ცენტრის გავლით პირდაპირ სხვა სამყაროში.

მოულოდნელად მე წამომეჭრა აზრი. მზე ხომ ალბათ, ღებულობს ენერგიას სხვა სამყაროებიდან, და ის ოცდაცამეტი სამყარო, რომლებსაც მე ოდესღაც ვხედავდი, არის ღვთაებრივი ენერგიის ჩამოსასხმელი საფეხურები. ინფორმაცია თანდათანობით გადაიქცევა ენერგიად, და მისი უფრო ფაქიზი შრეები გადადიან სხვა სამყაროში, ტრანსფორმირდებიან.

მე ყოველთვის ვფიქრობდი იმაზე, თუ სად არის მომავალი? ის თუკი ქვეცნობიერებაა, ესე იგი ადამიანის სული რეაგირებას ახდენს მომავალზე როგორც რეალობაზე, მაშინ, ეს მომავალი

სადღაც ჩამალულია. შემდეგ უცებ მივხვდი, რომ მომავალი იმყოფება სხვა სამყაროში, სხვა განზომილებაში. ის მოდის იქიდან პატარა ულუფებით. ზოგჯერ ეს ულუფები შეიძლება იყოს დიდი. მაშინ შესაძლებელია მოხდეს აფეთქება.

პრინციპში ეს ლოგიკურია. ჩვენი სამყარო განუწყვეტლივ ფართოვდება. ეს ნიშნავს, რომ მასში შემოდიან დროებისა და სივრცის ახალი ულუფები. მაგრამ რადგან დრო, სივრცე და ნივთიერება ურთიერთდაკავშირებულია, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ სამყაროში მუდმივად ჩნდება ნივთიერების ახალი მასები.

დროის, სივრცის და ნივთიერების ახალი ულუფები მოდიან პარალელური სამყაროებიდან ვარსკვლავების ცენტრის გავლით, და იძულებულს ხდიან მათ იბრუნონ და იკაშკაშონ. უკვე რამდენიმე ათეული წელია მთელი მსოფლიოს მეცნიერები დგანან გადაუჭრელი ამოცანის წინაშე. ეს საკითხი მათ წინაშე მაშინ დადგა, როდესაც გაირკვა, რომ ბირთვული საწვავი მზეს ამდენი ხნის ნათებისათვის, უბრალოდ არ ეყოფოდა. ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

ერთადერთი კაცი, რომელიც შეეხო ამ საიდუმლოს იყო რუსი ასტრონომი კოზირევი. როდესაც იგი საბჭოთა საკონცენტარაციო ბანაკის კარცერში გააგზავნეს, რათა იქ სიცივისაგან მომკვდარიყო, მან შინაგანად მიმართა ღმერთს, იგრძნო სითბოს მოდინება და გადარჩა. რაც იმ მომენტში იგრძნო მისმა სულმა, მან გადმოსცა თავის თეორიაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მზე ახალ ენერგიას იღებს დროებიდან. თანამედროვეებმა მას ვერ გაუგეს, და ეს კვლევები არავინ გააგრძელა.

მე ვაგრძელებ ფიქრს. სხვა სამყაროდან მოსული დროის ახალი ულუფები, გარდაიქმნებიან ენერგიად და სივრცედ. თავის მხრივ, მათგან, ფორმირდება სამყაროს აგებულების პატარა აგურები — წყალბადისა და ჰელიუმის ატომები. მზე დამჯერედ იმეორებს სამყაროს განვითარების ციკლს და ისიც ცდილობს გამოტყორცნოს თავის თავიდან დროის, სივრცის და ნივთიე-

რების ახალი ულუფები. ყველა ვარსკვლავს აქვს სიყრმის პერიოდი, როდესაც მას შეუძლია „დაორსულდეს“ და დაბადოს ახალი პლანეტები, შემდეგ თანდათანობით ვარსკვლავი ბერდება და უფრო და უფრო ნაკლებად ღებულობს დროების ახალ ულუფებს. შემდეგ მოდის წყნარი სიბერე და დგება სიკვდილი. ხოლო მისი ნივთიერება გამოყენებული იქნება სხვების, უფრო ახალი ვარსკვლავების მიერ.

ზოგჯერ, დაბერებული ვარსკვლავი ღებულობს ენერგიის უდიდეს ულუფას. ეს გამოიყურება როგორც ზეახალის აფეთქება — ასე იწყება ვარსკვლავის ახალი სიცოცხლე. ალბათ ეს მაშინ ხდება, როდესაც მის პლანეტა — შვილებს, არ უნდათ, ან არ შეუძლიათ გახდნენ ვარსკვლავები. მზისგან გაჩენილ პლანეტებს აქვთ თავიანთი საკუთარი სიცოცხლე და სხვა სამყაროებთან მიწვდომის უნარი, ისინი ვითარდებიან რა, გამოსტყორცნიან თანამგზავრებს, რომლებიც შემდეგ ხდებიან პლანეტები.

კოზირევამდე მეცნიერები დედამიწას თვლიდნენ გაცივების პერიოდში მყოფ ციურ სხეულად, მთვარეს კი შესაბამისად, — გაციევბულ ციურ სხეულად. როდესაც კოზირევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მთვარეს უნდა ჰქონოდა ვულკანური ქმედებები, იგი ჩაივალეს შეშლილად. შემდეგ მისი ჰიპოთეზა დადასტურდა და ყველა შოკში ჩააგდო. ალბათ, მთვარე ამოტყორცნა თავის თავიდან დედამიწამ. მთვარეც ასევე აქტიურად ვითარდება და ღებულობს დროების ახალ ულუფებს პარალელური სამყაროებიდან.

თუკი ჩვენი პლანეტა ღებულობს ენერგიის და ნივთიერების ახალ ულუფებს მომავლიდან, მაშინ იგი არ არის, გაცივების მომენტში მყოფი ციური სხეული, პირიქით, ის აქტიურად ვითარდება და შესაძლებელია გახდეს ვარსკვლავი. და არამცთუ შეუძლია ეს, არამედ უნდა კიდევაც. იუპიტერი, რომელმაც შეიძინა ახალი თანამგზავრები, ალბათ, უკვე შედის პლანეტასა და ვარსკვლავს შორის გარდამავალ ეტაპში.

მე ჩავფიქრდები ხოლმე, როდესაც ვიხსენებ ჩანაწერს ტბა ბაიკალის შესახებ. თანამედროვე ტექნიკის საშუალებით შესაძ-

ლებელი გახდა დაედგინათ, რომ მისი ნაპირები ფართოვდება თვეში ორი სანტიმეტრით. აშლენად, მილიონი წლის განმავლობაში ის უნდა გაფართოებულიყო 20 კილომეტრით. მაგრამ ბაიკალი 28-30 მილიონი წლისაა, გამოდის, რომ მისი სიგანე უნდა შეადგენდეს არა თხუთმეტ კილომეტერს, როგორც ამჟამად, არამედ ექვსასს. რაზე შეიძლება მეტყველებდეს ეს ფაქტი? ალბათ, უფრო იმაზე, რომ ბაიკალის გაფართოების პროცესი დაჩქარდა მხოლოდ ბოლო წლებში. ასეთივე მდგომარეობაა წითელ ზღვაში, რომლის ნაპირებიც ფართოვდება.

ზღვები და ტბები არიან დედამიწის ქერქის რღვევის ადგილები. და, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, მეცნიერების საბაზო ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დედამიწის მასა მატულობს მასზე ჩამოცვენილი მეტეორიტების ხარჯზე, უნდა უკუვაგდოთ.

დედამიწა იზრდება შიგნიდან. ამით აიხსნება მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა. ამით აიხსნება მატერიკული ფილების დაშორიშორება. პლანეტაზე მიმდინარე გლობალური დათბობაც, ალბათ, ასევე დაკავშირებულია უფრო ძლიერი ენერგიის ახალ ულუფის მიღებასთან. და ეს ულუფა მოდის ჩვენი პლანეტის ცენტრის გავლით.

ინტერნეტში წავიკითხე საინტერესო ნარკვევი. ატლანტის ოკეანეში, ბერმუდის კუნძულებთან ახლოს, ახლახან აღმოაჩინეს მიწის ქერქში შემავალი ხვრელი. ქერქის ნაცვლად იმ ადგილზე გადაკრულია მხოლოდ თხელი აპკი, რომელიც ოკეანეს მაგმისგან ყოფს. მანტიის სისქე იქ ძალიან ცოტაა. იყო ცნობა, რომ იმ ადგილას გააგზავნიან სპეციალურ ექსპედიციას.

მე გავიფიქრე, თუ როგორი განსაცვიფრებლად მთლიანი და რიტმულია ჩვენი სამყარო. მიწის ქერქზე ამ წარმონაქმნმა მე გამახსენა ყიფლიბანდი ჩვილის თავზე. სანამ თავის ქალის ძვლები იზრდება, უნდა არსებობდეს ზონა, სადაც ისინი ყალიბდებიან და გაიწევ-გამოიწევიან. თუკი მოძებნეს ასეთი ზონა ატლანტიკაში, მაშასადამე, მეორე ზონა უნდა იყოს წყნარ ოკეანეში, ისევ და ისევ, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის მიხედვით.

ფაქიზ დონეზე მზე არ არის ერთგვარი სტრუქტურა. მას როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, გააჩნია ორი ნახევარი, ორი პოლუსი. ერთი ნაწილი მიმართულია მომავლისკენ, ხოლო მეორე – წარსულისკენ. ერთი ნაწილი ღებულობს ახალ ენერგიას, მეორე კი მის ადაპტირებას ახდენს და გადაამუშავებს.

დედამიწაც ასევე შედგება ორი ნაწილისგან, ორი პოლუსისგან, რომლებიც სხვადასხვანაირად არიან ორიენტირებულნი დროში. პლანეტაზე სიცოცხლე წარმოიშვა, როგორც დიპოლი. ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო წარსულთან, ნელნელა გადაიქცა გენეტიკურ აპარატად, ხოლო ის, რომელიც ორიენტირებული იყო მომავალზე, გადაიქცა მემბრანად. რამდენადაც მე მახსოვს, ემბრიონის მემბრანის ნერვული ქსოვილი წარმოიქმნება აი ამ ზედაპირული ეპითელიისაგან. ნერვული ქსოვილის მთავარი დანიშნულებაა – რეაგირება მოახდინოს მომავალზე. და ყველა ცოცხალი არსების თავის ტვინი მიმართულია სწორედ მომავალთან ადაპტაციისაკენ. პროგნოზირების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ვმართოთ აწმყოს მოვლენები.

ასე რომ, ჩვენი პლანეტა პერიოდულად ღებულობს დროის, ენერგიის, სივრცის და ნივთიერების ახალ ულუფებს. საინტერესოა, რა იქნება, თუკი ეს ულუფები მოულოდნელად გამოდგებიან ზედმეტნი? თუკი ლოგიკურად ვიმსჯელებთ, დედამიწის ქერქი უნდა გასკდეს სადღაც ოკეანეში. ამას დაემატება ისიც, რომ შესაძლებელია გაძლიერდეს ვულკანური მოვლენები. თუკი მაგმა გამოიფრქვევა ოკეანის სიღრმეში, მოხდება კოლოსალური მასის აორთქლება. რამდენიმე ხნის განმავლობაში დედამიწის მთელი ატმოსფერო დაიფარება ღრუბლებით, შემდეგ კი დაიწყება მსოფლიო წარღვნა. მგონი ეს ისტორია ჩვენ უკვე გავიარეთ.

საინტერესო ფაქტია. ბიბლიაში რატომღაც წარღვნას უკავშირებენ ადამიანების ცოდვებს. ჩემი კვლევებისა და ბიბლიის სწავლების განმავლობაში, მე მივხვდი ერთ რაღაცას. ბიბლიაში არაფერი არ არის ნათქვამი უბრალოდ. იქ გაშიფრულია კოლოსალური მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. ზედაპირულ მის ახსნას, ხშირად მივყევართ სრულ უაზრობამდე, მაგრამ

პლანეტების კატაკლიზმების და დედამიწაზე მცხოვრებ ხალხებთან მათი კავშირის შესახებ, იქ ნაჩვენებია საკმაოდ მკაფიოდ.

როგორ შეუძლიათ ადამიანებს გავლენა მოახდინონ იმ ენერგიის ულუფაზე, რომელიც მოდის სხვა სამყაროებიდან? მე ვცდილობ მივყვე ლოგიკურ მსჯელობას, მაგრამ ამ დროს რეკავს ტელეფონი. დღეს მე მაქვს მიღება პაციენტებთან უშუალო კონტაქტის გარეშე.

რამდენიმე დღის წინ ერთი ქალბატონი გამომიტყდა:

— ადრე თქვენ ჩემთან ლაპარაკობდით ტელეფონით, ყველაფერს მიხსნიდით და მაძლევდით დავალებას. ორი-სამი საათის შემდეგ მე თქვენ გირეკავდით, თქვენ მაქებდით რის შემდეგაც მე დავდიოდი ფრთაშესხმული. ამის წინა მიღებაზე კი თქვენ დამელაპარაკეთ მხოლოდ ერთხელ და მითხარით, რომ საკმარისია. თავიდან მე მქონდა უსამართლობის შეგრძნება, იფეთქა წყენის გრძნობამ, მაგრამ იგი მალე გადავლახე და დავიწყე ჩემს თავზე მუშაობა. და აი, უკვე ორი თვეა რაც მე ვიცვლები, ამას მე თვითონაც ვგრძნობ და ეჭვი არ მეპარება, რომ კარგი შედეგები მექნება.

— დიახ, თქვენ სინამდვილეში გაქვთ ცვლილებები, — მხარი დავუჭირე მეც.

— მე გავიგე რომ, — გააგრძელა მან, აღმაფრენის და სიხარულის გრძნობა ყოფილა ყალბი. მე ვმშვიდდებოდი და არაფერს ვაკეთებდი. ამიტომ მე მაქვს თხოვნა: ნუ გაგვსინჯავთ ორჯერ.

„იმიტომ ხომ არ გავხდი ცუდად გასული მიღების დროს" — გავიფიქრე მე და ვუპასუხე:

— კარგით ვეცდები.

ამჟამად ისევ მესმის ყურმილში ქალის ხმა. ვთხოვ მას ჩამოაყალიბოს პრობლემის არსი.

— მე ისეთ უცნაურ სიტუაციაში მოვხვდი, რომელიც ახლოსაა მისტიკურთან, — ყვება ქალბატონი. — ამიტომაც მოგმართეთ თქვენ.

— რამე უსიამოვნებებია თუ ავადმყოფობა? — ვცდილობ გავერკვე. იგი გაჩუმდა, ხოლო შემდეგ კი მპასუხობს:

— არა, მთლად მასე არ არის. მოხდა ისეთი შემთხვევა, რომლის ახსნაც მე არ შემიძლია. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ამის უკან იმალება რაღაც ძალიან სერიოზული. ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს მომცეს რაღაც ნიშანი. ვგრძნობ, რომ ეს არის გაფრთხილება, თანაც ისეთი, რომელიც ეხება ჩემს შვილებს.

— მოყევით თანმიმდევრობით, — ვეუბნები მე.

— კარგით, — მეთანხმება იგი. — ათ წელზე მეტი ხნის წინ მე გავთხოვდი. ქმარი ცხოვრობს იაპონიაში. მისგან მყავს ორი შვილი. მუდმივად ვიცხოვრო და ვიმუშაო იაპონიაში მე არ შემიძლია. ისე გამოვიდა, რომ მე ვცხოვრობ ორ სახლში. ყოველწლიურად რამდენიმე თვით ჩავდივარ მეუღლესთან. დამავიწყდა, მეთქვა: ჩემს შვილებს დაეწყოთ პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ამან მიბიძგა დამეწყო თქვენი წიგნების კითხვა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მე ისინი სერიოზულად შევისწავლე და ვცდილობდი შევცვლილიყავი და მესწავლა სიყვარული.

ვხედავდი, რომ ბავშვებმაც იწყეს უკეთესობისკენ შეცვლა. ასე რომ, ქმართან ბოლო სამთვიანი ყოფნის დროს, მე განვიზრახე ბავშვებთან ერთად გავფრენილიყავი სახლში. უკვე აღებული მქონდა მოსკოვში გასაფრენი ბილეთები. მაგრამ გაფრენამდე ერთი დღით ადრე, ბავშვებს დაეწყოთ ყურის ტკივილი, ანთება, ოტიტი. წამლებით ვერ მოვარჩინეთ. რადგან თვითმფრინავით გაფრენა ვერ შევძელით, იძულებული გავხდით ჩაგვებარებინა ბილეთები. გაფრენა გადავდეთ ორი თვით, და იცით, რამდენიმე დღეში ბავშვებს ავადმყოფობამ გაუარა. მე სრულიად დამშვიდებულმა დავიწყე ნივთების ჩალაგება, მაგრამ გაფრენამდე ერთი კვირით ადრე ბავშვებს ისევ ატკივდათ ყური.

ისტორია განმეორდა: გაფრენა ისევ გადავდეთ. ადრე მე ალბათ შევწუხდებოდი, გავღიზიანდებოდი და დავიწყებდი მომავალზე წუხილს. ამჯერად კი, ვცდილობდი შემენარჩუნებინა სიყვარული და ვლოცულობდი ბავშვებზე. მოვიდა გაფრენის შემდეგი დრო, ბავშვები მშვენიერად გრძნობდნენ თავს. გაფრენამდე ერთი დღით ადრე კი ისტორია ისევ განმეორდა.

თქვენ ახლა იაპონიაში ხართ? — შევეკითხე, — თქვენ საიდან რეკავთ?

— არა, მე ვრეკავ რუსეთიდან და ჩემი ბავშვებიც აქ არიან. ხაში თვის ნაცვლად მე დავყავი მეუღლესთან ნახევარი წელიწადი. როდესაც ჩვენ გამოვფრინდით ტოკიოდან, ბავშვებს ისევ ატკივდათ ყური, მაგრამ არც ისე ძალიან, და მე ვისარგებლე ამით. და აი, რამდენიმე თვეა არ მასვენებს უცნაური გრძნობა. მე და ჩემს შვილებს გარკვევით გვაძლევდნენ ნიშანს ზემოდან, რომ საჭირო იყო დავრჩენილიყავით და გვეცხოვრა ტოკიოში. მაგრამ მე მაინც გამოვფრინდი, ესე იგი, მე წამოვედი ჩემი სულის და გრძნობების კარნახით. შეიძლება ამ სიტუაციას უნდოდა დაენახებინა ჩემთვის, რომ ჩემი შვილები დაიღუპებოდნენ რუსეთში, მე კი მაძლევდნენ მათი გადარჩენის შანსს? არ ვიცი. ძალიან ვწვალობ, და არავის შეუძლია დამეხმაროს. . .

— გეთაყვა, დაასახელეთ თქვენი ბავშვების სახელები. დაიწყეთ უფროსიდან, — ვთხოვე მე.

ის ასახელებს, მე ვუყურებ მათ აურას ფაქიზ დონეზე. მკაცრად ვიცავ საკუთარ ეთიკას, რომელსაც ინტუიციით ვგრძნობ. არასდროს არ ვუყურებ, თუ როდის გარდაიცვლება ადამიანი და რა მოუვა მას მომავალში. უფლებას ვაძლევ თავს, დავინახო მხოლოდ აწმყო. შემდეგ კი მომყავს ჩემი ვარაუდი და ვაკეთებ ლოგიკურ დასკვნას. მომავლის დანახვა ერთ ვარიანტში შეუძლებელია, ეს ძალიან საშიშია. ვცდილობ არ დავინახო ის, რისი შეცვლაც არ შეიძლება, ამისგან შეიძლება წარმოიშვას უძლურება და დეპრესია. მტკიცედ ვიცი ერთი რამ: მომავლის შეცვლის შესაძლებლობა განისაზღვრება ჩვენი შინაგანი ცვლილებებით. ამიტომაც ჩემი მთავარი ამოცანაა — დავეხმარო ადამიანს გარდაქმნაში, მაგრამ ღმერთის სიყვარულის გარეშე ეს შეუძლებელია.

ასე რომ, მე ვუყურებ ბავშვების ველის კონფიგურაციას. ისინი ძალიან საინტერესოდ გამოიყურებიან და ბევრ რაღაცაზე მიუთითებენ. ჩემთვის ყველაფერი ნათელი ხდება, მაგრამ მინდა შევამოწმო ჩემი ვარაუდი.

— გეთაყვა, მითხარით თქვენი ქმრის სახელი, — ვეუბნები მე. ის ასახელებს და მე ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ მის აურას.

— ის ცხოვრობს ტოკიოში?

— არა, ის ცხოვრობს ტოკიოდან შორს, პატარა ქალაქში.

— გითხრათ მთელი სიმართლე, თუ ზოგიერთი რამ? — ვეკითხები მე, — საერთოდ კი ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ თქვენ მზად ხართ, ამიტომაც თქვენთვის გავაკეთებ გამონაკლისს. ის, რაც თქვენ მიიღეთ ნიშნად იმისა, რომ დარჩენილიყავით იაპონიაში, სინამდვილეში ნიშნავდა საწინააღმდეგოს. ეს იყო თავისებური შემოწმება. თქვენ მოგეცათ სერიოზული გამოცდა და თქვენ იგი გაიარეთ.

— ეს როგორ? — გაკვირვებული მეკითხება პაციენტი.

— დაფიქრდით, გეთაყვა, იმაზე, თუ რამ გაუკეთა პროვოცირება სიტუაციას ფრენის გადადების დროს. მან გაუკეთა პროვოცირება შემდეგ ემოციებს: სევდას, თქვენი გეგმების ჩაშლის გამო, გაღიზიანებას ბედის მიმართ, რომელმაც არ მოგცათ საშუალება გაფრენილიყავით, უკმაყოფილებას ბავშვების მიმართ, რომლებიც ავად გახდნენ და მათი მიზეზით გეგმები ჩაგეშალათ, სინანულს იმის გამო, რაც მოხდა, გაღიზიანებას ქმრის გამო, რომელთანაც თქვენ ჩაფრინდით და რომელიც, თქვენი პრობლემების ირიბი მიზეზი იყო. საბოლოო, შემაჯამებელი ემოცია კი, ალბათ გამოიყურებოდა როგორც გულგატეხილობა, საკუთარი თავითა და ბედით უკმაყოფილება.

— მაგრამ მე ხომ ესენი არ მქონია, გაიკვირვა ქალმა.

— ამიტომაც გაფრინდით, — აუღელვებლად უპასუხე მე, — ამიტომაც ანთებამ ბავშვებს არ აუწია კრიტიკულ დონემდე. გეთაყვა, მიპასუხეთ სწორად: თუკი თქვენ გამოფრენის წინ, დაგეუფლებოდათ ძლიერი შიში, დარჩებოდით?

პაუზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალი დაფიქრდა, შემდეგ კი სხარტად მიპასუხა:

— ალბათ დავრჩებოდი, მაგრამ მე შევეცდებოდი შიში დამეძლია, — დასძინა მან.

— იმიტომაც გადაარჩინეთ შვილები, ვუპასუხე მე.

— ესე იგი ჩემი შვილები არ დაიღუპებიან რუსეთში? — იქვე მკითხა პაციენტმა.

— ისინი უნდა დაღუპულიყვნენ იაპონიაში, მაგრამ მათი ბედი შეიცვალა. თქვენ ზემოდან მოგეცათ გამოცდა, მომავლის შიშზე. შიში წამოიჭრება მაშინ, როდესაც ჩვენ მომეტებულად ვართ კონცენტრირებული მომავალზე და ვიხდით მას მიზნად. რაც უფრო მივეწებებით მომავალს, მით უფრო მეტად გვეშინია მისი დაკარგვის, მით უფრო ვნაღვლობთ იმაზე, რომ ჩვენ ის დავკარგეთ. საშიშროების დროს შიში აუცილებელია რათა გადავრჩეთ, მაგრამ არ შეიძლება მასზე დამოკიდებული ვიყოთ. როდესაც ჩვენ გვეშინია მომავლის, ეს უკვე სრულიად სხვა შიშია. ეს არის მაჩვენებელი მომავალზე ჩვენი მიწებების და მომავლისადმი ჩვენი დამოკიდებულების. მაგრამ ყველაფერი, რასაც სული ძლიერ მიეწებება, თუკი ის ხელს უშლის ღმერთის სიყვარულში, მან ის უნდა დაკარგოს. ამიტომაც თქვენ უნდა დაგეკარგათ მომავალი, ბავშვებთან და თქვენს თავთან ერთად. მაგრამ, როდესაც წაიკითხეთ ჩემი წიგნები, თქვენმა სულმა სცადა გაეკეთებინა მთავრი არჩევანი, და გააკეთა კიდეც იგი ღმერთის სიყვარულის სასარგებლოდ.

ცნობიერება — ეს არის მომავლის პროდუქტი, იგი მასზეა დამოკიდებული. თუ თქვენ, თქვენი შემეცნების მეშვეობით მოინდომებთ მართოთ მომავალი, არაფერი გამოგივათ, თქვენ ასი პროცენტით წააგებთ — ნაწილს არ შეუძლია მართოს მთელი. ხოლო სიყვარული მომავალზე აღმატებულია, და მომავალი დამოკიდებულია სიყვარულზე. ამიტომაცაა შესაძლებელი ღმერთის სიყვარულის მეშვეობით, მომავლის შეცვლა. თქვენმა ბედ-იღბალმა თქვენ შემოგაპარათ ფალსიფიცირებული „კუკლა“, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია თქვენს ცნობიერებაზე. თქვენ უნდა გაგეკეთებინათ არჩევანი სიყვარულსა და ცნობიერებას შორის, თქვენ გააკეთეთ არჩევანი სიყვარულის სასარგებლოდ, გრძნობის სასარგებლოდ.

აქ იმალება საინტერესო პარადოქსი. ადამიანს, რომელიც

მიდის სიყვარულისა და ღმერთისაკენ, გრძნობები ყოველთვის სწორად კარნახობენ, რაც ეხმარება გადარჩენაში, ხოლო ცნობიერება კი ხშირად მხოლოდ ხელს უშლის. გრძნობები ხომ ბევრად უფრო ბრძენია, ვინემ აზრები. თუკი ადამიანი უარყოფს სიყვარულს და ეთაყვანება გრძნობებს, სულიერ და სხეულებრივ ბედნიერებას, მაშინ მისთვის სამყაროს სურათი იცვლება. მისი გრძნობები მას აძლევენ არასწორ პასუხს და მიჰყავთ იგი ავადმყოფობისა და სიკვდილისაკენ.

ასე რომ, ცნობიერებას გრძნობების გარეშე არსებობა არ შეუძლია. თქვენი ჩვეულებრივი გრძნობები ითხოვდნენ, რომ თქვენ დარჩენილიყავით, ხოლო ღმერთის სიყვარული, რომელიც თქვენში იწყებდა გაძლიერებას, ითხოვდა თქვენს წასვლას. თქვენი ზედაპირული გრძნობები დაკავშირებული იყვნენ სიცოცხლესა და კეთილდღეობის შეჩვევასთან, სტაბილურობასა და დაცულობასთან, სურვილების არშესრულებით გამოწვეულ სევდის შიშთან, სიცოცხლის დაკარგვის შიშთან. მაგრამ სიყვარულმა თქვენს სულში გაიმარჯვა შეჩვევაზე.

ქალს ხმა ეცვლება და ენა ებმის.

— იცით, მე ძალიან ვნერვიულობ, თავში ყველაფერი ამერია, მე თქვენ კარგად ვერ გაგიგეთ. ხომ არ შეგიძლიათ ეს ყველაფერი ამიხსნათ ხელმეორედ, უფრო გასაგებად?

მე მორჩილად ვთანხმდები.

— კარგით, დავიწყოთ თავიდან. თქვენს ქვეცნობიერებაში მომავალი გახდა ღმერთის სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანი. ამ პროცესს თქვენ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აძლიერებდით თქვენი ემოციებით. მიისწრაფოდით რა მომავლისკენ, თქვენ ჩქარობდით, თქვენ მომეტებულად განიცდიდით. როდესაც გეშლებოდათ თქვენი ნატვრა და გეგმები, თქვენ განსჯიდით იმათ ვინც არასწორად მოგექცათ, გიღალატათ, და ამით სპობდით მომავალს. თქვენ ავლენდით გულგატეხილობას და საკუთარი თავის უნდობლობას, როდესაც თავი დაანებეთ საკუთარი თავის და მომავლის სიყვარულს. მაგრამ, თქვენ დაიწყეთ შეცვლა და ამიტომაც უნდა გადარჩენილიყავით. ყველაზე მთა-

ვარია ის, რომ შეიცვალეთ არა მარტო თქვენ, არამედ თქვენი ბავშვებიც. ისინი რომ არ შეცვლილიყვნენ, მაშინ, ალბათ, სიტუაცია აიძულებდა მათ დარჩენილიყვნენ მამასთან. თქვენ ზემოდან არ მოგცემდნენ ნებას თან წამოგეყვანათ ისინი. რეისის ყოველ გადადებაზე ბედისწერა წყვეტდა, გადარჩებიან თქვენი შვილები თუ არა, და ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული თქვენს სულიერ მდგომარეობაზე. მოიცეთ თქვენ და თქვენმა შვილებმა. თუკი ახლა გინდათ შვილებთან ერთად წახვიდეთ ქმართან და დარჩეთ საცხოვრებლად იქ, თქვენ შეგექმნებათ ამის ხელისშემშლელი პრობლემები.

— პრინციპში ასეც ხდება, — დაადასტურა პაციენტმა.

ჩამოვარდა სიჩუმე. შემდეგ კი ქალმა მორიდებით მკითხა:

— ჩემი მეუღლე მოკვდება?

— გეტყვით, რომ თქვენს მეუღლეს გადარჩენის ძალიან ცოტა შანსები აქვს. იგი მაგარი იდეალისტია და, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხშირად ღიზიანდება და უყვარს ადამიანების გაკიცხვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მას ატყუებენ და არაკეთილსინდისიერად იქცევიან. იცით, რას ნიშნავს რუსული ანდაზა „ცოლი და ქმარი — ერთი სატანაა" მეუღლეები შეირჩევიან დაწყვილების კანონის მიხედვით. ის ნაკლი, რაც ქმარს აქვს, უნდა გაწონასწორდეს ცოლის ნაკლით. ხშირად ქმრის გარეგამოხატული ცოდვები, გაწონასწორდებიან ცოლის შინაგანი ცოდვებით. და ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში ადამიანები, ან ეხმარებიან ერთმანეთს დასძლიონ ნაკლოვანებები და იპოვონ სიყვარული, ანდა, კარგავენ რა სიყვარულს და მხარდაჭერას, ძირავენ ერთმანეთს.

— მითხარით, — მეკითხება ქალი, — მე შემიძლია დავეხმარო მას და გადავარჩინო მისი სიცოცხლე?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, — ვპასუხობ მე, — რა მანძილზეც არ უნდა იყოთ დაშორებული, თქვენ შეკრული ხართ ერთად და ფაქიზ დონეზე ერთნი ხართ. თქვენს სულს შეუძლია დაეხმაროს მის სულს გადარჩენაში. მაგრამ მთავარი არჩევანი მაინც მასზეა. თუ ის სიყვარულს ანაცვლებს სამართლიანობას,

კრიტიკასა და სხვების განსჯას, თქვენ მას ვერ დაეხმარებით. ყველა ადამიანს თავისი ბედი აქვს, და განისაზღვრება იგი არა ჩვენს მიერ. ეს უნდა მივიღოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელები ჩამოვუშვათ. ეს ნიშნავს, რომ თქვენ როგორც არ უნდა იბრძოლოთ, ბოლო სიტყვა თქვენი არასდროს არ იქნება.

— შეიძლება ის მოურჩენელი ავადმყოფობით დაავადდეს? — მეკითხება ქალი.

— მე დავფიქრდი, ვუთხრა თუ არა, შემდეგ მაინც გადავწყვიტე.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველად ვხედავ ასეთ სურათს. ყოველთვის ვხედავდი მოსალოდნელ სიკვდილს, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის აგრესიულ ემოციებთან. თქვენი ქმრის მთავარი საშიშროება დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილთან. იმ ადგილას, სადაც ის იცხოვრებს, შესაძლებელია მოხდეს დიდი უსიამოვნებები.

მე ვცდილობ არ ჩავიხედო მომავალში, და არ დავინახო ქვეყნების, ხალხების და კონტინენტების ბედი. მე არ ვიცი, რა მოუვა იაპონიას. მაგრამ მე შემიძლია დავინახო, კონკრეტულ ადამიანს, კონკრეტულ ადგილას, როგორ შეიძლება გაუჩნდეს სერიოზული პრობლემები. ასეთ ადგილას აღმოჩნდება ადამიანი, რომელსაც არა აქვს მომავლის მარაგი, და რომლის სულმაც დაკარგა სიყვარულის გრძნობა.

ქალი კიდევ მისვამს რამდენიმე შეკითხვას და ჩვენი საუბარიც მთავრდება.

„უცნაურია, — ვფიქრობ მე, — ალბათ ვერასოდეს ვნახავ ამ ქალბატონს, აქამდეც არ მენახა. მხოლოდ, ტელეფონით დაველაპარაკეთ ერთმანეთს, რაღაც კითხვები და პასუხები. . . მაგრამ ამ საუბრით იხსნება სხვა ადამიანების ბედი და, შესაძლებელია, პლანეტის ბედიც“.

მახსენდება, თოთხმეტი წლის წინ რუსეთიდან წასულ ჩემს მეგობართან გამართული სატელეფონო საუბარი.

— ნიუ-იორკში ამჟამად შეიძლება ძალიან იაფად იყიდო

თვითმფრინავის ბილეთი გერმანიამდე, – მითხრა მან, – მინდოდა მოვსვედრილიყავი შენთან მიღებაზე.

– მიკვირს შენი, – ვეუბნები მას, – მე ხომ შენ ათჯერ მაინც გითხარი ტელეფონით ყველაფერი! ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მიღებაზე გეტყვი რამე ახალს?

– მე მაინც ძალიან ძლიერად მტეხავს, – მპასუხობს ის, – შეიძლება შენ მოძებნო რამე სხვა მიზეზი.

– ჯერ-ჯერობით შენს თავზე მეც იგივეს ვხედავ, – ვეუბნები მე, – სიკვდილს რამდენიმე წლის შემდეგ, რომელიც დაკავშირებულია შენს საცხოვრებელ ადგილთან. ჩემი აზრით, შენ უნდა წახვიდე ნიუ-იორკიდან. პირადად შენ ამ ადგილას შეიძლება შეგექმნას სერიოზული პრობლემები.

ის კიდევ მისვამს კითხვებს, და თავს ვგრძნობ კასანდრად, რომელსაც არავინ არ უსმენდა. მხოლოდ ეხლა ვხვდები, რომ არსებობს ბედისწერის გარდუვალობის ცნება. რასაც არ უნდა ვეუბნებოდე მომავლის შესახებ, ყველაფერი დაკავშირებულია მის ამჟამინდელ შინაგან მდგომარეობასთან. იგი არ გამიგონებს და არ მიიღებს იმას, რასაც ვეუბნები, თუკი არ დავეხმარები გარდაქმნაში.

– კარგი, ჩამოდი, – ვეუბნები მე, – იმუშავებ შენს თავზე.

მოსკოვთან შედარებით ბერლინი მოგეჩვენებათ ძალიან წყნარ და მყუდრო ქალაქად. საცობები აქ არ არის, ცხოვრება მშვიდია. ღამის მოსკოვი თავისი რითმით მოგაგონებს დღის ბერლინს. მე ჩამოვდივარ აქ უფრო დასასვენებლად, ხოლო – მიღება უფრო ჩამოსვლის მიზეზია. დასვენებაში მთავარი – ცხოვრების რიტმის შეცვლაა. არასწორად არჩეულ ცხოვრებისეულ რიტმს შეუძლია მიგიყვანოს ენერგიის შეუმჩნეველ დაკარგვამდე, შემდეგ კი ჯანმრთელობის მხრივ სერიოზულ პრობლემებამდე.

თავიდან მე ვცხოვრობდი სოჭში და მშვენივრად ვგრძნობდი თავს. შემდეგ კი ვიგრძენი, რომ საჭირო იყო ცხოვრების ახალი რიტმზე გადასვლა. წავედი პეტერბურგში და ვიცხოვრე იქ ხუთ წელი, ვმუშაობდი მშენებლობაზე, შემდეგ კი ოცდახუთი წელი,

ვყალიბდებოდი როგორც პიროვნება.

ახლახან მე ლექციაზე შემეკითხნენ, თუ რატომ ერგო ამ ქალაქს ასეთი მძიმე ხვედრი — გადაეტანა ბლოკადა. როგორც ჩანს, ყველაზე დიდი წვალება ერგო კულტურულ დედაქალაქს.

— სულიერება სიყვარულის გარეშე ძალიან საშიშია, — ვუპასუხე მე, — როდესაც ფულს აკეთებ ფულის გულისთვის, ამას მივყავართ სერიოზულ პრობლემამდე. მაგრამ, როდესაც შესაძლებლობები, სულიერება, აზროვნება კარგავენ სიყვარულს და ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში, წარმოიქმნება უფრო დიდი საშიშროება. რევოლუცია ყოველთვის არის სისასტიკე, და ხდება ის მომეტებული ამპარტავნების გამო. სამი რევოლუციის ქალაქში ეს ტენდენცია ყოველთვის იყო. სულიერებისა და ცნობიერების თაყვანისცემა ქალაქის სულს ხდიდა უფრო მკაცრს, ხოლო შინაგანი აგრესია ყოველთვის ტრანსფორმირდება გარეგან აგრესიად. გარესამყაროს მიმართ აგრესია გარდაიქმნება თვითგანადგურებად. ალბათ, ამიტომაც ცხოვრობდა საბჭოთა ხელისუფლების ბოლო ათწლეულში ქალაქი უბადრუკად.

ჩემი თვალსაზრისით, ბლოკადა იყო ნიშანი ზემოდან, ნიშანი იმისა, რომ ლენინგრადელებს თავიანთი ტანჯვით უნდა გამოესყიდათ ნათელი მომავლის, სულიერებისა და ცნობიერების თაყვანისცემა. მეორეს მხრივ, ის, რომ ლენინგრადი გადარჩა და არ განადგურდა, ესეც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნიშანი — ნიშანი იმისა, რომ რუსეთი გადარჩება, და გადარჩება მისი სულიერება. ამრიგად, რუსეთში, ადრე თუ გვიან, მოვა სიყვარული და ღმერთისადმი რწმენა.

მე მივდივარ ბერლინის ქუჩებით იმ ადგილისკენ, სადაც მელოდება ჩემთან შეხვედრაზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოფრენილი რამდენიმე ადამიანი. მშვენიერი მზიანი დღეა, მეც კარგ განწყობაზე ვარ. ფიქრები აუჩქარებლად მიჰყვებიან ერთმანეთს, ბევრი ისეთი რამ, რაც ადრე დაფარული იყო, ახლა ნათელი ხდება. „მომავალი სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებს აწმყოზე, — ვფიქრობ მე. მალე ბევრი სასწაული მოხდება". სასწაული — ეს არის მოვლენა, რომელიც არ არის დაკავშირებული

წარსულთან და აუხსნელია მანამდე არსებული გამოცდილების თვალსაზრისით, ანუ ინფორმაციის, რომელიც მოდის მომავლიდან, მასში ბევრად სჭარბობს წარსულიდან მომავალი დროების ნაკადი და ინფორმაციები.

სიტყვამ მოიტანა და, კლონირების ეფექტის არსებობა ამტკიცებს, რომ მომავალი უფრო მდგრადია საინფორმაციო თვალსაზრისით, ვინემ აწმყო. იმათ, ვინც დაისახეს ამოცანად ჩვეულებრივი უჯრედიდან მიელოთ სასქესო, ე.ი. გაყოფის უნარის მქონე დნკ, ვერაფრით ვერ მოძებნეს საშუალება, რომელიც იძულებულს გახდიდა გენეტიკურ ერთობას გაყოფილიყო ორ ნაწილად. მექანიკურად ეს შეუძლებელი იყო. ქიმიური, ტემპერატურული და სხვა სახის ზემოქმედებები არავითარ ეფექტს არ იძლეოდა. მე არ ვიცი მეცნიერებმა როგორ მოიფიქრეს ასეთი რამ, ალბათ, ეს მოხდა შემთხვევით. მათ გამოაცალკავეს სასქესო უჯრედიდან დნკ და მოათავსეს მასში ჩვეულებრივი უჯრედის გენეტიკური აპარატი. და მემბრანამ გახლიჩა ის ორ ნაწილად, დააძალა გაყოფილიყო, ე.ი. მომავალმა შეცვალა აწმყო. ამრიგად, უჯრედების გაყოფა და სიცოცხლის არსებობა როგორც ასეთის, არ არის შემთხვევითი, ქაოტური, არამედ ხდება მომავლის აქტიური ჩარევით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, თუკი ცოცხალ არსებას წარმოექმნება მომავლისადმი აგრესია, მაშინ ის უბრალოდ შეწყვეტს გამრავლებას.

ყოველივე ამაზე ფიქრებში გართული, მე შევედი იმ სადარბაზოში, სადაც დანიშნული მქონდა მიღება. ჩემი პირველი პაციენტია მეგობარი, რომელიც ცოლთან ერთად ჩამოფრინდა ნიუ-იორკიდან. რამდენიმე ხანს ჩვენ ვსხედვართ ჩუმად, ყოველი ჩვენგანი იკრებს აზრებს. ბოლოს იგი არღვევს სიჩუმეს და მეკითხება:

— შენ მართლა ფიქრობ, რომ ნიუ-იორკი დაიღუპება და უნდა წამოვიდე იქედან?

მე უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიე.

— მომავლის ცოდნა არ შეიძლება, ეს საშიშია, და მე ეხლავე აგიხსნი თუ რატომ. რაც უფრო ფაქიზ დონეებზე გავდივართ,

**მით უფრო სუფთა უნდა იყოს ჩვენი სული. ფაქიზ დონეზე დრო შეკუმშულია, და მოსჩანს მომავალი. ის რასაც ჩვენ ვეძახით სიბრძნეს, ინტუიციას, წინასწარხედვას, უდიდეს ჭეშმარიტებებს, ბოლოს და ბოლოს ფაქიზი დონეების ჭვრეტაა. იქ, სადაც მთელი სამყარო იკუმშება ერთ წერტილად, არის აბსოლუტური სიყვარული და სრული ცოდნა იმისა, რაც იყო, არის და იქნება სამყაროში. და არა მხოლოდ ცოდნა, არამედ მმართველობა, შემეცნება – ეს არის ფაქიზი დონეების შეხება, რომელსაც ის ავტომატურად მიჰყავს მის მართვამდე. ფიზიკაში ამას ჰქვია დამკვირვებლის ეფექტი. თუკი სულში ნაკლები სიყვარულია, უზენაეს ჭეშმარიტებებთან შეხება მოგკლავს და ასევე მოგკლავს მომავალთან შეხებაც.**

მთლიანობაში მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ისე კი ზემოდან შეუძლიათ მომავლის რაღაც მომენტების შესახებ ინფორმაციის მოცემა, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა. წარმოიდგინე, შენ მიდიხარ მკითხავთან, და ის გიხატავს შენი უახლოესი მომავლის სურათს. ბევრი რაღაც, რაც მან გიწინასწარმეტყველა იწყებს ასრულებას. თუკი ის კიდევ მოგიყვა შენი წარსულის შესახებ ისეთნაირად თითქოს ეცხოვროს შენს გვერდით, მაშინ ძნელია ეჭვი შეიტანო მის წინასწარმეტყველებაში. დაუშვათ, მისი პროგნოზი არასწორია, მაგრამ შენ იგი მიიღე როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება. იცი თუ არა, რა მოგივა ამის შემდეგ? შენ ფაქიზ დონეზე დაიცავ იმ სურათს, რაც დაგიხატეს, და მუდმივად გაანადგურებ იმას, რაც მას არ შეესაბამება. უბრალო ენით რომ ვთქვათ, შენ გაანადგურებ შენს რეალურ მომავალს, ეთაყვანები რა სამყაროს ილუზორულ სურათს, რომელსაც შენ თვლი როგორც რეალურს.

შემდეგ კი, – ვეუბნები მე წყნარად, – შენ დაავადდები და მოკვდები, იმიტომ, რომ ის, ვისაც მომავლისადმი აგრესია აქვს, მას უბრალოდ ვერ მიიღებს.

ჩვენი გარეთა ფიზიკური ენერგია მოდის წარსულიდან, ხოლო ფაქიზი სულიერი ენერგია მოდის მომავლიდან. ბიბლიაში არის ადგილი, რომელსაც ბევრი შეჰყავს ჩიხში. მაგალითად,

ქრისტე ამბობდა, ძე კაცის გმობა შეიძლება გეპატიოს, მაგრამ სულიწმიდის გმობა — არასოდეს. ის, რასაც ჩვენ ვეძახით სულიწმიდას, არის ფაქიზი დონე, რომელშიც ჩამალულია მომავალი, დაშიფრული ახალი ცოდნა, და რომელშიც ჩადებულია ჩვენი სულის მასაზრდოებელი ენერგია. ადამიანი — პირველ რიგში, ეს არის სულიერი არსება, შემდეგ კი ხორციელი. სული წარმოიშვა სხეულზე ადრე, და საზრდოობს მომავლიდან გამომავალი ენერგიით. ქრისტემ ახსნა ეს უბრალოდ და გასაგებად: **არა მხოლოდ პურით ცხოვრობს ადამიანი, არამედ ღვთის სიტყვით.**

მომავლის ენერგია გამოდის ღმერთის მიერ შექმნილი სიყვარულის ენერგიიდან. ანაწილებს რა ამ ენერგიას, იგი წყვეტს, ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ უნდა მოკვდეს. გავიხსენოთ ძველი აღთქმა. ღმერთი ეუბნება აბრაამს: „შენგან წამოვა ბევრი ხალხი" ეს ნიშნავს შემდეგს: აბრაამის სული ღიაა მომავლისათვის, მას შეუძლია მიიღოს ახალი ენერგიის და ინფორმაციის დიდი მოცულობა, და, ამდენად, ამ სულში შეიძლება ჩაუშვათ ახალი ადამიანებისა და ხალხების თესლი.

მომავლისადმი აგრესია ჩვენ არ გვექნება, თუკი ჩვენ არ ვიქნებით მასზე დამოკიდებულნი. თუკი ადამიანი სულით დამოკიდებულია ფულზე, იგი ვერ აიტანს სხვებს, რადგან ეშინია არ დაკარგოს თავისი ფული, შემდეგ კი ვერ აიტანს საკუთარ თავსაც და ფულსაც, რომელიც გახდა მისი ტანჯვის მიზეზი. შემდეგ მან ეს ფული უნდა დაკარგოს და ის მას აუცილებლად დაკარგავს. გადალახოს მატერიალური სიკეთის დაგროვებისკენ და ფულისადმი სიყვარულის დამღუპველი ლტოლვა ეს შეუძლია იმას, ვინც გაიგო და იგრძნო: არსებობს ფულზე უფრო მნიშვნელოვანი რამ, და არის სიამოვნება ბევრად უფრო ხარისხიანი, ვინემ ერთი ბღუჯა მონეტები ხელში.

გადალახო მომავლისადმი თაყვანსიცემა ძალიან ძნელია. თუკი სული საზრდოობს მომავლის ენერგიით, რა შეიძლება იყოს სულზე უფრო მაღლა? ამ კითხვაზე პასუხი ორი ათასი წელია, რაც ცნობილია. იესო ქრისტე, რომელიც თავის თავში გრძნობდა ღმერთს, ხშირად აიგივებდა თავს სიყვარულთან,

და ამბობდა, რომ გადარჩებოდა ის, ვინც მისი გულისთვის დაკარგავდა თავის სულს. ეს ნიშნავდა, რომ სიყვარული უფრო მაღალია, ვინემ სიცოცხლე და მომავლის ენერგია. ის, ვისთვსაც ღმერთთან ერთობა უფრო მნიშვნელოვანია ვინემ მომავალი, გადარჩება, იმიტომ, რომ ეს ადამიანი აბსოლუტურად არ იქნება აგრესიული მომავლისადმი, ის არ იქნება მასზე დამოკიდებული.

მე ჩავფიქრდი და ფანჯარაში გავიხედე, შემდეგ კი ისევ მივმართავ ჩემს მეგობარს:

— მოდი ისევ დავუბრუნეთ აბრაამს. გაიხსენე იმის შესახებ, თუ როგორ მოითხოვს ღმერთი აბრამისგან, რომ მან მოკლას თავისი შვილი და მსხვერპლად შესწიროს მას. მე ვფიქრობ, რომ ახლა კი ხვდები, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს. ნიშნავს კი ეს შემდეგს: ჩვენი შვილები ეს ჩვენი მომავალია. ღმერთმა აბრაამის წინაშე დასახა უზომოდ დიდი ამოცანა: რა არის მისთვის უმთავრესი — ღმერთის სიყვარული თუ მომავლის სიყვარული? აბრაამმა აირჩია ღმერთის სიყვარული. ამდენად, მან დასძლია მომავლის აგრესია და მისადმი მიჯაჭულობა, და, ამდენად, მისგან შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ ახალი ხალხები.

იესო ქრისტეც იგივეს ლაპარაკობს მხოლოდ სხვა სიტყვებით. რა ხდება როდესაც ქმარს თავდავიწყებით უყვარს თავისი ცოლი? თვითონ მას შეუძლია დაასახელოს რამდენიც გინდა მიზეზი, მაგრამ ქვეცნობიერებაში ყველაფერი გასაგები და ნათელია: კაცის სიყვარული ქალისადმი — ეს არის სურვილი მოხდეს გვარის გაგრძელების ინსტინქტის რეალიზაცია, ეს არის უჩინარი სურვილი გააგრძელო შენი თავი მომავალში. რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანის სიყვარულში არის ღვთაებრივი სიყვარული, მაგრამ, ხშირად ამ ღვთაებრივ სიყვარულს ჩვენ ვივიწყებთ. და როდესაც ადამიანს თავდავიწყებამდე უყვარს თავისი ბავშვები, ეს ნიშნავს, რომ მათში მას საკუთარი თავი უყვარს, საკუთარი მომავალი უყვარს. ქრისტე ამბობდა, რომ ადამიანის მთავრი მტრები მისი შინაურებიაო, ე.ი. ღმერთის სიყვარული შესაძლებელია დაჩრდილოს შინაურების სიყ-

ვარულმა, ბავშვების სიყვარულმა, საბოლოო ანგარიშში კი მომავლის სიყვარულმა.

ჩემი თანამოსაუბრე გარკვეული ხნით ჩაფიქრდა.

– ისე გამოდის, რომ, თუკი მიჯაჭვული ხარ ცოლს, შვილებს, შესაძლებელია დაკარგო მომავალი.

– მე მოწონების ნიშნად თავს ვუქნევ.

– ზუსტად ასეა. ეხედავ, შენ იწყებ ჩემი ნათქვამის გაგებას. და როდესაც ჩვენ ამ მიჯაჭვულობას ვაძლიერებთ, ვეჭვიანობთ, განვიკითხავთ, ენაღვლობთ, მომავალი შეიძლება დავკარგოთ უფრო მალე. რით არის საშიში წყენა, განკითხვა, ნაღველი? იმით, რომ ეს არის სიყვარულისგან განდგომის ფორმა. ყველაფერი, რაც ჩვენ გვაიძულებს უარვყოთ ღმერთი, უნდა დავკარგოთ. იცი, ჩინელებს აქვთ ძველი ანდაზა: „თუ გინდა ვინმეზე შური იძიო, გათხარე ორი სამარე“. კანონები, რომლითაც ცხოვრობს სული, ერთნაირად სამართლიანია როგორც მორწმუნის, ასევე ათეისტისთვის.

ჩემი თანამოსაუბრე იღიმება, თითქოს რაღაცას იხსენებს, და მაწყვეტინებს:

– კარგით, წარმოვიდგინოთ, რომ მკითხავმა, ასე თუ ისე ზუსტად მიწინასწარმეტყველა ჩემი მომავალი. ეს ხომ ჩემთვის დახმარებაა. რა არის ამაში ცუდი?

მე მხრებს ვიჩეჩავ.

– იცი, როგორ უნდა განსაზღვრო ადამიანი მიწებებულია თუ არა რამეს? პირველი: მას არ შეუძლია გადაიტანოს იმის დაკარგვა, რასაც მიეწება. მიწებების ობიექტის დაკარგვამდე იგი მას ეთაყვანება, დაკარგვის შემდეგ – ვერ იტანს სხვებს ან საკუთარ თავს იმიტომ, რომ დაკარგა. თაყვანისცემა და სიძულვილი დადიან ერთად, ერთი განუყოფლად დაკავშირებულია მეორესთან.

მე ღიმილით უყურებ მას.

– ღმერთს შეიძლება ვეთაყვანოთ, და მიჯაჭვულობა არ წარმოიქმნება, იმიტომ, რომ ღმერთი მარადიულია, და მისი დაკარვეა შეუძლებელია, და ამდენად, ღმერთისადმი სიყვარულს

არ შეუძლია დაბადოს აგრესია პრინციპში. მარადისობა ჩვენს სულში დაცვას არ საჭიროებს.

ასე რომ, თუკი მკითხავმა შენ გიწინასწარმეტყველა რაიმე სასიამოვნო, მაშინ შენს სულში დაიწყება მომავლისადმი თაყვანისცემის პროცესი და მას შენ დაკარგავ. თუკი წინასწარმეტყველება იქნება არსასიამოვნო, შენ წარმოგეშვება შიში და სევდა. და ამით დააზიანებ მომავალს და დაკარგავ მას.

— მაშინ როგორღაა ასოლი, რომელიც ნატრობდა წითელ იალქნებზე და მშვენიერ კაპიტანზე? მას ხომ ნატვრა აუსრულდა.

— ზოგჯერ ჩვენი ნატვრა — ეს არის ის, რაც ჩვენ მოგვივა. თუკი შენ რამე გინდა, ეს უკვე შესაძლებელია. თუკი არ არის თაყვანისცემა შენი ნატვრისადმი, შიში და სევდა მათი დაკარგვის გამო, წყენა და სიძულვილი მათ მიმართ, ვინც ხელს გიშლის ნატვრის ასრულებაში, მაშინ ნატვრა შეიძლება ახდეს.

ჩემი მეგობარი ისევ ჩაფიქრდა.

— იმიტომაცაა ძველ აღთქმაში ნათქვამი, რომ მკითხავი და ასტროლოგი უნდა დაიწვას? გამოდის, რომ მომავლის ცოდნა ყოველთვის ცუდია?

მე უარყოფის ნიშნად თავს ვიქნევ.

— თუკი მომავლის ცოდნა გიბიძგებს სიყვარულისკენ და იძულებულს გხდის იზრუნო სულზე, ის შეიძლება სასარგებლო იყოს, თუკი ეს ცოდნა იწვევს შიშს, ნაღველს ან ზღვარგადასულ სიხარულს, მაშინ ის მავნებელია. ამიტომაც წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებდნენ მომავალს არა ცალკეული პირების, არამედ მთელი ხალხის შესახებ. და ეს ცოდნა ეხმარებოდა კაცობრიობას გადარჩენაში. წინასწარმეტყველებს ადამიანები მიმართავდნენ, რათა გადაერჩინათ თავიანთი სული, ხოლო მკითხავებს მიმართავენ, რათა გადაარჩინონ თავიანთი სხეული და საფულე.

ცოტა ხნის პაუზის შემდეგ მან, ისევ მკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, დაიღუპება თუ არა ნიუ-იორკი?

მე ისევ მხრებს ვიჩეჩავ.

— მე არ შემიძლია ჩავიხედო მომავალში, ეს ჩემთვის საშიშია, თანაც მე ცუდი წინასწარმეტყველი ვარ. მაგრამ პირადად შენ იმ ადგილას დიდი პრობლემები გელის.

— კარგით, — მოულოდნელად ამბობს იგი, — დავუშვათ მე ძლიერ მიწეპებული ვარ ჩემს ოჯახს, ამის გამო მე მეკეტება მომავალი. თუკი ჩვენ გადავალთ ახალ ადგილას, იძულებული ვიქნები გადავირჩინო თავი, მივეჩვიო ახალ სამუშაოს, და აღარ მეცლება ოჯახისთვის. ჩემი სული დაბალანსდება, მის წინ გადაიშლება მომავალი. ასეთი ვარიანტი შესაძლებელია?

— მე ვშლი ხელებს.

— რა თქმა უნდა! მომავალი ხომ მრავალვარიანტიანია. მართლაც, იცი, როგორ გამოიყურება ადამიანი, რომელიც მალე დაკარგავს მომავალს?

ის დაინტერესებული სახით მიყურებს.

— გინდა რეცეპტი მოგცე?

მე თავს ვიქნევ.

— მე გაგიხსნი შენ ამ საშინელ საიდუმლოს. ასე რომ, თუკი შენ გაქვს მომავლის განვითარების რამდენიმე ვარიანტი, შენ მათ ვერ მიეწებები, იმიტომ, რომ არ შეიძლება რამდენიმე მიზანთან ერთდროულად მისვლა. თუკი შენ გრძნობ, რომ მომავალს მართავს მაღალი ღმერთი, იძულებული იქნები, გაითვალისწინო, შენთვის უცნობი მომავლის ვარიანტები. მაგრამ, თუ შენ დაივიწყე ღმერთი და გაქვს მომავლის მხოლოდ ერთი მოდელი, განწირული ხარ ეთაყვანო მას უფრო ძლიერ. ამ შემთხვევაში სულ უფრო მეტად გექნება შიშის, სიძულვილის და სევდის გრძნობა.

ადამიანი, რომელსაც ნაწილობრივ აქვს დაკარგული მომავალი — ეს არის ის, რომელსაც მოევლინება უსიამოვნებები, ჩხუბი და წყენა, შემდეგ კი ავადმყოფობები. თუკი მომავლის მარაგი პრაქტიკულად გამოლეულია, მაშინ ეს არის უკვე ბედისწერის მიმართ სერიოზული უბედურება, ოჯახის დანგრევა, მოურჩენელი ან სასიკვდილო ავადმყოფობები. მაგრამ თუკი მომავალს ეთაყვანება ადამიანთა ჯგუფი, როგორც ეს იყო კო-

მუნისტებთან, მაშინ აგრესია ხდება თვალსაჩინო და შეიძლება გაანადგუროს მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანი. მაშინ მომავლის დაკარგვა უბრუნდება სუკეთესო შემთხვევაში სახელმწიფოს დაშლითა და განადგურებით.

მან სწრაფი მზერა მესროლა.

— შენ გინდა მითხრა, რომ ამერიკა „ჩავარდება" მომავალში?

მე ჩავიცინე.

— ყოველი შემთხვევისთვის, ამერიკის ხელმძღვანელობა ამას ამტკიცებს. ამერიკა ეთაყვანება თავის დაცულობასა უპირატესობას. სხვა ხალხებთან შედარებით შენი განსაკუთრებულობისა და უპირატესობის განცდა — ძალიან უმნიშვნელო მაჩვენებელია. ასეთი შეგრძნება ჰქონდა ებრაელ ხალხს იუდეური ომისა და იერუსალიმის განადგურების წინ. ასეთი შეგრძნება ჰქონდათ მათ, ვინც მოახდინა ოქტომბრის რევოლუცია. ბევრი ბოლშევიკი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და მომავლის მოდელის თავიანთი ხედვის უნაკლობაში. თავიდან ანადგურებდნენ თავიანთ ხალხს, შემდეგ კი განადგურებულ იქნენ თავადაც. ხორცსაკეპი, რომლის სახელიც იყო „გზა კომუნიზმისაკენ" მრავალი ათწლეულობით მუშაობდა დაუღალავად.

ჩემი თანამოსაუბრე თვალმოჭუტული მიყურებს.

— მაინც რა უნდა მოუვიდეს ნიუ-იორკს, ისევ აფეთქება?

მე წინ ვიყურები და ხელებს ვშლი ხელისგულებით ძირს.

— წარმოიდგინე, რომ მიწის ქერქი შორდება ერთმანეთს სხვადასხვა მხარეს, — ვეუბნები მე და ხელებს ვშლი. — წარმოქმნილ ღრმულში უცბად ჩაედინება ოკეანის წყალი. შემდეგ წარმოიქმნება წყლის გორა. წყალი თავიდან დატოვებს სანაპიროს რამდენიმე ათეული კილომეტრით, შემდეგ კი სწარაფად ბრუნდება. მსგავსი რამ უკვე მოხდა ტაილანდში.

მე ვუყურებ მას და ვაგრძელებ:

— რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოიშვას სამართლიანი კითხვა, თუკი ენერგია მოდის მომავლიდან, რატომ უნდა მოვიდეს

ძალიან დიდი ულუფით, აკი ბაიკალი და წითელი ზღვა ნელ-ნელა ფართოვდებიან?

რამდენიმე წამით ვჩუმდები და შემდეგ კი ვაგრძელებ:

— როდესაც მე ვკითხულობდი ძველ აღთქმას, მივაქციე ყურადღება იმას, რომ კატაკლიზმები და ადამიანთა საზოგადოების მდგომარეობა იქ მკაფიოდ გადაფსკვნილია ერთმანეთთან. ადრე ვფიქრობდი, რომ ეს იყო უბრალო დაშინება, შემდეგ გავიგე, რომ ბიბლიაში ისე უბრალოდ არაფერი ხდება. და ის, რაც ჩვენ გვეჩვენება დაშინებად და დასჯად, სინამდვილეში არის სამყაროს დაშიფრული კანონი.

ამასთან დაკავშირებით მომივიდა საინტერესო ჰიპოთეზა. წარმოიდგინე, რომ სიცოცხლე თავის ფიზიკურ ასპექტში წარმოიქმნა დედამიწაზე და ითვლება მის ნაწილად. ფაქიზ დონეზე ჩვენი სამყარო და ყველაფერი, რაც აქ არის, ერთიანია. ამდენად, ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ დედამიწაზე, შეუძლიათ თავიანთი ენერგეტიკით ზეგავლენა მოახდინონ მის მომავალზე. ახლა კი წარმოიდგინე, რომ არის ადამიანების ჯგუფი მომავლისადმი დიდი შინაგანი აგრესიით და მათი ეს მდგომარეობა გადაეცემა მთელ პლანეტას. რა მოუვა პალანეტას, რომელიც ავლენს აგრესიას მომავლის მიმართ? ის, როგორც ყოველი ორგანიზმი, შეიძლება დაავადდეს და მოკვდეს.

დაღუპვაზე ჩვენ არ შევჩერდეთ, ხოლო ავადმყოფობაზე შევჩერდეთ დაწვრილებით. წარმოიდგინე, რომ სხვა სამყაროებიდან მოდის მომავლის ენერგია, დროის, სივრცის და ნივთიერების სახით. უფრო ზუსტად, მოდის დრო ენერგიის სახით, სივრცე და ნივთიერება. და თუკი პლანეტა აგრესიულია მომავლის მიმართ, მაშინ იგი იკეტება მისთვის, თითქოსდა აკეთებს ზღუდეს. ენერგია გროვდება და, ადრე თუ გვიან, ამ ზღუდეს გაანგრევს. ენერგიის დიდ პაკეტს შეუძლია მიგვიყვანოს პლანეტის კატაკლიზმებამდე.

ადამიანი ავადდება და კვდება, თუკი მას მომავალი არ ყოფნის. მომავალი გამოფიტვა — ეს არის ენერგიის დაკარგვა. მაგრამ, ადამიანს ასევე შეუძლია იავადმყოფოს და მოკვდეს მო-

მავლის ზედმეტობის გამო, იმიტომ, რომ არ შეუძლია ენერგიის ძალიან დიდი პაკეტის ადაპტირება.

ასე რომ, ადამიანი თავიდან ცოდვას სჩადის თავისი სხეულით. თავისი ქმედებებით. თანდათანობით ეს გადადის ჩვევაში და დამაგრდება ცნობიერებაში, შემდეგ კი მსოფლმხედველობაში, როგორც სოდომსა და გომორაში. ის, რაც დიდ ხანს და სტაბილურად არის ცნობიერებაში, გადადის ქვეცნობიერებაში, ესე იგი, ჩვენს სულში, და ამყარებს კონტაქტს მომავალთან. სხეულის დონეზე აგრესია არ არის საშიში მომავლისა და ფაქიზი დონეებისთვის. როდესაც ის გადადის ქვეცნობიერში, წარმოიშობა სრულიად სხვა ეფექტი. თუკი ადამიანები ეთაყვანებიან მატერიალურ და გრძნობით ბედნიერებებს, ისინი ვნებენ თავიანთ თავს და, ამდენად, თავიანთ მომავალს. თუკი ადამიანები ეთაყვანებიან სულიერებას და უმაღლეს გრძნობით გამოხატულობებს, ისინიც, ასევე ხდებიან შინაგანად აგრესიულები. ყოველგვარი თაყვანისცემა, რომელიც შორდება ერთიან შემოქმედს, ხდის ადამიანის სულს აგრესიულს დაართმევს მას მომავალს.

თუკი კრიტიკულ მზერას გადავავლებთ ახლანდელ ცივილიზაციას, ადვილად შევნიშნავთ, რომ ღმერთის რწმენა გახდა სუფთა ფორმალური მცნება. მეცნიერებამ გაიმარჯვა რელიგიაზე და იძულებული გახადა თაყვანი ეცა სხეულისა და ინსტინქტებისათვის. საუკეთესო შემთხვევაში ეს თაყვანისცემა გადაადგილდება აწმყოდან მომავლისაკენ, როგორც ეს იყო კომუნისტებში. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენი ცივილიზაციის აგრესიულობაზე. და ბუნებრივია, უფრო დიდი აგრესია დამახასიათებელია ლიდერი ქვეყნებისთვის – იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც გააკეთეს ნახტომი ცივილიზაციისკენ თავიანთი სულის საზიანოდ, ესე იგი, მომავლის საზიანოდ. ესენია ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და ჩინეთი.

მე ჩავფიქრდი და მივბრუნდი ფანჯრისკენ.

– მართლა, არის საინტერესო ინფორმაცია. ხშირად, როდესაც ბავშვი შეიძლება მოკვდეს, იცავენ რა მას ამისგან, შეიძლე-

ბა ავად გახდნენ და მოკვდნენ მშობლები. დასავლეთის ცივილიზაციის მშობლად, რომელმაც ამჟამად ჩაყლაპა თითქმის მთელი მსოფლიო, შეიძლება ჩავთვალოთ ისრაელი. და მას ახლო მომავალში შეექმნება დიდი პრობლემები.

მე ვიღიმი.

– არის კიდევ შორეული წინაპარი – სამხრეთ აფრიკა. ჩემი დიაგნოსტიკით გამოდის, რომ სიცოცხლე ფიზიკურ დონეზე წარმოიშვა ინდოეთის ოკეანეში და გამოვიდა ხმელეთზე აფრიკის სამხრეთ ნაწილში. და, შესაბამისად, რაღაც კატაკლიზმები არ არის გამორიცხული ამ რაიონშიც.

ჩემი მეგობარი მხარს მიჭერს:

– ამბობენ, წელი, რომლისგანაც დაიწყება კატაკლიზმები, – 2012-ია. ხოლო 2015 წელს შეიძლება განადგურდეს მთელი კონტინენტი.

– არ მინდა ჩავხედო მომავალს, – ვპასუხობ მე. – გავიგე მთავარი: ჩვენ, ჩვენი ღრმა შინაგანი მდგომარეობით დაკავშირებული ვართ მომავალთან და შეგვიძლია მასზე ზემოქმედება. თუკი ჩვენ ჩვენს სულზე უფრო მეტ მზრუნველობას გამოვიჩენთ, ვინემ სხეულზე, ნაცვლად დაშლისა და თვითგანადგურებისა ჩვენთან მოვა განვითარება და აღმშენებლობა.

# თვითმფრინავი

მოსკოვიდან სინგაპურამდე თვითმფრინავი მიფრინავს ცხრა საათს. ეს დრო შეიძლება იყოს საწყალებელიც და სასიხარულოც. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს ურთიერთობებზე. გაზეთებში გაიელვა ინფორმაციამ, რომ ზოგჯერ ადამიანები კვდებიან ისეთი გადაფრენების შემდეგ, რომელიც გრძელდება რვა საათზე მეტ ხანს. ამიტომ მგზავრებს რეკომენდაციას აძლევენ, ორი საათის სავარძელში ჯდომის შემდეგ ცოტა გაიარ-გამოიარონ.

რატომ არის ასე საშიში უძრაობა? შევეცადოთ ეს ავხსნათ ლოგიკურად. თუკი გაქვთ ცუდი სისხლძარღვები და სქელი სისხლი, შესაძლებელია წარმოიშვას უძრაობის მოვლენები. ამას მიმატებული მოუხერხებელი პოზა. მაგრამ მთავარი მიზეზი, მგონი, ეს არ არის. ხშირად დილით, კარგად გამოძინებულზე, ადამიანი მიდის სარკესთან და საკუთარ თავს ვერ ცნობს. სახე შეშუპებული და ნაოჭები ჩაღრმავებული აქვს. გამოდის, რომ დაბერება ხდება ძილის დროს. რა თქმა უნდა, მდგომარეობას გაიუარესებ თუკი ძილის წინ დალევ ბევრ წყალს ან მაძღრად შეჭამ. მაგრამ ზოგი ადამიანი ჭამს დღეში ერთხელ, ძირითადად საღამოს, და დილით დგება მხნე და დასვენებული. აქედან გამომდინარე, ამის მიზეზი იმდენად ჭამა არ არის, რამდენადაც ემოციები. რამეთუ ემოციები – ეს არის ენერგია.

მე ვიყურები ილუმინატორიდან, მოჩანს თვალუწვდენელი ცა. მალე ამოვა მზე. ცა ლაჟვარდისფერს ღებულობს, ღრუბლები შეიღება მოწითალო- მარგალიტისფრად. მახსენდება ლაოძის ფრაზა: „ცის ქვეშ არსებული ყოველივე სუსტი და უსუსური, ძლევს მკვრივსა და მაგარს“. როდესაც ჩვენ ვიბადებით, ვართ სუსტები და დაუცველები. როდესაც ვკვდებით, ვართ მკვრივი და მაგარი. ღვთაებრივი სიყვარული, როგორც პირველადი იმპულსი შემოდის სამყაროში. პიველადი იმპულსი იყოფა დროის ორ ნაკადად, და ჩნდება ენერგია. შემდეგ ეს ენერგია მოწესრიგდება სივრცესა და მატერიაში.

სისუსტე და დაუცველობა – ეს არის მდგომარეობა, როდესაც მაღალი ენერგია ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ფორმად. თანდათანობით ენერგია იხარჯება და სუსტდება, ხოლო ფორმა ძლიერდება და ვითარდება. როდესაც შემეცველობა გამოიფიტება თითქმის ბოლომდე, ფორმა მაქსიმალურად მაგრდება და აღწევს უმაღლეს დონეს. მაგრამ მასში უკვე აღარ არის ენერგია. მისი შემდეგი განვითარება– ეს არის სიკვდილი და დაშლა. რაც უფრო მეტი სიყვარულის ენერგია დევს ყოველგვარი პროცესის არსში, მით მეტი შესაძლებლობაა ფორმის განვითარებისათვის.

მე ხშირად ვუხსნიდი პაციენტებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველად იმპულსს ყოველგვარი პროგრამის ან ფორმის შედგენისას. თუკი თქვენ რამეს ჩაიფიქრებთ ან დაგეგმავთ შურის ან წყენის გრძნობით გულში, ან მხოლოდ იმიტომ, რომ გააკეთოთ ფული, თქვენი მცდელობა განწირულია მარცხისათვის. დამპალი მარცვლიდან არ აღმოცენდება ჯანმრთელი ნაყოფი. თუკი თქვენ ეძებთ შესაძლებლობას რეალიზაცია გაუკეთოთ მომგლვავებულ ენერგიას, მოახდინოთ თვითრეალიზაცია, იგრძნოთ აღმაფრენა, რომელიც თან ახლავს თავდადებულ შემოქმედებით შრომას, მაშინ თქვენი საქმე წინ წავა.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც მიდიან დიდ სპორტში და ნატრობენ გააკეთონ ბევრი ფული, ემართებათ უცნაური რაღაცები: რაც გინდ ტალანტიანები იყვნენ, არ აკლებდნენ მცდელობის, ან ჰქონდეთ ფინასური მხარდაჭერა, მიუხედავად ამისა ემართებათ ტრამვები და უიღბლოები არიან. ყოველივე ამის ახსნა შეუძლებელია, მაგრამ, ალბათ, თვითონ ბედს არ უყვარს ასეთი ბავშვები და არ აძლევს ნებას მიაღწიონ წარმატებას ცხოვრებაში.

მე მახსოვს თუ როგორ ავუხსენი ერთ ჰოკეისტს:

– აგიხდება მხოლოდ ის ნატვრა, რომელიც შენ არ გაქცევს მონად. შენ ისე ძლიერ გსურს გაიტანო შაიბა, რომ შენ მთლიანად ემორჩილები შენს სურვილს. ხოლო, როდესაც სული რაღაცაზე დამოკიდებულია, სიყვარული მიდის, და მოდის აგრესია.

დამოკიდებულ და რაიმეზე მიჯაჭვული ადამიანისთვის სიყვარული გადაიქცევა ვნებად და აზიანებს როგორც მას, ასევე იმასაც, ვინც მას უყვარს.

ვნება, სიყვარულისაგან განსხვავებით, ყოველთვის აგრესიულია. იმიტომ, რომ ვნება — ეს არის სურვილი, რომელმაც გაიმარჯვა სიყვარულზე. და ვნებაში სურვილი მიიღებს ყოველთვის მეტს, ვინემ გასცემს. ასე რომ, ეს არის თავისი არსით მტაცებლური გრძნობა. ყაჩაღს უნდა რაც შეიძლება მეტი მიიღოს და რაც შეიძლება ნაკლები გასცეს. ვნებით შეპყრობილი ადამიანი, — ის იგივე ყაჩაღია, რომელმაც უარყო ღვთაება. სურვილებს შინაგანად ყოველთვის თავი უნდა აარიდოთ, რათა არ გახდეთ მისი მონა. მაგრამ სიყვარულის გრძნობის გარეშე ეს შეუძლებელია.

— წარმოიდგინე, — ვეუბნებოდი მე სპორტსმენს, — შენ მიდიხარ კარისკენ, გულში კი გაქვს ქვეცნობიერი აგრესია. გატანილი გოლი — ეს საჩუქარია. სიხარული, რომელიც ამასთან ერთად იფეთქებს, შენი გრძნობების საშუალებით გადადის ქვეცნობიერში და ამაგრებს შენს ქცევებს. შეეცადე შეისწავლო უცხო ენა სიხარულის მდგომარეობაში და უკმაყოფილების მდგომარეობაში. სიხარულის მდგომარეობაში ენის საფუძვლებს შეისწავლი რამდენიმე დღეში. ხოლო თუ გექნება შიში, ურწმუნოება, ნაღველი, უკმაყოფილება, წლების განმავლობაში ვერ აითვისებ მას.

მე ხშირად კონსულტაციას ვუწევდი ემიგრანტებს, რომლებიც საზღვარგარეთ მრავალი წლის განმავლობაში ვერ ითვისებდნენ ენას, თუმცა ძალიან ცდილობდნენ. ამის მიზეზი მარტივია, და დამალულია ის ჩვენს ემოციებში. სიხარული — ეს არის პაროლი ჩვენს ემოციებში შემოსასვლელად, ხოლო ის, რაც შემოვიდა ქვეცნობიერში, შემდეგ არ იფანტება. ქვეცნობიერებას ახსოვს ყველაფერი. თუკი ბავშვს არ ვასწავლით სწორად გამოხატოს სიხარული, მომავალში ის შეიძლება გახდეს ინვალიდი.

როდესაც ბავშვი სიხარულის მდგომარეობაში უყურებს

ტელევიზორით ძალადობის სცენებს, სხვადასხვანაირ სექსუალურ სურათებს, ისმენს მუდმივ მოწოდებას გამდიდრებისკენ ყველანაირი გზებით, მის ქვეცნობიერებაში მსგავსი ქმედებები უერთდება დადებით ემოციებს. შემდეგში, თავისთავში რომ გამოიწვიოს სიხარული, მან უნდა მოკლას, იძალადოს, დატკბეს დიდი თანხის ქონით პირად ანგარიშზე.

ერთი სერიული მკვლელი გამომძიებელს მოუყვა თუ როგორ დაადგა ამ გზას. ერთხელ ის უყურებდა სატელევიზიო ფილმს, სადაც იყო სცენა, თუ როგორ კლავდნენ ქალს. ამ ძალადობის სცენის დროს მან განიცადა ორგაზმი. ამის შემდეგ მას შეეძლო განეცადა ორგაზმი მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოკლავდა თავის მსხვერპლს.

უძველესი დროიდან საზოგადოება ასწავლიდა ბავშვს, რა უნდა გახარებოდა, და რა არ უნდა გახარებოდა. ამას ეწოდებოდა ზნეობრივი აღზრდა და ის ყოველთვის დაკავშირებული იყო რელიგიასთან. ამჟამად რელიგია და ზნეობა გამოყოფილია სახელმწოფოსგან. რაზე უნდა ვიმხიარულოთ, ამას ახლა მეცნიერება გვიხსნის. ის კი გამოდის იქიდან, რომ ადამიანი არის მხოლოდ სხეული. მეცნიერებისთვის სულის მცნება არის მითი. ხოლო, როდესაც ზნეობა დაკავშირებულია მხოლოდ სხეულის მოთხოვნილებებთან, ხდება შესაბამისი პროცესი — სხეულის თაყვანისცემა, მონური თაყვანისცემა სხეულის მოთხოვნილებებისადმი. ბუნებრივია, ასეთი მიბრუნება კერპთაყვანისმცემლობისკენ გამოიწვევს საზოგადოების გახრწნას. მე ფიქრებში ისევ ვუბრუნდები იმ სპორტსმენს, რომელსაც კონსულტაციას უწევდი.

— შენ მიდიხარ კარებისკენ დიდი აგრესიით, — ვეუბნები მას. — გარეგნულად შენ ხარ სპორტსმენი, რომელმაც გოლი უნდა გაიტანო. შინაგანად კი ხარ ყაჩაღი, რომელიც მზად არის მოკლას ყველა, ვინც ხელს შეუშლის გამარჯვებაში. მაგრამ შენს შვილებზე მემკვიდრეობით გადავა არა შენი ფორმა, არამედ შინაარსი. განვითარების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომი ფორმა უარყოფს მის წინანდელს. მაგრამ არსი, ე.ი. შინა-

არსი, ინახება და განაგრძობს თავის განვითარებას. ასე რომ, შენი შვილები იქნებიან ყაჩაღები და მკვლელები. მაგრამ, თუკი ეს პროცესი ქვეცნობიერში გადავიდა უფრო ღრმად, მაშინ ისინი იქნებიან უბრალოდ ავადმყოფები, პარალიზებულები და მომაკვდავნი. შენი შვილები, რომ არ დაიღუპონ, შენ არ უნდა გაიტანო გოლები და არ უნდა გაამყარო შენი აგრესიული მდგომარეობა.

სპორტსმენი შეფიქრიანდა.

— როგორ უნდა ვილოცო, რომ არ ვიყო აგრესიული? შეცბუნებულმა მკითხა მან.

— შენ სიყვარულის გრძნობა შეზრდილი გაქვს კეთილის ცნებასთან, ე.ი. ხასიათის სირბილესთან, მზრუნველობასთან, მოფერებასთან. ღმერთი კი არამარტო გაძლევს, არამედ გართმევს. მათ შორის, სიყვარულსაც. თუკი გიყვარს ბავშვი, შენ ვალდებული ხარ ასწავლო მას ტკივილების გადალახვა და ამისათვის ის უნდა ჩააყენო მკაცრ პირობებში, სხვანაირად მას აუცილებლად ექნება პრობლემები. ასე რომ, ისწავლე იყო არამარტო რბილი ხასიათის, არამედ მკაცრიც, და ამასთან შეინარჩუნო სიყვარული.

— ამისათვის არის რაიმე სავარჯიშოები? — დაინტერესდა ის.

— დასაწყისისთვის საკმარისია ჩამოკიდო ტომარა და ურტყა მუშტები, ამასთან უნდა გაიღიმო. როგორც კი წარმოიქმნება დაძაბულობა და სახიდან ღიმილი გაგიქრება, საჭიროა გააჩერო პროცესი. ჩვენ კი შენთან ერთად ვსინჯოთ შემდეგი: ავიღოთ ჩოგნები და წავიდეთ ტენისის სათამაშოდ. სიყვარულის გრძნობას, როგორც წესი, თან სდევს ალმაფრენის, სიხარულის და ბედნიერების შეგრძნება. ამიტომაც შეეცადე არ გამოგრჩეს სიხარულისა და სიმსუბუქის ეს შეგრძნება სულში, განსაკუთრებით დარტყმის მომენტში.

შევხედე მას და ჩავფიქრდი, შემდეგ კი განვაგრძე:

— თუკი შენ ისწავლი გააკეთო ყოველივე ეს, დიდი წარმატებები გექნება, შენ გაგეხსნება ბევრად უფრო დიდი უნარი. მაგ-

რამ ეს მხოლოდ პირველი საფეხურია. ამ საფეხურზე ენერგიის დონე შენ გექნება ბევრად უფრო მაღალი, ვინემ გაქვს, და შეუმჩნევლად შეიძლება მოხდეს მისი საშიში გამოცვლა. აღმაფრენისა და სიხარულის გრძნობამ შეიძლება შეუმჩნევლად გადაფაროს სიყვარულის გრძნობა. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება, გაღიმებულმა, დაულეწო ყბები სხვებს და ყოველივე ეს გიხაროდეს. მაშინ აგრესია გადავა უფრო ღრმად ქვეცნობიერში და მომავალ თაობებს უფრო მეტ ვნებას მიაყენებ. როგორ მოვძებნოთ ამ საშიში სიტუაციიდან გამოსავალი? პასუხი შემდეგია: რაც უფრო მაღალია ენერგიის დონე, მით მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ არ დავკარგოთ სიყვარულის გრძნობა. რომელიც გვანიჭებს უნარს შევიგრძნოთ სხვა ადამიანი, როგორც ჩვენი თავი. მაშინ მკაცრი მოქცევა სხვა ადამიანის მიმართ იქნება აღზრდა, ე.ი. დახმარება მის გარდაქმნაში. თუკი ვერ ისწავლი სიყვარულს, მაშინ ყოველგვარი უხეში მოქმედება იქნება განადგურება და არა — აღზრდა. რა არის წყენა, შურისძიების სურვილი, ვინმეს დასჯის სურვილი? ეს არის ვინც გაწყენინა იმის განადგურების მცდელობა. ფილოსოფიის ენაზე რომ ვთარგმნოთ, — ეს არის სურვილი გავანადგუროთ კონფლიქტი და მისი გამომწვევი მიზეზი. სრული უკონფლიქტობა — ეს არის განვითარების არ არსებობა და სიკვდილი.

მე გამახსენდა კიდევ ერთი ისტორია. რომელსაც მომიყვა ერთი მოჭიდავე.

— ჩემი დამარცხება შეუძლებელია, — ამბობდა ის, — მე ვიცი ჩემი შესაძლებლობები, და ჩემი დონე, ჩემი ტექნიკური მომზადების დონე. შინაგანად მე მზად ვიყავი გამეხლიჩა ყოველი ჩემი მოწინააღმდეგე და ვგრძნობდი, თუ როგორი ძლიერი იყო ჩემი ნებისყოფა. მაგრამ შეჯიბრებებზე ხდებოდა უცნაური რაღაცები: გარდაუვალი იყო ტრამვები და მარცხი, მე ვერც ერთხელ ვერ შევძელი გავსულიყავი ფინალში. ხოლო მშვიდი, გულკეთილი ბიჭები გამოდიოდნენ და იმარჯვებდნენ.

ასე რომ, სურვილებმა არ უნდა დააბრმავოს ადამიანი. მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა შემთხვევაში აბრმავებს სურ-

ვილები? როგორც წესი, როცა ადამიანი კონცენტრირებულია მასზე და დანარჩენ ყველაფერს ივიწყებს — სიყვარულს, გულკეთილობას, ზნეობას. ამდენად ჰქონდეს სურვილი — ეს კარგია და სასარგებლო, მაგრამ სურვილებმა არ უნდა გადააჭარბონ სიყვარულის გრძნობას. ამიტომაც ერთს შეიძლება ჰქონდეს ძალიან დიდი სხვადასხვა სახის სურვილები და ამან მას სიკეთე მოუტანოს, ხოლო მეორე, რომელიც ეცდება ჰქონდეს იგივე სურვილები, თუკი დაიწყებს გაბოროტებას, ავად გახდება და მოკვდება.

სურვილების ენერგია — ეს ისეთივე სიმდიდრეა, როგორც ფული, ავტომანქანა, აგარაკი, ბინა. და როგორც ყველა სიმდიდრე, ის შეიძლება საშიში იყოს, თუკი ადამიანი მზად არ არის თავისი ბედნიერებისთვის.

სპორტსმენი ჩაფიქრდა. მე დავინახე, რომ რაღაც მომენტები მისთვის გაუგებარი დარჩა.

თქვენ ამბობთ, რომ აღმზრდელობითი ზომები უნდა იყოს მკაცრი, რა აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ადამიანები ყინულზე ერთმანეთს ურტყამენ? არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არიან ჰოკეისტები, რომლებსაც გააქვთ შაიბა, და არიან ისეთებიც, რომლებიც ფულს ღებულობენ მოთამაშეთა ცემაში. და როგორ დავიცვათ ასეთ შემთხვევაში შინაგანი წონასწორობა?

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ნაწილდება ენერგია, — ვუპასუხე მე. — წარმოიდგინე საბრძოლო ხელოვნების ოსტატი. ეს ადამიანი მრავალი წლის განმავლობაში ეუფლებოდა მეცნიერებას, რომელიც ასწავლის მკვლელობას. მაგრამ მან ბოლოს და ბოლოს გაიგო, რომ საბრძოლო ხელოვნების მიზანი არ არის მოწინააღმდეგის მოკვლა. იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი, უკვე არის შენი მოწინააღმდეგე. და თუკი ყოველი კონფლიქტი გადაწყდება საწინააღმდეგო მხარის მკვლელობით, მაშინ, ბოლოს და ბოლოს, მოგინდება მთელი მსოფლიოს მოკვლა და მასთან ერთად შენი თავისაც. ამ დროს ოსტატმა აღმოაჩინა: საჭიროა არა მოწინააღმდეგის მოკვლა, არამედ მისი დამორჩილება, რომ

უჩვენო მას შენი უპირატესობა, ხოლო რომ გაუგო შენს მოწინააღმდეგეს, ამ უპირატესობის განსამტკიცებლად საჭიროა გარკვეული კონტაქტი.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ოსტატი აკეთებს უფრო გრანდიოზულ აღმოჩენას. თურმე, გამარჯვებისთვის საჭიროა არა იმდენად მოწინააღმდეგის დათრგუნვა, არამედ მისი მართვა. ხოლო უმაღლესი დონეა – როდესაც მოწინააღმდეგე ვერც კი იგებს, რომ მას მართავენ. მაგრამ ამისათვის საჭიროა ძალიან კარგად იცოდე და გრძნობდეთ იმას, ვისაც მართავთ.

აი, სად არის საბრძოლო ხელოვნების მწვერვალი, – ვებულობს ოსტატი, – ნამდვილი გამარჯვება მოდის ფიზიკური ბრძოლის გარეშე. ჭეშმარიტი საბრძოლო ხელოვნება – ეს არის უნარი მართო სხვა ადამიანები, იმუშაო იმ ზონაში, რომელზეც ისინი არც კი ეჭვობენ. ჭეშმარიტი მართვა მოდის მომავლიდან. რაც მეტია შენი შესაძლებლობები მართო მომავალი, მით უფრო შეუმჩნევლად და აუცდენლად შეგიძლია მართო სხვა ადამიანი.

და რაღაც მომენტში ოსტატს გონება გაუნათდა. რომ მართო სხვები, უნდა ისწავლი საკუთარი თავის მართვა. ძუნწი, შურიანი, წყენია კაცი ყოველთვის იქნება დამოკიდებული, და ამდენად, ვერ შეძლებს მართოს სხვები. მხოლოდ რეალურად თუ შევცვლით საკუთარ თავს, ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ მომავალი და ვმართოთ სხვა ადამიანები. ხოლო, რომ დასძლიო საკუთარი თავი, ე.ი. შენი ინსტიქტები, სხეული და ცნობიერება, საჭიროა მოძებნო სხვა საყრდენი წერტილი.

რომ შეიგრძნო თავისუფლება შენი ცხოველური და ადამიანური საწყისებისგან, საჭიროა შეიცნო შენში ღვთაებრივი საწყისი, შეიგრძნო, რომ ეს არის ერთადერთი მუდმივი რეალობა. ამრიგად, გამოდის, რომ ერთადერთი რეალური მიზანი საბრძოლო ხელოვნებისა – ეს არის შეიცნო შენს თავში ღმერთი.

ასე რომ, მაშინაც კი როდესაც სპორტსმენები ურტყამენ ერთმანეთს, ენერგია ნაწილდება ყველა დონეზე ერთდროულად. და თუკი მთავარი ვექტორი გადაიხრება მოწინააღმდეგის განადგურების სურვილისკენ, მაშინ ადგილი ექნება ტრავმებს, ავადმყო-

ფობებს და წარუმატებლობებს. ხოლო, თუკი ვექტორი გადაიხრება თვითგანვითარებისკენ, წარუმატებლობები და ტრავმები იქნება ნაკლები. ადრე თუ გვიან, სამყარო უნდა დაუბრუნდეს შემოქმედს, და ამისათვის სიყვარულის დონე ჩვენს სულში ყოველთვის უნდა მატულობდეს. ის, ვინც კარგავს სიყვარულს, უნდა მოკვდეს. ხოლო ის, ვინც მას ამრავლებს, უნდა განვითარდეს.

მე ისევ ვისხდები ფანჯარაში, ვაკვირდები თუ როგორ იღვრება განთიადის სხივები. აღმოსავლეთში ადამიანები, მედიტაციის დროს, უძრავად სხედან მრავალი საათის განმავლობაში და არაფერი არ ემართებათ. ხოლო დასავლეთის ადამიანი უძრავად დაჯდება რამდენიმე საათი და ავად ხდება. მე ვერსად ვერ მოვისმინე ვინმეს ეცადოს ამ ფენომენის ახსნა. თუმცა ყველაფერი ძალიან მარტივია, თუკი მივმართავთ ენერგიის ცნებას.

როდესაც მეცნიერები ზომავდნენ მედიტაციის პროცესში ადამიანის ტვინის რიტმს, ხედავდნენ საინტერესო სურათს. თავიდან ყველა რიტმი აჩვენებდა ძილის დადგომას. მედიტაციაში მყოფს ამ დროს უდარდელად ეძინა. მაგრამ უცებ ტვინის გარკვეული ზონები იწყებდა აქტიურობას. იწყებოდა აქტიურობა, ე.ი. ადამიანს ეღვიძა ძილში. დასავლეთის ადამიანი მიჩვეულია გასცეს ენერგია გარესამყაროსთან ურთიერთობის მეშვეობით. თუკი ის დიდ ხანს არის უმოძრაოდ, მისი ენერგიის დონე მკვეთრად ეცემა, ნივთიერებათა ცვლა ნელდება და შესაძლებელია წარმოიქმნას პათოლოგიური პროცესები.

მაგრამ თუკი ადამიანი, იმყოფება უძრაობაში, იწყებს მედიტაციას ან ლოცვას, ენერგეტიკული ფონი იქნება მაღალი და უძრაობა უკვე არ იქნება საშიში. ამრიგად, მთელი საქმე ენერგიაშია. იგივე ხდება ძილშიც. თუკი ადამიანი იძინებს დათრგუნულ მდგომარეობაში, დამძიმებული პრობლემებით, მისი ენერგეტიკა ძილში ორჯერ უფრო ეცემა და, შესაბამისად, ჩქარდება დაბერების პროცესიც. ყველაზე დაბალი ენერგეტიკა ადამიანს აქვს დილის ოთხ საათზე. ამიტომაც ყველაზე ღრმა ძილით ადამიანს ამ დროს სძინავს. ექიმებმა დიდი ხნის წინ შენიშნეს, რომ ადამიანები უფრო ხშირად გამთენიისას, კვდებიან.

რატომ ამბობენ: ღამის სამი საათი, მაგრამ დილის ოთხი საათი? იმიტომ, რომ დილა — ეს არის ენერგიის აღდგენა, და ის იწყება დილის ოთხი საათის შემდეგ. ყველაზე ფაქიზი სუფთა ენერგია მოდის ოთხიდან შვიდ საათამდე. ამიტომაც ლოცვა ყველაზე უკეთესია კერძოდ ამ დროს. ტყუილად კი არ არსებობს გამოთქმა „ვინც ადრე დგება, მას ღმერთი აძლევს".

სურვილს, რომელიც იბადება დილით, აქვს შესრულების ბევრად უფრო მეტი შანსი. მაგრამ, თუკი სურვილი არასწორია, მისი შესრულება საშიშია. ამიტომაც ვნებიანმა, ეჭვიანმა, მიჯაჭვულმა ადამიანებმა უნდა გამოიღვიძონ სურვილების შესრულების დროს. ტოროლების ნაცვლად ისინი გადაიქცევიან ბუებად და იღვიძებენ დღის თერთმეტ — თორმეტ საათზე, როდესაც სურვილების შინაგანი ენერგია ძლიერ დასუსტებულია. ძირითადად დღის ოთხი საათის შემდეგ იწყება ენერგიის დაწევა, ხოლო საღამოს რვა საათის შემდეგ ენერგიის დაწევა ჩქარდება. ამიტომაც არის, ალბათ, ჰარმონიულმა ადამიანმა უნდა გაიღვიძოს დილის ოთხ-ხუთ საათზე და დაიძინოს საღამოს ცხრა საათისთვის. ეს ასუსტებს გარეგან ენერგიას, მაგრამ აძლიერებს ფაქიზ ენერგიას. მაშინ ადამიანის ენერგია უმეტესად მიმართულია სტრატეგიული მოხმარებისკენ, ვინემ ყოველწუთიერი.

გამოდის, რომ ტოროლები უფრო მეტად ენერგიის დაგროვებისკენ არიან მიდრეკილნი, ხოლო ბუები კი მისი ხარჯვისა და რეალიზაციისკენ. „საინტერესო თემაა, — ვფიქრობ მე, — საჭიროა კიდევ ერთხელ დაუბრუნდეთ მას". დილით სინამდვილეში ყველა სურვილები შესაძლებლია აგისრულდეს დიდი ალბათობით. მაგრამ მათ რომ არ გავნონ, საჭიროა, რომ სურვილების ფესვები იყოს სუფთა. ამისთვის კი საჭიროა, ლოცვა. ახლა ნათელი ხდება, თუ რატომ იწყებდა ძველ დროში დილას ლოცვით, ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი.

„რამდენად საინტერესოდ და ლამაზად არის მოწყობილი ეს ცხოვრება, — ვფიქრობ მე. — ყველაფერი შექმნილია ურთიერთწინააღმდეგობის შედეგად. თუკი გინდა ააშენო სახლი მაღალი კედლებით, თავიდან შენ უნდა დაიწყო სხვა საქმის კეთება:

უნდა გააკეთო საძირკველი. და რამდენადაც შენ გინდა შენი სურვილების შესრულება, ინდენად უარი უნდა თქვა მათზე, დაივიწყო მის შესახებ, და მის საფუძველზე კონცენტრაცია უნდა მოახდინო — სიყვარულის გრძნობაზე. კედლები იზრდება საძირკვლიდან, სურვილები კი სიყვარულიდან. ის, ვინც კედლებს აშენებს ქვიშაზე, მალე იღებს ბედნიერების გრძნობას. მაგრამ იგივე ბედნიერება მას დამარხავს.

მეცნიერება, რომელიც ეთაყვანება ადამიანის სხეულს, მოგვიწოდებს სურვილების დაუყოვნებლივ შესრულებისაკენ. რელიგია მოგვიწოდებს მათი უარყოფისაკენ. და ორივე ფიქრობს, რომ სიმართლე მის მხარესაა. სინამდვილეში ორივე სწორია. და ამასთან არცერთი არ არის სწორი. ააშენო კედელი საძირკვლის გარეშე — ეს სიგიჟეა, მაგრამ სისულელეა არ ააშენო კედელი, როდესაც ფუნდამენტი უკვე გაქვს. მხოლოდ სიყვარულის გრძნობა განსაზღვრავს, რა და როდის უნდა აშენდეს.

რატომ შობდა რელიგია ყოველთვის მეცნიერებას? იმიტომ, რომ რელიგია არის ფუნდამენტი. სამყაროს შეცნობა იწყებოდა მისი უარყოფის მომენტიდან. და მსოფლიო რელიგიები, ეხმარებოდნენ რა ადამიანს თავი დაეღწია ამ სამყაროსა და მის თაყვანისცემისთვის, ავსებდნენ ახლადდაბადებულ სურვილებს მაღალი ენერგიით.

თანამედროვე ცივილიზაციამ ააშენა მაღალი კედელი და საძირკველი, რომელიც ჩადებულია დიდი ხნის წინ, უკვე ინგრევა, რადგან ვერ უძლებს ამ კედლების წონას. ჭკვიანი მეპატრონე არ დაუწყებს ყურებას იმას, თუ როდის დაინგრევა კედელი. ის დაუყოვნებლივ გააჩერებს მშენებლობას და დაიწყებს საძირკვლის გამაგრებას. ზოგიერთები კი საძირკველზე მაშინ იწყებენ ფიქრს, როდესაც კედლები დაინგრევა.

მე ისევ ვუყურებ უძირო ლურჯ ცას. თვითმფრინავი ემზადება დასაშვებად. ის სამყარო, საიდანაც მე გამოვფრინდი, შეიცვლება სხვით. ამ ახალ სამყაროში მეც გავხდები სხვანაირი და, ამდენად, შემეძლება განვთავისუფლდე პრობლემებისაგან და ვიქონიო ურთიერთობა ჩემს ჭეშმარიტ „მესთან“.

# სინგაპური

მე მივეჩვიე დილით ადრე ადგომას. დილით ორი საათის განმავლობაში შეიძლება გააკეთო მეტი, ვინემ რვასაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში. მე გამომეღვიძა და ვიყურები სასტუმროს ფანჯრიდან. ფარდებს შორის არსებული სივრციდან ოთახში შემოდის ნაადრევი ცისკარი. სასტუმრო მდებარეობს იმ მდინარის პირას, რომელიც მთელ ქალაქს ჰკვეთს. დილით ადრე გასეირნება, როდესაც ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს, დიდი სიამოვნებაა. სინგაპური ჩაძირულია სიჩუმეში. ისმის ჩიტების გალობა. მე მივდივარ სანაპიროზე, მოსჩანს სახლები და ცათამბჯენები. გუშინ ქალაქში იყო ექსკურსია.

ადრე ეს ქალაქ-კუნძული იყო ინგლისელების კოლონია, ხოლო როდესაც ისინი წავიდნენ, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ აღმოაჩნდათ განვითარების პროგრამა. აწი როგორ ვიცხოვროთ? აი იმდროინდელი მთავარი საკითხი, სინგაპურის მცხოვრებლებმა მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და სთხოვეს გამოეგზავნათ ექსპერტები. ერთ-ერთმა სპეციალისტმა, რომელსაც სთხოვეს პროგრამის შემუშავება, დააყენა ორი პირობა. <u>პირველი: სინგაპურის მთავრობაში არ ყოფილიყვნენ კომუნისტები, და მეორე: შური არ ეძიათ ინგლისელებზე და არ ჩამოეგდოთ მათ მიერ დადგმული ძეგლები. ყოფილი კოლონიზატორები რომ წასულიყვნენ, ვინ ჩადებდა ფულს სინგაპურის განვითარებაში.</u>

ეს რეკომენდაცია ეხებოდა ეკონომიკურ სტრატეგიასაც. მაგრამ, თურმე, ამ რეკომენდაციებს ჰქონდათ ფრიად ახლო ურთიერთობა ფსიქოლოგიასა და ბიოენერგეტიკასთან. ახალი სახელმწიფო შენდებოდა არა შურისძიებისა და ერთისთვის წართმევისა და მეორისთვის მიცემის პრინციპზე, არამედ სახელმწიფოს განვითარების პრინციპზე. თავისი არსით კონცეფცია იყო ძალიან მარტივი: არ იდარდოთ წარსულზე და არ ეძებოთ დამნაშავენი, პატივი ეცით ჭკვიანებს და ენერგიულებს, მხარი დაუჭირეთ ღარიბებს, უზრუნველყავით ერთნაირი პირო-

ბები ბავშვებისა და სტუდენტებისთვის. ჩინოვნიკებმა მიიღეს მაღალი ხელფასები. ამასთან, შემოღებულ იქნა მკაცრი კანონები, რომლებიც არ იძლეოდა ქურდობის საშუალებას.

ამჟამად, ადგილობრივ მცხოვრებთა სამოცდაათი პროცენტი არ იხდის გადასახადებს. თუკი ოჯახის შემოსავალი განსაზღვრულ თანხაზე ნაკლებია, ითვლება რომ, არაეთიკურია ღარიბებს წაართვა თანხა. და სახელმწიფო აყვავდა. აქ შესანიშნავად მუშაობს ორმხრივი კავშირის მექანიზმი. არასწორი კანონი ან ჩატარებული ღონისძიება მაშინათვე იღებს საზოგადოებრივ შეფასებას და ხდება მისი კორექტირება.

რუსეთის ახლანდელი ზნეობრივი დამბლა უფრო მეტად სოციალისტური აზროვნების შედეგია. სოციალისტური იდეების აბსოლუტური შეუმცდარობა ავტომატურად გადაჰქონდათ პარტიაზე. პარტიასა და მის ლიდერებს თვლიდნენ შეუმცდარებად. და ამდენად, მათ რაგინდ უნიჭო ქმედებებიც არ ჩაედინათ, არ ექვემდებარებოდნენ საზოგადოების მხრიდან შეფასებას და კრიტიკას.

როდესაც აზროვნებაში არ არის ორმხრივი კავშირი, ის ხდება ბრტყელი და სტატიკური. მაშინ ყოველგვარი გეგმა, ყოველგვარი მომავლის მოდელი გეჩვენება ვარდისფრად. ორმხრივი კავშირი – ეს არის ტკივილი, უბედურება, უსიამოვნება. <u>რა არის ავადმყოფობა? ეს არის ორმხრივი კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის. არსწორი ქმედება ბადებს ავადმყოფობას. ადამიანი შეიმეცნებს თავის არასრულყოფილებას, და ეს უბიძგებს მას განვითარებისა და სამყაროს შემეცნებისკენ.</u>

მას, ვინც ფიქრობს მომავალზე, წარმოუდგენია შესაძლებელი პლიუსები და მინუსები, თავის ყველაზე ტკბილ ოცნებებშიც კი ითვალისწინებს შესაძლებელი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს. რაც უფრო მეტი შესაძლებელი უარყოფითი ფაქტორების მოდელირება შეუძლია ადამიანს, მით მეტია შანსი, რომ მისი სურვილები შესრულდეს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქ არსებობს ორი უკიდურესობა.

როდესაც ადამიანი მიდის სახიფათო გზაზე, ყველა გამაფ-

რთხილებელი და ამკრძალავი ნიშანი – ეს არის დაშიფრული გაფრთხილება საშიშროების შესახებ, სასიკვდილო საშიშროების ჩათვლით. ნორმალური ადამიანი წავა წინ და ამასთან ყურადღებით დააკვირდება არასასიამოვნო ნიშნებს. ისინი დაეხმარებიან მას გააკეთოს შესაძლებელი საშიშროების მოდელირება და თავიდან აიცილოს ასეთი. ესე იგი, ნორმალური ადამიანის აზროვნებაში შესაძლებელია დაისადგუროს ორმა ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობამ.

განუვითარებელი ფსიქიკის ადამიანები ჩავარდებიან უკიდურესობაში. ერთნი იმსჯელებენ ასე: „ფსიქოლოგები ამბობენ, რომ არ შეიძლება წარმოიდგინო ცუდი, თორემ ის შენ დაგემართება. ამიტომ არსასიამოვნო ნიშნებს მე არ შევხედავ. კარგ ხასიათზე ვარ და რატომ უნდა გავიფუჭო იგი?" მეორე ვარდება დეპრესიაში: „რამდენი არასასიამოვნო ნიშანია, და გზაც ასეთი საშიშია. უკეთესი იქნება, არსად წავიდე".

რუსეთში მიღებულ ფრაზას: „გვინდოდა გამოსულიყო კარგი და გამოვიდა როგორც ყოველთვის", სინგაპურში ალბათ საერთოდ ვერ გაიგებენ. ეს, რუსეთში შეუძლია ადამიანს კონცენტრაცია გააკეთოს სიამოვნებაზე, ნათელ მომავალზე და მოიშოროს ყოველგვარი არასასიამოვნო აზრები. და ბუნებრივია, კარგს ასეთნაირად ვერასდროს მიიღებ. რაც უფრო მეტ ბედნიერებას მივიღებთ ჩვენ, მით უფრო მეტ ტკივილს ვიგრძნობთ მის დაკარგვის შემთხვევაში. და ის, ვინც მზად არ არის ტკივილისათვის, ვერ მიიღებს ბედნიერებას.

მაღალგანვითარებული ცივილიზაცია გულისხმობს პასუხისმგებლობის მაღალ დონეს. თუკი ალპინისტს უნდა დაიპყროს მაღალი მწვერვალი, ესე იგი, განახორციელოს ურთულესი ტექნიკური ასვლა, მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი შინაგანი და გარეგანი მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიღუპება.

რუსეთში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში პასუხისმგებლობის სრული უქონლობის პირობებში, ცდილობდნენ შეექმნათ მაღალგანვითარებული საზოგადოება. გარეგანი პასუხისმგებლობა – ეს არის კარგად მოფიქრებული კანონები.

შინაგანი პასუხისმგებლობა – არის ყოველი ადამიანის ზნეობრივი განვითარების მაღალი დონე. დღეს რუსეთის საზოგადოება მთელი ძალით ცდილობს იერიში მიიტანოს მწვერვალზე. მაგრამ ამ „ალპინისტს" პრქტიკულად არა აქვს ალპინისტის შეიარაღება. ის ფიზიკურად სუსტად მომზადებულია, მორალურადაც სუსტია, ესე იგი, მზად არის უღალატოს და ხელი ჰკრას ამხანაგს საკუთარი გადარჩენის მიზნით. ასეთი დონის მომზადების ალპინისტები ერთი თოკით გადაჯაჭულნი დიდ ხანს ვერ იქნებიან. ყოველი მათგანი კი არ დაეხმარება მეორეს, არამედ გადააგდებს კლდიდან. ამიტომაც, მიუხედავად ამჟამინდელი ნავთობის მაღალი ფასებით გამოწვეული კეთილდღეობისა, იზრდება ტენდენცია რუსეთის დაშლისა.

არცერთ უზნეო ცივილიზაციას დიდ ხანს არ უარსებია. ზნეობრიობა არამარტო გვეხმარება შევინარჩუნოთ სიყვარული და ღმერთის რწმენა, არამედ ის გვეხმარება ვიგრძნოთ ჩვენი თავი ერთიანად სხვა ადამიანთან, ის გვეხმარება არ მოვკლათ ვინმე, არ გავძარცვოთ, არ გვშურდეს სხვების. ზნეობრიობა გვასწავლის: არ განიძარცვო შენი თავი, არ დასარჯო მარაგი, რომელიც შენ შეინახე ზამთრისთვის. უზნეო ადამანს არ შეიძლება ჰქონდეს სტრატეგიული აზროვნება. ძუნწი არ შეიძლება იყოს ბრძენი. ამიტომაც უზნეო ადამიანებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ დღეისათვის ბრწყინვალე პროექტები, და არც ფიქრდებიან იმაზე, რომ ეს პროექტები ხვალ და ზეგ დამღუპველნი გახდებიან.

ჩემს წინ ჩაფრენილი ჩიტი მაწყვეტინებს ფიქრებს. გარეგნულად ის შაშვს ჰგავს. ჩიტი დაფრინდა ჩემთან ახლოს, სანაპიროს ქვის ფილაზე. შემდეგ კი დააფრინდა ბიჭისა და ძაღლის გამოსახულებიან ბრინჯაოს სკულპტურას. სკულპტურა ძალიან სიმპათიურად გამოიყურება. ჩვეულებრივ ბიჭს ეკვრის ძაღლი. არის ამაში რაღაც არაჩვეულებრივი. მე ყურადღებით ვაკვირდები და უცებ ჩემამდე დადის: ბიჭს ჩინელის სახე აქვს.

სინგაპურის მოსახლეობის ორი მესამედი ჩინური წარმოშობისაა. „ეს ახლაა ჩემთვის უჩვეულო წვრილთვალება ჩინური

სახის სკულპტურის ნახვა, ვფიქრობ მე. დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი წლის შემდეგ რუსეთში დაბადებული ბავშვების ნახევარს ასეთი თვალებით ექნებათ". მე ჩავდივარ მიწისქვეშა გადასასვლელში, რომელიც გაყვანილია მდინარეზე გადებული ხიდის ქვეშ. კედელზე ჰკიდია წარწერა, – რომ ველოსიპედისტი, რომელიც აქ გაივლის დაჯარიმდება 1000 დოლარით. საღეჭი რეზინა სინგაპურში საერთოდ არ იყიდება, ხოლო სიგარეტის ნამწვავის გადაგდებისთვის დაგაჯარიმებენ 500 დოლარით. კანონი გეხმარება შეიკავო შენი ცხოველური ვნებები და გაიძულებს იზრუნო სხვების ინტერესების დასაცავად. „ამასთან არა მხოლოდ ფიზიკურის, არამედ სულიერისაც. ცივილიზებულობა და პასუხისმგებლობა, – ვაგრძელებ მე ფიქრს, – მათთან მშვენივრად ავსებენ ერთმანეთს".

მიწისქვეშა გადასასვლელის შუაში ზის მათხოვარი. ის ცუდად ჩაცმულია, მის წინ დგას ფულის ჩასაყრელი პლასტმასის ჭიქა. ორი დღის განმავლობაში მე მხოლოდ ერთ მათხოვარს შევხვდი. ის მიყურებს და აქანავებს თავის ჭიქას, ელოდება ფულის ჩაგდებას. მე ჯიბეებში ვიყოფ ხელს, მაგრამ ხურდა არ აღმომაჩნდა. ვშლი ხელებს: „მაპატიე, ძმაო, შენ არ გაგიმართლა". ის გაცებით მიქნევს თავს და ჭიქას განზე დგამს. „საინტერესოა, რატომ არის ეს ადამიანი მათხოვარი?" – ვფიქრობ მე.

ვუყურებ მის აურას და ყველაფერი ნათელი ხდება. მას სრულებით არ შეეძლო მიეღო ბედის სიმუხთლე. მის სულს ძლიერ სურდა კეთილდღეობა, ბედნიერება, სტაბილურობა. და თუ ის ამ ბედნიერებას მიიღებდა, ადვილი შესაძლებელია გამხდარიყო ავად და მომკვდარიყო. რაც უფრო ცუდად ცხოვრობს ადამიანი, მით უფრო ნაკლებადაა ბედით უკმაყოფილო. ის უბრალოდ ვერაფერს დაეყრდნობა, გარდა სიყვარულისა, რომელსაც ვერავინ ვერსდროს წაართმევს. მხოლოდ ჩვენ თვითონ შეგვიძლია მასზე უარი ვთქვათ.

ამ ადაიანს ველი დახურული აქვს, ესე იგი, პრაქტიკულად ენერგია არა აქვს. მაგრამ სრულ მათხოვრობაში ის გადარჩება, და ალბათ, ავადაც არ გახდება. მე მექანიკურად ხელს ვიყოფ

გულის ჯიბეში და მოულოდნელად ხელში მხვდება ხუთდოლარიანი კუპიურა. გამახსენდა, რომ აღმოსავლეთის კალენდრით დღეს დგება ახალი წელი. მე ვბრუნდები და ვაძლევ მათხოვარს ხუთ დოლარს. „Happu New Year!“ – ვეუბნები მე. ის იღიმება და მადლობას მიხდის. და აქ ხდება ის, რასაც არ მოველოდი, – მისი აურა იცვლება, მასში უკვე აღარ არის სიკვდილი.

ვაგძელებ გზას და ვცდილობ გავერკვე თუ რა მოხდა. ნუთუ, სიხარულს შეუძლია ადამიანის ასე შეცვლა? მე ვიხსენებ სტატიას, თუ როგორ მოიგო რუსეთში ერთმა ნახევრად მათხოვარმა ქალმა მილიონ დოლარამდე ფული. ხოლო ერთი წლის შემდეგ ის ნახეს ბომჟების კამპანიაში. ამრიგად, საქმე ფულში არ არის. არამედ ბედნიერების შეგრძნებაშია, რომლის შეკავებაც ადამიანს უნდა შეეძლოს. ფული პირველადი არ არის. თუკი სულში ჰარმონია არ არის, ფული წავა.

მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ სიხარული, დადებითი ემოციები იმუნიტეტს აძლიერებს. ამის საპირისპიროდ, თუკი ადამიანის უსიამოვნებები სიყვარულს და სიხარულის გრძნობას დაფარავენ, იმუნიტეტი დაეცემა და ადამიანს დაემართება სხვადასხვა დაავადებები. ამჟამად ექიმები ცდილობენ სისტემურად შეხედონ თუ რა არის ავადმყოფობის ცნება, და მიდიან შემდეგ დასკვნამდე: თუკი ადამიანს იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს, მისი ცალკეული ორგანოების მკურანალობას აზრი არა აქვს. დაგვრჩა გავარკვიოთ, თუ რა არის იმუნიტეტი.

თავის დროზე, მეცნიერები მივლენ დასკვნამედე, რომ იმუნიტეტი – ეს არის ენერგია. ენერგიებს აქვს ცოტა განსხვავებული ბუნება, ეს ენერგია განსხვავდება კუნთების (ფიზიკური) ენერგიისგან. ჩვენი ემოციები, გრძნობები – ესეც ენერგიაა. მაქსიმალური ენერგია არსებობს ორ სხვადასხვა მხრივ მიმართულ პოტენციალებს შორის. ყველაზე მაღალი პოტენციალი – ეს არის დროის ნაკადებს შორის სხვაობა.

ბუდა ამბობდა: „მხოლოდ აქ და ახლა“. ქრისტე ამბობდა: „არ იზრუნოთ ხვალინდელ დღეზე... ყველასთვის საკმარისია

მისი ზრუნვის დღე“. თურმე, ისინი, ვინც ცდილობენ იცხოვრონ ხვალინდელი დღით, თითქოს გადასახლებულნი არიან იქით, მიბმულნი არიან ერთ პოტენციალს, და მათი ენერგია ეცემა. ისინი, ვინც წარსული მოგონებებით ცხოვრობენ, ასევე კარგავენ ენერგიას, და მასთან ერთად იმუნიტეტს. ასე რომ, თუკი თქვენ გინდათ გაარკვიოთ, გეპარებათ თუ არა ავადმყოფობა, გახედეთ თქვენს თავს შორიდან, განსაზღვრეთ, სად არის ბედნიერების განცდის მთავარი შეგრძნება. თუკი ის წარსულშია, მაშინ თქვენ ავად ხართ და არა გაქვთ ენერგია. თუკი მომავალშია, მაშინ თქვენ გელით ენერგიის დიდი დანაკარგი და პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ. მხოლოდ მაშინ იქნებით ჯანმრთელი, თუკი თქვენი ბედნიერების მთავარი განცდა არის აწმყოში.

ზოგჯერ ადამიანისთვის ძნელი გასარკვევია, თუ სად არის მისი მთავარი დადებითი ემოცია. გეტყვით: თუკი თქვენ გენანებათ წარსული, და არ შეგიძლიათ მიიღოთ მომხდარი შემთხვევა, მაშასადამე, თქვენი მთავარი ბედნიერება წარსულშია, და თქვენ ყოველთვის იქნებით ენერგიის დაკარგვით გამოწვეულ სინანულში. თუკი თქვენ გაქვთ მომავლისადმი მომეტებული განცდა, მიეწებეთ მას, შიში და ნაღველია, მაშასადამე, თქვენ მიატოვეთ აწმყოთი ცხოვრება, და სულ უფრო ნაღველში დაკარგავთ ენერგიას. ფაქიზ დონეზე არ არის მკვეთრად გამოხატული წარსული და მომავალი, იქ ყველაფერი აწმყოა, ამიტომაც მიწებება წარსულსა და მომავალზე — ეს სინამდვილეში არის აგრესია დროის მიმართ, მისი სტრუქტურის განადგურება.

ზოგჯერ მე თავს ნებას ვაძლევდი მენახა ვიღაცის მომავალი და ვხედავდი ამას როგორც წარსულს. ეს ჩვენს აზროვნებაშია, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკურ ფორმებთან. რომ ვხედავთ ცარიელ მოედანს, ხოლო შემდეგ კი აშენებულ სახლს, და ვამბობთ, რომ წარსულში სახლი არ იყო, ხოლო ამჟამად, აწმყოში, ის არსებობს. ფაქიზ დონეზე კი სახლი არსებობდა მის მოვლინებამდე და იარსებებს იმის შემდეგაც, რაც მას დაანგრევენ. ესე იგი ინფორმაცია ობიექტის შესახებ არსებობს მის გამოჩენამდე და მისი გაქრობის შემდეგაც.

ჩვენი ქვეცნობიერება დაკავშირებულია ფაქიზ დონეებთან, და იქ კი დროის სულ სხვა დინებაა. იქ მაშინათვე მოსჩანს წარსული, აწმყო და მომავალი. და ის, რაც მოხდება, ხშირად მოჩანს, როგორც უკვე მომხდარი. და რაც უფრო ღრმა ფაქიზ დონეებს ვწვდებით, მით უფრო მაშტაბურია წარსულისა და მომავლის ხედვის არეალი. ენერგია გადაიქცევა ინფორმაციად. სამყარო აბსოლუტურად ერთიანია ყველაზე ფაქიზ დონეზე, ამიტომაც, ვძირავთ რა ჩვენს ოცნებებს ქვეცნობიერში, ჩვენ ვიწყებთ გარესამყაროს მართვას.

სიხარული – ეს არის ქვეცნობიერებაში შესაღწევი კოდი. დავერჩა ავხსნათ თუ რა არის სიხარულის გრძნობა. მაგალითად, რატომ გვიხარია, როდესაც ვღებულობთ საჩუქარს? რატომ გვიხარია, როდესაც ვიწრო ბინიდან გადავდივართ დიდ, ნათელ ბინაში? რატომ გვიხარია, როდესაც ვღებულობთ ბევრ ფულს? და რატომ არის, რომ სიხარულის გრძნობა შედარებით მალე გვიქრება და ჩვენ ვერჩევით იმ ბედნიერებას, რომელიც მივიღეთ?

ერთმანეთთან შედარების და ანალიზის მეშვეობით, მე მივედი დასკვნამდე. ადამიანში სიხარულის გრძნობა დაკავშირებულია ენერგიის გამოტყორცნასთან. რაც უფრო ფაქიზია ენერგიის დონე, მით უფრო ლამაზ სიხარულის გრძნობას განვიცდით ჩვენ. უმაღლესი სიხარულის გრძნობა, რომელიც ადამიანს შეუძლია განიცადოს არის – ღმერთის სიყვარული. ამ გრძნობის მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ უმაღლეს ენერგიას. და მის მეშვეობითვე გვიყვარს ახლო ადამიანები და გარესამყარო.

სამყარო მუდმივად ფართოვდება. ეს ნიშნავს, რომ სიყვარული და სიხარული მუდმივად მიდიან მასთან, და ეს ენერგია მხარს უჭერს სამყაროში ყველაფრის არსებობას. თუკი ცოცხალი და არაცოცხალი არსება დაარღვევს სამყაროს კანონებს, ის კარგავს სიყვარულის და სიხარულის ენერგიას და მალე იღუპება. ამდენად, სამყაროს გადარჩენის და განვითარების კანონი – ეს არის სიყვარულის შენარჩუნებისა და გამრავლების კანონი, ალბათ, ამიტომ ამბობდა მოციქული „ყოველთვის მხიარულად

იყავით“. გულისხმობდა, რომ სიყვარული და სიხარული მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

როდესაც ვცდილობდი შემესწავლა უცხო ენები, შევნიშნე ერთი თავისებურება. მაღაზიაში, ტაქსში ან ქუჩაში მე ადვილად ვიმახსოვრებდი ყველანაირ სიტყვათაწყობას, ხოლო როდესაც სახლში ვიჯექი და ვიზეპირებდი, შედეგი ბევრად უარესი იყო. შემდეგ მივხვდი, რომ მთელი საიდუმლო იმაში იყო, თუ რა ხდება ქუჩაში. იქ შენ მოძრაობ, მოქმედებ, ურთიერთობ. ხოლო სახლში ზიხარ და გასცემ მინიმუმ ენერგიას. ამრიგად, შეიძლება უბრალოდ იარო ოთახში, იმახსოვრო სიტყვები, და შედეგი ბევრად უკეთესი იქნება.

რატომ არის, რომ სიყმაწვილეში ბევრად უკეთესია მეხსიერება და უფრო ადვილია ენების შესწავლა? იმიტომ, რომ სიყმაწვილეში ბევრად მეტი ენერგია გაიცემა. ხშირად მოხუცები ხუმრობენ „მე მეხსიერებამ სკლეროზთან მიღალატა“. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ფაქიზი ენერგიის ძლიერი დაცემა. შემჩნეულია, რომ შემოქმედებით ადამიანებს მეხსიერება შემორჩებათ ღრმა სიბერემდე. ამას ხსნიდნენ იმით, რომ ისინი ბევრს ვარჯიშობდნენ. სინამდვილეში კი ეს არის მაღალი ენერგეტიკული ტონუსის შენარჩუნება. შემოქმედებითი ადამიანები ამიტომაც ნელა ბერდებიან.

ახლახან ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე საინტერესო ცნობა. ექიმებმა შეიმუშავეს პაციენტების მახსოვრობის გასაუმჯობესებელი პროგრამა. და მოულოდნელად შეამჩნიეს უჩვეულო კავშირი მეხსიერების გაუმჯობესებასა და პოტენციის გაუმჯობესებას შორის. ესე იგი ფაქიზი ენერგია, რომელიც აუცილებელია პოტენციისთვის, ასევე აუცილებელია მეხსიერების გასაუმჯობესებლად.

შესაძლებელია წაიკითხო ეს სტრიქონები და გაიფიქრო, რომ უკვე აღმოჩენილია ბედნიერებისა და ჯანმრთელობის საიდუმლო. საჭიროა ხშირად გაიღიმო და გიხაროდეს, რომ იქნები ჯანმრთელი და მდიდარი. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი საიდულო. შეიძლება შეეკითხო შენს თავს: „საიდან მოვიტანო

ენერგია, იმისათვის, რომ მუდამ ვიმხიარულო და გალიმებული ვიყო?“ პასუხი მარტივია: სიყვარულის გრძნობიდან.

თურმე, გულში თუ არ არის სიყვარულის გრძნობა, შენ კი იცინი და გიხარია, მაგრამ ამით შესაძლებელია აცარიელებ ფაქიზ დონეს, ესე იგი გამოსწოვ ენერგიას შენს შთამომავლობას, მოგაქვს ის შენი ბედ-იღბლიდან, შენი მომავლიდან. ესე იგი ანადგურებ სტრატეგიულ მარაგს წუთიერი კომფორტული არსებობისთვის.

ამრიგად, სიყვარული ყოველთვის გადაიქცევა სიხარულად, მაგრამ სიხარული ყოველთვის არ გადაიქცევა სიყვარულად. ბუნებრივია, გსურს იკითხო: „როგორ ვისწავლოთ სიყვარული?“ ბოლო დროს ხშირად მისვამენ ასეთ კითხვებს. პასუხი კი იმდენად უბრალო და დიდი ხნის ნაცნობია, რომ ძნელია დაიჯერო.

შეეცადეთ დასაწყისისთვის გააკეთოთ ელემენტარული რამ: დაიცავით ათი მცნება, რომელიც კაცობრიობას მიეცა სამნახევარი ათასი წლის წინ. პირველი, რა უნდა გავიგოთ, — უმაღლესი ბედნიერება, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს, ეს არის ერთობა ღმერთთან. თუკი სულმა ეს პოსტულატი არ მიიღო, ის აუცილებლად გადაერთვება რამე სხვაზე და დაკარგავს უმაღლეს ენერგიას. ამიტომ თაყვანი უნდა სცე მხოლოდ ერთიან შემოქმედს. <u>იმისათვის, რომ შეიგრძნო შენში ღვთაებრივი, როგორც რეალური, საჭიროა პერიოდულად უარი თქვა ყოველივე მიწიერ საქმეებზე. ასეთ დღედ შეიძლება იყოს პარასკევი, შაბათი ან კვირა. წელიწადში ერთხელ ასეთნაირი უარის თქმა შესაძლებელია გაგრძელდეს დაახლოებით თვენახევარს.</u>

როდესაც ადამიანს სულში ბევრი სიყვარული აქვს, მან ის მუდამ უნდა გასცეს ენერგიისა და შემოქმედების, მზრუნველობისა და სამუშაოს სახით. და თუ ადამიანი ქურდობს, ყაჩაღობს, კლავს, ეთაყვანება გარეგან სიამოვნებებს, მაშინ ის გადაერთვება მოხმარების რეჟიმში და კარგავს სიყვარულს. სიყვარულის გარეშე სექსის მიზანია სუფთა სიამოვნების მიღება. ენერგია გამოიტყორცნება არა გრძნობის განსავითარებლად და არა ბავშვების გასაჩენად, არამედ უბრალოდ სიამოვნება

სიამოვნების გულისთვის. ამიტომაცა რომ მრუშობა ასევე ართმევს ადამიანს სიყვარულს.

სიყვარული რომ შეინარჩუნო, საჭიროა პერიოდულად განიწმინდო ტკივილით. ჩვენ ქვეცნობიერად ყოველთვის გვიყვარს ჩვენი მშობლები, რომლებმაც მოგვცეს სიცოცხლე. ამიტომაც მშობლების პატივისცემა, პატიება, მათ მიმართ ყოველგვარი პრეტენზიების მოხსნა, გვეხმარება ვიგრძნოთ სუფთა, უანგარო სიყვარული. შურიანი ადამიანი – ეს არის მომხმარებელი, რომელსაც ყოველთვის უნდა მიიღოს მეტი, ვინემ გასცემს. ბუნებრივია, ის ვერ ისწავლის სიყვარულს, სანამ არ დასძლევს ამ მდგომარეობას.

სამნახევარი ათასი წელია, რაც კაცობრიობამ იცის ათი მცნება, მაგრამ საინტერესოა იცავს მას ერთი პროცენტი მაინც? როგორც ითქვა, სიხარული – ქვეცნობიერებაში შესაღწევი კოდია. სიყვარული კი, შესაბამისად, ეს არის დიდი შესაძლებლობა შევაღწიოთ ქვეცნობიერებაში. ამდენად, როდესაც ადამიანს უყვარდება, ის იდეალურად უნდა შეესაბამებოდეს სამყაროს კანონებს, სხვანაირად დაიღუპება. ასე რომ, ძუნწი ადამიანისათვის, შურიანისთვის, ადამიანისთვის რომელიც ტკბება თავისი უპირატესობით და სამართლიანობით, რომელიც ეთაყვანება თავის სურვილებს და ინსტინქტებს, სიყვარული გადაიქცევა სასიკვდილო საშიშ გრძნობად. ამდენად სიყვარულის წინაშე უნდა ვიყოთ აბსოლუტურად დაუცველნი – სულიერად და ფიზიკურადაც. სიყვარულთან უნდა ვიყოთ გულწრფელნი. სიყვარულის წინაშე უნდა ვიყოთ თავგანწირულნი, მზრუნველნი და გულუხვნი. სიყვარულის წინაშე უნდა ვიყოთ მტკიცენი, რომ არ ვეთაყვანოთ სურვილებს და ინსტინქტებს. ამ გრძნობისთვის საჭიროა ვემზადოთ წინასწარ, რამდენადაც ჩვენს მსოფლმხედველობას წლების განმავლობაში აფორმებს ჩვენი რეფლექსები. ჩვენ სწორედ რეფლექსებით ვახდენთ რეაგირებას სიყვარულის გრძნობაზე.

გამოდის, რომ აფეთქებული სიყვარულის გრძნობა, როგორც კამერტონი ამოწმებს სამყაროს კანონებისადმი ჩვენს შე-

საბამისობას. და ის, ვისაც ეშინია ამ გრძნობის და გაურბის მას, სინამდვილეში, ანადგურებს ურთიერთკავშირის მექანიზმს, რომელიც სულს აერთიანებს სამყაროსთან. „უკანონობის გამრავლების მიზეზით, ბევრში განელდება სიყვარული“ — წარმოსთქვა ქრისტემ ეს ფარაზა ორი ათასი წლის წინ. ახლა ჩვენ ვხედავთ სანამდის მივყავართ ამ პროცესს.

კაცობრიობა უკვე რამდენიმე ასი წელია უტევს ქვეცნობიერებას. ამას აკეთებენ ჰიპნოზიორები, ფსიქოლოგები, ექიმები, სპეცსამსახურების წარმომადგენლები. რატომაც არა, მაშინ ხომ შესაძლებელი იქნება განიკურნოს ყოველგვარი ავადმყოფობა, განავითარო ყოველგვარი ნიჭი, გახდე მსოფლიოს მბრძანებელი! მაგრამ ფაქიზ დონეზე მსოფლიოზე ძალაუფლების მოპოვება ნიშნავს — ძალაუფლებას ღმერთზე, და ასეთი ტენდენციის წარმომადგენლები ადრე თუ გვიან იმეტებენ მთელ თავიანთ საგვარეულოს გადაშენებისთვის და ღუპავენ თავიანთ შთამომავლებს.

დაახლოებით ოცი წლის წინ მე წავიკითხე საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი, სადაც მოთხრობილი იყო ადამიანისთვის ზეშესაძლებლობების გახსნის თაობაზე. ცდისპირ სტუდენტ-მოხალისეებს მაგრად შეახვევდნენ, და აჩერებდნენ რამდენიმე დღეს. ასეთ მდგომარეობაში ენერგია, რომელიც სხვა დროს იხარჯებოდა ფიზიკურ მოქმედებებზე, ურთიერთობაზე, იწყებდა მიდინებას არა გარე სამყაროში, არამედ შიგნით.

ადამიანი გრძნობდა საპნის სუნს, რომელსაც შეიტანდნენ მეზობელ ოთახში. ცოტა კონცენტრაციის შემდეგ ხედავდა თუ რა ხდებოდა კედელს იქით მეზობელ ოთახში. მე ვფიქრობ ამ ფენომენის ახსნა ადვილია. ყოველგვარი მოვლენა ჯერ ხდება ფაქიზ დონეზე, ხოლო შემდეგ ხდება მისი დუბლირება გარეგან დონეზე. ფაქიზ დონეზე არ არსებობს კედელი და არ არსებობს სხვაობა დღევანდელსა და ხვალინდელ დღეებს შორის. შემდეგ, გავაანალიზე რა სხვადასხვა ტექნიკა, მივედი უბრალო დასკვნამდე. ჩვენი სხეული იზოლირებულია გარემომცველი სამყაროსგან. და ჩვენი ცნობიერებაც, რომელიც დაკავშირებულია

სხეულთან, ასევე იზოლირებულია. მაგრამ ადამიანს აქვს ცნობიერების სხვადასხვა შრე. ყველაზე ახალგაზრდა შრე დაკავშირებულია სხეულთან. ის იბადება, და კვდება მასთან ერთად, და დამოკიდებულია მასზე. მაგრამ არის ცნობიერების შრეები, რომლებიც სხეულთან მიმართებაში პირველადია. და შესაბამისად უკვე სხეულია მათზე დამოკიდებული. ეს შრეები დაკავშირებულია არა სხეულთან, არამედ მთელ სამყაროსთან. და როდესაც ჩვენ ვიწყებთ მათთან ურთიერთობას, გვეხსნება ზეშესაძლებლობები.

ამიტომაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან არსებობდნენ ადამიანთა დახურული ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ შეეცნოთ კოსმოსი ჩვენს შიგნით. რომ შეხვიდე ქვეცნობიერში, საჭიროა მასთან დაკავშირებული სხეულისა და ცნობიერების უძრაობა. ძველ აღთქმაში აღწერილია სიტუაციები, როდესაც სერიოზული შემთხვევების წინ ადამიანები რამდენიმე დღეს შიმშილობდნენ. ამის შემდეგ მათი ლოცვები უფრო მალე ახდებოდა, ხოლო თუკი ისინი მიდიოდნენ მეფესთან რაიმეს სათხოვნელად, მეფე თხოვნას უსრულებდა.

ინდოეთში თუ ვინმეს უნდოდა გახსნოდა ზეშესაძლებლობები, ამისათვის მთავარი პირობა იყო ოჯახის, შვილებისა და სექსის უქონლობა. როდესაც პითაგორა მოსწავლეებს ღებულობდა თავის სკოლაში, ის მათ სთავაზობდა გაევლოთ ორმოცდღიანი მარხვა. თუკი ადამიანი ამ მარხვას ადვილად აიტანდა, ესე იგი, მისი სული მზად იყო ამქვეყნიურის უარყოფისთვის და მას სთავზობდნენ სხვა გამოცდას. რამდენიმე თვის განმავლობაში არ უნდა ელაპარაკა, შესაძლებელი იყო რამდენიმე წელიწადის განმავლობაშიც.

ადამიანი — ეს არის სოციალური არსება და ყოველდღიურ ურთიერთობაზე იხარჯება ძალიან დიდი ენერგია. შემთხვევით კი არ არის, რომ ბერები უთქმელობის აღთქმას დებდნენ და, განმარტოვდებოდნენ რა, ხდებოდნენ განდეგილები. პითაგორას სკოლაში სულიერი ენერგია მიდიოდა შესაძლებლობების განსავითარებლად და მუშაობდა ერთი ადამიანის დაცვისა და

განვითარებისათვის, ხოლო ბერების ეს ენერგია მუშაობდა ღმერთთან ერთობისთვის და, ამდენად, სულის განვითარებისა და მრავალი ადამიანის გადასარჩენად.

სხვათაშორის, მე დიდ ხანს ვერ ვგებულობდი, თუ რატომ მიდიოდა ქრისტე უდაბნოში ორმოცი დღით და კერძოდ ორმოცდღიანი მარხვა რატომ ითვლებოდა ყველაზე ოპტიმალურად. პასუხს მივხვდი ახლახან. ერთი პაციენტი მომიყვა საინტერესო დაკვირვების შესახებ, რომელიც ეხებოდა საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვის შესწავლას. თუკი ადამიანი სწავლობს ბეჭდვას ოციოცდაათი დღის განმავლობაში, მაშინ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ ჩვევები იკარგება; ხოლო თუკი სწავლობს ორმოცი დღე და მეტი, რაც გინდ დრო გავიდეს, ჩვევები არ გავიწყდება.

მაშინ მე უცებ მივხვდი, რომ ორმოცი დღე – ესეც ქვეცნობიერში შესაღწევი კოდია. ჩვენმა მეხსიერებამ უნდა დაივიწყოს ის, რაც ჩვენ არ გვჭირდება. მაგრამ თუკი რაღაც ძალას ან შინაგან მდგომარეობას ჩვენ ვაკავებთ ორმოც დღეზე მეტ ხანს, მაშინ იგი გადადის ქვეცნობიერში და არის იქ განუსაზღვრელად დიდ ხანს. თუ ადამიანი გადის მკაცრ ორმოცდღიან მარხვას, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როდესაც ქვეცნობიერება უფრო მეტად ღიაა, მაშინ, შემდეგი მთელი წლის განმავლობაში მას შეუძლია იმხიარულოს, აისრულოს სურვილები, მაგრამ შინაგანად იქნება მათგან დაშორებული და, მაშასადამე, არ გახდება თავისი სურვილების მონა და არ მოუწევს ამ ადამიანური ბედნიერებისთვის სამაგიეროს ზღვევა.

ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია პატიება, – ეს არის ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია მიიღოს წარსული. ეს არის ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია გაიღოს მსხვერპლი არც ნებაყოფლობით და არც დაძალებით. ხოლო სიყვარული და ღმერთის რწმენა, უმსხვერპლოდ არ არსებობს, ამიტომაც ის, ვისაც არ შეუძლია აპატიოს და მიიღოს ტკივილი ისე, რომ შეინარჩუნოს ერთიანობა ღმერთთან, ავადმყოფია.

ფსიქოლოგებმა ჩაატარეს უჩვეულო ექსპერიმენტი. სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანებს აძლევდნენ მხოლოდ ერთ

კითხვას: „შეგიძლიათ თუ არა აპატიოთ იმათ, ვინც თვითმფრინავები დააჯახა ნიუ-იორკის ცათამბჯენებს?" გამოკითხულთა ნაწილმა კატეგორიულად უპასუხა: „არა, არასოდეს". ყველა ისინი აღმოჩნდნენ მძიმედ ავადმყოფი ადამიანები. მაშასადამე, კაცობრიობა უტევს ქვეცნობიერებას. მაგრამ არა იმისათვის, რომ სული გახადოს სრულყოფილი, არამედ იმისათვის, რომ სხეული უზრუნველყოს კეთილდღეობით. არის არსებითი სხვაობა. <u>არასწორი აზრი ცნობიერებაში ვნებს ერთ ადამიანს და მის სხეულს. არასწორმა აზრმა ქვეცნობიერებაში, შესაძლებელია დააზიანოს კაცობრიობა და მთელი სამყარო. ალბათ, სამყარო თავს დაიცავს.</u>

მახსენდება, ოცი წლის წინ თუ როგორ გავიგე ექსპერიმენტის შესახებ, რომელსაც ხაბაროვსკში ატარებდა ერთი ჩინელი. სამყარო — ეს არის რიტმებისა და რყევების ერთობლიობა. ყოველგვარი პროცესი კვანტურია, ესე იგი, ხდება ულუფებით. და მაშასადამე, თუკი გამოიყენებ ტალღურ ტექნოლოგიებს, შესაძლებელია შეცვალო ნებისმიერი ობიექტის სტრუქტურა, მათ შორის ცოცხალისაც. ვნახე ამ მომღიმარი ჩინელის ფოტოსურათი. მაშინ ის იყო სამოცდაათი წლის, მაგრამ გამოიყურებოდა როგორც ორმოცი წლისა.

ის ემიგრაციით ჩამოვიდა ხაბაროვსკში მას შემდეგ რაც, ჩინეთში დაიწყო კულტურული რევოლუცია, და შექმნა საკმაოდ მარტივი აპარატი. ასხივებდა რა ქათმის კვერცხებს, იქიდან იჩეკებოდნენ იხვის ჭუკები, კურდღლები კი ბადებდნენ ხმალკბილა ბაჭიებს. მე დავუკავშირდი ადამიანს, რომელიც ითვლება თანამედროვე ფსიქიკური იარაღის მამად. მან ეს ფენომენი ამიხსნა შემდეგნაირად.

ყოველგვარ პროცესს და ყოველ ობიექტს გააჩნია თავისი მთავარი რეზონანსური სიხშირე, ასეთივე გააჩნია დნკ-საც. და თუკი გავიგებთ შესაბამისი ტალღების სიხშირეს, ნებისმიერი ცოცხალი არსების დნკ-ში, შეიძლება შევიყვანოთ ნებისმიერი ინფორმაცია. 1990 წელს ეს ადამიანი ისე გაქრა, რომ ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. რამდენიმე წლის შემდეგ ნიუ-

იორკში წავიკითხე პუბლიკაცია მისი ბოლო ექსპერიმენტების შესახებ. იგი ასხივებდა თავის ოთხმოცდაათი წლის მამას, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი კბილი. რამდენიმე ხნის შემდეგ მამას ამოუვიდა კბილები, და ის გაახალგაზრდავდა რამდენიმე ათეული წლით. ამასთან, ის ფიზიკურად ძალიან შეიცვალა და დაემსგავსა საინფორმაციო დონორს.

ასე რომ, როდესაც ეს გამომგონებელი გაქრა, მე ვიფიქრე, რომ იგი მოკლეს. შემდეგ კი რომელიღაც ცნობაში წავიკითხე, რომ ეს ადამიანი ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ჩინეთში. ალბათ, ამერიკიდან ის მოიპარეს ჩინეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა. ეს ქვეყანა რუსეთისგან განსხვავებით აფასებს სპეციალისტებს. მაგრამ, რადგანაც ჩინეთის ძირითადი მოსახლეობა კერპთაყვანისმცემელია და ქვეყნის მთავარი იდეოლოგია კომუნიზმია, გამალებული ტექნიკური პროგრესი შესაძლებელია აღმოჩნდეს დამღუპველი არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

ყოველივე ეს ძალიან უცნაურად გამოიყურება. ჩინეთი, ეს უძველესი და მაღალი კულტურის ქვეყანა, არასდროს გამოირჩეოდა განსაკუთრებული რელიგიურობით. ამ ფენომენის საიდუმლო, ვფიქრობ, აიხსნება შემდეგი ფაქტორით. კოლოსალური იფორმაცია, რომელიც კაცობრიობამ მიიღო ექვსი-შვიდი ათასი წლის წინ, გადაიცემოდა ინდურ ეპოსში, შემდეგ კი წმინდა წიგნებში. დამუშავებული და გაადვილებული სახით ის შემოვიდა დასავლეთში, და განაპირობა შუამდინარეთის, ძველი ეგვიპტის, ისრაელის და ძველი საბერძნეთის აყვავება. იგივე ინფორმაცია ტიბეტის გავლით გადავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთში, ჩინეთსა და იაპონიაში.

უმაღლეს დონეზე რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება მთლიანობაში ერწყმიან ერთმანეთს. თუკი დასავლეთში უმაღლესი ცოდნა მოდიოდა რელიგიის მეშვეობით, ტიბეტში და ჩინეთში ის მოდიოდა ფილოსოფიის მეშვეობით. ამიტომაც ჩინელი ხალხის აღზრდის ტრადიცია, უზრუნველყოფდა იგივე ცოდნას და სამყაროს კანონების შესრულებას. ზნეობრივი კა-

ნონები ჩინეთში სრულდებოდა განუხრელად. ქურდობა, იგივე კორუფცია, იქ ისჯება სიკვდილით. რუსეთში კი ქურდობა იწოდება დემოკრატიად, ქურდობისა და გარყვნილების შემწყნარებლობა – ჰუმანიზმად.

საინტერესოა, მოასწრებს კი რუსეთი აღადგინოს სამყაროსა და მას შორის მოშლილი უკუკავშირი? სამყაროს თვალსაზრისით, ცალკეული ადამიანისა და სახელმწიფოს ბედს შორის სხვაობა არ არსებობს. ადამიანი ჯერ ჩადის ერთ შეცდომას, შემდეგ კი მეორეს. ერთი ზნეობრივი შეცდომა, შემდეგ მეორე, მაგრამ ყველა ქცევა ყოველთვის შეკრულია ერთ მთლიანობაში. და ერთი ქცევა ულმობლად ითრევს ყველა დანარჩენს. ეს კი არის კარმის კანონები. ყველა მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებულია დროში, იმიტომ, რომ მათ ყველას აქვთ საერთო ძირი. და როდესაც ადამიანი ვინმეს მოკლავს ან გაძარცვავს, შემდეგ კი ცდილობს დაივიწყოს ეს, თითქოს არაფერი ყოფილა, ეს დიდი ილუზიაა. ქვეცნობიერებიდან ასეთი რაღაცები არ იშლება. ის მოკლავს და გაძარცვავს გაუცნობიერებლად.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის შესწირავს ეკლესიას დიდ თანხას, მღვდელი ასჯერ შეუნდობს ცოდვას, ის მაინც დარჩება ისეთივე მკვლელად, როგორიც იყო. მხოლოდ პიროვნების სრული ტარანსფორმაციის შემთხვევაშია შესაძლებელი ქვეცნობიერების შეცვლა, და მხოლოდ მაშინ შეიძლება ეგრეთ წოდებული ცოდვა გაქრეს.

ასე რომ, ტანჯვა, რაც გამოიარა რუსეთმა პოსტსაბჭოთა პერიოდში, სრულიად სამართლიანია. გძულდათ მტრები – მიიღეთ სხვადასხვა დაავადებები! ეთაყვანებოდით პურის ნატეხს, როგორც მთავარ ბედნიერებას – მიიღეთ მათხოვრული ყოფა! დააყენეთ ადამიანი კვარცხლბეკზე, როგორც სამყაროს უმაღლესი არსება – მიიღეთ სიცრუე და გამყიდველობა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. გეზიზღებოდათ ზნეობრიობა – მიიღეთ ახლანდელი განუკითხაობა.

მეხსიერებაში ამოტივტივდა ციტატა ენგელსის შრომიდან: „როდესაც ლაპარაკია პროლეტარიატის ინტერესებზე, სიტყ-

ვის ამოღებაც არ შეიძლება მორალსა და ზნეობაზე“. მისთვის ეს იყო სრულიად ლოგიკური. აკი მორალი და ზნეობრიობა არამატერიალური ცნებებია, ხოლო პროლეტარიატი თავისი დიქტატურით არის მსოფლიოს შეცვლის რეალური ბერკეტი. მახსოვს, როდესაც ვიყავი ძალიან პატარა, მესმოდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩინელები პირველნი დაიწყებდნენ ბირთვულ ომს. რადგან მსოფლიო კანონების მიხედვით სოციალიზმმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, რატომ უნდა დაველოდოთ კაპიტალიზმის რღვევას. ბირთვულ ომში აუცილებლად გაიმარჯვებს სოციალიზმი, და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი.

რატომღაც არავის არ მოსვლია აზრად, რომ დაიღუპება მთელი ცივილიზაცია. კაცობრიობის დაღუპვის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ერთად-ერთი აზრი: სოციალიზმმა აუცილებლად უნდა გაიმაჯვოს, ხოლო კაპირტალიზმი აუცილებლად უნდა დამარცხდეს. როდესაც ადამიანის აზრი აყვანილია აბსოლუტში, ეს ყოველთვის მთავრდება ტარგიკულად. პრეტენზიები აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე და თავის შეუმცდარობაზე ჰქონდა სამყაროში ყველაზე უფრო მაღალ სულიერ არსებას, და რომ, ის ანგელოზიდან გადაიქცა ეშმაკად, – კანონზომიერია.

რწმენამ კომუნისტური იდეების შეუმცდარობის შესახებ, მოკლა სოციალიზმი ისევე, როგორც თეზისი რომის პაპის შეუმცდარობის შესახებ კლავს ამჟამად კათოლიკებს. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ იგი რამეს უნდა ეთაყვანებოდეს, სხვანაირად ის გადაიქცევა ცხოველად ან მოკვდება. გამოყოფილი ენერგიის რეალიზაცია უნდა მოხდეს მიზნის სახით. სხვა მათ შორის არსებული პატარ-პატარა მიზნები უნდა შეერწყან ამ ერთ, უმაღლეს მიზანს. თუკი ეს მიზანი არ არის შემოქმედი, ღმერთი, მაშინ მის ადგილს იკავებს ადამიანი ყველანაირი მისი გამოვლინებით. მაგრამ ყველაზე უმაღლესი ადამიანური თვისებების და იდეების თაყვანისცემასაც კი, „სატანიზმის“ და თვითგანადგურების სუნი ასდის. კაპიტალიზმის და სოციალიზმის ტრაგედია იმაშია, რომ ორივენი ტყუპი ძმები არიან. ერთიც და მეორეც ეთაყვანე-

ბიან ადამიანურ ბედნიერებას. კაპიტალიზმი დღევანდელს, ხოლო სოციალიზმი – ხვალინდელს.

კაპიტალიზმი ეთაყვანება ინდივიდაუალურ ცნობიერებას, და ამიტომაც ის განწირულია. ინდივიდუალიზმს მივყავართ ადამიანური ინსტინქტების თაყვანისცემამდე. ფულის, ძალადობისა და სექსისკენ მისწრაფება – ინდივიდულისტურად აზროვნების აუცილებელი ატრიბუტებია.

სოციალიზმი ცდილობს რა გაანადგუროს ყოველივე ინდივიდუალური, ეთაყვანება კოლექტიურ ცნობიერებას, დღეს, სამხრეთ ამერიკის ბევრ ქვეყანაში, ფიქრობენ რა ამერიკულ კაპიტალიზმს მომავალი არა აქვსო, კვლავ ორიენტირებული არიან სოციალიზმისკენ.

ჩინეთში სოციალიზმის გამოჩენა იყო ქვეყნისათვის სერიოზული უბედურების ნიშანი. სულიერმა იმპულსმა იქ დასუსტება იწყო, ფილოსოფია და ზნეობა გადავიდა მეორე პლანზე. მიდიოდა ინდივიდუალიზმის გაძლიერება იმავე სქემით, რომელმაც დაღუპა სოდომი და გომორა. სოციალიზმმა, რომელიც გამოჩნდა ჩინეთში, დაამსხვრია ეს ტენდენციები. მაგრამ, თუ არ არის სამყაროს კანონების გაგება (ხოლო სოციალიზმი – ეს არის ძალიან პრიმიტიული მცდელობა სამყაროს კანონების გაგებისა), ვერცერთი საზოგადოებრივი წყობა დიდ ხანს ვერ გასტანს.

არის მესამე გზა, ჩვენ მას ვხედავთ არაბულ ქვეყნებში. რელიგიის პრიორიტეტი საშუალებას აძლევს კაპიტალიზმს და სოციალიზმს ერთმანეთი შეავსონ, იმიტომ, რომ მთავარ მიზანს წარმოადგენს არა ადამიანი და საზოგადოება, არამედ ღმერთის რწმენა. არაბული ქვეყნების ეკონომიკა და პოლიტიკა ამტკიცებენ თავიანთ სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ ეს აყვავებაც დროებითია.

ევროპაში, თავიდან, რელიგია იძლეოდა მნიშნელოვანი სულიერი ზრდის იმპულსს, რასაც მოჰყვა ეკონომიკის მკვეთრი ზრდა. შემდეგ ცივილიზაციამ დაიწყო კულტურისა და რელიგიის ჩახშობა. ამრიგად, მომავალი ჩვენს პლანეტაზე არც კაპიტალიზმს და არც სოციალიზმს არა აქვთ. მგონი, მხოლოდ მეც-

ნიერებასთან გაერთიანება მისცემს საშუალებას რელიგიას, განავითაროს და შეინარჩუნოს ცივილიზაცია ზნეობრიობის ჩარჩოებში.

პრინციპში კომუნიზმის იდეები ეყრდნობოდნენ ინტუიტურ წინასწარჭვრეტას. მომავლის ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ კეთილნი, მათ არ უნდა მოეპარათ, ერთმანეთი არ უნდა მოეკლათ და არ გაეძრცვათ, ენერგია შურის ნაცვლად უნდა წასულიყო თვითგანვითარებაზე. მათ ექნებათ სიყვარულის და პატიების უნარი. შრომის შესაძლებლობა მათთვის იქნება დიდი ბედნიერება. ესე იგი, თავისი არსით, ყველა კომუნისტური იდეალები შეესაბამებოდა ათ მცნებას. მხოლოდ ამ ათი მცნების მთავრი არსი, ღმერთის სიყვარული იყო ამოღებული. საინტერესოა, რატომ?

პასუხი მხოლოდ ერთია. კომუნიზმის იდეა გახდა ოპოზიცია, რელიგიის ალტერნატივა, რომელმაც ვერ გაიგო და დაამახინჯა ის, რასაც ამბობდა ქრისტიანობის დამაარსებელი. კომუნიზმი შეეცადა აელო ძველი და ახალი აღთქმის არსი, გადაეგდო იქიდან მონალექი შრე, რომელიც ფარავდა ჭეშმარიტებას. მაგრამ იმისათვის, რომ მომავლის ადამიანი, რომელიც ჩაფიქრებული იყო კომუნისტების მიერ, გამოსულიყო, მას უნდა ჰქონოდა ერთი თვისება, რომელიც უფლებას მისცემდა სიხარულით ემუშავა და გაეცა ბევრად მეტი, ვინემ მიეღო.

ეს თვისება – არის ენერგია. ვის შურს სხვისი და ვის უნდა, რომ წაართვას სხვას ცოლი, ნახირი და ქონება? იმას, ვისაც არა აქვს ენერგია, თვითონ მოიპოვოს ის. ვინ არის მზად მოიპაროს და იყაჩაღოს? ის, ვინც მიჩვეული არ არის თვითონ იმუშაოს. წაართვა სხვას ბევრად უფრო ადვილია, ვინემ თვითონ შექმნა. ვინ არ სცემს პატივს მშობლებს, არ ზრუნავს მათზე და არ პატიობს მათ ნაკლოვანებებს? ისევ და ისევ ის, ვისაც არა აქვს საკმარისი ენერგია. ზრუნვა, უანგარობა და მსხვერპლად შეწირვის უნარი ითხოვს ენერგიის დიდ რაოდენობას. არ შეუძლია პატიება მას, ვისაც არ შეუძლია მსხვერპლად შეეწიროს, ხოლო მსხვერპლი – ეს არის ნებაყოფლობითი დანაკარგი. უმ-

დაკავშირებულად თავგანწირვა შეუძლია იმას, ვისაც აქვს მაღალი ენერგიის დონე.

ასე რომ, იმათ ვინც დაიწყეს კომუნიზმის მშენებლობა, არ ჰქონდათ ეს ენერგია. ადამიანებს არ უნდოდათ ემუშავათ უფასოდ. და რამდენიც ხელისუფლებას არ უნდა ემტკიცებინა, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, და შრომა — ეს არის დიდი ბედნიერება, მუშაობა როგორც ასეთი, არავის უნდოდა. მუშაობა „იდეისთვის" არ გახდა პოპულარული. ადამიანები უბრალოდ შიმშილით იხოცებოდნენ. ლენინი, მიუხედავად მისი ულმობლობისა, იძულებული იყო ნება დაერთო ნეპისთვის, რომლის დროსაც შრომის შედეგი მიდიოდა არა საერთო ქვაბში — არამედ მას იღებდა ის, ვინც მუშაობდა.

გაგონილი მქონდა ასეთი ისტორია. რევოლუციის შემდეგ თეოდორე შალიაპინი გამოიძახეს თეატრში კრებაზე, და გამოუცხადეს, რომ მომავალი დღიდან ის მიიღებს იმდენს, რამდენსაც იღებდა სცენის მუშა. მომღერალი მშვიდად დათანხმდა. მეორე დღეს მოვიდა მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი და დაუწყო მუშებს დახმარება დეკორაციის გამოცვლაში. „თეოდორე ივანეს ძევ, მალე სპექტაკლი დაიწყება, თქვენ მალე სცენაზე უნდა გამოხვიდეთ", — დაუწყო დაჩქარება ადმინისტრაციამ. მან პასუხად უდარდელად ხელი ჩაიქნია და უთხრა „არა უშავს, რომელიმე მუშამ იმღეროს!" ხოლო როდესაც რევოლუციურად განწყობილმა მოქალაქეებმა მოუწოდეს მას ემღერა უფასოდ, შალიაპინმა უპასუხა: „უფასოდ მხოლოდ ჩიტები მღერიან".

სინამდვილეში კი ჩიტებიც არ მღერიან გამორჩენის ინტერესის გარეშე. მე ყოველთვის ვტკბებოდი ბულბულის გალობით და ვფიქრობდი, რომ მისი ტრელი — სიხარულის და ბედნიერების გამოხატულებაა. თურმე, სიმღერით მამალი საზღვრავს ტერიტორიას, რომელშიც ის ცხოვრობს და რომელსაც აკონტროლებს. სიმღერა — ეს არის თავისი ენერგიის და ძალების დემონსტრაცია იმისათვის, რომ დაარწმუნოს დედალი თავის პერსპექტიულობაში. ჩიტების გალობა — ეს არის ენერგეტიკული ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ეხმარება არსებობასა და გამრავლებაში.

ანაზღაურების თემა თითქოს გასაგებია. მაგრამ არის საყურადღებო დაკვირვება: თუკი ადამიანს აქვს ძლიერი დეპრესია, გაძლიერებული თავის მოკვლის სურვილი, მან უნდა მოძებნოს რაიმე თავშესაქცევი, გატაცება, მაგრამ ფული არ უნდა აიღოს ამაში. ასეთ შემთხვევაში დეპრესია გაივლის. რატომ არის საჭირო, რომ ამაში არ აიღოს ფული? აგიხსნით. ნაღველი და დეპრესია – ეს არის შინაგანი ენერგეტიკის დაცემა. როდესაც რამეთი გატაცებული ადამიანი იწყებს ენერგიის გაცემას, და არ მიაბამს ამ ენერგიის ნაკადს, რაიმე ფულად თანხას, მისი ენერგეტიკული ბალანსი აღდგება და ის გამოჯანმრთელდება როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად.

რაც მეტ ენერგიას გასცემ, მით მეტს ღებულობ. რატომ არის, რომ პლანეტის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა თავის სიმდიდრის ნახევარი შესწირა ქველმოქმედებას, ხოლო დარჩენილი ორმოცდათექვსმეტი მილიარდი, გადაწყვიტა არ დაეტოვებინა შვილებისთვის, უანდერძა მათ მხოლოდ თავის ქონების ერთი მეათასედი? იმიტომ, რომ იცის დიდი ფული გააჩერებს მათ ენერგიას, რის შემდეგაც გადაშენდებიან და დაიღუპებიან.

ადრე ფული, მატერიალური ფასეულობები ადამიანის გადარჩენის გარანტია იყო. ამჟამად მსოფლიო შეიცვალა. ელემენტარული მოთხოვნების მხრივ ადამიანი დაცულია. და თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველი ბავშვის ერთნაირ დაცულობას, განათლებას, მაშინ დიდი კაპიტალის დაგროვება შვილების მომავლის უზრუნველსაყოფად, აზრს კარგავს. მაშინ სიმდიდრის დაგროვების მიზანი, კარდინალურად იცვლება. სამუშაო, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის დაგროვება, ხდება მიზანი და საშუალება რაც შეიძლება მეტი ენერგიის გაცემისა.

რატომ არის ადამიანი ბედნიერი, როდესაც აშენებს თავის სახლს? ის ფიქრობს ასე: „მე დაცული ვიქნები, მე კომფორტულად ვიცხოვრებ“. სინამდვილეში კი იმიტომაა ბედნიერი, რომ მან უნდა გასცეს დიდი ენერგია – როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი და შემოქმედებითი. მაგრამ, როდესაც სახლი უკვე აშენებულია და ადამიანი საცხოვრებლად გადადის იქ, ბედნიერების გრძნობა

ქრება. ამიტომაა, რომ ჩვენ უფრო მეტ ბედნიერებას ვგრძნობთ მაშინ, როდესაც მივისწრაფით ჩვენი ოცნებისკენ. სინამდვილეში კი ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ მიზანს, ესე იგი, მატერიალური და სულიერი სიკეთის დაუფლებას, არის საშუალება იმისა, რომ გავცეთ რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი ენერგია.

დიდი რაოდენობის ენერგიის გაცემა მისი შევსების გარეშე სასიკვდილოდ საშიშია, და რომ ეს ენერგია განახლდეს, ჩვენ ყოველთვის უნდა ვატაროთ სულში სიყვარულის გრძნობა. მაგრამ ღმერთის რწმენის გარეშე ეს შეუძლებელია. ამიტომაც, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ: ვამუშავებთ ბოსტანს, რომ დავრგოთ იქ პამიდორი, ვაკეთებთ ფულს, რომ ვიყიდოთ ბინა, ვყიდულობთ ავტომანქანას ან ვაშენებთ კომფორტულ სახლს, სინამდვილეში ყველაფერი ეს არის საშუალება ჩვენს სულში სიყვარულის მისაღწევად, საშუალება ჩვენს თავში ღმერთის შესაგრძნობად. <u>ალბათ მალე დადგება დრო, როდესაც ადამიანისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება მუშაობა, ვინემ ამისთვის ფულის მიღება. ადრე ეს დამახასიათებელი იყო ცალკეული ადამიანებისთვის, მალე ეს იქნება ყველას მოთხოვნილება. და ყოველი გამოიმუშავებს რა დიდ თანხას, სიცოცხლის ბოლოს გადასცემს სახელმწიფოს ან საზოგადოებას, რათა მის შვილებს არ წაერთვათ ბედნიერების საშუალება.</u>

მივდივარ სანაპიროზე მდინარის გასწვრივ ქალაქში, რომელმაც საცაა უნდა გამოიღვიძოს. ვცდილობ სხვა რამეზე არ ვიფიქრო. ისევ მესმის ჩიტების გალობა და უყურებ ხეებსა და სახლებს, რომლებიც განათებულია უკვე ამოსული მზის სხივებით. ადრე სინგაპურში აპარატურა ძალიან იაფი ღირდა და რუსეთიდან ათასობით ადამიანი მუდმივად ჩამოდიოდა აქ. ამჟამად რუსეთში შესაძლებელია იყიდო უფრო საიმედო და იაფი აპარატურა. სინგაპური გახდა ძვირი ქალაქი. ფასებმა რესტორნებში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ორჯერ მოიმატა. წარმოებამ, რომელიც სულ ახლახან მუშაობდა აქ, გადაინაცვლა ჩინეთში. დადგა დრო სინგაპურელებმა მოიფიქრონ განვითარების ახალი კონცეფცია.

ვაგრძელებ გზას. რამდენიმე ხნის შემდეგ მიეედი დიდ ხიდამდე და მოვბრუნდი ისევ უკან. ქუჩებში გამოჩნდნენ ნაგვის დამსუფთავებლები. დარბიან დილის ვარჯიშის მოყვარულნი. მე ისევ მივდივარ იმ მიწისქვეშა გადასასვლელით, მაგრამ მათხოვარი უკვე იქ არ არის. ჩვენი დაშორებიდან გავიდა დაახლოებით ორმოცი წუთი. მე ისევ უყურებ მის აურას და ვხედავ უჩვეულო სურათს: მისი ველი დადის აქეთ-იქით. მოსჩანს მისი ყველა მიჯაჭვულობის დამცირების ძლიერი ხაზები. რატომღაც წავიდა მისი სპონტანური წმენდა. ასეთ სურათს მე ხშირად ვხედავდი პაციენტებთან, მათი მიღების წინ. როგორც კი ადამიანი შეიძენდა ლექცია ან სემინარზე დასასწრებ ბილეთს, მისი სულის კუნჭულებიდან მთელი ჭუჭყი მაშინათვე იწყებდა გარეთ გამოსვლას. ნათესავები ავად ხდებოდნენ, ბავშვებს უმიზეზოდ ეწყებოდათ ღებინება, ფაღარათი, უწევდათ ტემპერატურა. ემართებოდათ უსიამოვნებები და უძლიერდებოდათ ავადმყოფობა. მსგავს პროცესებს მე ვხედავდი იმ ადამიანებთან, რომლებიც მიდიოდნენ ეკლესიაში. სულის განწმენდის პროცედურა ზოგჯერ ფრიად მტკივნეულია. მთავრია, მივიღოთ ის ადრეულ ეტაპზე.

გამახსენდა უჩვეული შემთხვევა, რომელიც მოხდა გუშინ. იმის შემდეგ, რაც ვიყავი ერთ-ერთ უდიდეს მაღაზიაში და უნდა დავბრუნებულიყავი სასტუმროში. გადავწყვიტე მესარგებლა ადგილობრივი მეტროთი. როდესაც ჩავედი მეტროში სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი: მეტროს სადგური იყო სუფთა, ლამაზი და ვრცელი. უნდა მოვხვედრილიყავი ჩინურ კვარტალში. ყურადღება მივაქციე ჩემს მხარეს მომავალ ქალს და მის გვერდით სიმპატიურ გოგონას. შევეკითხე, თუ სად ჩერდებოდა ჩემი მატარებელი. მათ მიჩვენეს მიმართულება. სხვებთან ერთად დავეშვი ესკალატორით. გოგონა ისევ მოვიდა ჩემთან და მაჩვენა მიმართულება, მე მადლობა გადაუხადე. ყურადღება მივაქციე იმას, რომ ის ჩაცმული იყო უბრალოდ, მაგრამ დიდი გემოვნებით. გაისმა მომავალი მატარებლის ხმა. უცებ ისევ დავინახე გოგონა, რომელიც ჩქარი ნაბიჯებით მოიჩქაროდა ჩემსკენ.

მან ბოდიში მომიხადა და ამიხსნა ნიშნებით, რომ უნდა წავსუ-ლიყავი საწინააღმდეგო მხარეს. მე მას გავუღიმე, მადლობა გა-დაუხადე და დავხედე ხელებზე.

შემდეგ ვაგონში გამიჩნდა უჩვეულო შეგრძნება. რაღაც მოხ-და. მე ვერაფრით ვერ შევძელი გამოვთიშულიყავი ამ სიტუაცი-იდან. გავხედე ამ გოგონას ფაქიზ დონეზე. ჩვენს შეხვედრამდე მისი ველი უხეირო იყო. მასში დავინახე სიცოცხლისუუნარო ბავშვები. ნორმალური ბავშვების გასაჩენად კი გოგონას არ შეეძლო მიეღო განწმენდა. სილამზემ და მოხდენილობამ დაუ-კარგეს მას ეს შესაძლებლობა. ბავშვები — ეს არის ჩვენი მომა-ვალი, და ამ მომვალის მიღება ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როდესაც შევძლებთ მივიღოთ მისი დაკარგვა. სილამაზე, სული-ერება, იდეალები — ყველაფერი ეს დაკავშირებულია მომავალ-თან.

ძალიან ლამაზი და სულიერი ქალბატონი ქვეცნობიერად უფ-რო მაცრად ეთაყვანება მომავალს. მიიღოს მომავლის კრახი, ღალატი, თავისი სილამაზის უარყოფა, მისთვის ბევრად უფრო მძიმეა, ვინემ სხვებისათვის. სილამაზე და სულიერება — ესეც სიმდიდრეა, რომელსაც შეუძლია დაგვამზიანოს ჩვენ, თუკი საკ-მარისად არ გვაქვს სიყვარული. ალბათ უფრო, მას ზემოდან არ მისცეს შესაძლებლობა გათხოვილიყო, ან ქმარი უნდა ყოფი-ლიყო უნაყოფო, ან არ მოესურვა შვილების ყოლა, ან უშვილო ყოფილიყო თვითონ ქალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილები რომ დაბადებულიყვნენ, ავტომატურად ჩაირთვებოდა განწმენ-და, რომლის ატანა მას არ შეეძლო. ის ავად გახდებოდა, მოკ-ვდებოდა ან ოჯახი დაინგრეოდა. შეიძლება დაბადებულიყო ავადმყოფი ბავშვი ან შემდეგ მომკვდარიყო.

სპეციალურად არ ჩავედი უფრო ღრმად ფაქიზ დონეზე, რა-თა არ წარმოქმნილიყო სინანული, განცდები და თანაგრძნობა. უფრო ფაქიზ დონეზე ნაკლები ვარიანტებია, ნაკლები ადამია-ნური თავისუფლებაა, მეტი წინასწარ განსაზღვრულობაა. ასე რომ, ყველაზე გასაოცარი იყო ის, რომ ამ ათ-წუთიანი ურთი-ერთობის შედეგად მისი ველი მთლიანად გაიწმინდა. ეხლა მას

შეუძლია ჰქონდეს ოჯახი, ჰყავდეს შვილები, და ეს მისთვის საშიში არ იქნება. ვიცოდი, რომ სრული გამოჯანმრთელების ეს ილუზია დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. ჩვენი შეხვედრიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ შესაძლებელი იყო გოგონასთვის ვილაცას ებიძგა, რაღაცაზე ის უარს იტყოდა, და ყველაფერი დაუბრუნდებოდა ძველებურ მდგომარეობას. ჩემთვის საინტერესო იყო, თუ როდის მოხდებოდა ეს, რამდენხანს შეეძლო მას თავი შეეკავებინა.

პირველად საბჭოთა კავშირში როდესაც შეიქმნა პარაფსიქოლოგების ასოციაცია, მე დამავალეს მემუშავა დისტანციური დიაგნოსტიკის განყოფილებაში. იმის შესაძლებლობა, რომ შორ მანძილზე დაინახო ის, რაც ხდება სხვა ადამიანის სულში, დამეხმარა დამენახა მიზეზი და შედეგი, რომლებიც საკმაოდ დაშორებული იყვნენ ერთმანეთისგან. ფრაგმენტებისგან ვღებულობდი მთლიან სურათს. უცნაურია, მაგრამ ემოციონალური მდგომარეობა ამ გოგონას აღმაფრენისა გაჩერებული იყო და არ ქრებოდა ოცი-ოცდაათი წუთის შემდეგაც. ხოლო ორმოცი წუთის შემდეგ რაღაც გაუგებარმა ველმა დაიწყო დეფორმირება და ვიბრირება, რომლის წყარო მოდიოდა ძალიან ფაქიზი დონეებიდან, ეტყობა, სხვა სამყაროებიდან. და ეტყობა, ეს იყო მისი წინაპრების სულები.

ჩვეულებრივ შვილების სულები იმყოფებიან საიქიოში. მაგრამ გამოჩენილი, არაჩვეულებრივი ადამიანების შთამომავლები ხშირად მოდიან სხვა სამყაროებიდან. მოულოდნელად მე მივხვდი, თუ რა ხდებოდა. თუკი ადამიანის სულში იფეთქებს სიყვარული და ის ჩერდება ორმოც წუთზე მეტ ხანს, ჩნდება შესაძლებლობა სულის სიღრმისეული განწმენდისა. სულის სიღრმიდან ამოდის ჭუჭყი, და იწყება მტანჯველი განწმენდა, რომელიც შეუძლებელია სიყვარულის გრძნობის გარეშე. და თუკი ადამიანი არ უარყოფს სიყვარულის გრძნობას სულიერი ტკივილისა და წვალების დროს, მაშინ ხდება სულის ძლიერი განწმენდა და ეს ვრცელდება შთამომავლობაზეც.

ამ გოგონას, ალბათ, ეყოლება ჰარმონიული და არაჩვეულებ-

რივი შვილები, და მაშასადამე, მას უფრო მეტი სიყვარული უნდა ჰქონდეს, ხოლო მის წინ უნდა მოხდეს მაშტაბური განწმენდა. მე ვაგრძელებდი მის ველზე დაკვირვებას და გავიფიქრე, რომ ის ალბათ ამ გაწმენდას ვერ გაუძლებდა. ალბათ, უფრო დაემორჩილება უარყოფით ემოციებს, რომლებიც საიდანღაც გამოცურდნენ. შეიძლება გამოცურდეს სევდა, რაღაც ძველი წყენები და სინანული. ამ დროს მკვეთრად ძლიერდება მამაკაცების მიმართ თითქოსდა საფუძვლიანი პრეტენზიები. ის დაემორჩილება მათ, დაივიწყებს სიყვარულს, და განწმენდის პროცესი შეჩერდება. შემდეგ კი, ველში ისევ გამოჩნდება შვილების სიკვდილი, დაიწყება გაუგებრობა მამაკაცების მხრიდან, ჩხუბი და დაშორებები. შემდეგ კი ავადმყოფობა, ბავშვების, ოჯახის არ ქონა და დიდი ხნის მარტოობა. მე შევეცადე განმეგდო ჩემგან ეს აზრები და გადავრთულიყავი სხვა რამეზე. მაგრამ ფიქრები ამ ნორჩ ჩინელ გოგონაზე არ მშორდებოდა. შვიდი საათის გასვლის შემდეგ, მე ვერ მოვითმინე და გავხედე მის ველს შორიდან. დანახულმა განმაცვიფრა. ველი ძველებურად ანათებდა, იყო თანაბარი და ნათელი. ეტყობა, მან შეძლო გამოცდის გავლა.

ემოცია — ეს არის ველი. ემოცია ვრცელდება მთელ სამყაროზე. როდესაც ვფიქრობთ ცოცხლებზე ან მკვდრებზე, ჩვენ ყოველთვის შევდივართ მათთან ემოციონალურ კონტაქტში. მე დიდი გამოცდილება მაქვს მტკივნეული სიტუაციების გავლისა, სხვანაირად ვერ შევძლებდი დავხმარებოდი ადამიანებს და დამეწერა წიგნები. ალბათ, იმ გოგონამ ინტუიციით იგრძნო ჩემი მხარდაჭერა და შესძლო გაევლო ის გამოცდა, რომელიც ადრე მისთვის გადაულახავი იყო. მე მას გავხედე ერთი კვირის შემდეგაც და ველი იყო ისეთივე ჰარმონიული. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, მასში გამოჩნდა ჰარმონიული ბავშვის სული.

მაგრამ ყველაფერი ეს იქნება შემდეგში, ეხლა კი, მივდივარ სინგაპურის სანაპიროზე და შორიდან უყურებ მათხოვრის ველს, რომელსაც მივულოცე ახალი წელი. ვხედავ, რომ ის ჩამოცურდა თავის წარსულ მდგომარეობაში. ველი შეიცვალა, მაგრამ ოცი-ოცდაათი პროცენტით უკეთესობაა. მას გაუჩნდა

სევდა, გაღიზიანება და თავისი ბედით უკმაყოფილება. ალბათ, ის დანებდა ამ გრძნობებს და მოხდა განწმენდის შეჩერება. შეიძლება იმიტომ, რომ გოგონა ზრუნავდა ჩემზე და მაძლევდა ენერგიას. ხოლო მან მხოლოდ საჩუქარი მიიღო და ამან გაახარა, ვინ იცის? მაგრამ ყველა შემთხვევაში სიყვარულის გრძნობასთან შეხება, როგორც სიხარულთან და მზრუნველობასთან, უკვალოდ არ ქრება.

ძველ აღთქმაში ღმერთი მიმართავს ადამიანებს და ამბობს, რომ ცოდვის ჩადენისთვის ის დასჯის შთამომავლობას მესამე-მეოთხე მუხლამდე, ხოლო დააჯილდოვებს, – მეათასე მუხლამდე! ეს ნიშნავს, რომ შეწყალება სასჯელზე ბევრად მეტია. ხოლო თუკი ვილაპარაკებთ მეცნიერული ენით, სიყვარულის ინერცია ასჯერ და ათასჯერ აჭარბებს, სიბოროტის, სიძულვილის და წყენის ინერციას. რა არის წყენა, სიძულვილი და განსჯა? ეს არის განწმენდის არ მიღება, რომელიც მოდის სიყვარულის წინ და მის შემდეგ. რომ დაბადებულიყო იოსე ქრისტე დედამისსაც უნდა გაევლო განწმენდა. ძველ ისრაელში ქალს, რომელიც ქორწინების გარეშე გახდებოდა ორსულად, შანსი არ ჰქონდა გადარჩენილიყო ცოცხალი – იგი უნდა ჩაექოლათ.

სასწორის ერთ მხარეს იყო სიყვარული და ზემოდან მიღებული ნიშნები, მაგრამ მის გვერდით შესაძლებელი სიკვდილი, დაცინვა და დამცირება. მეორე პინაზე კი – საშიში ორსულობიდან განთავისუფლება, მაძღარი და მშვიდი სიცოცხლე. ქალმა აირჩია სიყვარული და ღმერთის რწმენა, ეს აღმოჩნდა მისთვის ინსტინქტებზე და თვით სიცოცხლეზე მთავარი. და იესო ქრისტეს მეშვეობით მოვიდა ინფორმაცია, რომელიც ნებას აძლევს ახლანდელ ცივილიზაციას, შეიძინოს ახალი მომავალი. იმიტომ, რომ ქრისტემ შესძლო უარი ეთქვა თავის მომავალზე ღმერთის სიყვარულის გამო და გადასცა ადამიანებს აუცილებელი ცოდნა. მისი დედისთვისაც სიყვარული და ღმერთისადმი რწმენა იყო მომავალზე და საკუთარ სიცოცხლეზე უფრო მთავარი.

<u>ყოველი ადამიანის სულმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა გააკეთოს მთავარი არჩევანი: რა არის მისთვის მთავარი –</u>

ღმერთის სიყვარული თუ მომავალი? არა მარტო ქრისტიანები, არამედ მუსულმანებიც თვლიან ქრისტეს მაცხოვრად. იმიტომ, რომ მან, არამც თუ თქვა, არამედ ანახა მთელი თავისი ცხოვრებით, თუ რამდენად უფრო მთავარია ღმერთის სიყვარული ყველა ადამიანურ ბედნიერებაზე. ის, ვინც მზად არის დაკარგოს მომავალი სიყვარულის გულისთვის, მიიღებს მას. ყოველი ადამიანი უნდა იქნეს ჩაყენებული ასეთ სიტუაციაში. ახლა დგება დრო, როდესაც არჩევანი უნდა გააკეთოს მთელმა კაცობრიობამ.

ვბრუნდები სანაპიროდან და მივდივარ სასტუმროში. დღეს საღამოს ტაქსი წამიყვანს ბორანზე. ორმოცდახუთი წუთი ცურვის შემდეგ ის მიმიყვანს კუნძულ ბინტანზე, სადაც შესაძლებელი იქნება დასვენება. სულში მაქვს სიხარულის და აღმაფრენის განცდა. სინგაპური ძალიან მომწონს. ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ, როდესაც ჩავაბარებ ნივთებს და ბარგს სინგაპურის საბაჟოში, მომპარავენ ორ ბოთლ შესანიშნავ კონიაკს, რომელიც ვიყიდე Duty Free-ში, და თავიდან ეს ჩემში გამოიწვევს აღშფოთებასა და განსჯის გრძნობას იმათ მიმართ, ვინც ეს ჩაიდინა. შემდეგ დგება გაღიზიანება და განსჯა საკუთარი თავის მიმართ — რატომ არ ჩავდევი მე შტერმა ძვირფასი ნივთები ხელის ბარგში! შემდეგ ამ სიტუაციას შევხედე, როგორც შესაძლებლობას გამეცა მსხვერპლი. როგორც ეტყობა, დაცულობისა და სამართლიანობის თემა მე ჯერ კიდევ ვერ დავძლიე. ზემოდან თავაზიანად მომცემენ შესაძლებლობას ვიზრუნო სულზე, პასუხად კი ვიქოქოლებ და გავღიზიანდები. მაგრამ, უკვე, არა დიდ ხანს. ბევრად უფრო ცოტა ხანს, ვინემ რამდენიმე წლის წინ. ხოლო ასეთ საქმეებში მთავარია — დადებითი დინამიკა, ასე არ არის?

# შეხვედრა ტოლიატში

ტოლიატში ჩასატარებელი სემინარის წინ შუაღამეს გამეღვიძა. თავიდან ვერ მივხვდი, თუ რა ხდებოდა. შემდეგ აზრზე მოვედი: ჩემი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. სიცოცხლე ნელ-ნელა ტოვებს სხეულს. ენერგია შეუმჩნევლად და ნელა გადის მისგან.

მე შევეჩვიე საშიშროების პირველი ნიშნებზე რეაგირებას. რას ვაკეთებთ ჩვეულებრივ, როდესაც ცუდად ვგრძნობთ თავს? ჩვეულებრივი ქმედებაა – განთავისუფლდე ამ შეგრძნებისგან, გასწიო ის განზე. ჩვენ უყურებთ მას, როგორც მტერს, როგორც აყადმყოფობას, მაგრამ ეს ხომ გაფრთხილებაა.

უბრალო რჩევა: თუ თქვენ დაგეწყოთ აგრესიული ემოცია ან დისკომფორტი, უარი თქვით ყველაფერზე და ილოცეთ. მაშინ, შესაძლებელია, სიკვდილის საშიშროება, რომელიც მოგიახლოვდათ, ბევრად უფრო შემცირდეს.

ვიწყებ ლოცვას და ვცდილობ უარი ვთქვა ჩემს მდგომარეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დიაგნოსტიკა ვერ იმუშავებს. ადრე მე ვფიქრობდი, რომ ღალატი – ეს არის მხოლოდ იდეალების და მომავლის კრახი. სინამდვილეში ეს არის უფრო ღრმა პროცესი. თავიდან ირღვევა ერთიანობა სამყაროსთან, ხოლო შემდეგ იწყება მეორე ეტაპი: ინგრევა მომავალი და შენი ბედი. თუკი ამ მომენტში შევინარჩუნებთ ღმერთის სიყვარულს, მაშინ ამ სამყაროსთან ერთიანობის დარღვევა მოხდება და სულში ჩაიღვრება ღვთაებრივი ენერგია.

ერთიანობის კრახი ხდება მაშინაც, როდესაც ღგება საკუთარი სიკვდილი, განსაკუთრებით, თუ წვალებით კვდები. თუკი ამ მომენტში შევაკავებთ სიყვარულსა და ღმერთისაკენ მისწრაფებას, სული კარგად იწმინდება. მაგრამ სიყვარულის ინტენსივობა უნდა იყოს ძალიან მაღალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიტანთ.

რა არის ადამიანის ხასიათი? ეს არის გარესამყაროს მიმართ ადამიანის რეაქციათა ერთობლიობა. ეს რეაქციები განი-

საზღვრება იმით, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს. თუკი მე დაუცველი ვარ, ვცდილობ ყოველ სიტუაციაზე რეაგირება მოვახდინო კეთილგანწყობით. თუკი ვარ ძლიერი და დაცული, მე გამოვცემ აგრესიას. თუკი ვარ დიდი უფროსი, წყენაზე ვპასუხობ რისხვით და გაღიზიანებით. თუკი ვარ პატარა ბავშვი, წყენაზე ვპასუხობ ტირილით. თუკი – ვარ სიყვარული, წყენაზე ვპასუხობ სიყვარულით. თუკი წამიერად მაინც ღვთაებრივი „მე" გახდება ჩვენთვის რეალური, აგრესიული ემოციები გაქრებიან. მაშასადამე, ძალიან მნიშვნელოვანია შევიგრძნოთ საკუთარი თავი მატერიალიზებულ სიყვარულად. მაშინ, ყოველგვარი ჩვენი მკაცრი გარეგანი ქმედებები იქნება აღზრდა და დახმარება და არა სხვა ადამიანის განადგურება.

ეტყობა, ქრისტიანობის არსი იმაშია, რომ შევიგრძნოთ ღვთაება ჩვენში. იუდაიზმში ღმერთი ადამიანში არ არის. და ცოდვაც ადამიანს გარეთაა – მის მოქცევაში, ცხოვრების ნირშია. ქრისტიანობა – ეს არის სახელმძღვანელო, თუ როგორ შევიცნოთ ღმერთი ჩვენში. ცოდვა ქრისტიანული გაგებით, არის ადამიანის შიგნით. როგორც კი დავკარგავთ ღვთაებრივს ჩვენში, ვდგამთ პირველ ნაბიჯს ცოდვისკენ. ეშმაკად იქცა ანგელოზი, რომელმაც დაკარგა შეგრძნება იმისა, რომ მისი „მე" იყო ღვთაებრივი. მან გადაწყვიტა, რომ მისი „მე" – ეს იყო ცნობიერება, ჭკუა, ნება, ნიჭიერება.

მაგრამ იმისათვის, რომ ღვთაებრივმა გადაინაცვლოს ადამიანის სულში და გახდეს მისთვის რეალური, საჭიროა, სიყვარული მოდიოდეს უწყვეტ ნაკადად და მისი შეჩერება არ შეეძლოს განსჯას, წყენას ან სევდას. ერთ-ერთი ძნელად დასაღწევი ბარიერი სუსტი სიყვარულისთვის, – ეს არის ახლო და საყვარელი ადამიანების მხრიდან ღალატი, გარდაუვალი სიკვდილის საშიშროების შეგრძნება, თვითონ გაწვალებული სიკვდილი, თანაც უსამართლო. მაგრამ, თუკი ასეთ მდგომარეობაში სიყვარული არ შედრკება, მაშინ ხდება სულის სრული განწმენდა და ღვთაებრივი სიყვარული მოვა ახალ ენერგიასთან და ახალ მომავალთან ერთად. რომ შეიგრძნო, არის თუ არა შენი ჭეშ-

მარიტი „მე“ ღვთაებრივი, სიყვარულის ინტენსიობა უნდა იყოს ისეთი, რომ მოიხსნას დამოკიდებულება ყველა დონის ადამიანურ ბედნიერებასთან.

კაცობრიობას უახლოვდება ახალი მომავალი. ის რომ მივიღოთ, მასზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. თუკი თქვენ ისწავლით გიყვარდეთ ის, ვინც გიღალატათ, იცით რა, რომ, ის არაფერ შუაშია, თუკი თქვენი სიყვარული არ შედრკება, როდესაც გაიგებთ, რომ ხვალ მოკვდებით, თუკი თქვენ უსამართლოდ მოგექცევიან ადამიანები და ბედისწერა და დაინგრევა თქვენი ოცნებები და იმედები, ხოლო თქვენი ღმერთისადმი სიყვარული არ შედრკება, არამედ მხოლოდ გაძლიერდება, მაშინ თქვენ დარჩებით ცოცხალი იმ გარდაქმნების დროს, რომელიც მალე დაიწყება.

ერთ-ერთ ბარათში, რომლებსაც მე ვღებულობ ლექციებსა და სემინარებზე, ნათქვამი იყო, რომ ქალბატონი ათი წლის განმავლობაში კითხულობდა ჩემს წიგნებს და ცდილობდა წესრიგში მოეყვანა თავი, ხოლო ახლახან მას დაუსვეს დიაგნოზი „კიბო“. რომ არა დიაგნოსტიკა, მე გავაკეთებდი ერთადერთ დასკვნას: ჩემმა ცოდნამ მას ვერ უშველა. როდესაც გავხედე მის ველს, გავიგე, თუ რაშიც იყო საქმე. მან თავისი თავი წესრიგში მოიყვანა, მაგრამ, როდესაც დაიწყო შვილებისა და შვილიშვილების განწმენდა, მისმა სულმა ეს ვერ მიიღო. უსიამოვნებამ დაბადა აგრესია, რომელიც დამუხრუჭდა ავადმყოფობით. რომ გაიწმინდო არა მარტო შენ, არამედ შვილებიც და შვილიშვილებიც, სიყვარულის ინტენსიობა უნდა იყოს 90 — 100 ერთეული. შენი სულის გასაწმენდად საკმარისია ოციც. ამ ქალბატონს, სამწუხაროდ, ამდენი არ ჰქონდა.

ხდება ხოლმე, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში ნათლობის შემდეგ პატარა ბავშვები შეიძლება ავად გახდნენ, შესაძლებელია მოკვდნენ კიდეც, და რაც უფრო კარგია ეკლესიის ენერგეტიკა, მით მეტი პრობლემები შეექმნება შავი სულის მქონე ბავშვს. ადამიანები, რომლებსაც აქვთ სიყვარულის შინაგანი აგრესია, ეკლესიაში თავს ცუდად გრძნობენ, შესაძლებელია

გრძნობაც კი დაკარგონ. ამიტომაც ბევრნი არ დადიან ეკლესიაში, ამართლებენ რა ამას, სხვადასხვა მიზეზით. ასე რომ, მალე მთელი დედამიწა გადაიქცევა ეკლესიად და ამ ენერგეტიკაში გადარჩება მხოლოდ ის, ვინც ისწავლის სიყვარულს.

სემინარის დასაწყისში ხალხი მუშაობს თავის თავზე, მე კი ვარჩევ ბარათებს. მწერს ქალბატონი, რომელიც მკურნალობდა უშვილობას. ბარათი მოკლეა, მაგრამ დამაფიქრებელი. თავიდან მას მკურნალობდა უშვილობისგან ორი მკურნალი, რომლებიც ამის შემდეგ მოკვდნენ. ორსულობის დროს დიაგნოსტიკას უკეთებდა კიდევ ერთი მკურნალი, რომელიც ამის შემდეგ, ასევე მოკვდა. ბავშვის ჩასახვამდე, ექიმთან გადიოდა მასაჟის სეანსებს. ძლიერმა ტკივილებმა არ გაუარა მანამ, სანამ არ დაბადა გოგონა. ქალბატონი მეკითხებოდა, დაკავშირებულია თუ არა ყოველივე ეს ბავშვის დაბადებასთან? გავხედე თუ როგორი იყო სიყვარულის ინტენსიობა ამ ქალის სულში. ეს მაჩვენებელი დაკეტილი იყო სამი ჯვრით. სულის გაცემა ამ ქალბატონს სრულებით არ შეეძლო. სრული მომხმარებელია. შევეცადე გამომეთვალა მისი მზადყოფნა გაეცა. ვხედავ, რომ შვიდ-რვაჯერ უფრო უარესია, ვინემ სასიკვდილო. ბუნებას არ უნდოდა, რომ ასეთ ქალს გასჩენოდა ბავშვი, და მას უბრალოდ არ ჰქონდა ენერგია შთამომავლობის გასაჩენად. მკურნალებმა შიაჰბერეს მას ენრგია, მომხმარებლობამ მასში უფრო მოიმატა, და ბავშვის სული გახდა შავი. ასეთი ბავშვის გაჩენაში აღმოჩენილ დახმარებასა და თანამშრომლობას კი შეეწირა მკურანალების სიცოცხლე.

ბოლოს და ბოლოს რა არის ბედნიერება ყველა ცოცხალი არსებისთვის? ეს არის თავისი პროგრამის რეალიზაცია, ინსტინქტების დაკმაყოფილება. ჩვენ ყველანი – პაწაწინა, ჩასაქრობად განწირული სისტემები ვართ, ნებისმიერი ახალი ინფორმაცია, ეწინაალმდეგება ჩვენი შინაგანი სამყაროს სურათს, მოაქვს ტკივილი, გვაიძულებს შევიცვალოთ, ადაპტირება მოვახდინოთ. მაგრამ ბედნიერება ჩვენთვის – ეს არის განვითარების შესაძლებლობის მხოლოდ ნახევარი. დისკომფორტი, უსიამოვ-

ნებები, უბედურება — ესეც რეჟიმებია ახალი განვითარებადი ინფორმაციის დასამუშავებლად.

თანამედროვე მედიცინამ, მიაჯაჭვა რა ადამიანი თავის სხეულს, ისევე, როგორც მეცნიერებამ, დაიწყო მუშაობა კერპთაყვანისმცემლობის რეჟიმში, ეთაყვანება ფიზიოლოგიას და ანადგურებს სულს; აცილებს მას სტრესებს და ორიენტირებულია სტაბილურობასა და სიმშვიდეზე. თანამედროვე ცივილიზაციის შესაძლებლობებმა ადაპტაციაზე იწყო მკვეთრი დაწევა.

მთავარი მექანიზმი შეჩვევისა — ეს არის ჩვენი გრძნობები, ჩვენი წვალება ახალთან ურთიერთობისას. ცნობიერების შესაძლებლობები დიდი არ არის, ისევე, როგორც დიდი არ არის სხეულის შესაძლებლობები. ჩვენ გვეჩვენება, რომ ცვლის რა გარესამყაროს, ჩვენი ცნობიერებაც სწრაფად ვითარდება, მაგრამ თვითონ ჩვენ ამ დროს არ ვიცვლებით და ჩვენი გრძნობები დგანან ადგილზე. გამოდის, რომ ჩვენ იმ ადამიანებისგან შორს არ წავსულვართ, რომლებიც ცხოვრობდნენ ორი-სამი ათასი წლის წინ.

ჩვენი ზრდილობიანი მანერები და გარეგანი პეწი — ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ცივილიზებულ აღზრდას, ეს მხოლოდ ფორმაა, რომელიც უნდა გახდეს ღმერთის სიყვარულის შედეგად მოსული სულის და სიყვარულის განვითარების შედეგი. მაგრამ, თუკი ფორმა აქტიურად ვითარდება და მშვენივრად გამოიყურება, ეს არ ნიშნავს, რომ შინაარსით ისეთივე მშვენიერია. ამასთან, შინაარსი შეიძლება მოკვდეს. ღმერთთან ერთიანობა შესაძლებელია შეუმჩნევლად დაიკარგოს. სიყვარულმა და მთელ სამყაროსთან ერთიანობის გრძნობამ შესაძლებელია შეუმჩნევლად დატოვონ სული. ხოლო ფორმა რაღაც დროის განმავლობაში შეიძლება ვითარდებოდეს, ტკბებოდეს, ხარობდეს და არც კი იფიქრებს იმაზე, რომ მალე დაეწყება აგონია.

უკვე რამდენჯერ იწინასწარმეტყველეს სხვადასხვა კატაკლიზმები და სამყაროს დასასრული, მაგრამ არცერთი ეს წინასწარმეტყველება არ ახდა. ალბათ, ეს შეგრძნება საჭირო იყო ხალხისთვის. სიკვდილის მოახლოების შეგრძნება იძულებულს გხდის დაივიწყო სხეული და გაიხსენო სული. ახლანდელ სიტუა-

ციაში კაცობრიობის ისტორიაში მგონი პირველად, გადაგვარების გზაზე მდგარი ცივილიზაციის გადასარჩენად კატაკლიზმები არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ, რამდენად საშინლადაც არ უნდა ჟღერდეს, ის აუცილებელიცაა!

ხალხმა დაირწმუნა თავი, რომ მათ სწამთ ღმერთი, ამასთან არღვევენ აღთქმებს, რომელთა დაცვის გარეშეც, ღმერთთან მისვლა შეუძლებელია. ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ეს არის თეატრი, სადაც ერთღმერთიანობის რელიგია გადაიქცა ჩვეულებრივ კერპთაყვანისმცემლობად, სადაც უკვე არ არის ღვთაებრივი კანონები, დარჩა მხოლოდ ადამიანური. ადამიანი უკვე ეთაყვანება არა სიყვარულს, არამედ თავის ცნობიერებას, თავის იდეალებს და მიზნებს და მზად არის მათი გულისთვის გაანადგუროს სიყვარულიც, სიცოცხლეც და ღმერთისადმი რწმენაც.

მოულოდნელად მახსენდება საუბარი ერთ ქალთან. ძალიან საინტერესო ისტორიაა.

— მე მთელი შესაძლებლობებით ვმუშაობდი, — მეუბნებოდა ის, — შემდეგ შევნიშნე, რომ ვსუსტდებოდი. დამეწყო ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები. საქმე იქამდე მივიდა, რომ პირსახოცის გარეცხვაც კი არ შემეძლო, ხელებს ვერ ვწევდი. საჭირო იყო მოსკოვში გაფრენა ოპერაციის გასაკეთებლად, მაგრამ ძალა არ შემწევდა. მაშინ მეგობრებმა წამიყვანეს ერთ კორეელ მოხუცთან, რომელიც ნემსების ჩხვლეტით მკურნალობდა. მოკლედ მან რამდენიმე დღეში ფეხზე დამაყენა, მაგრამ მითხრა, რომ თუკი მე არ შევიცვლიდი ცხოვრების წესს და არ მოვაწესრიგებდი ადამიანებთან ურთიერთობას, მაშინ ვერავინ ვერ დამეხმარებოდა. მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი გამოჯანმრთელების უკანასკნელი შესაძლებლობა, და გამოვკეთდი.

— მითხარით, შეგიძლიათ ამიხსნათ, რა დამემართა? — მკითხა მან.

—აგიხსნი, — შევპირდი მე, — მაგრამ, რადგანაც ნამდვილი პროფესიონალები ასე ცოტაა, ჯერ მითხარით, შეგიძლიათ თუ არა შემახვედროთ იმ კაცს?

— თქვენ დაიგვიანეთ რამდენიმე წლით, — იყო პასუხი, — ის უკვე მოკვდა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მან მითხრა, რომ მალე უნდა მომკვდარიყო და, უნდა მოკვდეს იქ, სადაც დაიბადა, ესე იგი, ყაზახეთში. მან ძალიან იაფად გაყიდა თავისი სახლი და წავიდა. ერთ წელიწადში კი მოკვდა.

— მას რა, შეეძლო გაეგო, რომ მალე მოკვდებოდა? — შევეკითხე მე.

მან მხრები აიჩეჩა და ცას ახედა.

— დიახ, ის ამბობდა, რომ არის სიკვდილი, რომლის თავიდან აცილება შეიძლება, და არის გარდაუვალი სიკვდილი. ამ უკანასკნელის პირველი ნიშნები გამოჩნდება ათი წლით ადრე, შემდეგ სამი წლის, ბოლოს კი სიკვდილამდე ერთი წლით ადრე.

— მან მოგიყვათ თუ როგორ გამოიყურება ეს ნიშნები? დავინტერესდი მე.

ქალმა ალმაცერად შემომხედა და გაიცინა.

— მან თქვა, რომ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის უკეთესია ეს არ იცოდნენ. სუსტი სულისთვის ეს შესაძლებელია ცუდიც იყოს. მითხარით, — მოულოდნელად მკითხა მან, — საჭიროა თავიდან ავიცილოთ სიკვდილი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია, მას ხომ ზემოდან გვაძლევენ და წმინდავს ჩვენს სულს?

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

ქალი მხრებს იჩეჩავს:

— მე განსაკუთრებულ განსხვავებას ვერ ვხედავ.

— განსხვავება არის, — უპასუხე მე, — თანაც არსებითი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ისწავლეთ ათი წელი სკოლაში, ჩააბარეთ გამოცდები და ტოვებთ მის კედლებს. ეს გარდაუვალი სიკვდილია. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მესამე კლასის შემდეგ გაგრიცხეს სკოლიდან ხულიგნობისა და ცუდად სწავლის გამო. ეს არის სიკვდილი, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო. მაგრამ ორივე შემთხვევაში თქვენ სკოლის კედლებს გარეთ დარჩით.

— თქვენი აზრით, რა არის სიკვდილი სიყმაწვილეში? ის შეიძლება იყოს გარდაუვალი?

– ზოგჯერ სკოლას გადიან ექსტერნად, შემოკლებულ ვადებში. ამ დროს სწავლების ხარისხი იკლებს. იუდაიზმში თვლიან, რომ ბავშვმა უნდა იცოცხლოს ერთი დღე მაინც, სანამ დაკლავენ, ანუ მას უნდა ჰქონდეს სიცოცხლე, თუმცა ძალიან მოკლე. არ შეიძლება მთლიანად წაართვა მას სიცოცხლე და აღუკვეთო მომავალი, სხვანაირად მომავალს წაართმევენ მასაც, ვინც ის დაკლა.

ზოგჯერ სული დამძიმებულია ცოდვებით ისე, რომ ადამიანს არა აქვს სიცოცხლის ნება. მაგრამ სული იწმინდება მხოლოდ სიყვარულით და ტანჯვით. და მაშინ ხდება აბორტები, ან დაბადებული ბავშვები, იცოცხლებენ რა ცოტა ხანს, კვდებიან ან აქვთ ხანმოკლე სიცოცხლე. ეს პატარა შესაძლებლობაა, რომ სული მოიყვანო წესრიგში, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოსაყენებელია. ძირითადად კი გარდაუვალი სიკვდილი დაკავშირებულია სიბერესთან.

მე ვხედავ, ქალის კითხვისნიშნიან მზერას და ვცვლი თემას.

– ახლა გადავიდეთ თქვენზე. თქვენ ჭკვიანი ქალი ბრძანდებით, ლამაზიც, თქვენი ენერგიის დონე მაღალია. თუკი არ არის ღმერთის რწმენა, მაშინ ყველა ზემოჩამოთვლილი თვისებები საშიში ხდება, იმიტომ, რომ ჭკუაც, სილამაზეც და ძლიერი გრძნობაც არის მომავალთან შეხების და, შესაბამისად, მისი მართვის მომეტებული შესაძლებლობა. თქვენ, ალბათ, არ აგეწყოთ პირადი ცხოვრება? – ვუყურებ რა თვალებში, ვეკითხები მას.

– დიახ, მე ორჯერ ვიყავი დაქორწინებული და ორივეჯერ წარუმატებლად. თანაც მეორე ქორწინება იყო უარესი, ქმარი გამოდგა ნარკომანი. თქვენ რატომ მეკითხებით ამის შესახებ?

რაც უფრო განათლებული, ლამაზი და ჭკვიანია ქალი, მით უფრო ძნელია მისთვის, მიიღოს იდეალების კრახი, უსამართლობა, უმაღლესი სურვილების დამცირება. მაგრამ, თუკი ის მორწმუნეა და ღმერთის სიყვარული მისთვის მომავალზე მნიშვნელოვანია, მაშინ მომავლის დანგრევას, რომელიც წარმოდგენილია სულიერებით, სილამაზით, პრინციპებით, იდეალებით,

ის გაივლის ადვილად. რაც უფრო ნაკლებია სიყვარული, მით მტანჯველი იქნება განწმენდა. ქალმა-იდეალისტმა უნდა მიიღოს არასრულყოფილი ქმარი და უნდა ისწავლოს ასეთი არასრულყოფილი ქმრის სიყვარული.

მამაკაცი რაც უფრო მეტად ამცირებს ქალს თავისი გარეგნობით, ქცევით, სულიერი მდგომარეობით, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ქალს შეიცნოს სიყვარული და დააყენოს ის იდეალებზე მაღლა, ესე იგი, მომავალზე მაღლა. თუკი ქალი შინაგანად უარყოფს არასრულყოფილ ქმარს, მას მისცემენ არასრულყოფილ შვილს. თუკი მას არ შეუძლია მოექცეს ქმარს, როგორც ბავშვს, ესე იგი, განუწყვეტელი სიყვარულით, მაგრამ სიმკაცრითაც, რომელიც აუცილებელია აღზრდის დროს, მაშინ ეს მექანიზმი აუცილებლად ჩაირთვება და ის მიიღებს ავადმყოფ შვილს. თუკი ბავშვი ავად არის სხეულით ან სულით, მომავალი დამცირებული იქნება ყველა შემთხვევაში და ქვეცნობიერებაში სიყვარული მაინც დაიწყებს სულიერებაზე გამარჯვებას.

ასე რომ, როდესაც თქვენ არ აგეწყოთ პირადი ცხოვრება, თქვენ მთელი თავით გადაეშვით მუშაობაში და ის გადაიქცა თქვენთვის მთავარ მიზნად. ადამიანს, რომელიც ეთაყვანება მომავალს, ყოველთვის აქვს დამახასიათებელი ნიშნები. იგი სამომავლოდ დაისახავს რაიმე მიზანს და მიდის მისკენ, ამასთან, გარშემო ყველაფერს ანადგურებს, რადგანაც მისთვის სიყვარული და სიცოცხლე მეორადია. ჩვეულებრივ ასეთი ადამიანი დაუნდობელია, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართაც. რაც უფრო მეტია მიზანზე კონცენტრაცია, მით უფრო მეტად დატრიალდება იმათი განადგურების შინაგანი მექანიზმი, ვინც ამ მიზნის მიღწევაში ხელს უშლის. და რაც უფრო სულიერია ადამიანი, მით მეტად სასტიკი ხდება.

თქვენში წამოვიდა სისასტიკე თქვენი თავის მიმართ. უზენაესი გრძნობების თაყვანისცემა ბადებს ეჭვიანობას და შეუწყნარებლობას ახლო ადამიანებთან ურთიერთობაში არა მხოლოდ ოჯახში, არამედ სამუშაოზეც. თქვენ ცდილობდით ოჯახური პრობლემებიდან გადართულიყავით მუშაობაზე, ეჭვიანობა

შეცვალეთ ამპარტავნობით, მაგრამ ნელ-ნელა პრობლემები დაგიგროვდათ ამ სფეროშიც. ორგანიზმმა დაიწყო ენერგიის დაკარგვა და დაგეწყოთ ჯანმრთელობის პრობლემები.

სიტყვამ მოიტანა და, ჩემთან მიღებაზე იყო ქალი, რომელსაც მუშტის სიმსხოდ ჰქონდა გადიდებული ფარისებრი ჯირკვლები. როდესაც მან წაიკითხა ჩემი წიგნები, შეეცადა შინაგანად განთავისუფლებულიყო სიტუაციის მართვისგან, და მაგარი გამკვრივება, მაშინათვე დაურბილდა, შემდეგ კი დაპატარავდა მტრედის კვერცხის ზომამდე. ის მოსული იყო ჩემთან მიღებაზე. – „თავი დაანებეთ შინაგანად ქმრის მართვას, – უთხარი მე მას, – თქვენ ცხოვრობთ არა სიყვარულით, არამედ პრინციპებით და იდეალებით. ამიტომაც გყავთ ქმარი კანონიერი ქურდი".

როდესაც ჩვენ ვცდილობთ იდეალებზე, პრინციპებზე და მიზნებზე დაყრდნობით, შევცვალოთ და აღვზარდოთ ვინმე, ჩვენ ვითხოვთ მისგან, ვსაყვედურობთ მას, ბრალს ვდებთ და ვკიცხავთ. ვინმე რომ შეეცვალოთ, ჩვენ თვითონ მუდმივად უნდა გვქონდეს სულში სიყვარულის გრძნობა. მხოლოდ მაშინ გამოიღებს შედეგს მოთხოვნები ან მკაცრი ზომები.

ხელები მექანიკურად ატრიალებენ მომდევნო ბარათს. მე ვცდილობ გამოვითიშო სხვა აზრებისგან და უყურებ ტექსტს. ახალგაზრდა ქალი წერს იმის შესახებ, რომ ყოველთვის შეეძლო ეწინასწარმეტყველა მოვლენები. ის ყოველთვის გრძნობდა, რა მოხდებოდა.

„ჩემთვის ძნელია მომავლის წინაშე შიშის მოხსნა", – წერდა ის. ჩანდა, რომ ეს მისთვის იყო გადაულახავი პრობლემა. მან იგრძნო თავისი დიაგნოზი მანამდე, სანამ ექიმებმა დაუსვამდნენ ამ დიაგნოზს. წელიწადნახევრის წინ მას მოულოდნელად აუწია ტემპერატურამ ორმოც გარადუსამდე და დიდხანს არ ჩამოდიოდა ქვემოთ. სახლში რამდენიმეჯერ გამოიძახეს „სასწრაფო", მაგრამ ექიმებმა ვერ დაადგინეს თუ რა იწვევდა ასეთ მაღალ ტემპერატურას. მას არ ჰქონდა არც გამონაყარი, არც გაციებულა და არც გრიპი სჭირდა. ყველაფერი ნორმაზე იყო, მაგრამ ტემპერატურას ერთი კვირა არ დაუწევია. იმ დროს მან

მწარედ იგრძნო, შემდეგ კი ეს გრძნობა გადაიქცა აზრად, რომელიც თავში მოუვიდა ერთი ფრაზით „მე მაქვს შიდსი". ორ კვირაში გაუდიდდა ლიმფური კვანძები, ხოლო ერთი თვის შემდეგ დაუსვეს დიაგნოზი — ვიჩ-ინფექცია.

ქალი წერდა, რომ ვიჩ-ინფექცია მას აქვს უკვე წელიწადნახევარია, ხოლო ვირუსის კონცენტრაცია სისხლში უახლოვება შიდსი-ის სტადიას. უკვე საჭიროა მკურნალობა. ექიმებს ამის ახსნა არ შეუძლიათ და მხოლოდ ამბობენ, რომ ორგანიზმი ყველას სხვადასხვანაირი აქვს. ზოგი შიდსი-თ ცხოვრობს ოც წელს და მკურნალობას არ საჭიროებს, ზოგი კი დაშლას იწყებს ერთ წელიწადში. მედიცინას არ შეუძლია ახსნას, თუ რასთან არის დაკავშირებული ინფიცირების სტადიიდან ბოლო სტადიაზე გადასვლის სიჩქარე. ქალი წერდა, რომ ნარკოტიკებს ის არ იღებდა, უწესრიგო კავშირები მას არ ჰქონია. თუ საიდან გადაედო ავადმყოფობა, დღემდე გაუგებარია. ბარათი მთავრდებოდა ფრაზით იმის შესახებ, რომ მხოლოდ ახლა მისვდა: პრობლემის მიზეზი არ არის ფიზიკურ დონეზე.

თავში მომდის ფრაზები ამ ბარათიდან. მე ვიღებ კალამს და სიცხადისთვის ჩემთვის ვხატავ მის ველს. ცუდია. შესაძლებელია არამარტო მისი სიკვდილი, არამედ მისი შვილებისაც. მამაკაცების მიმართ აგრესია ძალიან მაღალია. ეს კი ძალიან ცუდია. კარგი, შევეცდები შევიდე სხვა მხრიდან. შესაძლებელია, იქ არის რაიმე შანსი. მზადყოფნა, მიიღოს ტრავმული სიტუაცია — ჩაკეტილია. მომავლის მარაგი — ჩაკეტილია. სიყვარულის გრძნობის ინტენსიობა — ჩაკეტილია. მე დიდი ხანია არ მინახავს ასეთი ცუდი პარამეტრები. ალბათ, ის მოკვდებოდა ყველა შემთხვევაში. სიყვარული და ენერგია წასული იყო სულიდან. ხოლო მომაკვდავი ფორმა, ესე იგი სხეული, ეძებდა ნებისმიერ ავადმყოფობას, იმიტომ, რომ ეს იყო გადარჩენის საშუალება. თუკი დროზე გამოვაღვიძებთ სულს, ის მოასწრებს გაათბოს სხეული და აჩუქებს მას გადარჩენის შანსს.

მე ისევ უყურებ დარბაზს და ვფიქრობ. რატომ ემართებათ შიდსი უფრო მეტად ნარკომანებს, ჰომოსექსუალებს, მეძავებს?

თუკი საფუძვლად ავიღებთ, როგორც ყოველთვის ფიზიკურ მოდელს, მაშინ ეს არის სქესობრივი თავაშვებულობა, ანტისანიტარია, სხეულის მიმართ გარყვნილი დამოკიდებულება. ეს არის მიზეზი და ეს მთავარია, ესე იგი, არასრულყოფილი ადამიანი არის ავადმყოფობის ძირითადი გადამტანი. იმას, რომ ჰომოსექსუალად, ნარკომანად და უზნეო ადამიანად ხდება ის, ვისაც არ შეუძლია მომავლის კრახის მიღება, მეცნიერები ვერ ხვდებიან. თუკი სიყვარული მიდის სულიდან, მასთან ერთად მიდის ენერგია და იმუნიტეტი. და რაც უფრო სრულყოფილი ხდება სამკურნალო წამალი, მით უფრო რთულდება ავადმყოფობა.

ჯერ ჩვენ ვკარგავთ ღვთაებრივი ნების ხედვის უნარს და ღმერთისადმი სიყვარულს, როგორც არსებობის მთავარ საშუალებას. შემდეგ ვიწყებთ შინაგანად ბრძოლას ყოველგვარი არასასიამოვნო სიტუაციასთან, ვივიწყებთ რა იმას, რომ ყოველგვარი სიტუაცია – ეს არის სამყაროს ნაწილი. რაც მეტია ღვთაებრივის დანაკარგი, მით უფრო მიისწრაფის სული გარეგანი ბედნიერებისკენ, რომელიც გარს ერტყმის ჩვენს სხეულს. შინაგანი აგრესია იზრდება, ენერგია ეცემა. და მომაკვდავი სულის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ დაავადებულ სხეულს, რომლის განკურნებასაც ყოველგვარი ავადმყოფობებისგან, ცდილობს თანამედროვე მედიცინა.

საინტერესოა, რა მდგომარეობაშია ქალი მას მერე, რაც მან დაიწყო მუშაობა? მე უყურებ ველს და ვხედავ ძალიან სასიამოვნო სურათს: ტრავმული სიტუაციის მიღება პლიუსზეა. სიყვარული სულში უკვე გამოღვიძებას იწყებს. ჭუჭყიანი, დახეულ-კვადრატული ლაქების ნაცვლად აურა ხდება მარგალიტისფერ-ოქროსფერი და მხოლოდ თავთან ახლოსაა შავი ლაქა. ეს ბავშვებია. ამრიგად, მან სიყვარულისადმი აგრესია საკმაოდ და საფუძვლიანად გადაიტანა მათზე. მაშასადამე, ან არ უნდოდა სიცოცხლე სიყრმეში, როდესაც მკურნალობდნენ მომავლის კრახით, ან განიკითხავდა, ანდა ვერ იტანდა საყვარელ ადამიანს, შეიძლება მამას. ახლა კი გასაგებია, თუ რატომ გადავიდა ინფიცირების სტადია ასე მალე ავადმყოფობის სტადიაში. არა-

სასიკეთოობა იყო არა მხოლოდ თვით ამ ქალთან, არამედ მის შეილებთანაც. მათი წესრიგში მოყვანა ძნელი იქნება.

რა თქმა უნდა, სემინარის შემდეგ მის მონაწილეებს შეუმცირდებათ სიყვარულისა და აღმაფრენის გრძნობა. ზოგიერთები ამას განიცდიან და პანიკაში ვარდებიან. მაგრამ ეს მათ არასდროს დაავიწყდებათ. როგორც ჩადენილი დანაშაული არასდროს გამოდის ჩვენი სულის სიღრმიდან და მუდმივად და შეუმჩნევლად გვამახინჯებს, სანამ არ გამოვისყიდით ავადმყოფობით და უბედურებით, ასევე უანგარო სიყვარულის აღმაფრენა არასდროს გვავიწყდება და, იგი გადაარჩენს ჩვენს სულს რთულ სიტუაციაში. განცდილი გრძნობა — ეს ავანსია. შემდეგ ეს გზა უნდა განმეორდეს, მაგრამ უკვე დამოუკიდებლად. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

ფიქრებიდან გამოვყავარ — სემინარის მონაწილე მეორე ქალბატონის კითხვას.

— მითხარით, წყენის და ტკივილის დროს თუკი არა მაქვს სიძულვილი და განსჯა მამაკაცის მიმართ, ნიშნავს თუ არა ეს, იმას, რომ მე სწორად გავიარე მტკივნეული სიტუაცია?

მე თავს უქნევ.

— არა. თუკი თქვენ მიიღებთ ზომებს, რომ მოხსნათ სიძულვილი და წყენა სხვის მიმართ, თქვენ უბრალოდ გადაიყვანთ ისარს თქვენზე. მარტივად რომ ვთქვათ, მოკვდება არა სხვა ადამიანი, არამედ თქვენ თვითონ. იმიტომ, რომ კლავთ არა მას, არამედ თქვენს თავს.

თუკი სიყვარულის გრძნობა თქვენ ვერ შეინახეთ, მაშინ ტკივილი თქვენ ვერ გიბიძგებთ ღმერთისკენ. და თქვენ მოგიწევთ ვინმეს გათელვა — ან სხვის ან თქვენი თავის. უნდა გავიგოთ, რომ ყოველგვარი არასასიამოვნო სიტუაცია გვიბიძგებს სიყვარულისა და ღმერთისაკენ. ასევე ყოველგვარი სიამოვნებაც. რას ვაკეთებთ ჩვენ ჩვეულებრივ? ვღებულობთ რა სიამოვნებას, ჩვენ შინაგანად ვეთაყვანებით, ფეხქვეშ ვეგებით და დამოკიდებული ვართ მასზე, ხოლო დაუკმაყოფილების შემთხვევაში, ვერ ვიტანთ და ვთელავთ სხვას ან საკუთარ თავს. თაყვანისცემა და

სიძულვილი – ტყუპი დები არიან. სიყვარულს აქ ადგილი არა აქვს.

რომ შეინარჩუნო სიყვარ-ული ტკივილისა და დაკარგვის შემთხვევაში, საჭიროა მთელ სამყაროს უყურო როგორც ბავშვს. რაც მეტია დანაკარგი, მით მეტი უნდა იყოს სიყვარულის ინტენსიობა, რათა გადაიტანოთ იგი. თუკი თქვენ დაკარგავთ საფულეს და ეტყვით საკუთარ თავს: „მე მაინც შევინარჩუნებ სიყვარ-ულს სულში“, – თქვენ ეს გამოგივათ. თუკი თქვენ გაწყე-ნინათ ახლობელმა ადამიანმა, მარტო ეს ფრაზა ალბათ ვერ გიშველით. სიყვარულის ინტენსივობა და ენერგიის გაცემა უნდა იყოს ბევრად უფრო მაღალი.

რომ გადალახო მომავლის კრახი, რომელიც შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც ახლობელი ადამიანის სიკვდილი, მიზნების და იმედების კრახი, ყველაზე წმინდა გრძნობების შეურაცყოფა, სიყვარულის ინტენსივობა უნდა იყოს სრულებით სხვა. თუ ის იქნება არასაკმარისი, მაშინ მომავალს ჩვენ დავკარგავთ სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან ერთად. და უნდა გამოვტყდეთ, რომ დღევანდელი დღისთვის ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მომავლის კრახის გადატანა, არ არის ბევრი. ამისათვის საჭიროა გიყვარდეს შენს გარშემო არსებული გარესამყარო, როგორ მკაცრადაც ის არ უნდა მოგეჩვენოთ, გიყვარდეთ ის, ვინც გიღალატათ, ვინც თქვენ უსამართლოდ მოგექცათ. ესე იგი, უნდა გაქრეს სიყვარულის შემაკავებელი ყოველგვარი საბაბი.

უკვე ორი ათასი წელია რაც გადარჩენის ეს მექანიზმი ცნობილია. ის ჩამოყალიბებულია ახალ აღთქმაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, გასული ორი ათასი წლის განმავლობაში, ჩვენ კი არ დავაგროვეთ, არამედ გავფანტეთ სიყვარული. ალბათ, რომ გავაცნობიეროთ დიადი ჭეშმარიტებები, საკმარისი არ არის მხოლოდ წვალება. ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ სიკვდილის პირას, სადაც ადამიანს ელოდება ან სიკვდილი, ან ადამიანი მოაზროვნე, ხდება ადამიანი მოსიყვარულე. ყველა გააკეთებს ამ არჩევანს სიყვარულის სასარგებლოდ. ბევრნი, ალბათ, ფიზიკური

სიკვდილის შემდეგ. ზოგიერთები — მძიმე ავადმყოფობისას. ერთეულებისთვის ეს არჩევანი იქნება შეუმჩნეველი. თუმცა მე ძირითადად მიხდება ურთიერთობა პირველ კატეგორიასთან. „პრინციპში ეს ლოგიკურია, — ვფიქრობ მე, და ვიქნევ თავს, — ჩემთან მოდიან მას შემდეგ, რაც თერაპევტებს, ფსიქიატრებს და ქირურგებს უკვე დახმარება არ შეუძლიათ". დარბაზიდან ისმის კიდევ ერთი შეკითხვა. აღელვებული ახალგაზრდა ქალი, ჰყვება თავის ისტორიას.

— მე ვკითხულობ თქვენს წიგნებს უკვე ათი წელია, და უკეთესობისკენ შემეცვალა ბედი და ჯანმრთელობა. დარჩა მხოლოდ ორი პრობლემა, რომლებიც მაშფოთებს. პირველი: ხშირად ვჩხუბობ ქმართან და შემდეგ ძნელად ვრიგდებით. და მეორე: ჩემს ქმარს ხერხემალზე აქვს თიაქარი, რომელიც საშინელ ტკივილებს აყენებს, თქვენ არ შეგეძლოთ ამიხსნათ რაშია საქმე?

ერთი სეკუნდი გახდა საჭირო, რომ დამენახა მთელი სურათი.

თქვენ ისწავლეთ სწორად გაგევლოთ მტკივნეული სიტუაციები. თქვენ ისწავლეთ აპატიოთ და მიიღოთ ის, რაც მოხდა. მაგრამ მომავალზე დამოკიდებულება თქვენ ჯერ-ჯერობით ვერ გადალახეთ. არასაკმარისია სულში სიყვარული. ქმართან კონფლიქტის დროს თქვენ უნდა მოძებნოთ თქვენს შეხედულებებს შორის ისეთი საერთო, რომელიც შეესაბამება თქვენსა და მის ინტერესებს. ორმა ურთიერთსაწინააღმდეგომ, ორმა კონფლიქტის მხარემ, რომ მოძებნოს საერთო გადაწყვეტა, მეტი დასაყრდენი უნდა იყოს სიყვარულზე და არა პრინციპებზე. თქვენ კი ეს არ გყოფნით. ყოველი თქვენთაგანი იცავს თავის შეხედულებას, თავის პრინციპებს და თავის მსოფლმხედველობას. ურთიერთსაწინააღმდეგონი არ უნდა შეეზარდონ ერთმანეთს, მაგრამ არც უნდა გაწყდეს და ამასთან, არ უნდა გაანადგურონ ერთმანეთი. როდესაც სულში არასაკმარისი სიყვარულია, მეუღლეებს არ შეუძლიათ დაამყარონ ერთმანეთთან ჰარმონიული ურთიერთობა. ისინი ან ეწებებიან და უყვარდებათ ერთმანეთი, ან უმნიშვნელო კონფლიქტი მათ შორის უმალ გადაიზრდება ჩხუბში,

რომლის დროსაც ყოველი მათგანი ფიქრობს გამარჯვებაზე და არა შერიგებაზე.

იქნებ თქვენ ეს არ გესმით, – ვეუბნები მე, – შინაგანად თქვენ სრულებითაც არ გინდათ დაუთმოთ ქმარს. ქალმა უნდა შეინარჩუნოს სიყვარული და არა სიმართლე. სამართლიანობის შეცნობას ავტომატურად მივყავართ სხვების განსჯამდე. განსჯას კი ქალი მიჰყავს ავადმყოფ და მომაკვდავ ბავშვებამდე, ან მათ არყოლამდე.

ქალმა კმაყოფილებით გააქნია თავი და დაჯდა. მაგარამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ასწია ხელი და მომცა კიდევ ერთი შეკითხვა.

– აი, თქვენ ამბობთ, ღმერთი, სიყვარული და სხვა და ასე შემდეგ, – დაიწყო მან.

– ასეთი მე არ მითქვამს, – გავაჩერე იგი, – ჩემთვის ღმერთი და სიყვარული არასდროს ყოფილა სხვადასხვა და ასე შემდეგ.

მას შერცხვა და ხელი ჩაიქნია.

– კარგით. ყოველივე ეს თითქოს გასაგებია, მაგრამ ილუზიურად. ხოლო დიავოლიზმი, სატანისტების სექტა – ძლიერი და მაგარი რეალობაა. ისინი ძალას იკრებენ და ყველაფერს ამარცხებენ ირგვლივ.

მინდა მას ვუპასუხო, მაგრამ ამ დროს ხერხემალში თითქოს ჩამირჭვეს ორი ნემსი. მივხვდი, რომ განვსაჯე იგი და ამიტომ ვიგრძენი ეს ჩხვლეტა. თუკი ვერ გადაველახე ეს ემოცია, მაშინ მეც მივიღებ ხერხემლის თიაქარს. გონებაში ჩემთვის ვიმეორებ, რომ მე არა მაქვს სიმართლე, ხოლო მას არა აქვს ბრალი. ის, რასაც ჩვენ ხშირად ვთვლით ბრალად, სინამდვილეში არის სხვა ადამიანის შეცდომა. ის, რასაც ჩვენ ვთვლით ჩვენს სიმართლედ, სინამდვილეში არის ჩვენი შეცდომა. ქრისტეს გარშემო მყოფი ებრაელებისთვის, ჭეშმარიტება იყო სიმართლე, ხოლო მისთვის ჭეშმარიტება იყო სიყვარული. მე ნელ-ნელა ვწყნარდები და ტკივილიც მიქრება.

იმათთვის, ვისთვისაც მომავალს დაჩრდილული ჰყავს სიყვარული, ეშმაკი ყოველთვის იქნება უფრო რეალური ფიგურა,

ვინემ შემოქმედი. თუმცა, სინამდვილეში არავითარი ეშმაკი არ არსებობს. ეშმაკეულობა – ეს არის ინფექცია, რომელიც პარაზიტირებს სიყვარულის გრძნობადაკარგულ ჩვენს სულებში, და ის საჭიროა ისევე, როგორც საჭიროა ავადმყოფობა, რომელიც ახსენებს ადამიანს მის შინაგან უკეთურობას.

გაიხსენეთ: ქრისტე ამბობდა, რომ, თუკი განვდევნით ერთ ეშმაკს, მის ადგილას მოვა შვიდი უარესი. თუკი სხეულში არ არის ენერგია, განკურნავთ რა ერთ ავადმყოფობას, აღმოაჩენთ რამდენიმე ახალს. თუკი სულში არ არის სიყვარული, რამდენიც არ უნდა გამორეკო ეშმაკეულნი, ისინი მხოლოდ გამრავლდებიან. ამიტომაც სატანისტების სექტის მოჩვენებითი ძალა, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის მიერ მიცემული აღთქმის, ადამიანების მიერ იგნორირებაშია. ეს არის სულში არსებული სიყვარულის თანდათანობითი და შეუმჩნეველი დაკარგვა.

შიდს-ით დაავადებული ადამიანი, უმცირეს ინფექციასაც შეუძლია მძიმედ დააავადმყოფოს. ეშმაკეული – ეს არის სულის ავადმყოფობა. ახლახან, სატელევიზიო გადაცემის დროს ერთმა მღვდელმა თქვა, რომ ფსიქიატრიული კლინიკის ავადმყოფების უმრავლესობა, ქრისტიანობის თვალსაზრისით არიან ეშმაკეულით შეპყრობილნი. მე ვფიქრობ, რომ ის სავსებით მართალია. იმათ, ვინც ეთაყვანებიან შემეცნებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მომავალთან, რომ არ დაკარგონ ყველაფერი, ნაწილი მაინც უნდა დაკარგონ და ფსიქიკის დარღვევის მრავალი შემთხვევა, რომელიც ასე მომრავლდა ამ ბოლო დროს, არის მომავლის არ არსებობის შემთხვევაში, გადარჩენის ქვეცნობიერი მცდელობა.

ყველანი ხედავენ სულის დაღუპვის მხოლოდ პირველ სტადიას: როდესაც ტკბებიან თავისი ცნობიერებით, მიზნებით და სურვილებით. და ცოტას თუ წარმოუდგენია, როგორ გამოიყურება მეორე სტადია. ხოლო ის გამოიყურება როგორც ცნობიერების დარღვევა: მიზნების, სურვილების არ არსებობა, უნებისყოფობა და უაზრობა. როდესაც ჯერ კიდევ არის სულში სიყვარული, მაგრამ ცნობიერება დაყენებულია ბევრად უფრო მაღლა და

ამიტომაც ჩვენ ვხედავთ ძლიერებას, ძალას და დემონიზმის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. მაგრამ როდესაც სიყვარული მიდის, იწყება შემეცნების, სურვილების და ძალის სწრაფი დაშლა.

ზედაპირულ დონეზე ძნელია დაინახო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. გაიხსენეთ ფილმი „აპოკალიფსი დღეს". თავიდან ადამიანი გრძნობს სხვებთან შედარებით უპირატესობას, შემდეგ ის გადაწყვეტს, რომ შეუძლია განაგოს სხვების ბედი, რის შემდეგაც თავს გამოაცხადებს ღმერთად. შემდეგ კი მისი სული იწყებს „შეშლას", თუმცა ცნობიერება კრისტალურად სუფთაა. ხოლო შემდეგ ის გრძნობს, რომ მისი ფსიქიკა, მისი ცნობიერება, რომელსაც იგი ასე ეთაყვანებოდა, მალე შეიშლება. დემონიზმი მიდის თავის ლოგიკურ დასასრულამდე. გრძნობს რა, რომ ცნობიერება მალე დაიწყებს დაშლას, კაცი ითხოვს, რომ ის მოკლან, რადგანაც ფიზიკური სიკვდილი მას, როგორც სამხედროს, წარმოუდგენია ბევრად უფრო ნაკლებ წვალებად, ვინემ ცნობიერების მოშლა.

მე ხელებს ვშლი იმის ნიშნად, რომ მის კითხვაზე პასუხი დამთავრებულია.

„რა საინტერესოდ არის მოწყობილი ცხოვრება, — ვფიქრობ მე, — ერთ ქალს რკინისებური ჯანმრთელობა აქვს, ირგვლივ ყველა კვდება. მეორეს კი გარედან ყველაფერი ნორმალურად აქვს, მაგრამ კვდება თვითონ. ერთი და იგივე პროცესი, მაგრამ თავისი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

რა საინტერესოდ არის მოწყობილი ცხოვრება! ყოველგვარი პროცესი მომავლისა და წარსულის ურთიერთქმედების შედეგად იხლიჩება ორ ნაწილად. თავიდან, ეთაყვანება რა რაიმეს, ადამიანი მიმართავს მომავალს. შემდეგ ნაღვლობს და ვერ იტანს რა ვინმეს, მიმართავს წარსულს. ყოველგვარი პროცესი — ეს არის ქანქარა, რომელიც ქანაობს იქით-აქეთ მომავალსა და წარსულს შორის. ალბათ, აქედან წარმოიშვა წყვილობრიობის კანონი. თუკი შევეცდებით ძველი აღთქმისეული ენა გადავთარგმნოთ თანამედროვე ენაზე, მაშინ გამოვა, რომ უმძიმესი

დანაშაული ჩაიდინა ეშმაკმა, უფრო სწორად, ანგელოზმა, რომელიც ეთაყვანა არა, შემოქმედს, არამედ მომავალს, ესე იგი, ცნობიერებას, შესაძლებლობებს, საკუთარ სულიერებას. ამიტომაც ეშმაკის ალტერნატივაა არა ღმერთი, არამედ შეშლილი, ვნებისყოფო და უძლური არსება.

სულიერი და მატერიალური – ესენი წარმოადგენენ მთლიანი პროცესის ორ ნაწილს, სადაც სულიერს წარმოადგენს მომავალი, ხოლო მატერიალურს წარსული. ხშირად ადამიანი, რომელიც დიდ ხანს ეთაყვანებოდა სულიერებას, გრძნობს, რომ ჭკუიდან იშლება და იცვლის კუმირს: იწყებს მატერიალურის თაყვანისცემას. ის ივიწყებს იდეალისტობას და იზიარებს მკაცრ პრაგმატიზმს. ფული, სტაბილურობა, კეთილდღეობა ხდება მისთვის სიცოცხლის მთავარი მიზანი. და როდესაც ეს გატაცებაც გაუჯდება სულში და ადამიანი დაიწყებს ავადმყოფობას და კვდომას, იგი მოულოდნელად იგებს, რომ სულიერი და მატერიალური, მარცხენა და მარჯვენა, არის ერთი მთლიანის ორი ნაწილი. ამ მთლიანს ადამიანები უწოდებენ ღმერთის სიყვარულს, და კერძოდ ამ გრძნობის ინტენსიურობა განსაზღვრავს, გადარჩება თუ არა ადამიანი იმ შემთხვევაში, თუკი მის გარშემო არსებული ჩვეულებრივი კავშირების სამყარო იწყებს ნგრევას.

ჩემს პირველ წიგნებში მე ვწერდი იმის შესახებ, თუ რის გაკეთება არ შეიძლება. ყველაფერი ეს შეიძლება გამოვხატოთ ძალიან უბრალოდ: <u>არ შეიძლება სიყვარულის მოკვლა, რაც გინდ დამაჯერებლად არ უნდა მოგვეჩვენოს საბაბი.</u> როდესაც ჩვენ ვცდილობთ უარვყოთ ეს გრძნობა, დავიმორჩილოთ, ვმართოთ ან გავაუფასუროთ იგი, ჩვენ ჩავდივართ ყველაზე უფრო დიდ ცოდვას სამყაროში. საიდან გამომდინარეობენ მცნებები: კეთილი და ბოროტი? მცნებებიდან „კარგი" და „ცუდი". საიდან მოდიან თვით მცნებები „კარგი" და „ცუდი"? მომავლის ხედვიდან. ავხსნი მაგალითზე. სოფლის მცხოვრებლებს გაზაფხულისთვის თითქმის არ დარჩათ საჭმელი, მაგრამ ჰქონდათ გადანახული თესლი. ერთ-ერთმა მცხოვრებთაგანმა თქვა: „ჩვენი ბავშვები

შიმშილობენ, მოდით შევჭამოთ თესლი!" ხოლო მეორემ უთხრა: „ჩვენ უნდა ვიწვალოთ, ვიშიმშილოთ, მაშინ ჩვენ გადავრჩებით მომაეალი წლისთვის". – „შენ ბოროტი ადამიანი ხარ – ყვირის პირველი, – შენ გინდა, რომ ჩვენ ვიწვალოთ და ვიტანჯოთ, რომ დაიხოცონ ჩვენი შვილები!" – „ეს შენ ხარ ბოროტი. – პასუხობს მეორე, – იმიტომ, რომ გინდა დაიკმაყოფილო სურვილები, შენ დღეს მაგრად გაძღები, ხოლო ხვალ მოკვდები შიმშილით". პირველს შეუძლია დაარწმუნოს, ამასთან მის მხარესაა შიმშილის გრძნობა, რომელსაც ასევე გრძნობენ მთელი სოფლის მცხოვრებნი, და ის იმარჯვებს, აწყობს მთელი სოფლისთვის ნამდვილ დღესასწაულს. შემდეგი ზამთრისთვის სოფელი ამოწყდება.

კეთილისა და ბოროტის ცნება ერთმანეთისგან განსხვავდება მომავალში შეღწევის ხარისხით. სულიერებას მოკლებული ადამიანი ცხოვრობს თავისი სხეულისა და მუცლის ინტერესებიდან გამომდინარე, და ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მას ეჩვენება შესანიშნავად, და რომლებიც ყოველმხრივ აწყობს მის კუჭს.

შემდეგ კი ირკვევა, რომ ამ გადაწყვეტილებებმა მიიყვანეს კატასტროფამდე. ქვეცნობიერად ჩვენ კეთილს ვუწოდებთ იმას, რაც ხელს უწყობს ჩვენს შენარჩუნებასა და გადარჩენას, ხოლო ბოროტებას, იმას, რასაც მივყავართ განადგურებამდე. რაც უფრო შორს ვიხედებით მომავალში, ესე იგი, ვახდენთ მოდელირებას იმისა, რაც მოხდება, მით მეტი გადარჩენის შანსები გვაქვს. მაგრამ მომავლის თაყვანისცემამ შეიძლება მიგვიყვანოს ღმერთის სიყვარულის და ამ მომავლის დაკარგვამდე.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში რუსეთში პოპულარული იყო ფრაზა: „გვინდოდა ყოფილიყო უკეთესი, და გამოვიდა როგორც ყოველთვის". არის უფრო ძველი სიბრძნე: „კეთილი ზრახვებით არის მოკირწყლული ჯოჯოხეთის გზა". ქრისტე ამბობდა: „არა მხოლოდ პურით ერთით არის ცოცხალი ადამიანი", და შემდეგ უმატებდა: „როგორც არა მხოლოდ ხვალინდელი დღით". ის, ვინც ეთაყვანება პურის ნატეხს მოკვდება ხვალ. ის, ვინც ეთყვა-

ნება მომავალს, მოკვლება ბუტ. ყოველივე მატერიალურისა და სულიერების თაყვანისცემა ამცირებს ჩვენს სულში პირველმიზეზთან კონტაქტს და მივყავართ თვითგანადგურებამდე.

ასე რომ, ადამისა და ევას შესახებ ბიბლიურ ლეგენდაში, ალეგორიულად აღწერილია სამყაროში სიცოცხლის გაჩენის მომენტი და მითითებულია მთავარ საშიშროებებზე, რომლებიც ჩასაფრებული იქნება ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში. რატომაა გამოყვანილი შემაცდენელად მაინცდამაინც გველი? იმიტომ, რომ გველი ჩვეულებრივ, შეუმჩნეველია, დამალულია, უჩინარია. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ღვთაებრივის დაკარგვა შეიძლება მოხდეს შეუმჩნევლად. მაგრამ მთავარი არის ის, რომ, გველი — ეს არის სიბრძნის სიმბოლო, ესე იგი, ის, თითქოსდა მომავლისა და სულიერების ტენდენციების მატარებელია.

ამრიგად, ცხოვრებაში არის ორი საშიშროება: თაყვანისცემა სულიერების და თაყვანისცემა მატერიალურის. შემოქმედთან ერთობის დაკარგვას მივყავართ იქამდე, რომ ადამიანი იწყებს თაყვანი სცეს ერთ-ერთი დროის დინებას: ჯერ მომავალს, ე.ი. სულიერს, შემდეგ კი წარსულს, ე.ი. მატერიალურს. ამ გზით ის მიდის განადგურებისკენ, თუკი არ ბრუნდება ღმერთისკენ. პრინციპში ეს არის სამყაროში მოქმედი მუდმივი ციკლის განმეორება. ღვთაებრივი ხდება სულიერი, სულიერი გადაიქცევა მატერიალურად, მატერიალური ან დაიშლება ან გახდება სულიერი, და ნელ-ნელა გადაიქცევა რა ღვთაებრივად, უბრუნდება პირველმიზეზს.

არის ძველი რუსული ანდაზა, რომელსაც ხშირად იმეორებდა დედაჩემი: „ახალგაზრდობა არის მოოქროვილი თაფლაკვერი და ფიქრობს, რომ ეს არის პური არსობისა“. ბავშვი იბადება სიყვარულის და ღმერთთან ერთობის დიდი იმპულსით. ვითარდება რა ნელ-ნელა, ის კარგავს ამ იმპულსს. და ის, რაც მას ადრე უხვად გააჩნდა, ასაკის მატებასთან ერთად მან თვითონ უნდა შექმნას, ესე იგი, ყოველ ადამიანში სიყვარულის ინტენსიობამ უნდა იმატოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ბავშვობაში არსებობს ერთი პრობლემა: არ მოვკლათ სიყვა-

რული. შემდეგ ჩნდება სხვა პრობლემა: როგორ გავატაროთ სიყვარული სულში. შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ მთავარი პრობლემა: როგორ ვიგრძნოთ განუწყვეტლად სიყვარული, რომ ის გახდეს ჩვენთვის ბუნებრივი მდგომარეობა, ჩვენი მთავარი „მე".

როგორც ყოველი პროცესი სამყაროში, ადამიანის სიცოცხლეც პულსირებს. ზოგჯერ დრო იკუმშება ისე, რომ რამდენიმე დღეს შესაძლებელია იმოქმედოს მთელ ცხოვრებაზე, – ეს არის სქესობრივი მომწიფების მომენტი, პირველი სიყვარულის მომენტი, განაყოფიერებისა და ბავშვების დაბადების... ის, რაც ამ დროს ხდება ჩვენს სულში, განსაზღვრავს ჩვენს ბედს და ჩვენს გადარჩენას მომავალი წლების განმავლობაში.

ასეთივე პროცესები მიდის ხალხთა, სახელმწიფოთა და ახლანდელი ცივილიზაციის ბედისწერაში. ბოლო დროს ბევრი ამჩნევს, რომ დრო შეიკუმშა და ყველა პროცესი დაჩქარდა. საინტერესოა, რა მდგომარეობაში გავივლით ჩვენ ამ პროცესს?

## მიღება

დღეს მე მიღება მაქვს ტელეფონით. უნდა გავსინჯო რამდენიმე ადამიანი. ხმით დიაგნოსტიკა მე უფრო მომწონს – უფრო ადვილად განდვები და ხედავ მთავარს. მთავარი ჩემი დანიშნულება იმაშია, რომ ყველა ლოგიკური ახსნა გადაიქცეს გრძნობად. თუკი მოგონებები მიღებაზე პაციენტისთვის გადაიქცევა რჩევათა კრებულად, ავადმყოფობის დაძლევის შანსი იქნება ძალიან ცოტა. საკუთარი შინაგანი გარდაქმნა შეუძლებელია ქვეცნობიერების დახმარების გარეშე. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ინსტინქტებს, ემოციებს, ხასიათს, ჩვევებს, – ყველაფერი ქვეცნობიერებაა.

თუკი თქვენ გაიგეთ, რომ უნდა შეიცვალოთ, შეცვლის შანსი პრაქტიკულად არა გაქვთ. თუკი თქვენ იგრძენით, რომ უნდა შეიცვალოთ, – თქვენ შეიცვლებით. ბევრმა შენიშნა საინტერესო ფენომენი: თუკი ადამიანი ამბობს: „ხვალიდან უნდა მივატოვო მოწევა ან გაძლომა", ეს ხვალინდელი დღე არასდროს დგება, ის მუდამ გადაიწევა მომავალში, და ეს ხდება იმიტომ, რომ ხვალინდელი დღით თქვენ ურთიერთქმედებთ ცნობიერებასთან.

ჩვენი გრძნობები, ესე იგი ქვეცნობიერება, გვესწრებიან რეალურ დროში, და, თუკი თქვენ არ დაიწყებთ შეცვლას უცებ, ამ წუთას, ალბათ, არაფერი არ გამოგივათ. აქედან არის ფრთიანი გამონათქვამი: „არ გადადოთ ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ დღეს". ჭეშმარიტი რეალობა, ჭეშმარიტი მოვლენები ჯერ ხდება ფაქიზ დონეებზე, შემდეგ კი მატერიალიზდება ფიზიკურ დონეზე. ჩვენი ქვეცნობიერება დაკავშირებულია მთელ სამყაროსთან და ფაქიზ დონეებთან, ამიტომაცაა ძლიერი ინტუიციის ადამიანი, ესე იგი ადამიანი ღია ქვეცნობიერებით, წინასწარ გრძნობს მოვლენებს, თუმცა ხშირად არ შეუძლია მათი მართვა, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ შეუძლია შეიცვალოს თავად.

გუშინ ტელევიზორით უყურებდი ფილმს 11 სექტემბრის კატასტროფაზე. ხანშიშესული კაცი ყვებოდა თავისი ტრაგედიის

შესახებ: შვილის სიკვდილამდე ერთი თვით ადრე მან იგრძნო ამ სიკვდილის გარდუვალობა. სამი კვირის შემდეგ მან შვილს წაართვა ავტომანქანის გასაღები — მას უყვარდა ავტომანქანის სწრაფად ტარება. მამას იმედი ჰქონდა ამით ის სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა შვილს, მაგრამ შვილმა მეტროთი დაიწყო სამსახურში სიარული. 2001 წლის 11 სექტემბერსაც შვილი სამსახურში მეტროთი წავიდა. მისი ოფისი მდებარეობდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი ცათამბჯენის 104-ე სართულზე. ტერორისტებმა თვითმფრინავი დაავახეს 75-80 სართულებს შუა, და, იმათ ვინც იყვნენ ამ სართულებს ზემოთ, გადარჩენის თეორიული შანსიც კი არ ჰქონდათ. შვილის სხეული ვერ იპოვეს.

ქვეცნობიერება გრძნობს სიკვდილს, უფრო სწორად იცის მის შესახებ, და ზოგჯერ ეს გამოიხატება მატერიალურ ნიშნებში. მე მახსოვს უჩვეულო შემთხვევა, რომლის შესახებაც ერთ-ერთ მიღებაზე მომიყვა ქალბატონი:

— ერთხელ, როდესაც ვსეირნობდი ქალაქში მიწისქვეშა გადასავლელში შევნიშნე შეგროვილი ხალხი. მივედი ახლოს და დავინახე, რომ ვიღაც მამაკაცი იჯდა და მსურველებს უკითხავდა ხელისგულზე არსებული ხაზებით, ქირომანტი. გასამრჯელოდ ცოტას იღებდა. დამაინტერესა თუ რას მეტყოდა. და აი მოვიდა ჩემი რიგიც. მივედი და გავუწოდე ხელი. ჩემი სახისთვის მას არ შემოუხედავს, უყურებდა მხოლოდ ხელებს, და მომიყვა ყველაფერი: ვინ ვიყავი, რა მქონდა წარსულში. „თქვენ გყავთ ერთი ბავშვი — გოგონა, და ის მალე მოკვდება. თქვენ მზად უნდა იყოთ ამისთვის", — მითხრა ამ კაცმა. ჩემი შვილის არასასიკეთობას ყოველთვის ვხედავდი, მაგრამ ამას არ ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას. არ მახსოვს თუ როგორ გამოვედი იმ მიწისქვეშა გადასასვლელიდან და როგორ მივედი სახლში. სამი დღე ვტიროდი და ვკითხულობდი თქვენს წიგნებს, ხოლო მეოთხე დღეს წავედი იმ მიწისქვეშა გადასასვლელში. ქირომანტი იქ იყო. ისევ ჩავდექი რიგში და მივედი მასთან. ჩემი სახისთვის მას არც ამჯერად შეუხედავს, უყურებდა მხოლოდ ხელისგუ-

ლის ხაზებს, ამჯერადათ ჩემი ბედის შესახებ ყველაფერი იგივე გამიმეორა, ყველაფერი რაც იყო, და რაც არის ამჟამად. „თქვენ არაჩვეულებრივი გოგონა ჰყავთ, — მითხრა მან. — მას ძლიერი ნებისყოფა აქვს და დიდი მომავალი ელის“. — „სამი დღის წინ თქვენ მე მითხარით, რომ ჩემი ქალიშვილი მოკვდებოდა. აი აქ, ამ ადგილზე თქვენ უყურებდით ჩემს ხელისგულს და მითხარით ამის შესახებ“, მან ისევ აიღო ჩემი ხელისგულები და ყურადღებით დაიწყო მათზე ხაზების თვალიერება. გაჩუმდა, შემდეგ კი მითხრა: „მე პასუხს ვაგებ იმაზე, რასაც ვხედავ. ესლა თქვენს ხელისგულზე თქვენი ქალიშვილის სიკვდილი არ არის“.

როდესაც მიყვებიან ასეთ ისტორიებს, უკვე არ მიკვირს. არ მიხარია და არ ვამაყობ იმით, რომ ჩემი გამოკვლევები მრავალჯერ დაამტკიცა ცხოვრებამ. ამ პროცესებს ვხედავ ირგვლივ ყოველთვის. ადამიანი, რომელიც იცვლის ემოციებს, ერთდროულად იცვლის ქვეცნობიერებასაც. ის ცვლის თავის ხასიათს, თავის ბედს და მომავალში მოსახდენი მოვლენების მსვლელობასაც. მას შეუძლია შეცვალოს არამც თუ ბავშვების ბედი და ჯანმრთელობა, არამედ შორეული ნათესავებისაც. ესე იგი ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ბიბლიაში დასტურდება: ერთ წმინდანს შეუძლია გადაარჩინოს ათასი თავის მსგავსი. პატარა შენიშვნა: თუკი ისინი მზად არიან გაყვნენ მას. მზადყოფნა გაჰყვე წმინდანს — ეს არის მზადყოფნა თვითშეზღუდვისთვის, მზადყოფნა ტკივილების მისაღებად, ეს არის მზადყოფნა მსხვერპლი გაიღო და აპატიო, ეს არის მზადყოფნა შემოქმედის სიყვარული დააყენო პირველ ადგილზე, და მზადყოფნა მისი გულისთვის პერიოდულად მსხვერპლად შესწირო შენი ადამიანური ბედნიერება. სიყვარულმა უნდა გაიმარჯვოს არ მხოლოდ ფულზე, არამედ მან უნდა გაიმარჯვოს ჩვენს სურვილებზე, ჩვენს ნებისყოფაზე და სამართლიანობის შესახებ ჩვენში არსებულ შეხედულებებზე.

თანამედროვე ადამიანში თანდათანობით ატროფირდება თვითშეზღუდვის ცნება. „აიღე ცხოვრებისგან ყველაფერი“ — გაჰკივის სატელევიზიო რეკლამა, „არ გაჩერდე არაფრის წი-

ნაშე“ — მოგვიწოდებენ პოპულარული წიგნების ავტორები. ძალიან ხშირად სუფრასთან ამბობენ სადღეგრძელოს: რომ ჩვენ ყველაფერი გვქონდეს, და ამაში ჩვენ არაფერი გადავიხადოთ. ადამიანი სწავლობს ცხოვრებას თავისი სურვილებით, კონცენტარაციას ახდენს მათზე. შენი სურვილების გულისთვის, ყოველგვარი წინააღმდეგობების განადგურებას, ეწოდება წარმატებულობა კონკურენციულ ბრძოლაში. და ისინი ვინც, ამას ასწავლიან, იღებენ დიდ ფულს. დიდ ფულს ღებულობენ არა ისინი, ვინც მოუწოდებს თავშეკავებისკენ, არამედ ისინი, ვინც აქეზებენ ყოველგვარი სურვილების დაკმაყოფილებას და გარყვნილებას. რა არის გარყვნილება? ეს არის სურვილების სრული წაქეზება, და ამასთან სიყვარულსა და ზნეობრიობაზე უარის თქმა. ყველა თავისებურად ვარდება სურვილების თაყვანისცემის ჭაობში, ხოლო შედეგი დაახლოებით ერთნაირი ყველასთვის.

მე მახსენდება მომდევნო ჩემი პაციენტის ისტორია:

— ჩემს ქალიშვილს ეპილეფსიის მძიმე ფორმა აქვს, — მითხრა მან. — ავადმყოფობა დაეწყო, როდესაც მას შეუსრულდა ერთი წელი, ესლა ის ორი წლისაა. მე დავიწყე თქვენი წიგნების კითხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი ქალიშვილი კინაღამ მოკვდა. ერთხელ ჩემს თვალწინ მას სახე დაეფარა წერტილებით, შემდეგ კი გაშავდა. მოასწრო „სასწრაფომ“ და ის წაიყვანეს რეანიმაციაში. ექიმებმა პატიოსნად მითხრეს, რომ ეს იყო დასასრული. მოემზადეთ მის დასასაფლავებლად! მე მივხვდი, რომ ის დავკარგე, — მითხრა ქალმა, — არავისი და არაფრის იმედი არ მქონდა. მე უბრალოდ მივმართე ღმერთს და შევთხოვე: „ღმერთო, ვღებულობ შენს ნებას, მივიღებ ყველაფერს, რაც მოხდება და შევინარჩუნებ შენს სიყვარულს“. და უცებ ჩემმა გოგომ იწყო გამოკეთება. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერთ დღე-ღამეში ხელებზე სიცოცხლის ხაზები ბევრად უფრო გრძელი გაუხდა, ხოლო ადრე ძალიან მოკლე ჰქონდა.

ლელა მიყვებოდა თავის შესახებაც.

— მე მიძნელდება ლოცვა, თუმცა ვარ ნებისყოფიანი ქალი, ვარ სპორტის ოსტატი, მაქვს ორი უმაღლესი განათლება. ბავ-

შეობიდან ყველა ჩემი ნატვრა მისრულდებოდა, თუკი რამეს მოვინდომებდი, ყოველთვის ყველაფერს ვაღწევდი. ჩემთვის ძალიან ძნელია ნორმალურად მოვექცე სულელებს და სუსტებს, ახლაც კმაყოფილი არა ვარ ჩემი მეუღლით — და მიძნელდება ამის გადალახვა.

— მოიცადეთ, — ვეუბნები, — მომიყევით თქვენი ქალიშვილის ხასიათის შესახებ.

ქალი აკეთებს პაუზას, იხსენებს.

— სიმართლე გითხრათ ის შეურიგებელია: რაც მას არ უნდა, იმას არ გააკეთებს, დაგკაწრავს და დაგკბენს. ერთხელ ჩვენთან მოვიდა ჩემი ძმა, რომელსაც სხვათა შორის, ასევე ხშირად ემართება ეპილეფსია. როდესაც ის მიუახლოვდა ჩემს ქალიშვილს, ის მოულოდნელად ჩავარდა ისტერიკაში, ეცა მას და უნდოდა ეკბინა, შემდეგ კი დაიწყო თავისი თავის კაწრვა. თქვენ არ შეგიძლიათ ახსნათ, რატომ მოხდა ყოველივე ეს?

— ჩვეულებრივი რეზონანსი თქვენი ძმის ველთან, — ავუხსენი მე. — ემოციას აქვს ველის სტრუქტურა და რეზონანსს ახდენს თავის მსგავსთან.

ჩვენი სურვილები მიჯაჭვულია სხეულთან და ემსახურება მის ინტერესებს. ბუნებრივია, ჩვენი სხეულის ინტერესები არ ემთხვევა სამყაროს ინტერესებს, ამიტომაც ჩვენს სურვილებში ყოველთვის იმალება ადამიანებთან და გარესამყაროსთან კონფლიქტის სურვილი. რადგან ადამიანებს სხვადასხვა სხეული აქვთ, ერთი ადამიანის სურვილი ყოველთვის იქნება კონფლიქტში მეორე ადამიანის სურვილთან. კონფლიქტი არ არის იქ, სადაც არ არის სხეული და არის აბსოლუტური ერთობა ღმერთთან სიყვარულში. რაც უფრო მეტად სწამს ადამიანს ღმერთის, რაც უფრო მეტად განვითარებულია მასში სიყვარულისკენ ლტოლვა და მისი გაცემის უნარი, მით უფრო ადვილად შეუძლია გადაწყვიტოს ყოველგვარი კონფლიქტები. ამისათვის საჭიროა საკუთარი თავის და სხვების აღზრდა. კომპრომისი — ეს არის ორმხრივი მსხვერპლი, ორივე მხრიდან. თავშეკავება, სურვილების შეზღუდვა — ეს არის განვითარების უძლიერესი

ბერკეტი. რაც უფრო ეგოისტურია, სხეულს მიჯაჭვულია ჩვენი სურვილები, მით უფრო აგრესიულები ვიქნებით ჩვენ სხვა ადამიანების მიმართ. როდესაც, მე ჩემს თავზე ვზრუნავ, ამ დროს თუკი გავითვალისწინებ ჩემს გარშემომყოფთა ინტერესებს, ჩემი აგრესიულობა მნიშვნელოვანწილად შემცირდება.

ღმერთისადმი რწმენა, გვეხმარება რა მთელ სამყაროსთან ერთიანობის შეგრძნებაში, უფლებას გვაძლევს მოვძებნოთ ოქროს შუალედი ჩვენს ანგარებით ინტერესებსა და გარესამყაროს ინტერესებს შორის. ვანვითარებთ რა გარესამყაროსთან ურთიერთობის მაშტაბს, ჩვენ ვანვითარებთ ჩვენს თავს როგორც პიროვნებები. ამაშია განვითარების პარადოქსი: რაც უფრო მეტად აისრულებენ ადამიანები თავის სურვილებს, მით უფრო ჩქარა დასუსტდებიან და გადაგვარდებიან ისინი. კერძოდ, 1960 წლის სექსუალურმა რევოლუციამ ევროპა მიიყვანა იმპოტენციამდე, უშვილობამდე და ჰომოსექსუალიზმამდე. რაც უფრო აგრესიულად იცავს ადამიანი თავის სურვილებს, ესე იგი თავისი სხეულისა და სიცოცხლის ინტერესებს, მით უფრო მცირდება მისი შესაძლებლობები, ის ხდება ავად, იკლებს მისი უნარი და სექსუალურობა, ენგრევა ბედი.

ბავშვი — არის როგორც გამადიდებელი შუშა. ის აძლიერებს და ეხმარება პროცესებს, რომლებიც მშობლების სულში ხდება, — როგორც კარგს, ასევე ცუდს. თქვენს მიერ თქვენი ქალიშვილის სულში ანთებული პათოლოგიური პროცესი გაძლიერდა უკიდურეს ზღვრამდე და ამ დროს ჩაირთო დამუხრუჭების მექანიზმი. სული რომ არ დაიღუპოს, სხეულმა უნდა იავადმყოფოს.

ქალი ჩაფიქრდება, შემდეგ კი მაჩერებს.

— მე მინახავს ადამიანები, რომლებსაც ეჯავრებათ სხვები, განსჯიან სხვებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მშვენიერად ცხოვრობენ და აქვთ შესანიშნავი ჯანმრთელობა. რატომ არ დასჯის მათ ღმერთი?

— თუკი თქვენ გამოიქცევით და მთელი ძალით თავით კედელს დაეჯახებით, თქვენი ფეხი დაზიანდება?

— რა შუაშია აქ ფეხი?

— იმ შუაშია, რომ თქვენ — ერთი ორგანიზმი ხართ. თუკი არასწორი დასკვნები, რომელიც გამოტანილია თავის მიერ, მიგვიყვანს სიკვდილამდე, დაზარალდება ფეხიც. ეს გარეგან დონეზეა თქვენი და თქვენი ქალიშვილის სხეულები სხვადასხვა, თორემ ფაქიზ დონეზე ისინი ერთიანია და, თქვენი არასწორი ემოციებისა და ქმედებებისთვის, პასუხს აგებს ქალიშვილი.

ახლახან სატელევიზიო გადაცემის დროს გავიგე გამაოგნებელი ფაქტის შესახებ. სერიული მკვლელი ჩიკოტილო მოუყვა შვილს თავისი ოჯახის საიდუმლოს: თურმე მას ჰყავდა ძმა, რომელიც მშობლებმა შიმშილობის დროს მოკლეს და შეჭამეს. ამის შემდეგ მის სულში რაღაცა გადაბრუნდა. ასე რომ, თუკი ადამიანი ეჯახება თავით კედელს, დაზიანდება მთელი მისი სხეული, მაგრამ არა უცებ. თუ რატომ არის დასჯის მექანიზმი გაჭიმული მრავალ წელზე, ათწლეულზე, ზოგჯერ მრავალ სიცოცხლეზე — ეს ჩვენი პრობლემა არ არის. რა დონეზეც ჩვენ ჩავდივარ დარღვევას, იმდენ ხანსაც გრძელდება მისი გამოსყიდვის პროცესი. ჯერ შვილები არიან დამოკიდებულნი ჩვენს ცოდვებზე, შემდეგ ჩვენი ცოდვის გამოსყიდვის მიზნით, ჩვენ ვხდებით ავად და მათი მაგივრად ვკვდებით.

თუკი შეცდომა დარჩება დაუსჯელი, ის განმეორდება გაძლიერებული სახით, სანამ არ დადგება სასჯელი ან ადამიანური ან კიდევ ღვთაებრივი კანონებით.

— იცით, რაშია სხვაობა, — ვეუბნები ქალს, — სამყაროს კანონები მუშაობენ ნელა და გარდუვლად. ერთი ადამიანის შეცდომისა და ცოდვებისთვის, ნადგურდება მთელი გვარი და შთამომავლობა. სამყაროს კანონები, რომლებიც მოცემულია ღვთაებრივ მცნებებში, გვაძლევენ ცოდვის შეცნობის უნარს, აჩქარებენ სასჯელს და საშუალებას გვაძლევენ თავიდან ავიცილოთ საზოგადოების ან ცალკე აღებული კაცის შთამომავლობის დაღუპვა, ადრე მის მიმართ გამოყენებული სასჯელის გამო. ზნეობა ეხმარება ადამიანს რათა მან არ შესცოდოს, არა სასჯელის შიშით, არამედ საკუთარი რწმენის გამო.

სამყაროს განვითარების უმაღლესი კანონი შეესაბამება მი-

სი ევოლუციის მთავარ ციკლს. სამყარო შეიქმნა შემოქმედის ნებით, მიისწრაფვის მისკენ და ბრუნდება მასში. უბრალოდ რომ ვთქვათ, განვითარების არსი — ღმერთისადმი სიყვარულის და მასთან ერთიანობის გაძლიერებაშია. ის, ვინც ამ პრინციპს ქადაგებს, ანუ არის მორწმუნე, თავისი სულისთვის მეტს იზრუნებს, ვინემ სხეულისთვის, ყველაფერში ღმერთის ნებას დაინახავს და არ განსჯის გარესამყაროსა და ადამიანებს, არ იქნება შურიანი, არ იქურდებს, არ იყაჩაღებს, არ მოკლავს, იმიტომ, რომ ეს შესაბამისობაში არ იქნება მის შინაგან მისწრაფებებთან.

ის, ვინც აჰყვება გაკიცხვას, შურს, მუდამ ეძებს დამნაშავეებს, თანდათან კარგავს ღვთაებრიობის განცდას თავის სულში, და იწყება გადაშენების ნელი პროცესი, რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს რამდენიმე წლის ან რამდენიმე თაობის შემდეგ.

მე ისევ ჩავფიქრდი, და მოგონებები გადავიდნენ მეორე პლანზე. ეხლა დაირეკება ტელეფონის ზარი, რაც იმას ნიშნავს, რომ მე უნდა მოვუსმინო პაციენტის ყველა პრობლემას, ავუხსნა მათი მიზეზი, შემდეგ გავაერთიანო ისინი, გადავაქციო სიყვარულის გრძნობად და დავეხმარო ადამიანს დასძლიოს საკუთარი თავი.

ისმის ზარის ხმა, და მე ვერთვები. რეკავს ბავშვის მამა, რომელსაც სერიოზული პრობლემები აქვს. დიაგნოზი — მიოპატია, კუნთების ატროფია. კუნთების დისტროფია ჩვეულებრივ გრძელდება იმ მომენტამდე, როდესაც ადამიანს უკვე არ შეუძლია სუნთქვა, შემდეგ დგება გაგუდვით სიკვდილი. მახსოვს, მიღებაზე მყავდა ქალი ანალოგიური პრობლემით. მას არ შეეძლო სიარული და ქმარმა იგი მოიყვანა ხელში აყვანილი. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც იგი ისევ გამოჩნდა მიღებაზე, მე ის უბრალოდ ვერ ვიცანი — ეს იყო სულ სხვა ადამიანი. ის თვითონ ამოვიდა მეხუთე სართულზე და თავს მშვენივრად გრძნობდა.

გამახსენდა მეორე პაციენტიც, რომელიც ძლივს ამოვიდა ბინაში, სადაც მე მიღება მქონდა. მას სახე გამწვანებული ჰქონდა.

— ნამეტანი მაღლა ასულხართ, — მითხრა მან.

ოთახში რომ შემოვიდა, ფეხსაცმელი არ გაუხდია. მცველები დარჩნენ კარების მეორე მხარეს.

— მე დამისვეს შვილი დიაგნოზი და შვილივე სასიკვდილო, — თქვა მან. — შეგრძნება მაქვს, რომ მალე მომკლავენ, ამიტომ ბალიშის ქვეშ ყოველთვის პისტოლეტი მაქვს ამოდებული.

— თუკი თქვენ სიკვდილი გიწერიათ, ვერავითარი პისტოლეტი ვერ გიშველით. თუ გინდათ გადარჩეთ, დაივიწყეთ ადამიანური ლოგიკა.

ერთი თვის შემდეგ იგი ისევ მოვიდა მიღებაზე. კიბეებზე მსუბუქად ამოვიდა, სახე უკვე არ ჰქონდა გამწვანებული. მისი სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა და უთხარი მას ამის შესახებ.

ყველაზე საინტერესო მოხდა ორი-სამი წლის შემდეგ. მიღებაზე მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი და მთხოვა გამეხედა მისი შვილისთვის, და უცებ ჩვენმა ნაცნობმა, რომელიც ასევე ორი-სამი წლის წინათაც იყო მიღებაზე, გამიყვანა გვერდზე და ჩუმად მითხრა:

— გახსოვს, შენთან იყო მიღებაზე მდიდარი კაცი, რომელსაც დაუსვეს შვილი დიაგნოზი? ეს ის კაცია, მხოლოდ ათი წლით გაახალგაზრდავდა.

ჩემთვის ძნელი იყო მომეგონებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი სინამდვილეში ის კაცი იყო. ამჟამად მისი ენერგეტიკა სულ სხვა იყო; რბილი, წყნარი, მორიდებული, და ბავშვის ველიც არ იყო ცუდი.

მე თავს ვართმევ მოგონებებს და ვუბრუნდები პაციენტს.

— ახლა არ გავხედავ თქვენს შვილს, — ვეუბნები, — დიაგნოსტირებას გავაკეთებთ თქვენ და თქვენს მეუღლეს. თუკი თქვენთან ყველაფერი ნორმალურადაა, მაშინ ეს იქნება ბავშვის პირადი კარმა, მაგრამ არა მგონია, და შემდეგ, როგორც წესი, პირადი კარმა ემთხვევა ოჯახისას. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ბავშვი თქვენ დატვირთეთ საფუძვლიანად.

პაციენტი მეუბნება სახელებს, მე ვუყურებ ველს. ადრე დიდ ხანს მოუნდებოდი მის დიაგნოსტირებას, შემდეგ გავაკეთებდი

მშობლების დიაგნოსტირებას, გავხედავდი, რომელმა მოვლენებმა იმოქმედეს დამღუპველად ბავშვის სულზე და სხეულზე, მაგრამ მივხვდი: თუკი მოინდომებ უცებ გადაახტე სამ-ოთხ საფეხურს, კიბეზე ვერ ახვალ. რამდენადაც დიაგნოსტირება და მკურნალობა მიდის ერთდროულად, ამოცანა ამოსახსნელია ეტაპობრივად. თუკი გადალახული არ არის პირველი საფეხური — უშედეგოა იფიქრო მეორეზე. პირველი საფეხური — ეს არის მატარმეირებელი სიტუაციის მიღება. თუკი არ არის ღმერთისკენ მისწრაფება, ღვთაებრივი ნების სრული მიღება, იმის გაგება, რომ ყოველგვარი სიტუაცია გიბიძგებს ღმერთის სიყვარულისკენ, თუკი ადამიანმა ვერ ისწავლა ცოტათი მაინც შეინარჩუნოს სიყვარული ყოველგვარ სიტუაციაში, — მაშინ ის ვერ შეძლებს მატრამვირებელი სიტუაციის მიღებას.

შემდეგ კი იმ უბრალო სქემით, რომელიც მე ბევრჯერ აღმიწერია. არ შეგიძლია მიიღო განწმენდა ადამიანების მეშვეობით — მიიღებ ავადმყოფობას. არ მიიღებ ავადმყოფობის მეშვეობით — მიიღებ სიკვდილს. უცნაურია, მაგრამ მამის მიერ ტრამეირების სიტუაციის მიღების ხარისხი მაღალია, როგორც ყველა ჯანმრთელი ადამიანსთვის. ხოლო ბავშვის დედის მიერ კი — კატასტროფაა. შინაგანად მტკივნეული სიტუაციების მიღება მას დიდ მინუსზე აქვს.

— თქვენ ჩემი წიგნები წაიკითხეთ? — ვეკითხები მამაკაცს.

— დიახ, წავიკითხე თქვენი წიგნები, შევისწავლე კასეტები, ვმუშაობდი საკუთარ თავზე.

მე თავს ვუქნევ — ეს გასაგები იყო მაშინათვე, ზედაპირული დიაგნოსტიკის დროსაც.

— თქვენმა მეუღლემ?

დადგა პაუზა

— მას დააინტერესა, — გაუბედავად მეუბნება იგი.

— სერიოზულად დაინტერესდეს, თუკი უნდა დაეხმაროს ბავშვს. რა არის მიოპათია? ვეკითხები მამას. — ეს არის კუნთების დაშლა, ესე იგი თვითდაშლა. რა არის თვითდაშლა? ეს არის თვითგანადგურების პროგრამის შედეგი. <u>რა არის თვით-</u>

განადგურება? ეს არის ადამიანების და მსოფლიოს სიძულვილის პროგრამა, რომელიც მოუბრუნდა ადამიანს მის საწინააღმდეგოდ. რა არის ადამიანების მიმართ აგრესია? ეს არის მატრავმირებელი სიტუაციის მიუღებლობა, ხოლო მატრავმირებელი სიტუაციის მიუღებლობა — ეს არის დაკარგვის, ტკივილისა და წყენის შემთხვევაში ღმერთის სიყვარულის შენარჩუნების არცოდნა. რატომ არ შეუძლია ადამიანს შეინარჩუნოს ღმერთისადმი სიყვარული? იმიტომ, რომ მისთვის ამ ქვეყანასთან ერთობა უფრო მიშვნელოვანია, ვინემ ღმერთთან ერთობა. ადამიანური ბედნიერება მისთვის უფრო მეტი სიამოვნებაა, ვინემ ღმერთის სიყვარული. ასე რომ, — მივმართავ მე ბავშვის მამას, — თუკი თქვენი ცოლი არ მოისურვებს შეცვლას, თქვენს შვილს გადარჩენის ცოტა შანსები რჩება.

— მის ნათესავებს სჭირდათ ასეთი ავადმყოფობა, — ამბობს კაცი უცებ.

— საგვარეული კარმის გადალახვა ორჯერ უფრო ძნელია. მაგრამ სხვა გამოსავალი მაინც არ არის. თქვენმა ცოლმა უნდა ისწავლოს სიყვარული და პატიება. ბავშვის ავადმყოფობაში თქვენი ბრალიც არის, ვეუბნები მე, — მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ისწავლეთ ნებისმიერი სიტუაციის მიღება.

— რასაკვირველია, — მიპასუხა მან, — შეიძლება რამე დარჩა გასული წლებიდან.

— არა, თქვენ ეხლაც არასწორად იქცევით, — ვეუბნები. — თქვენ უქმნით მეუღლეს ზედმეტ კომფორტს, ზედმეტ სტაბილურობას, შინაგანად ეთაყვანებით თქვენს ურთიერთობას და აძლიერებთ მის მიწებებას ადამიანურ ბედნიერებასთან. ქალი ქვეცნობიერად მრავალჯერ აძლიერებს მამაკაცის ფილოსოფიასა და შინაგან ორიენტაციას. მამაკაცისთვის სწორი მსოფლმხედველობა ბევრჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ქალისთვის. ათასწლეულების განმავლობაში ქალი იჯდა სახლში და ზრდიდა ბავშვებს, ხოლო მამაკაცი აშენებდა სამსხვერპლოებს, ტაძრებს და ატარებდა რელიგიურ რიტუალებს. სამყაროს სწორი გაგება, სადაც ღვთაებრივი იყო პირველ ადგილზე, ხოლო

ადამიანური მეორეზე, გადაიცემოდა ქალზე, ხოლო ის მრავალჯერ აძლიერებდა მას თავის თავში და შვილებში.

ადრე ვერ ვგებულობდი, თუ რატომ იყო ბავშვის ავადმყოფობა დედის ბრალი, ხოლო უფრო ხშირად ავადმყოფობდა და კვდებოდა მამა. მხოლოდ ეხლახან მივხვდი: ჩვენ ბრალში ვართ იმათ წინაშე, ვისაც ვრყვნით. ცოლს და ბავშვებს უნდა მისცე განუწყვეტელი სიყვარული — ეს გრძნობა ღვთაებრივია, და ის არ უნდა წყდებოდეს, ხოლო ადამიანური უნდა მოდიოდეს სინუსოიდურად. დღეს უნდა იყოთ დამთმობი, ხვალ მკაცრი. გუშინ თუ ურთიერთობა იყო ცივი, დღეს უნდა იყოს თბილი. მუდმივი შეიძლება მხოლოდ ღვთაებრივი იყოს. როდესაც ჩვენ ვცდილობთ სტაბილური და მუდმივი გავხადოთ ადამიანური ბედნიერება, ჩვენ ვიწყებთ მასთან მიწებებას, და მისი დაკარგვის ტკივილი გაუსაძლისია, ხოლო, რადგანაც, სტაბილურობა მატერიალური სამყაროსთვის არის სიკვდილი, ამიტომ, ადამიანური ბედნიერების თაყვანისცემას მივყავართ გარესამყაროს მიმართ დაფარულ აგრესიამდე.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იფანტება და იკარგება ის, რაც ჩვენ გვიყვარს. ვცდილობთ რა დავიცვათ იგი, ჩვენ ვეძებთ დამნაშავეებს და ვამჟღავნებთ აგრესიას სამყაროს მიმართ. მაგრამ, რადგანაც ტრანსფორმაციის, განვითარების და განადგურების მთავარი წყარო სამყაროში არის შემოქმედი, საბოლოდ აგრესია მიმართულია მის მიმართ. ხოლო შემდეგ კი, ბუნებრივია, მოხდება შემობრუნება და თვითგანადგურება. ყველაფერი, რაც წარმოშობს ღმერთის მიმართ აგრესიას, უნდა განადგურდეს.

ამიტომაც ღმერთის თვითშეცნობამდე ადამიანი გადის რამდენიმე სტადიას. თავიდან საჭიროა გავიგოთ და შევიგრძნოთ, რომ ყოველგვარ სიტუაციას მივყავართ ღმერთამდე და სიყვარულამდე. უნდა ვისწავლოთ ღვთაებრივი ნების მიღება შინაგანად. შემდეგ უნდა ვისწავლოთ შეყვარება. უნდა გადავაგდოთ ყველაფერი, რაც ხელს გვიშლის შეყვარებაში, — წარსულის გამო სინანული, მომავალზე წუხილი. მივიღოთ ყველაფერი, რაც

მოხდა და რაც მოხდება. ადამიანები და მოვლენები უნდა გაქრნენ, და ჩვენ ყველაფერში უნდა ვხედავდეთ მხოლოდ ღვთაებრივ ნებას. ეს ადამიანის შემეცნებაა რომ ხედავს დეგრადაციას და განვითარებას, მარჯვენას და მარცხენას, კარგს და ცუდს, ხოლო ღვთაებრივ ლოგიკაში ერთდროულად მოსჩანს მედლის ორივე მხარე. ჩვენ განწირული ვართ დავუბრუნდეთ ღვთაებრივს – ყველაზე ბოლო ცოდვილი, და ყველაზე პირველი წმინდანი. და თუკი ადამიანურ დონეზე არის მართლები და მტყუვნები, და არსებობს ყოველი ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა, კარმულ დონეზე ადამიანები უკვე არ არის, არამედ არის ტენდენციები, რომლებიც გადაეცემა მთამომავლობით. ამას შეიძლება ვუწოდოთ გვარეულობის კარმა.

ინდოეთში ამბობენ: „არ არიან ადანიანები – არიან იდეები". ამ დონეზე ყოველი ადამიანის პირადი ნებელობა ძალიან შეფარდებითია. ის, ვინც ჩვენ გვაწყენინა, არის არამარტო არამზადა, არამედ გადამრჩენიც. მთავარ დონეზე – ღვთაებრივზე – არამზადები არ არიან, არის მხოლოდ ღვთაებრივი ნება. ამ დონეზე ჩვენ ყველას უკვე შეგვენდო წარსულში და გადარჩენილი ვართ მომავალში, ამ დონეზე ჩვენ გვაქვს უფლება მხოლოდ ერთ გრძნობაზე – სიყვარულზე, ადამიანური ნება აქ არ არის, ისევე, როგორც არ არის ადამიანის პიროვნებაც. ამიტომაც ამბობდა ქრისტე, რომ ღვთაებრივი ნების გარეშე არც ერთი ღერი თმა არ ჩამოუვარდება ადამიანს თავიდან.

რამდენადაც ჩვენ, ჩვენი არსით ვართ ღვთაებრივი, მაგრამ ამასთან გვაქვს მატერიალური გარსი, გაჩენილი ვართ ვიმოქმედოთ რამდენიმე ლოგიკით. ადამიანური ლოგიკა – ეს არის ერთი ციცქნა ნაწილი ღვთაებრივი ლოგიკისა, ის აუცილებელია სხეულის განვითარებისა და მომსახურებისთვის, მაგრამ ის ყოველთვის უნდა იყოს მეორადი, ისევე, როგორც ყოველთვის მეორადია უჯრედის ინტერესები ორგანიზმის ინტერესებთან შედარებით, – ეს, სამყაროს გავითარებისა და არსებობისთვის ნორმალური ციკლია.

ახლა გადავდივართ პრქტიკაზე. ორი სიტყვით თუ რა უნდა

გააკეთოთ. პირველი: თქვენ უნდა ჩამოიყალიბოთ სწორი მსოფლმხედველობა, და მეორე: უნდა დაეხმაროთ ცოლს ეზიაროს ღვთაებრივს. სადღაც არის ყვავილები, სადღაც ეკლები. საშუალოდ შინაგანად შეცვლაზე მიდის ორიდან ექვს თვემდე.

კიდევ შესაძლებელია თქვენთან მიღებაზე მოხვედრა? მეკითხება კაცი.

— ეს თქვენი უფლებაა, — ვეუბნები მე, — არის ტელეფონი, არის ჩაწერა.

ისმის შემდეგი ზარი.

— მე უკვე ვიყავი თქვენთან მიღებაზე, მეუბნება ქალი. — ჩემთან ყველაფერი ნორმალურადაა. მე მინდოდა დამესვა რამდენიმე შეკითხვა, და საინტერესო იყო გამეგო, როგორ ვმუშაობ ჩემს თავთან.

— არა გაქვთ ცუდი შედეგები თქვენი თავის შეცვლაში, — ვეუბნები, — მაგრამ, შინაგანი თაყვანისცემა ადამიანურ ბედნიერებაზე, სულიერებასა და იდეალებზე, თქვენ ჯერ კიდევ ვერ დასძლიეთ. წარსულ ცხოვრებაში თქვენმა სულიერებამ გაუსწრო სიყვარულს, და დაიწყო შეზრდა უმაღლეს ადამიანურ ღირებულებებთან, ამიტომ, ბავშვობიდან გადაულახავ ამოცანას წარმოადგენდა, მიგეღოთ მომავლის და იდეალების მარცხი ამ ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვების გაჩენის შანსი ცოტაა.

— მე არა მყავს ბავშვები, — მახსენებს ის.

მე თავს უქნევ:

— დიახ, ეს შეესაბამება დიაგნოსტიკას. დამისვით შეკითხვები.

მე ბავშვობიდან მსუქანი ვარ, — ამბობს ქალი, — როგორ არ ვიკვებე, მაგრამ ვერ გავხდი. ბავშვობიდან ვხედავ წინასწარმეტყველურ სიზმრებს, და ყველა მისრულდება. უკვე ერთი წელია, რატომღაც მარჯვენა ხელის ცერა თითი მიბუჟდება. ის აკეთებს პაუზას.

— გააგრძელეთ, — ვეუბნები, — შემდეგ გიპასუხებთ ყველა პუნქტზე.

— ბოლო დროს გამიჩნდა უცნაური შეგრძნება: როდესაც ვიმყოფები ბუნების წიაღში, ვხედავ ტყეს, ხეებს — უცებ მოვიწყენ, დავნაღვლიანდები. უცნაურია, ადრე მიხაროდა, ეხლა პირიქით. კიდევ ერთი უცნაური რამ: ამ ბოლო დროს არ შემიძლია თევზის ჭამა. ხოლო ახლახან მესიზმრა უცნაური რამ. სიზმარში მომისდა თევზი. დიდ ხანს ვუყურებდი მომზადებულ თევზს, მიხაროდა, ძალიან მინდოდა ჭამა. და აი მე ვჭამ თევზს და უცებ ცუდად ვხდები, შემდეგ კი გაოცებული უყურებ, თუ როგორ მომწყდა მარჯვენა ხელის თითი. გავაგრძელო? მეკითხება ქალი.

—დიახ!

— როდესაც წავიკითხე თქვენი წიგნები, არ მინდოდა ისე დავიწყე ხალხის დახმარება. სამუშაოზე გოგონებს თავი რომ ასტკივდებათ, დადგებიან ჩემს გვერდით ცოტა ხანს და ტკივილი გაუვლით. ნელ-ნელა სხვებმაც იწყეს სიარული და შემომჩივლებენ ხოლმე თავიანთი ავადმყოფობის შესახებ. მე მათ ვეუბნები, რომ საავადმყოფოში კი არა ვართ გიმკურნალოთ მეთქი, და ვთხოვ ხელი არ შემიშალონ მუშაობაში. ამასთან, თუ ვინმეს თანაგრძნობა გამოვხატე, მაშინვე ყველაფერი მეწებება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სევდა მიპყრობს, მაგრამ სხვების დახმარების გამო ყოველთვის კი არა ვარ ცუდად. ზოგჯერ, პირიქით, მსუბუქადაც კი ვგრძნობ თავს. ეხლა, ალბათ, ყველაფერი გითხარით, — ამბობს ქალი.

— ყველაფერი, რაც თქვენ თქვით, შეიძლება დავიყვანოთ იქამდე, რაზეც თავიდან დავიწყეთ ლაპარაკი, — ვიწყებ მე, — რამდენადაც სულიერი პოტენციალი თქვენში მაღალია, ამიტომ თქვენი კონტაქტი ფაქიზ დონეებთან მომატებულია — აქედან გამომდინარე, გაქვთ ძილში სპონტანური ნათელხილვის უნარი. რამდენადაც ბავშვობიდან არ შეგეძლოთ მიგეღოთ უსამართლობა, მომავლის კრახი, ამიტომ თქვენი პროტესტი ელინდებოდა თვითგანადგურების პროგრამაში, ხოლო ქალებში ის ხშირად იბლოკება სიმსუქნით.

მარჯვენა ხელი დაკავშირებულია მომავალთან, განსაკუთრებით ცერა თითი, და თუ ის დაგიბუქლათ, ეს ნიშნავს, რომ

თქვენ არ მიიღებთ იმ სიტუაციას, რომელიც მოხდება ახლო მომავალში. სევდის მომგვრელი ტყეები და ხეები, თქვენი წინათგრძნობაა ბუნების კატაკლიზმების შესახებ, რომლებიც უნდა მოხდეს მომავალში, და რადგანაც შინაგანად თქვენ არ გინდათ ისინი მიიღოთ, თქვენ გეუფლებათ სევდა, ხოლო დაბუჟებული თითი ამუხრუჭებს მომავლის ხედვას. უბრალო ენით რომ ვთქვათ, რაც უფრო მაგრად დაგიბუჟდებათ თითი, მით ნაკლები სევდა იქნება სულში, ხოლო თუკი ამ ემოციის გადალახვას ვერ შეძლებთ, სევდისგან თქვენ დაგიცავთ მძიმე ავადმყოფობა.

თევზი თქვენს ქვეცნობიერებაში — ეს არის ადამიანური ბედნიერების, მისი გადარჩენის სიმბოლო. გასულ ცხოვრებაში, ალბათ, თქვენ ცხოვრობდით ზღვასთან ახლოს, და თევზი თქვენთვის იყო სიცოცხლის წყარო. ახლა კი იმისათვის, რომ გადალახოთ ამ სამყაროსთან ერთიანობა, მიიღოთ მომავალი უსიამოვნება, უნდა ამაღლდეთ ადამიანურ ბედნიერებაზე. ხოლო, რაც ცხოვრებასთან გაკავშირებთ, იმაზე გემართებათ ალერგია.

რაც შეეხება თქვენს მიერ ნანახ სიზმარს, ნიშნავს შემდეგს: თუკი თქვენ არ გააკეთებთ გადამწყვეტ ნაბიჯს ღვთაებრივისკენ, არ უკუაგდებთ შემეცნებას, ცხოვრებას, არ შეიგრძნობთ მათ მეორადობას, მაშინ ადამიანური ბედნიერება თევზის სახით მოგიწამლავთ სიცოცხლეს, და თქვენ გექნებათ ან დიდი დანაკლისი, უბედურება, ან მოურჩენელი ავადმყოფობა. მოწყვეტილი თითი, რა თქმა უნდა ძნელია კვლავ მიიკერო. ალბათ, სიზმრის მეშვეობით თქვენ გაგრძნობინებენ, რომ დაგრჩათ ცოტა დრო იმისათვის, რომ შეცვალოთ და აღზარდოთ თქვენი თავი უფრო ინტენსიურად.

ის, რომ სამუშაოზე გოგონები თქვენ გვერდით კარგად გრძნობენ თავს, მოწმობს თქვენს ძლიერ სულიერ პოტენციალზე და თქვენს გარკვეულ პასუხისმგებლობაზე იმათ ბედ-იღბალზე. გახსოვთ გამოთქმა: „ვისაც ბევრი მიეცა — მას ბევრსაც მოსთხოვენ?" ხოლო ადამიანების სურვილების ნებაზე მიშვება გამოჯანმრთელებად არ ღირს, არ არის საჭირო შენი ცოდვების სხვებზე გადატანა. პირველ რიგში, ადამიანმა თავად უნდა

გადალახოს თავისი პრობლემები და საკუთარი თავი თვითონ უნდა გარდაქმნას.

იცით თქვენთვის ყველაზე საშიში რა არის? – ვეკითხები ქალს. – გრძნობებით ცხოვრების არ ცოდნა. სულიერება დაკავშირებულია შემეცნებასა და მომავალთან, და როდესაც ქრისტე ამბობდა: „არ იფიქროთ ხვალინდელ დღეზე" ან „ნეტარ არიან სულით დაბალნი, რადგან მათია ცათა სასუფეველი", მაშინ მას მხედველობაში ჰქონდა იგივე, რაზეც ამბობდნენ ძველი ინდოელები: „ადამიანის მთავრი მტერი – ეს არის აზრი". „ეშმაკი გიკაკუნებს თავში, ხოლო ღმერთი გულში" – ალბათ, გაგონილი გექნებათ ასეთი ფრაზა?

რომ დაინახო ღვთაებრივი ყველაფერში, უნდა გამორთო აზროვნება. ღვთაებრივს ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ჩვენი გრძნობებით, ჩვენი ქვეცნობიერებით. როდესაც ადამიანის სული ძლიერ მიჯაჭვულია სხეულთან, მის მოთხოვნებთან, ესე იგი სურვილებთან და ცნობიერებასთან, მაშინ მისთვის ღვთაებრივთან შეხება ძლიერ მტკივნეული პროცესია. შესაძლებელია კიდევაც მოკვდე ამ დროს, თუკი განწმენდა ხდება ძალიან ჩქარა.

რატომ იწყება ღმერთის რწმენა მსხვერპლით? იმიტომ, რომ თუ უარს არ იტყვი ადამიანურზე, ვერ გაუძლებ ღვთაებრივთან ურთიერთობას. სხვათა შორის, თავშეკავებაც და თვითალკვეთაც (ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმა) – გაღებული მსხვერპლია. ჩვენ მივეჩვიეთ და ვთვლით, რომ სურვილებში, სექსში, და ჭამაში შეზღუდვა – ეს უკვე წმინდანობაა. შეზღუდვა საჭიროა, ასევე ცნობიერებაში. მხოლოდ სიყვარულში არ შეიძლება შეზღუდვა. თქვენ კარგი ცვლილებები გაქვთ, – ვეუბნები ქალს. – დაგრჩათ ერთი ნაბიჯის გადადგმა. თქვენმა სულმა უნდა გააკეთოს არჩევანი: რა არის მისთვის მნიშვნელოვანი – ამ ქვეყანასთან ერთობა თუ ერთობა ღმერთთან.

რამდენიმე წუთში მირეკავს შემდეგი პაციენტი. მას ნაცნობი ხმა აქვს. ვცდილობ გავიხსენო, ამაში ის მეხმარება:

– გახსოვთ, მე შემეძინა გოგონა და თქვენ გთხოვეთ ყოფილიყავით მისი ნათლია?

თვალწინ წარმომიდგა წარსულის სურათი, და მაშინათვე ყველაფერი გამახსენდა.

რა მოხდა, – ვეკითხები, – თქვენს შვილს რამე მოუვიდა?

– პრობლემა მე მაქვს, – მპასუხობს იგი, – და ძალიან სერიოზულიც. გოგონას დაბადების შემდეგ გამიჩნდა ინტერესი სხვა ქალის მიმართ, გამიჩნდა ძალიან ძლიერი გრძნობა. თქვენს წიგნებში წავიკითხე, რომ მივყოლოდი სიყვარულს. ცოლისგან წამოვედი. ვნახულობ შვილს, ცოლთან მაქვს მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ მასთან ცხოვრება არ მინდა. მე და იმ ქალს ერთმანეთის მიმართ გვქონდა ორმხრივი გრძნობები და სერიოზული რომანი. მე უბრალოდ დავფრინავდი, როდესაც ის გავიცანი, შემდეგ კი დაიწყო პრობლემები. ის თავსაც იწვალებს და მეც მაწვალებს. ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ერთად. ვიწვალეთ ერთ წელზე მეტ ხანს, და მან გადაწყვიტა დამშორებოდა. გაიცნო სხვა კაცი, წავიდნენ ქალაქიდან, და მას მაშინათვე დაეწყო ავადმყოფობები, გაუჩნდა ხერხემალთშორისი რგოლების თიაქარი. სხვა კაცთან რომანი მას არ გამოუვიდა, ვერ დარჩა მასთან. ახლა ჩვენს შორის აღსდგა ურთიერთობა, და ისევ ვწვალობთ ერთად ყოფნით. მე მაქვს ძლიერი უსაშველობის შეგრძნება – თითქოს დამარეტიანეს და გადამაგდეს სადღაც, ყველაფერს აზრი ეკარგება და ვვარდები ყრუ სევდაში. მირჩიეთ, რა გავაკეთო.

ჩავფიქრდი. ჩემს ფრაზას: „გაჰყევით სიყვარულს და არაფერზე არ იფიქროთ", თურმე ყველა თავისებურად გებულობს. უმრავლესობისთვის სიყვარული – ეს არის სექსუალური გრძნობა, ან სილამაზის თაყვანისცემა, ან სხვა ადამიანით გატაცება. უბრალო ენით რომ ვთქვათ, მოხმარება, ბედნიერების მიღება, სიამოვნება, ხოლო მოხმარება – ეს ყოველთვის დამოკიდებულებაა, ხოლო დამოკიდებულება – ტკივილი და დაკარგვა. საერთოდ ასეთი სასიყვარულო სამკუთხედი ჩნდება, როდესაც მამაკაცი ეთაყვანება ქალურ სილამაზეს, უმაღლეს მგრძნობიარობას, სექსუალურობას. პერიოდულად უნდა გაიაროთ ადამიანურისა და ღვთაებრივის განშრევების პროცესი. ეს ხდება ადამიანური ურთიერთობისთვის ტკივლის მიყენების მეშვეობით,

და რაც უფრო მეტად მიჯაჭულნი ვართ ადამიან·ურ ბედნიერებაზე, მით უფრო მეტ ტკივილს განიცდის ჩვენი სული შეყვარების დროს. „საინტერესოა, თუ რატომ მოკიდეს მას ასე სერიოზულად ხელი? – ვფიქრობ მე. – წმენდა ხომ მისი შესაძლებლობების საზღვარზე მიმდინარეობს".

– მითხარით თქვენი ქალიშვილის სახელი. – ვთხოვ მე.

როგორც კი მან წარმოთქვა სახელი, მაშინათვე ყველაფერი ნათელი ხდება. გოგონას ველი აიჭრა. მიიღოს ამ ქვეყანასთან ერთობის კრახი მას არ შეუძლია,

ასევე არ შეუძლია ადამიანური სიყვარულის დამცირება და ბედის მოშლა. ქალიშვილი რომ გადაარჩინონ, მშობლები შინაგანად უნდა შეიცვალონ. ღმერთისკენ მისწრაფება, სიყვარულის ინტენსივობა მათ უნდა ჰქონდეთ ბევრად მაღალი და უნდა ჰქონდეთ ბევრი ტკივილი – ზუსტად იმდენი, რომ გადაარჩინონ ბავშვი.

– ეხლა თქვენ გაძლევენ ყველაზე ადვილ, ყველაზე სასიამოვნო, თუმცა ყველაზე მტანჯველ შესაძლებლობას დაეხმაროთ ბავშვს, – ვეუბნები მამას. – არ გაშორდეთ იმ ქალს, მიჰყევით სიყვარულს, გააგრძელეთ ტანჯვა-წვალება – თქვენთვის ეს აუცილებელია. ვერ შესძლებთ დაეხმაროთ თქვენს ბავშვს, თქვენ უბრალოდ გაგანადგურებენ, შესაძლებელია გაგანადგურონ ყოველგვარი მძიმე ავადმყოფობის გარეშეც.

წინა მიღების დროს მე ვერ დავინახე, თუ როგორ ძლიერ ეთაყვანებოდით თქვენ საყვარელ ადამიანს. ის იჯდა თქვენს ქვეცნობიერებაში, ხოლო როდესაც დაგებადათ შვილი, ყოველივე დაფარული გახდა ცხადი. დაბრუნდით ცოლთან, ეცადეთ გული არ ატკინოთ მას სხვა ქალთან დემონსტრაციული ურთიერთობით. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ თქვენ ცოლი უფრო გიყვართ, ვინემ ის ქალი. თქვენ, უბრალოდ, ამის შესახებ არ უნდა გცოდნოდათ. თუკი ასეთ განწმენდას მოგცემდნენ ოჯახის, ცოლის მეშვეობით, თქვენ მას ვერ აიტანდით, ხოლო ასე კი, თქვენ გაქვთ, თუმცა სუსტი, მაგრამ საყრდენი წერტილი, და ამიტომაც, სხვა მხარეს მომუშავე მტკივნეული სიტუაცია, მიმართულია თქვენი ქალიშვილის მდგომარეობის გამოსაკეთებ-

ლად. თქვენ ჯერ კიდევ ვერ მოძებნეთ ჭეშმარიტი დასაყრდენი. როდესაც ყოველგვარი ფიზიკური ტკივილისა და დანაკარგის დროს, თქვენი სული რეფლექსურად მიმართავს ღმერთს, მაშინ თქვენი ტანჯვა იქნება ნაკლები და მოკლე.

რატომ დავუბრუნდე ცოლს? – მოულოდნელად მეკითხება კაცი.

– თქვენთვის სიყვარული მტკიცედ არის დაკავშირებული სილამაზესა და სექსუალურობასთან. სექსუალურობა – ეს არის ცხოველური გრძნობა, ის საჭიროა გვარის გასაგრძელებლად. ცხოველისგან რომ ადამიანი მივიღოთ, ამისათვის საჭიროა, სექსუალური გრძნობა გადაიქცეს მეგობრულ გრძნობად. ესე იგი, თუკი ქალმა დაგამცირათ როგორც მამაკაცი, ან იგი არ მოგწონთ როგორც დედაკაცი, რაც პრინციპში ერთი და იგივეა, მაშინ თქვენ უნდა მოექცეთ მას როგორც დაქალს ან დას. თუკი ადამიანი მიეჩვია თავგანწირვას, გრძნობების შეზღუდვას, თავშეკავებულობას, მაშინ სექსუალური ენერგიის გადასვლა თბილ ურთიერთობაში ხდება ადვილად და უმტკივნეულოდ. და მაშინ თუკი ცოლი გახდა სექსუალურად არა მიმზიდველი, მასთან უნდა შენარჩუნდეს მეგობრული თბილი ურთიერთობა.

შემდეგ: ადამიანში რომ გაიღვიძოს ღვთაებრივმა, უნდა მოხდეს ადამიანურის დამცირება. და თუკი ქალმა, ნებსით თუ უნებლიეთ, დაამცირა მამაკაცის მეგობრული გრძნობა, ადამიანური უნდა გადავიდეს ღვთაებრივ დონეზე. და მაშინ მას იგი შეუყვარდება მშობლიური სიყვარულით. უნდა გიყვარდეს მიუხედავად ყველაფრისა, როგორიც არ უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა გააკეთოს.

ჩვენ ვართ ცხოველები და ვცხოვრობთ ჩვენი ინსტიქტებით, ერთდროულად ვართ ადამიანები და ვანვითარებთ ჩვენს ადამიანურ გრძნობებსა და აზროვნებას, ასევე ვართ ღვთაებრივის მატერებლებიც. ჩვენ გვიყვარს და შეგვიძლია შევიყვაროთ ღვთაებრივი სიყვარულით. ჩვენში მუდმივად არის სექსუალური, მეგობრული და ღვთაებრივი გრძნობა. რატომ იღებავენ ქალები ტუჩებს და რატომ იცვამენ ლამაზად? იმისათვის რომ

ალაგზნონ სექსუალური გრძნობა მამაკაცებში და გარდაქმნან შეძლეს იგი ადამიანურ და მეგობრულ გრძნობად.

სექსუალური ლტოლვა და დაუფლების სურვილი ტრანსფორმირდება ქალისადმი დახმარების სურვილად, მისთვის ზრუნვის სურვილად, მისი გულისთვის გმირობის ჩადენის სურვილად, ვიყოთ ჭკვიანები და ნებისყოფიანები, ბევრ რამეს მივაღწიოთ ცხოვრებაში და ა.შ. ხოლო თუკი ქალი არა მხოლოდ ლამაზია, არამედ სილამაზე გასულიერებულია სიყვარულით, ზრუნვით და ალერსით, მაშინ ადამიანური გრძნობა გადაიქცევა ღვთაებრივად, და მამაკაცს მოუნდება თავი გასწიროს ასეთი სიყვარულისთვის. ამ შემთხვევაში ქალი ინვალიდიც რომ გახდეს, ან დაკარგოს სილამაზე, მოხუცდეს ან მოკვდეს, მას იგი მაინც უყვარება, ესე იგი სიყვარულის ღვთაებრივი გრძნობა კარგავს უნარს დამოკიდებული იყოს გარესამყაროზე. სიყვარული თავად იწყებს ამ სამყაროს შექმნას. და ის, ვინც ჩვენ გვიყვარს იწყებს გამოჯანმრთელებას, ხდება უფრო ძლიერი, ჭკვიანი და ახალგაზრდა. რა არის ვულგარულად ჩაცმული ქალი? თუკი მას აქვს ძლიერ მკვეთრად შეღებილი ტუჩები, გამომწვევად ხაზგასმულია სექსუალობა, მაშინ მამაკაცის ცხოველური ენერგეტიკა არაფრად არ ტრანსფორმირდება. თუკი მამაკაცი გრძნობს ძალიან ძლიერ სექსუალურ გრძნობას, და ის არაფერში არ გადადის, არამედ სივდება და იბერება, ის, ან გააუპატიურებს ამ ქალს, ან გამოუშვებს ორთქლს, ან მძიმედ ავად გახდება, ან რამდენიმეჯერ უნდა დაუვარდეს მას გადარჩენის ენერგია, ესე იგი სექსუალური ლტოლვამ უნდა დაიკლოს, და შესაძლოა იმპოტენციამდეც.

ასე რომ, შეიძლება დავინახოთ პირდაპირი კავშირი სექსუალურ რევოლუციასა და ევროპელი მამაკაცების პოტენციის მკვეთრ დაცემას შორის. ამჟამად დასავლეთის ექიმებმა შენიშნეს, რომ იმ ქალებს, რომლებიც იცვამენ სექსუალურად, ხშირად ემართებათ უშვილობა, ჰორმონალური ფონის დაწყვა, უჩნდებათ პოლიპები, სიმსივნეები, საშვილოსნოს და საკვერცხეების კისტა. ზედმეტ ჰორმონალური აღგზნებას, ამბობენ ექიმები, მუდმივ ნერვულ გადატვირთვას, მივყავართ მთავარი ფუნქციის მოშლისა და განადგურებისკენ. რაღაცაშიც ექიმები

ნაწილობრივ სწორი არიან, მაგრამ ეს ერთი მიზეზთაგანია.

მამაკაცი, რომელიც ხშირად სარგებლობს მეძავების მომსახურებით, ასევე მიდრეკილია იმპოტენციისკენ, რაც არ უნდა უმანკოდ ჩაიცვას მეძავმა, რადგან მთელი მისი ენერგია მიმართულია სუფთა ფიზიოლოგიური აქტისკენ, რომლის მიზანიც არის მხოლოდ სიამოვნების მიღება. ბოლოს და ბოლოს სიამოვნება იწყებს სიყვარულის შთანთქმას, სხეული იწყებს სულის შთანთქვას, და ის, ბუნებრივია, უნდა დასუსტდეს და განადგურდეს. ასე რომ, როდესაც მამაკაცი უარს ამბობს ღვთაებრივსა და ადამიანურზე თავის თავში, და უნდა რომ გადაიქცეს ცხოველად, ღმერთი მას სჯის. წინდაცვეთის არსი, რომელიც დაწესებულია იუდაიზმისა და მუსულმანობის მიერ, იმაში მდგომარეობს, რომ მორწმუნე ადამიანმა არ გააკეთოს ონანიზმი. ცრუმორწმუნე დასავლეთი ამ დროს ასწავლის ბავშვებს გააკეთონ ონანიზმი, იმეორებენ, რომ ეს არის სექსუალური აღზრდა, რომ ეს სასარგებლოა, რომ ეს ამცირებს სტრესს, ახალგაზრდების აგრესიულობას და გაუპატიურების რაოდენობას. ასევე, მე მითხრეს, რომ ისრაელის სკოლებში ამ თემას ასწავლიან ყველგან. ბევრ ქვეყანაში, იცავენ რა გარეგნულ წესებს, ადამიანები კარგავენ ღმერთისადმი რწმენას და კარგავენ უმაღლეს ზნეობას. ცხოველიდან ადამიანად გადაქცევა ძალიან მტკივნეულია – ეს ისევ ძნელია, როგორც შეინახო თბილი გრძნობები ქალის მიმართ, რომელმაც დაამცირა თქვენი მამაკაცური საწყისი.

ის, ვინც ქმნის ოჯახს ცხოველურ, სექსუალურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, საბოლოოდ განწირულია დიდი პრობლემებისა და ოჯახის დანგრევისთვის. გახედეთ, რა ხდება თანამედროვე რუსეთში! განსაკუთრებით ხშირად, ცნობილ და მდიდარ ადამიანებთან. ცოტათი დაბერდება თუ არა ცოლი, კაცი მაშინათვე ირთავს ახალგაზრდა გოგონას – ეს ხომ სრული კერპთაყვანისმცემლობაა, ცხოველური ქმედებაა, ამასთან კაცი თავის თავს უწოდებს მორწმუნეს, სცენიდან ლაპარაკობს სიყვარულზე, სილამაზეზე, ზნეობაზე და ა.შ. – გარედან ყველაფერი ნორმალურადაა, ხოლო სულში კი სიცარიელეა.

დასავლეთის ქვეყნებმა, შეიგნეს რა კატასტროფის სიღრმე, ცდილობენ მიბრუნდნენ უკან. რაღაცით აქეთკენ უბიძგებს ასევე შიდს-ის გავრცელებაც — თვითონ ბუნება ეხმარება ადამიანს დაამუხრუჭოს თავისი გარყვნილება. რით არის საშიში ქორწინებამდე ხშირი სექსუალური კავშირები? სექსუალური მიმწიფების პერიოდში გოგონას უგროვდება დიდი რაოდენობის ენერგია, რომელიც მიდის არამარტო მისი მომავალი შვილის სხეულის ფორმირებაში, არამედ, მისი ხასიათის, ბედის, ტალანტის, ნიჭის ფორმირებაში. ყველაფერ ამას სჭირდება ენერგია. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ეს გარდაიქმნება სუფთა სექსუალურ სიამოვნებად, და მასთან ერთად გოგონას არ უნდა დაფეხმძიმება, ესე იგი, არ უნდა მისცეს ენერგია მომავალ ბავშვს, და რაც უფრო მეტ კონცენტრაციას ახდენს სექსუალურ სიამოვნების მიღებაზე, მით უფრო მეტად შეეშინდება დაორსულების. მივიღებთ, რომ ყოველი ასეთი სექსუალური აქტი ამ ახალგაზრდა ქალისთვის — ეს არის მომავალი შვილების უარყოფის პროგრამა. ამასთან მთელი ენერგია მიდის ბავშვის არა სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების განსავითარებლად, არამედ სურვილებისა და სიამოვნების დაკმაყოფილების კონცენტრაციისკენ. შემდეგ ქალს მაინც მოუნდება დაბადოს შვილი, მაგრამ უკვე არ შეუძლია. ცხოველური გრძნობა ბოლომდე დაკმაყოფილებულია, ხოლო ღვთაებრივისთვის, ადამიანურისთვის პრაქტიკულად ენერგია არ დარჩა.

ბუნება თავს იცავს ასეთი შვილებისგან, მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ ცივილიზაციის მაღალი დონე, მათ თავი შეუძლიათ კომფორტულად იგრძნონ მხოლოდ პირველყოფილ საზოგადოებაში, ესე იგი ეხლანდელი ზნეობის პირობებში ან ცივილიზაცია დაიღუპება ან კიდევ ქალები უარს იტყვიან შვილების გაჩენაზე. ამრიგად, ბოლო შეიძლება დადგეს ჩქარა ან ნელა, ეს დამოკიდებულია კლიენტის სურვილზე. გახსოვთ იმ პოპულარულ ფილმში მთავარ გმირს ეკითხებიან: „შენ ჩქარა მოგკლათ თუ გინდა იწვალო?“ ის კი შეჰყურებს ცას და პასუხობს: „უკეთესი იქნებოდა, რა თქმა უნდა, წვალებით“.

ასე რომ, მე თქვენ გისურვებთ იმავეს, – ვეუბნები კაცს. – ქალში თქვენ ჯერ უნდა დაინახოთ ღვთაებრივი, ესე იგი მიიღოთ და შეიყვაროთ იგი როგორც ბავშვი, ან როგორც ავადმყოფი ბავშვი. იმიტომ, რომ მაშინ მისაცემი გექნებათ მეტი სიყვარული, და გექნებათ ნაკლები იმედი იმისა, რომ ის იქნება თქვენი დასაყრდენი, ესე იგი ნაკლები ანგარება. შემდეგ თქვენ ქალი უნდა გიყვარდეთ, როგორც მეგობარი და ამხანაგი, და მხოლოდ ამის შემდეგ – როგორც სექსუალური პარტნიორი. როდესაც ისწავლით ასე მოიქცეთ, თავისით, ადვილად და ლამაზად მოგვარდება ყველა პრობლემა.

ჩვენ ვემშვიდობებით ერთმანეთს და მე ვდებ ყურმილს.

მიღება დამთავრებულია. თავი მისკდება. უცნაურია – მიღება ხდება ძალიან დამღლელი. ალბათ, იმისათვის, რომ მე უფრო ორიენტირებული ვიყო წიგნებზე. ახლახან ტელეფონით ქალი მომიყვა ისტორიას იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ჩემთან მიღებაზე მოხვედრას ერთი ქალი, რომელსაც შვილი კომაში ჰყავდა.

– თქვენ წიგნები წაიკითხეთ, კასეტებს უყურეთ? შეეკითხა მას ჩემი ნაცნობი.

– არა!

– მაშინ მიღებაზე თქვენ ვერ მოხვდებით.

– არ შემიძლია დავესწრო ლექციას, რადგან ვუზივარ ჩემს ქალიშვილს სასთუმალთან საავადმყოფოში.

– ის თქვენ ვერ მიგიღებთ, – უთხრა ჩემმა ნაცნობმა, – იკითხეთ მისი წიგნები!

გოგონას დედამ ითხოვა, რომ მისთვის მიეტანათ საავადმყოფოში წიგნები. წაიკითხა პირველი წიგნი და გოგონას მკვეთრად დაეტყო უკეთესობა. დედას გაუხარდა და წიგნები გვერდზე გადადო – გოგონა ისევ ცუდად გახდა. მაშინ დედამ უკვე სერიოზულად დაიწყო შემდეგი წიგნების კითხვა – გოგონა გამოვიდა კომადან, გამოკეთდა, და ის გამოწერეს საავადმყოფოდან. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ერთი ყველაზე უკეთესი მიღება, რომელიც მე ჩამიტარებია.

## თევზაობა

უკე ორი საათია, რაც ჩვენი თვითმფრინავი ჰაერშია. ჯერ თვითმფრინავმა უნდა ჩაგვიყვანოს ფრანკფურტში, შემდეგ გადავჯდეთ სხვა თვითმფრინავში, რომელიც მეგობრებთან ერთად კუნძულზე ჩაგვიყვანს, სადაც უნდა ვითევზაოთ. წინ კიდევ ათი საათის საფრენია.

ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თუ როგორ გვწოვს ძალებს მიჩვევის, განცდების და ზრუნვის წვრილი ძაფები. ყოველგვარი მოგზაურობა — არის ჩვეულებრივი ურთიერთობებიდან დაშორება. და თუკი სწორად მივუდექით მოგზაურობას, ვნახავთ, რომ ის ენერგია, რომელიც ადრე უნაყოფოდ იკარგებოდა, შეიძლება წავიდეს ახალი იდეების დასაბადებლად, სულისა და სხეულის წესრიგში მოსაყვანად.

მახსენდება, ამერიკაში მცხოვრები ხანშიშესული ცოლ-ქმრის ისტორია. ცოლს ჰქონდა კიბო, რომელიც ოპერაციის გაკეთებას არ ექვემდებარებოდა, ხოლო ქმარს დიაბეტის მძიმე ფორმა. ნელ სიკვდილს პენსიონერებმა ამჯობინეს რომანტიკული მოგზაურობა უცნობი დასასრულით. ამაზე წავიდა მთელი მათი ფული, ისიც კი, რომელიც გადანახული ჰქონდათ დასამარხავად. ისინი მოგზაურობდნენ დაახლოებით ერთ წელიწადს, და როდესაც დაბრუნდნენ, გაირკვა, რომ ორივე ჯანმრთელი იყო.

ჩვენ ყველაფერს ვეჩვევით, მათ შორის შეცდომებსაც. ჩვენი ქვეცნობიერება არაფერს არ ივიწყებს, და ხშირად სამყაროს მიმართ არასწორ დამოკიდებულებას, რომელიც გროვდება მრავალი წლის განმავლობაში, მივყავართ სულ უფრო მეტი ენერგიის დაკარგვამდე. მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ. და მხოლოდ მძიმე დაავადების შემდეგ, როდესაც ორგანიზმი ატეხს განგაშს, ვცდილობთ, გავუმკლავდეთ თავსდატეხილ პრობლემას, ხშირად უშედეგოდ.

თანამედროვე მედიცინა ადამიანს არ აძლევს სიკვდილის საშუალებას, და არც გამოჯანმრთელებაში ეხმარება. ასეთი ადა-

მიანი – იდეალური კლიენტია მზარდი ფარმაცევტული მრეწველობისთვის. ბოლო დროს, ცნობისმოყვარეობით ვამჩნევ, თუ როგორ ემსგავსება მედიცინა შოუ-ბიზნესს. ძველი დროიდან ყველა ვაჭარმა იცოდა, რომ თუ იგი მეტ ფულს ჩადებდა საქონელში, ვინემ მოიგებდა მისი გაყიდვით, გაკოტრდებოდა. ბიზნესის წარმატება განისაზღვრება უბრალო ფორმულით: უნდა ჩავდოთ ნაკლები ფული და მონდომება, ხოლო მივიღოთ რაც შეიძლება მეტი მოგება. რაც მეტია მოგება, მით უფრო ჩქარა და აქტიურად ვითარდება ბიზნესი. მატერიალური სამყარო მრავალი ათასი წლის განმავლობაში ამტკიცებდა ამ კანონის უტყუარობას, მაგრამ ადამიანის სული ცხოვრობს სულ სხვა კანონებით.

ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია სულთან და ასახავს მის განვითარებას, უნდა ცხოვრობდეს მისი კანონებით. ხელოვნების მთავარი პრინციპია – გასცეს ბევრად მეტი, ვინემ ღებულობს. ხელოვნება აკავშირებს რელიგიას და მეცნიერებას. მისდევს რა რელიგიურ პოსტულატებს, რომლებშიც ჩადებულია ალტრუიზმის დიდი პოტენციალი, ხელოვნება ვითარდება. მაგრამ თუ მას დავაყენებთ ნაკადზე და გადავაქცევთ ხელოსნობად, მასში დაიწყებენ გამარჯვებას მატერიალური სამყაროს კანონები, ესე იგი ბიზნესის კანონები. სიყვარულის, თავგანწირვის, ალტრუიზმის, ადამიანების ბედნიერად გადაქცევისა და ყველას გაერთიანების სურვილის გარეშე ხელოვნება ვერ გადარჩება. სული საზრდოობს უმაღლესი ენერგიით პირველწყაროდან და ღებულობს მას მხოლოდ მაშინ, როდესაც გასცემს, – ისევე როგორც წყარო.

დასავლეთის მატერიალისტურმა სამყარომ ხელოვნება გადააქცია ბიზნესად, მაგრამ ამასთან მექანიზმმა, რომელიც მშვენივრად მუშაობდა მატერიალურ სფეროში, სულთან ერთად იწყო ხელოვნების განადგურება. მოხმარების სამყარომ თავისი ფსიქოლოგია გაავრცელა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე, მათ შორის მედიცინაზეც, რომელიც ნელ-ნელა შოუ-ბიზნესად გადაიქცა.

ხელოვანი კაცი ქმნის თავის ნაწარმოებებს იმისათვის, რომ სხვა ადამიანს დაეხმაროს და გახადოს იგი ბედნიერი. ეს გულისხმობს ბევრად მეტის გაცემას, ვინემ მოხმარებას. ვაჭრის მიზანია – რაც შეიძლება მეტი მოიგოს თავის საქონელზე და ამით გახდეს ბედნიერი. თანამედროვე შოუ-ბიზნესი მაყურებელს განიხილავს, როგორც მოგების წყაროს. თანამედროვე მედიცინაც ასევე ეპყრობა თავის პაციენტებს. სულის მცნებასთან ერთად განზე გაიწია ისეთმა ცნებებმაც როგორიცაა, თანაგრძნობა და ერთობა. მაგრამ სულით ავადმყოფი ადამიანის განკურნება პრინციპში შეუძლებელია. თუკი სული ავადმყოფია, ცნობიერებისა და სხეულის მკურნალობა გაგრძელდება უსასრულობამდე. ისეთი ცნების გარეშე, როგორიც სულია, სხეულის და სამშვინველის მკურნალობა გადაიქცევა მომგებიან ბიზნესად.

ზნეობრივი დამბლა, რომელიც დაეუფლა პოსტსაბჭოთა რუსეთს და მოკლე დროში მიიყვანა ქვეყანა გადაგვარებამდე, შეუმჩნევლად იკრებს ძალას მთელ მსოფლიოში. რატომ არ უნდათ ადამიანებს შენიშნონ ეს?

ჩაფიქრებული ვიყურები ილუმინატორში. შორს, ქვემოთ მიცურავს სანაპიროს მკრთალი მოხაზულობა. ჩვენ ვტოვებთ საფრანგეთის ტერიტორიას და მივფრინავთ ხმელთაშუა ზღვის თავზე. განდგომილად ვუყურებ უკიდეგანო ზღვის წყნარ ზედაპირს. საინტერესოა რატომ გაჩნდა მაინცდამაინც ზღვაში სიცოცხლე? არსებობდა რა ველის დონეზე, რატომ მოხდა მისი რეალიზება მაინცდამაინც წყალში? ალბათ, იმიტომ, რომ წყალი თავის მახასიათებლებით ძალიან ჰგავს სამყაროს უნივერსალურ ერთიან ველს.

ვითარდება რა, სამყარო მაინც რჩება აბსოლუტურად მთლიან და ერთიან არსებად. ყველაზე ფაქიზ დონეზე ის არის წერტილი, სადაც დრო, სივრცე და ნივთიერება არის აბსოლუტურად ერთი მთლიანი. ერთიანობის ეს პრინციპი აირეკლება ნებისმიერ მოვლენაში, რომელიც ხდება სამყაროში. ნებისმიერი ცოცხალი არსება, ვითარდება რა, აძლიერებს თავის თავში ამ

პრინციპს. მთელი წყალი, რომელიც არის პლანეტაზე, ფორმის არ არსებობის გამო არის ერთიანი წარმონაქმი. წყალი იმახსოვრებს ნებისმიერ ინფორმაციას. წყალს შეუძლია შეიძინოს სტაბილური ფორმა დაბალ ტემპერატურაზე და შეუძლია დაუბრუნდეს თავის პირველად, თხევად მდგომარეობას.

ასეთივე სქემით ვაკუუმში წარმოიქმნებიან ნაწილაკები: შინაგანი ენერგიის დაწევისას, სივრცე სტრუქტურირდება ნივთიერებად. გამოდის, რომ მატერიალიზმის განვითარება მოწმობს მთლიანად საზოგადოებაში ენერგიის დაწევას. სუსტი სულის და მომავლის მცირე მარაგის მქონე ადამიანს, სამყარო ეჩვენება მუდმივად, მყარად და მტკიცედ. როდესაც შემცველობა ქრება, ადამიანი იძულებულია დაეყრდნოს ფორმებს.

მე ისევ ჩავფიქრდი და უყურებ ზღვას, რომელიც ანათებს ქვემოდან არეკლილი მზის სხივებით: „მაინც რატომ მოკლა კაენმა აბელი?" ჩვენ ათასწლეულებია ვიმეორებთ ერთსა და იმავე ვერსიას: იმიტომ, რომ შურდა. მაშინ ისმის კითხვა: რა არის შური და რატომ არის შესაძლებელი მისი გულისთვის ადამიანის მოკვლა? რატომ მიიყვანა ამ შურმა კაცი ღვიძლი ძმის მკვლელობამდე? ბიბლიაში შემთხვევითი არაფერია. ყოველი იგავი – ეს არის დაშიფრული ცნობა, რომელიც უნდა გამოვიცნოთ. რისთვის იყო საჭირო დაეშიფრათ კოლოსალური ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ბიბლია?

მე ვიძირები ფიქრებში, და ნელ-ნელა ჩემთვის ყველაფერი ნათელი ხდება. მოუმზადებელ ადამიანებს არ შეეძლოთ მისულიყვნენ მთასთან, სადაც უნდა მომხდარიყო ღვთაებრივთან შეხვედრა. რატომ არის, რომ უზენაესი ცოდნის მიღების დროს, შესაძლებელია ადამიანი მოკვდეს? რატომ არის ჭეშმარიტებასთან შეხება საშიში? ეს რომ გავიგოთ, ჯერ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რა არის ჭეშმარიტება?

წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლეების წინ დებენ ათ ვაშლს და მასწავლებელი ეკითხება: „რამდენი ვაშლი დარჩება, თუკი მე ავიღებ ოთხს?" მოსწავლე პასუხობს: „დარჩება ექვსი". პასუხი სწორია. რა ხდება ამ დროს გონებაში? რიცხვი „ექვსის"

უკან იმალება მოვლენების რაღაც კავშირი. საჭიროა წარმო-
ვიდგინოთ ათი ვაშლი, შემდეგ გონებაში ავიღოთ ოთხი და და-
ვითვალოთ დარჩენილი ვაშლები. ხდება დროის შეკუმშვა — რი-
გი მოვლენებისა იკუმშებიან ერთ წერტილად.

მასწავლებელი ეკითხება მოწაფეს:

— რა იქნება, თუკი ვაშლს ჩავმარხავთ მიწაში? რა მოხდება ნახევარი წლის შემდეგ?

— ვაშლი ისევ იქ იქნება, — პასუხობს მოსწავლე.

— პასუხი მთლად სწორი არ არის, — ეუბნება მასწავლებელი.

— შეიძლება ის უბრალოდ დალპეს? — ვარაუდობს მოსწავლე.

— ასეთი პასუხიც არ შეიძლება სწორი იყოს, — ამბობს მასწავლებელი.

— მაშინ, ის გაიზრდება და გახდება ახალი ვაშლის ხე?

— შესაძლებელია, — ამბობს მასწავლებელი, — მაგრამ, პასუხი რომ უფრო ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომელ ადგილას ჩავმარხოთ ეს ვაშლი, როგორია იქ ნიადაგი და როგორია კლიმატი; უნდა ვიცოდეთ რა სიღრმეზე ჩავფლათ ვაშლი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ დამპალია ის თუ კარგი. ბევრია დამოკიდებილი წლის რომელ დროს ჩავმარხავთ, რა ადგილია: მზიანია თუ ჩრდილი ადგება, ხომ არ შეუძლიათ ის ამოთხარონ და შეჭამონ გარეულმა მხეცებმა. იქნებ ამ ადგილას ვიღაცამ გადაწყვიტა სახლის აშენება?

მაშასადამე, იმისათვის, რომ პასუხი ყველზე უფრო ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, ჩვენ უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთთან მოვლენების დიდი რაოდენობა, რომლებიც დროის სხვადასხვა მომენტში მოხდა. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი ფაქტორები, რომლებსაც ჩვენ ვითვალისწინებთ, არაფერს არ ნიშნავს, თუკი ვერ გავუკეთებთ პროგნოზირებას მომავალს. როდესაც ჩვენ ვაფასებთ მიწას და ადგილს, ვაფასებთ აწმყოს. ხოლო წამოვა თუ არა წვიმა, ან იქნება თუ არა ყინვა, შეჭამენ თუ არა ვაშლს ცხოველები, ან ვილაც კაცი ააშე-

ნებს იქ სახლს — ყველაფერი ეს მომავლის საკითხებია. რით განსხვავდება მათემატიკა რეალური ცხოვრებისგან? მათემატიკაში ფაქტორების რაოდენობა ზუსტად განსაზღვრულია, ხოლო რეალურ ცხოვრებაში ის უსასრულოა.

ჭეშმარიტება — ეს არის მიზეზისა და შედეგის მკაფიო კავშირი. როდესაც მეცნიერები ცდილობენ მიზეზად გამოიყვანონ მატერიალური სამყარო, ისინი მიდიან დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტების შეცნობა შეუძლებელია. მაგრამ უძველესი დროიდან არსებობდნენ წინასწარმეტყველები და ნათელმხილველები, რომელთა ნაწინასწარმეტყველი მოვლენები, ახდებოდა ხოლმე. მაგრამ გაითვალისწინო ყველა მატერიალური ფაქტორი, შეუძლებელია. რა არის პრინციპში ცოდნა? ეს არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ერთობლიობა აწმყოში და მათი პროგნოზირება მომავალში. ნათელმხილველებს და წინასწარმეტყველებს არ შეეძლოთ აეღოთ მთლიანი ინფორმაცია აწმყოდან. აქედან დასკვნა ერთია: ისინი მას იღებდნენ მომავლიდან.

წარმოვიდგინოთ ხე დიდი ვარჯით. ათასობით ფოთოლი იზრდება ტოტებზე, რომლებიც გადადიან ერთ ტანზე. ასევეა მატერიალური სამყარო, რომელიც ღრმა ფაქიზ დონეებზე, ხდება ერთიანი. ამ დონეებზე დრო მიედინება უფრო ნელა, ის იკუმშება. და იმავე რაოდენობის დროის მონაკვეთიდან, შეიძლება მივიღოთ უფრო მეტი ინფორმაცია. რაც უფრო ღრმად შეუძლია შეღწევა ადამიანს ფაქიზი ველის სტრუქტურებში, მით უფრო მეტს იგებს იგი სამყაროზე აწმყოსა და მომავალზე. <u>აბსოლუტურად სრული ინფორმაცია იმაზე, თუ რა იყო, რა არის და რა მოხდება სამყაროში, ჩამალულია იმ წერტილში, სადაც სამყარო აბსოლუტურად ერთიანია. ამდენად, აბსოლუტური ჭეშმარიტება სამყაროში არის მისი შემოქმედი.</u>

რატომ არის, რომ ადამიანების უმრავლესობას არ შეუძლია შეეხოს ჭეშმარიტებას? თურმე, რაიმე პროცესს რომ გაუგო, საჭიროა ენერგია, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ყველა მოვლენებს, და უარის თქმა ზედაპირულ, ვიწრო მონაკვეთის მოვლენებზე. სუსტი ენერგიის ადამიანი მიეჯაჭვება პაწაწინა

ზედაპირულ შემთხვევითობათა რიგს. მიეცით მას უფრო მეტი ჭეშმარიტი გაგება, რომელიც შეერთებულია შემთხვევითობათა რიგთან ათჯერ უფრო მაგრად, და ამ ადამიანს დარჩება მხოლოდ ორი ვარიანტი: ან დაუშვას ენერგიის დიდი გადახარჯვა სხვა ჭეშმარიტების მისაღებად და მოკვდეს, ან ყოველგვარი საბაბით უარი თქვას ამ ჭეშმარიტებაზე, რათა გადარჩეს.

სამყაროს შეცნობა – ეს არის თანმიმდევრობითი ცვლა სულ უფრო ტევადი ჭეშმარიტი შეხედულებებისა სამყაროს შესახებ, და ის ითხოვს შინაგანი ენერგიის მომატებას. სიყვარულისა და განდგომილების გარეშე შინაგანი ენრგიის მომატება შეუძლებელია. სიყვარულის მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ უმაღლეს ენერგიას, ხოლო განდგომილებით მოვიცავთ მოვლენების უფრო მეტ ზონას. აბსტრაგირების გარეშე შეუძლებელია აზროვნების პროცესი. რომ წარმოიშვას „სკამის" ცნება, ჩვენ ერთდროულად უნდა გვქონდეს გონებაში ათეულობით ვარიანტი იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს სკამი. განდგომილი უნდა ვიყოთ გარეგანი ფორმისაგან, ამასთან უნდა შევინარჩუნოთ შინაგანი ერთობა ყოველ ამ სკამთან.

აბსტრაგირება – ეს არის შემცველობის გაძლიერება და ფორმის მნიშვნელობის შემცირება. აბეზარი, ძუნწი და სიყვარული რომ არ შეუძლია ისეთი ადამიანისთვის, ჭეშმარიტებასთან შეხება შეიძლება გახდეს სასიკვდილო. ამიტომაც, ჭეშმარიტებასთან ყოველთვის ახლოს იყო ის, ვინც უარს იტყოდა ყველა მიჯაჭვულობაზე და შეეძლო დაენახა სამყარო ერთ მთლიანად. ხოლო დანარჩენებს სწამდათ ასეთი ადამიანების და მიჰყვებოდნენ მათ.

ჭეშმარიტებები, რომლებიც არის ბიბლიაში, დაშიფრულია, იმიტომ, რომ ადამიანის ცნობიერებას არ შეუძლია მათი დატევა და ყოფიერების იმ ფენის შეხება, რომლებსაც ისინი აირეკლავენ. როდესაც ჩვენ ვცდილობთ ზედაპირულად და ერთმნიშვნელოვნად განვმარტოთ ის, რაც ნათქვამია ბიბლიაში, მაშინ უნებურად გადავიკეტავთ ყველა შესაძლებლობას განვითარებისა და შემდგომი გაგებისათვის.

როგორია შურის მექანიზმი და რატომ კლავენ მისთვის ადამიანს? ყოველ ბოროტმოქმედში, ალბათ არის კაენის გენი. ყოველ ჩვენგანში უჩინრად მწიფდება დანაშაული. მაგრამ ერთში ეს მექანიზმი ამოქმედდება, ხოლო მეორეს შეუძლია მისი შეკავება. რატომ ვერ შეიკავა თავი ყველა დროისა და ხალხის პირველმა ბოროტმოქმედმა? მე დიდხანს ვფიქრობდი შურის ამ ფენომენზე და მივედი დასკვნამდე, რომ ამ გრძნობას საფუძვლად უდევს ჭეშმარიტების დაკარგვა. უმაღლეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს ღმერთის სიყვარული. ამ გრძნობის მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება სამყაროში და რა მოხდება მომავალში. ამ გრძნობის წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ ტრანსფორმაცია, შევიცვალოთ და ამასთან არ გავნადგურდეთ. მის მეშვეობით ჩვენ ვიღებთ უზენაეს ენერგიას, რომელიც აუცილებელია მომავლის უზრუნველსაყოფად.

შურის მექანიზმი ძალიან უბრალოა: ეს არის შენი მომავლის შიში. ხოლო შიში არის მომავლის თაყვანისცემის შედეგი. რაკი ღმერთმა მიიღო საჩუქარი აბელისგან, მაშინ მას ნათელი და დაცული მომავალი ექნებოდა, ხოლო კაენს მომავალი არ ჰქონდა. დედამიწაზე პირველი ბოროტმოქმედისთვის მომავალი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, მათ შორის ძმაზე და ღმერთის სიყვარულზე. რამდენადაც მომავალი მისთვის გახდა სიყვარულზე მნიშვნელოვანი, მან დაკარგა უზენაესი ენერგია. მან დაკარგა ცვლილების, განვითარების და თავისი მომაელის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. და მაშინ მან წაართვა მომავალი თავის ძმას. მოკლა რა აბელი, კაენი შეეცადა მიეთვისებინა მისი მომავალი.

ყოველი ადამიანი, რომელიც დაანგრევს პრიორიტეტების სისტემას და აირჩევს მთავარ მიზნად მატერიალურ და სულიერ სიკეთეებს, განწირულია გადაშენებისთვის. ეს მექანიზმი მუშაობს ყველა ადამიანში კაენის დროდან დღემდე. კომუნიზმის იდეა — ეს იყო ნათელი მომავლის თაყვანისცემის იდეა. კანონზომიერმა შურმა იმათ მიმართ ვისაც მეტი ჰქონდა, წარმოშვა

მისწრაფება გაენადგურებინათ მდიდრები. ეთაყვანებოდნენ რა ნათელ მომავალს, ბოლშევიკები გადაიქცნენ კაცნებად და ანადგურებდნენ მილიონობით თავიანთ ძმებს.

ჩავფიქრდი და ვიხედები ჩემს წინ. მიღებაზე ხშირად ვხედავ ადამიანებს, რომლებსაც თითქმის არა აქვთ მომავალი, ადამიანებს მძიმე დიაგნოზით, როგორიცაა: დიაბეტი, კიბო, შიზოფრენია, ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია. როდესაც მომავლის ენერგია არა გაქვს, გიხდება მისი ნაწილის ფიზიკური სხეულისთვის წართმევა. შეიძლება დაინგრეს არა მარტო სხეული, არამედ ბედიც, ურთიერთობაც და ცნობიერებაც. მაგრამ იმის წინ, სანამ დაკარგავს მომავალს, ადამიანი მიეჯაჭვება და ეთაყვანება მას. საინტერესოა როგორ გამოიყურება ადამიანი, რომელიც ეთაყვანება მომავალს? მოულოდნელად მოვწყდი ჩემს აზრებს. მეძახის ჩემგან შორიახლოს მჯდომი ჩემი მეგობარი, რომელიც ასევე მიფრინავს სათევზაოდ.

— ივანიჩმა მოკითხვა შემოგითვალა, — მეუბნება იგი, — მან ყველაფერი დაკარგა, ყველაფერი წაართვეს.

— რა მოხდა? — ვინტერესდები მე.

— ჩვეულებრივ, გააყალბეს დოკუმენტები, მოისყიდეს მოსამართლე და წაართვეს წარმოება და მიწები, რომელიც მას ჰქონდა. თქვენ ხომ იცით, — შლის ხელებს ნაცნობი, — ადრე კლავდნენ და ისე ართმევდნენ საკუთრებას, ახლა კი ყველაფერ აკეთებენ კანონიერად.

— როგორ გრძნობს ახლა თავს?

ჩემი ნაცნობი იღიმება.

— ცდილობს სწორად აღიქვას სიტუაცია.

შემდეგ ის გამოცოცხლდა.

— იქნებ რამეს დამაბარებთ მასთან?

— გადაეცით, — ვეუბნები, — მან მომიყვა ისტორია, რომელიც შეემთხვა ავღანეთში ბრძოლების დროს. ერთხელ ისინი მიდიოდნენ ჯავშანტრანსპორტიორით, ის, როგორც მეთაური იჯდა წინა სავარძელში. უცებ მას დაეუფლა დაუძლეველი სურვილი, გადამჯდარიყო უკან. რამდენიმე წამში იმ ადგილას, სადაც მი-

სი თავი იყო, ჯავშანი გაიტანა კუმულატიურმა ყუმბარამ. მაშინ თვითონ გადაჯდა სხვა ადგილას, ეხლა კი ბედმა გადაიყვანა.

– გამოდის, რომ თავისი უფლებისთვის ბრძოლა მისთვის არ შეიძლება?

– ბრძოლა შეიძლება, მაგრამ შენი შინაგანი მდგომარეობის შეუცვლელად ეს უშედეგოა – მას უბრალოდ მოკლავენ.

ჩემთან მოსაუბრის თვალებში მე ვხედავ განცვიფრებას და ვაგრძელებ:

– წარმოიდგინეთ ჩვენი ნაცნობი დროის ორ მომენტში: ერთი წლის წინ და ეხლა. ეს ორი მომენტი აღნიშნეთ ციფრებით და დაასახელეთ ხმამაღლა. მე მოვახდენ მათ დიაგნოსტირებას თვალდახუჭული.

– შესანიშნავია, – იღიმება ჩემი ნაცნობი. – სიტუაცია ნომერი ერთი.

– კარგი, – ვეუბნები მე, – შემდეგ.

– ახლა, სიტუაცია ნომერი ორი.

– გაგაცნობ დიაგნისტიკის შედეგებს, – ვეუბნები, – პირველ სიტუაციაში მდგომარეობა შესანიშნავია, მომავლის მარაგი კარგია. მეორე სიტუაციაში მომავლის მარაგი კრიტიკულზე შვიდჯერ ნაკლებია, ეს სიკვდილია.

ჩემი ნაცნობი ჩაფიქრდა.

– სიტუაცია ნომერი ორი, მას ჰქონდა დაახლოებით ერთი წლის წინ. ზუსტად მაშინ, მისმა ხუთწლიანმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, საქმე წინ წავიდა და გამოჩნდა სერიოზული მოგება.

– ესე იგი, გამოჩნდა ნათელი მომავალი, – ვამბობ მე და ვაგრძელებ: – ის, რასაც ინერციით ღებულობდა როგორც უბედურებას, იყო ერთადერთი საშუალება მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ასე რომ, გადაეცით არა მარტო ჩემი მოკითხვა, არამედ მიულოცეთ გადარჩენა და უსურვეთ წარმატება თავის თავთან მუშაობაში.

აქ მახსენდება ერთი საუბრის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა წელიწადნახევრის წინ. ეს საუბარი, ეხებოდა მომავალი კატასტროფის პირველ ნიშნებს, უფრო სწორად, გადარჩე-

ნას. ერთხელ ლექციის შემდეგ მე ვესაუბრებოდი ერთ ადამიანს.

— გავიგე, რომ თქვენ გაინტერესებთ არაჩვეულებრივი ისტორიები, მითხრა მან. — მინდოდა თქვენთვის მეთხოვა რჩევა, ახსნა. შემემთხვა, გაუგებარი ისტორია. სახლში გასაზრდელად ავიყვანე ორი ლეკვი. აზიური ნაგაზები, ძალიან დიდები იზრდებიან, არიან როგორც დათვები და იცავენ ჯოგს მგლებისგან. ამ ძაღლებს არსად და არასდროს არაფრის ეშინიათ. ასე რომ, ახლახან ამ ჩემს ყველაზე ძლიერ ქოფაკს რაღაც უცნაურობა დაემართა. წარმოიდგინეთ, რომ ამ ვებერთელა ქოფაკს, ყოველი გაფაჩუნების ეშინია. მე ვეცადე მომეყვანა ის წესრიგში, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. შევეკითხე სპეციალისტებსაც, — შედეგი ნულის ტოლია.

— ჩემი დიაგნოსტიკის შედეგებმა თავიდან ის ძალიან განაცვიფრა.

— თქვენს ძაღლს არა აქვს მომავალი, — ვუთხარი მე, — ძაღლი კაცისგან განსხვავებით ამას გრძნობს. ის გრძნობს, რომ ეს გარდაუვალია და, ამიტომ ეშინია.

მან დაძაბულად შემომხედა.

— მაგრამ, თქვენ ამბობდით ლექციებზე, რომ ძაღლები პატრონის ბედს იღებენო.

მე მხრები ავიჩეჩე.

— ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რაც თქვენ იგულისხმეთ. შემდეგ თქვენ მოკვდებით.

ის დაფიქრდა და დაიწყო წინ ყურება. მე კი განვაგრძე:

— რა თქმა უნდა, თქვენ გაინტერესებთ შესაძლებელია თუ არა თქვენი ბედის შეცვლა. და მე, როგორც ყოველთვის, გიპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია, თუკი თქვენ არ შეიცვლებით შინაგანად.

— კი მაგრამ ძაღლი რატომ უნდა მოკვდეს ჩემი გულისთვის.

პასუხად მე ხელებს ვშლი.

— თქვენ მას საჭმელს აჭმევთ, თქვენ ხართ მისი მომავალი და ბედნიერება. თუკი ჩვენ მივისწრაფით რაღაც მიზნისკენ, მას

ვემსაგავსებით. ძაღლი შინაგანად თქვენზეა დამოკიდებული, გემსგავსებათ თქვენ და იღებს თავის თავზე თქვენს ბედს.

— კარგით, ამიხსენით, მე რატომღა უნდა დავიღუპო?

— ხუთი წლის წინ თქვენ გქონდათ რაიმე სერიოზული უსიამოვნება?

ის დაფიქრდა და თავი დამიქნია.

— დიახ, მქონდა.

— ასე რომ, — ვაგრძელებ მე, — თქვენ ხართ ყოფილი სამხედრო ოფიცერი და მიჩვეული ხართ სიტუაციების მართვას, თანაც საკმაოდ მკაცრად. მაგრამ, როდესაც თქვენ არ შეგიძლიათ მართოთ სიტუაცია, ღიზიანდებით და გეუფლებათ აგრესია. ამდენად, აგრესია, როგორც ზედაპირული ფორმა მართვისა, შეიძლება იყოს ეფექტური. თუკი აგრესია ხშირად მეორდება, მაშინ იგი გადადის ქვეცნობიერებაში. ჩვენი ცნობიერება დაკავშირებულია სხეულთან, ხოლო ჩვენი სხეული მატერიალურია და განკერძოებული. ჩვენი ცნობიერებაც განკერძოებულია სამყაროდან. რაც შეეხება ჩვენს გრძნობებს, ისინი დაკავშირებულია ქვეცნობიერებასთან, იქ კი ყველაფერი ერთიანია. ამდენად ქვეცნობიერებაში თქვენი სურვილი დაიმორჩილოთ, დათრგუნოთ და გაღიზიანდეთ, მიმართულია მთელი სამყაროსკენ.

— თუ ასეა, მაშინ რატომ იჩაგრება მომავალი?

— იმიტომ, რომ, როდესაც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში უკმაყოფილოა თავისი ბედით, ის კლავს თავის მომავალს. რა არის ბედი? ეს არის ჩვენი ცხოვრება განფენილი დროში. ბედით უკმაყოფილება — ეს არის უკამაყოფილება შენი ცხოვრებით წარსულში, აწმყოში და მომავალში. როდესაც ადამიანი შემეცნების დონეზე რაღაცით უკმაყოფილოა, ის იბრძვის და ცვლის სიტუაციას თავის ირგვლივ, ესე იგი ენერგია, რომელიც გამოიყოფა სტრესის დროს, ტრანსფორმირდება აქტიურ ქმედებებში. თუკი სიტუაციის შესაცვლელად უკმაყოფილება არ გადმოდინდება აქტიურ ქმედებებში, ის სიძულვილად გადაიქცევა. უბრალო ენით რომ ვთქვათ, თუკი ჩვენ არ შეგვიძლია შევურიგდეთ, შევცვალოთ ან ხელახლა აღვზარდოთ სხვა ადამიანი,

მაშინ გვინდა მისი მოკვლა. თუკი ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება, მაშინ ჩვენ ვიწყებთ მის შეძულებას. ეს ნიშნავს შენი სიცოცხლის სიკვდილის სურვილს, ესე იგი, შენი თავის სიკვდილს აწმყოში და მომავალში. ნუთუ შეუძლია ადამიანს გადარჩეს, თუკი იგი ყოველ წამს სიკვდილს უსურვებს თავის მომავალს?

იცით, საიდან ჩნდება ბედის უკმაყოფილება? — ვეკითხები. — ის იწყება მომავლის თაყვანისცემიდან. რაც უფრო ნათელ პერსპექტივას დავხატავ ჩემთვის, რაც უფრო სასურველ ბედს ველოდები, მით უფრო მკაცრია ჩემი უკმაყოფილება სიტუაციითა და ბედით, თუკი ისინი განსხვავდებიან ჩემს მიერ დახატული იდეალისაგან. გამოდის, რომ მომავლის თაყვანისცემას მივყავართ რეალურობით უკმაყოფილებამდე, ამის მეშვეობით კი — ბედით უკმაყოფილებამდე, რომელიც აკავშირებს აწმყოსა და მომავალს, ბოლოს კი ამ მომავლის დაკარგვამდე.

ფიზიკურ დონაზე აწმყო და მომავალი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ხოლო ფაქიზ დონეზე ისინი ერთიანია. არც ისე ახლო წარსულში ექიმებმა შენიშნეს გარკვეული კავშირი ადამიანის ემოციებსა და მის ავადმყოფობას შორის. წარსულზე სინანული, როგორც წესი, იწვევს ჰიპერტონიას, თირკმლების პრობლემებს და ხშირად მივყევართ ონკოლოგიამდე. ავადმყოფობის სიმძიმე განისაზღვრება წარსულის სინანულის ხარისხით და მისი მიუღებლობით. თუკი მე კატეგორიულად არ შემიძლია რაღაცის მიღება, ჩემს ქვეცნობიერებაში ეს ემოცია სახეს შეიცვლის: არმიღების ობიექტი უნდა განადგურდეს. და თუკი მე არ ვღებულობ ჩემს წარსულს და ჩემს ბედს, მაშინ მე ქვეცნობიერად მინდა მათი განადგურება. ნორჩი ყლორტები ყოველთვის უფრო ადვილია მოსაწყვეტად, ვინემ მაგარი ტოტები, და ენერგია, რომელიც მიმართულია წარსულის გასანადგურებლად, იწყებს მომავლის განადგურებას. ჩვენი დროებითი სხეული მოკლდება, ისპობა, ხოლო ჩვენ კი არაფერი არ ვიცით ამის შესახებ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ადვილად გადასატან ავადმყოფობას შეუძლია გააძლიეროს ბედით უკმაყოფილება, ხოლო მძიმე ან სასიკვდილო კი, პირიქით, ამშვიდებს და აძლიერებს ბედისწერასთან შერიგებას. აგიხსნით, რატომ. პრობლემის პირველ ნიშნებს, ადვილად გადასატანი ავადმყოფობის სახით, შეუძლიათ გააძლიერონ მომავლის შიში და, შესაბამისად, ბედით უკმაყოფილება, ხოლო როდესაც ადამიანმა იცის, რომ ის განწირულია და მას მომავალი არა აქვს, მასში აღდგება პრიორიტეტების სისტემა, ღმერთის სიყვარული გამოდის პირველ პლანზე, ხოლო მომავალი და აწმყო გაიწევიან განზე.

ჩემი თანამოსაუბრე დუმს და თითებს აწვალებს.

— მაშინ როგორ შეიძლება შეცვალო შენი ბედი?

— სიყვარულის მეშვეობით. რაც უფრო მეტი ენერგია იქნება თქვენს მომავალში ჩადებული, მით უკეთესად აეწყობა თქვენი ბედი. პაწაწინა მომავლით თქვენ ვერ გექნებათ ვერც კარგი ჯანმრთელობა, ვერც ბედნიერება, ვერც კარგი ბედ-იღბალი. თუკი სულში ბევრი სიყვარულია, მაშინ მომავალი იქნება სავსე და ტევადი. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ უნდა გააკეთოთ ისეთი რამ, რაც მიგიყვანთ მომავლის გაღმერთებამდე.

შევხედე მას და განვაგრძე:

— როგორ გამოიყურება ადამიანი, რომელიც ეთაყვანება მომავალს? ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილოა თავისი ახლობლებით, გარესამყაროთი და თავისი ბედით, ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის განსჯის როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებს და გარესამყაროს. ეს არის ადამიანი, რომელსაც ყოველთვის ეჩქარება, ცდილობს მოიახლოვოს მომავალი. ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის განიცდის მომავლის გამო და ეშინია მისი. ეს არის ადამიანი, რომელსაც თავისი თავი მიაჩნია ყოველთვის სწორად და ვერ იტანს, როდესაც მას არასწორად ექცევიან.

ძუნწი თავისი სიმდიდრის შესანარჩუნებლად მზად არის მოკლას ყველა, ვინც კი ხელყოფს ამ სიმდიდრეს. მას აქვს მკვეთრად გამოხატული მატერიალური ბუნების ეგოიზმი. ძუნწ ადამი-

ანს არ შეუძლია მსხვერპლი გაიღოს. ხოლო მსხვერპლის გარეშე ღმერთის შეცნობა, ესე იგი უზენაესი ჭეშმარიტების შეცნობა, შეუძლებელია. ყველა რელიგია იწყება მსხვერპლის ცნებიდან. მაგრამ ეგოიზმი შეიძლება იყოს არა მარტო მატერიალური. სულიერი ეგოიზმი – ეს არის შენი სისწორის შეგრძნება, სამართლიანობის და გაციებული იდეალების თაყვანისცემა. სულიერად ძუნწ ადამიანს, არ შეუძლია საყვარულის გულისთვის მსხვერპლად გაიღოს სამართლიანობა და სისწორე. ის დაიცავს მათ ბოლომდე. მატერიალურად ძუნწი მზად არის მოკვდეს ფულის გულისთვის, ხოლო სულიერად ძუნწი კი – თავისი სიმართლის გულისთვის.

არის კიდევ რამდენიმე ნიშანი მომავალთან სახიფათო დამოკიდებულებისა. ის, რასაც ჩვენ ვეთაყვანებით, უნდა იყოს ერთიანი. ადამიანს არ შეუძლია ერთდროულად წავიდეს რამდენიმე მიზნისკენ. ამიტომაც, როდესაც მომავალს ვეთაყვანებით, წარმოიქმნება მისი მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი. მომავალში შესაძლებელი მოვლენების მრავალვარიანტობა ქრება და თუკი რამე ემუქრება ამ შესაძლებელი მომავლის ერთადერთ იდეალურ ვარიანტს, ადამიანს ეწყება ამ მომავლის დაკარგვის პანიკური შიში. შესაბამისად, შესძულდება ის ვისაც შეუძლია ამ მომავლის წართმევა. კატეგორიულობა, სხვების აზრის გაუთვალისწინებლობა, შინაგანი სისასტიკე – ყველა ესენი ის ნიშნებია, რაც ახასიათებს ერთვარიანტიან მომავალს, შემდეგ იკარგება თვით ეს მომავალი, ესე იგი მოდის ავადმყოფობა და უბედურება.

თუკი მეთაურმა გასცა არასწორი ბრძანება, მას არ შეუძლია მისი შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მებრძოლებს ეჭვი შეეპარებათ მასში. ამას ასწავლიან ოფიცრებს სამხედრო სასწავლებლებში და თქვენ ეს იცით. თავისი სისწორის განუწყვეტელი შეგრძნება, რომელიც აუცილებელია ოფიცრისთვის ბრძოლის დროს, მშიდობიანობის დროს დამღუპველია. ამიტომაცაა, რომ სამხედრო და დესპოტური რეჟიმები ყოველთვის განწირულნი იყვნენ დაშლისა და დაღუპვისთვის. საბჭოთა კავშირი არსებობ-

და ომისათვის მზადყოფნის მუდმივ რეჟიმში. უბრალო ხალხს ასწავლიდნენ ჰქონოდათ რევოლუციის ბელადების უსიტყვო რწმენა და ყოფილიყვნენ მზად „ბოლო გადამწყვეტი ბრძოლისთვის“. ეს აძლიერებდა მომავლის თაყვანისცემას სოციალიზმის დროს და აჩქარებდა მის დასასრულს.

— არ დაიღალეთ? — ღიმილით ვეკითხები ჩემს თანამოსაუბრეს. — ის პასუხად ხელს მიქნევს, და მე ვაგრძელებ: — არის ერთი ილუზია, რომელსაც ჩვენ ყველანი მივეჩვიეთ. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ აწმყოს, სინამდვილეში არ არსებობს. აგიხსნით ამას მაგალითზე. ფიზიკურ დონეზე ჩვენ ვხედავთ ჯიხურს, მივდივართ, ვეხებით მას ხელებით და ვამბობთ, რომ ის არსებობს აწმყოში. ფაქიზ დონეზე კი ერთდროულად ჩანს, თუ როგორ შენდებოდა ჯიხური, როგორ არსებობდა და შემდეგ, როგორ დაიწვა ან დაიგრა. ჩვენთვის აწმყო დაკავშირებულია ფიზიკური ფორმის ურყეობასთან და მის სივრცეში გადაადგილებასთან. სინამდვილეში აწმყო არსებობს მხოლოდ ჩვენს შემეცნებაში, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს სხეულთან. რეალური აწმყო — ეს არის წარსულისა და მომავლის ერთიანობა. რამდენადაც წარსული და მომავალი ერთიანია ფაქიზ დონეზე, მაშინ რეალობას წარმოადგენს მათი ერთიანობა, ხოლო იქ კი, არ არის შესამჩნევი სხვაობა წარსულსა და მომავალს შორის. უფრო ადვილად რომ ვთქვათ, ისეთი გაგებები, როგორიცაა წარსული და მომავალი, ფაქიზ დონეზე არსებობას წყვეტენ. <u>შემოქმედისთვის არ არსებობს წარსული და მომავალი, არის მხოლოდ აწმყო.</u>

როდესაც ადამიანისთვის წარსულის მოგონებები დიდად სასიხარულოა, ვინემ აწმყოში ცხოვრება, ეს ნიშნავს, რომ ის ცხოვრობს წარსულით და უკმაყოფილოა აწმყოთი. თქვენი სული იმყოფება იქ, სადაც არის თქვენი მთავარი დადებითი ემოცია. თუკი თქვენი მთავარი ბედნიერება წარსულშია, თქვენ ქვეცნობიერად კლავთ აწმყოს. იგივე ხდება მომავალთან მიმართებაში. თუკი თქვენი მთავარი დადებითი ემოცია მომავალშია, თუკი თქვენ ცხოვრობთ ამ მომავლით, ეს ნიშნავს, რომ თქვენ უფრო

მაგრად იქნებით უკმაყოფილო აწმყოთი. წარსულში ან მომავალში თქვენ შეიძლება გქონდეთ ყოველგვარი სიკეთე, ფული, ავტომანქანა, ახლობელი ადამიანები, ურთიერთობა. ღმერთის სიყვარული შეიძლება იყოს მხოლოდ აწმყოში. და უმაღლესი დადებითი ემოციებიც ასევე შეიძლება იყოს მხოლოდ აწმყოში. წარსული და მომავალი დაკავშირებულია ზედაპირულ, მატერიალურ სამყაროსთან, და მისი თაყვანისცემა გვაშორებს ჭეშმარიტებას და სიყვარულს. ტყუილად არ არსებობს გამოთქმა: „შეშლილი ცხოვრობს მომავლით, გონებასუსტი – წარსულით, ხოლო ჭკვიანი – აწმყოთი".

ყოველგვარი თაყვანისცემა რამეს მიმართ ამ სამყაროში ბადებს მიჯაჭვულობას, შემდეგ კი აგრესიას. აგრესიას მოსდევს ავადმყოფობა და განადგურება. ზედაპირული შრეების და დროის დინების მიმართ თაყვანისცემა, ესე იგი წარსულისა და მომავლის მიმართ, გადაიქცევა დროის მიმართ აგრესიად, ხოლო ეს უკანასკნელი კი არის მთავარი ფუნდამენტური სიდიდე სამყაროში, რომელიც ბადებს სივრცეს და ნივთიერებას.

მე ჩავფიქრდები ხოლმე, როდესაც ვიგონებ წარსულ საუბარს. ადვილი სათქმელია: მომავალზე დამოკიდებულების გადალახვა. სინამდვილეში კი ეს პროცესი შეიძლება გამოდგეს ძალიან ძნელი, ხოლო უსიყვარულოდ, უბრალოდ შეუძლებელიც კი. მაგრამ, შეყვარება რომ შეგეძლოს არც ისე ადვილია, ამის სწავლა ძნელი და გრძელი პროცესია. სული ვითარდება ისევე ნელა, როგორც სხეული. რომ ასწიო მძიმე ტვირთი, უნდა ივარჯიშო მოთმინებით და დიდ ხანს. სულზე გულუბრყვილო შეხედულებას მივყავართ იქამდე, რომ ადამიანები ცდილობენ ასწიონ „დიდი ტვირთი" უცებ, შემდეგ კი განიცდიან, რომ არაფერი გამოუვიდათ.

ერთ-ერთ ლექციაზე გამომიგზავნეს ბარათი: „როგორ მივიღოთ უსამართლობა?" ზოგიერთი მსმენელისთვის ჩემი პასუხი შეიძლება იყო მოულოდნელი: ეტაპობრივად. ჯერ უნდა მივიღოთ, სიძულვილისა და შურისძიების სურვილის გადალახვა და ამასთან შევინარჩუნოთ ცოტა სითბო და კეთილგანწყობა.

შემდეგ მიიღოთ, წყენის გადალახვა, მაგრამ სულში უნდა იყოს უფრო მეტი სითბო. შემდეგ მიიღოთ ნიშანი ზემოდან, როგორც გაფრთხილება მომავალი უბედურებების შესახებ და სულში შეინარჩუნოთ სიყვარული. შემდეგ – მადლობის ნიშნად, როგორც გადარჩენა, და სიყვარული უნდა იყოს უფრო მეტი. შემდეგ კი ყოველგვარი სიტუაცია – სასიამოვნო და არასასიამოვნო – უნდა განიხილოთ, როგორც საშუალება, რომელიც გიბიძგებს ღმერთისა და სიყვარულისკენ.

ჩემი ფიქრებიდან ისევ მეზობელმა გამომიყვანა:

– თქვენ მოკითხვა შემოგითვალათ ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა, გახსოვთ, მას გოჭები უკვდებოდა? ამჟამად ყველაფერი ნორმალურადაა, ყველა გოჭი ცოცხალია.

მე ღიმილით ვიხსენებ საუბარს ახალგაზრდა ბიზნესმენთან.

– მე ღორებს ვაშენებ, – მეუბნება ის, – და საქმის გასაფართოებლად, გადავწყვიტე შემეძინა ახალი ჯიშის გოჭები. ისინი მალე სუქდებიან, უწყინარები არიან და მალე გეჩვევიან. და აი, წარმოიდგინეთ, ჯანმრთელი გოჭი, რომელიც ჩემს თვალწინ დახტოდა და თამაშობდა, უცებ ეცემა და კვდება. მეორემ მიირბინა სალაფავთან, უცებ ფეხები მოეკეცა და ისიც მაშინათვე მოკვდა. ეს დაკავშირებულია თუ არა ჩემთან.

– ჩემი აზრით, კავშირი პირადაპირია, – უპასუხე მე, – ჩვენს ხასიათშია ჩვევა ვიყოთ ბედის უკმაყოფილონი. ერთი ადამიანი შეიძლება მთელი ცხოვრება ბედს უჩიოდეს, მაგრამ ასე თუ ისე იყოს ჯანმრთელი, ხოლო მეორე ასეთ სიტუაციაში ავად გახდეს. ამის ახსნა შეიძლება ძალიან უბრალოდ. ადამიანის სულს, მის ღრმა გრძნობებს აქვთ უდიდესი ენერგია. თუკი ადამიანის მშობლებს, მის წინაპრებს შეეძლოთ შინაგანად მიეღოთ ყოველგვარი სიტუაცია და შეენარჩუნებინათ კეთილგანწყობა, მაშინ მისი ბედით მუდმივი უკმაყოფილება უცებ არ მოწამლავს სულს. მაგრამ, თუკი წინაპრები იყვნენ ათეისტები და დამატებით უზნეონი, რასაც მივყავართ სულში სიყვარულის დაკარგვამდე, მაშინ თავისი ბედით უკამყოფილო ადამიანს, რამოდენიმე წელიწადში შეუძლია ავად გახდეს მძიმე ავადმყოფობით.

დასაწყისისთვის მიიღეთ შინაგანი კეთილგანწყობით ბედის ყოველგვარი უსიამოვნებები. ბედის და სხეულის დამცირება მიმართულია სულის განწმენდისკენ. გინდათ გამოაკეთოთ თქვენი ბედი, მოიყვანეთ წესრიგში თქვენი სული. ძლიერი ადამიანი მიმართავს თავის ენერგიას სიტუაციის შესაცვლელად, ხოლო სუსტი ყველა ენერგიას ხარჯავს წყენასა და უკმაყოფილებაში.

ბევრი მორწმუნის შეცდომა იმაშია, რომ ისინი მორჩილებას აიგივებენ პასიურობასთან. ხოლო მორჩილება ნიშნავს აქტიურ ქმედებებს საკუთარი თავის შესაცვლელად და არა სიტუაციის შესაცვლელად. მტერზე იმარჯვებს ის, ვინც შესძლებს საკუთარ თავზე გამარჯვებას. ამიტომ მორჩილება გულისხმობს უდიდეს ენერგიულ ქმედებებს საკუთარი სულის აღსაზრდელად. გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის ეს გამოიყურება როგორც მხოლოდ გარეგანი პასიურობა. მორჩილების მიზანია არა დაემორჩილო და ხელები ჩამოუშვა, არამედ გაზარდო სიყვარული შენს სულში.

— რატომ კვდებოდნენ გოჭები ასე უცებ? — შემეკითხა დაინტერესებული ახალგაზრდა ბიზნესმენი.

— როდესაც დროებითი სხეული თანდათანობით პატარავდება, მაშინ ენერგია ორგანიზმში ეცემა და ორგანიზმის იმუნური სისტემა სუსტდება. იწყება უსიამოვნებები, ავადმყოფობა, სიბერე და, ბოლოს კი დგება სიკვდილი. როდესაც დროებით სხეული მოწყდება მკვეთრად, მაშინ შეიძლება დადგეს მოულოდნელი სიკვდილი. სიცოცხლისათვის საჭირო ენერგია, უბრალოდ მიდის.

— რა შეიძლება მე დამემართოს? დაძაბულად მკითხა ბიზნესმენმა.

მე მხრები ავიჩეჩე.

— გოჭები იღებენ თქვენი ბედის სურათს. შეიძლება ავტოკატასტროფა, კონკურენტებს შეუძლიათ ორგანიზება გაუკეთონ თქვენს მკვლელობას, უბრალოდ რომ ვთქვათ დიდხანს ავადმყოფობა არ მოგიწევთ.

— შეიძლება ეს თავიდან ავიცილო?

— შეიძლება, — ვეუბნები მე, — და თუ როგორ თქვენ იცით: სიყვარულის მეშვეობით. ხოლო განსაზღვროთ, შეიცვალა თუ არა თქვენი სულის მდგომარეობა, ადვილად შეგიძლიათ. ყველაზე უკეთესი ანალიზია — თქვენი გოჭების მდგომარეობა. შეწყდება მათი სიკვდილიანობა, მაშინ, თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა მიიღოთ უსიამოვნებები და აეადმყოფობები, რომლითაც შეუძლიათ შეგიცვალონ სწრაფი და ადვილი დასასრული. ტკივილი ჩვენ გვიბიძგებს სიყვარულისკენ, განსაკუთრებით სულიერი ტკივილი, ხოლო თუკი ჩვენ ჯიუტად მივცოცავთ შიშის, სიძულვილისა და წყენისაკენ, მაშინ ჩვენი ბედის გაუმჯობესება შეუძლებელია. <u>ბედის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ ბედით უკმაყოფილება არა.</u>

„საინტერესოა, — ვფიქრობ მე, — გავიდა დაახლოებით ერთი თვე და იმ ბიზნესმენს კარგი შედეგები აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული სიტუაცია ჰქონდა. როდესაც ხდება ძალიან მწარე, ღრმა წყენა შენი ახლობლების, შენი თავის და ბედის მიმართ, დროებითი სხეულის ჩაწყვეტამ შეიძლება მოგვცეს ენერგიის მყისიერი დაკარგვა და მოულოდნელი სიკვდილი, ხოლო სიკვდილის გარეგანი ნიშნები შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგრამ ახალგაზრდა კაცი იყო კეთილი, და მისი სულისათვის ადვილი იყო მიეღო ბედისადმი სწორი დამოკიდებულება. მართალია, ეს მხოლოდ დასაწყისია. თუკი ის გადაწყვეტს, რომ ყველაფერი უკან დარჩა, და სულზე სერიოზულად არ იზრუნებს, ადრე თუ გვიან გამოჩნდება ახალი პრობლემები“.

ადრე მე აუცილებლად გავხედავდი მის ველს და გავაფრთხილებდი, რომ ლოცვა არ არის წამალი, რომელსაც ღებულობენ, მაშინ როდესაც ძალიან ცუდად ხარ. <u>თუკი ადამიანს არ უნდა, რომ ზრუნავდეს საკუთარ თავზე, ყველაზე დიდი ზიანი, რომელიც შეიძლება მას მიაყენო, ეს არის დაიცვა იგი უსიამოვნებებისაგან.</u>

„მას თავისი ბედი აქვს, — ვფიქრობ მე, — ხოლო მე ჩემი, და შეიჭრა სხვა კაცის ბედში, სისულელეა და საშიშიც“. მე მახსენდება ძველი ანდაზა „ჭკვიანს — სიტყვა, სულელს — მათრახი“. არ შეიძლება ადამიანს აუკრძალო არჩევანის უფლება, წინა-

ალმდეგ შემთხვევაში ჩვენ პასუხს ვაგებთ მის შეცდომებზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ არა მარტო მათზე, ვისაც ვაჩვევთ, არამედ მათზეც, ვისაც ვრყვნით.

მხოლოდ ახლახან მივხვდი ქრისტეს სიტყვებს „ღორთა წინაშე მარგალიტებს ნუ აგდებთ" და „არ დაუყაროთ სიწმინდეები ძაღლებს". პატარა ბიჭმა პირველი ნაბიჯები თვითონ უნდა გააკეთოს, უნდა დაეცეს, იგრძნოს ტკივილი და ისწავლოს სიარული დამოუკიდებლად. ჯერ ახლოდან უნდა უყუროთ, რომ არ დაეცეს, შემდეგ შორიდან. რაც უფრო ნაკლები და შეუმჩნეველი იქნება დახმარება, მით უკეთესია. თუკი ადამიანს არა აქვს წყურვილი, რაიმე გაიგოს, მაშინ მის მიერ მიღებულ ცოდნას ის ვერ დაიმახსოვრებს და ვერ გამოიყენებს. ამიტომ ზუსტი დიაგნოსტირების ნაცვლად, იმის ასახსნელად, თუ რა პრობლემები დარჩა გადაუწყვეტელი და რა საშიშროებები მოელის მომავალში, მე ვეუბნები მხოლოდ ერთ ფრაზას: „მიულოცეთ მას კარგი დასაწყისი", შემდეგ უფრო მოხერხებულად ვეწყობი სავარძელში და ვხუჭავ თვალებს.

თვალდახუჭული ვზივარ ხუთი-ათი წუთი და ვცდილობ ჩაძინებას. მაგრამ ინერციით მომდის ახალი ფიქრები, და მომავლის თემა გრძელდება. თუკი მომავალს განვიხილავთ როგორც ფიზიკურ რეალობას, მაშინ შესაძლებელია სისტემურად ჩამოვაყალიბოთ მასზე ზემოქმედების მექანიზმი. საინტერესო ისაა, რომ აწმყოზე ზემოქმედება ყველაზე მეტად შეუძლია იმას, ვინც მოხერხებულად მართავს მომავალს. მთავარი ენერგია იქიდან მოდის და ის მუდამ მხარში უდგას ხილული სამყაროს არსებობას. ვახდენთ რა ზემოქმედებას ამ ნაკადზე, შესაძლებელია ნივთიერების სტრუქტურის შეცვლა, ავადმყოფობების განკურნება და ისტორიიდან ცნობილი სხვადასხვა სასწაულის ჩადენა. მაგრამ თუკი წარმოიშობა მომავლის მიმართ აგრესია განცდების, შიშის ან სიჩქარის სახით, მაშინ ინგრევა არა მარტო ხვალინდელი დღე, არამედ აწმყოც.

მეხსიერებაში ამოტივტივდა თოვლიანი და ყინვიანი დღე. ეს იყო დაახლოებით ექვსი-შვიდი წლის წინ. მე უნდა ჩამეტა-

რებინა ლექცია ნოვოსიბირსკში, ხოლო ლექციამდე რამდენიმე დღის წინ მეგობრებმა შემომთავაზეს თხილამურებზე სრიალი. მშვენიერი ამინდი იდგა. მზე ანათებდა, ყინავდა დაახლოებით ათ გრადუსამდე. ნოვოსიბირსკში ჩვენ წავედით დილით ადრე, იმიტომ რომ გზას მოვუნდებოდით დაახლოებით შვიდ საათს. ტრასაზე გასვლიდან ერთ საათში, მოულოდნელად თოვლი წამოვიდა და დაუბერა ძლიერმა ქარმა. მხედველობა დაახლოებით თხუთმეტი ოცი მეტრი იყო. ჩვენ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ უკან არ დავბრუნებულიყავით. ყოველ ორმოცდათ ას მეტრში გზისპირზე ეყენა ავარიის შედეგად დამტვრეული ავტომანქანები. ერთხელ კინაღამ არ გაგვიტანა შეხვედრმა ავტომანქანამ. იმ დროს მხედველობა უფრო უარესი იყო.

მე ორმაგად განვიცდიდი: პირველი, იმის გამო, რომ ლექცია მეშლებოდა, და მეორე, – შესაძლებელი იყო ჩვენი დაღუპვა ან დასახიჩრება. რომ მომეხსნა ჩემი თავისთვის განცდები, გავწექი უკანა სავარძელზე და დავიწყე ლოცვა, შემდეგ კი ჩამეძინა. ნახევარ საათში გამეღვიძა და შევნიშნე, რომ ამინდი გამოკეთებულიყო, მაგრამ ხუთ წუთში ისევ წამოვიდა თოვლი. დაახლოებით ორმოც წუთში ვიგრძენი ისეთი დაღლა, რომ ისევ ძილი მომინდა. დავწექი და დავიწყე ლოცვა, შემდეგ შეუმჩნევლად ჩამეძინა. მეოთხედ, როდესაც ვფიქრობდი მელოცა თუ არა, მოულოდნელად მძღოლმა მითხრა: „სერგეი ნიკოლოზის ძევ, თქვენ რომ დაწვეთ და დაიძინოთ უკეთესი იქნება, რადგან, როდესაც თქვენ გძინავთ, ამინდი მაშინათვე გამოკეთდება, ხოლო როდესაც იღვიძებთ ქარბუქი იწყება". მე მას დავუჯერე. ამინდი მართლაც გამოკეთდა, და ცხრა საათში ნოვოსიმბირსკში ვიყავით.

რა არის შიში და რა საჭიროა იგი? წარსულში ყველა პირველყოფილ ტომში არსებობდა „ტაბუს" ცნება, ესე იგი არ შეიძლებოდა ჩაგედინა გარკვეული ქმედება. ტაბუ – ეს არის შიშის შემდეგ განვითარების შემდეგი საფეხური. როდესაც ცხოველი მიდის კლდესთან. მას იპყრობს შიში, რომელიც აკავებს მის გარდაუვალ დაღუპვას. შიშმა მას უნდა შეუქმნას მაქსიმალური დისკომფორტი, რათა მან არ ჩაიდინოს რაიმე სახიფათო ქმედება და გადარჩეს. რამდე-

ნადაც ცოცხალი არსების ბედნიერება და სიამოვნება დაკავშირებულია ენერგიის გამოყოფასთან, შიშმა უნდა შეაჩეროს ენერგია, ზოგჯერ კი გამოიწვიოს მისი გამოყოფის შემცირება, ამიტომაა, რომ შიში დამბლას სცემს და ძალას უკარგავს ცოცხალ არსებას. სიცოცხლისათვის საშიში სიტუაციების დროს შიში აუცილებელია, მაგარამ, თუკი ის გრძელდება დიდ ხანს, ორგანიზმი ავადდება და კვდება. ამიტომაც იყო, რომ ცხვარი, რომელიც ავიცენამ მიაბა მგლისკან რამოდენიმე მეტრის მოშორებით, სამ დღეში მოკვდა. შიში არის ერთ-ერთი საფეხური გარე სამყაროსთან ადაპტაციის დროს. ცხოველი კლდესთან შიშის გამო შეჩერდება და განზე გაიწევს. პატარა ბავშვს კლდესთან აუხსნიან: „ეს არის ტაბუ, ახლოს მისვლა არ შეიძლება“. ესე იგი განვითარების მაღალ საფეხურზე შიში, რომელიც თელემს შიგნით, ივსება გარესამყაროს კონტროლისა და ადაპტაციის უფრო მაღალი დონით.

მომეტებული ინტუიციის არსება გარემოსთან უკეთესად ადაპტირდება. მიხვედრილობა და ინტუიცია იცავენ უფრო ადრე და სანდოდ, ვინემ პრიმიტიული შიში. ისინი შესაძლებელს ხდიან მივიღოთ ინფორმაცია მომავლიდან, ესე იგი ავიცილოთ საშიშროებები, რომლებიც რეალურად ჯერ არ დამდგარა.

ადაპტაციის უმაღლესი დონე გამოდის მომავლის საზღვრებიდან, იქ, სადაც დამალულია ინფორმაცია იმაზე, თუ რა იყო, არის და იქნება სამყაროში. ეს ცოდნა მოდის შემოქმედის სიყვარულის მეშვეობით. მაგრამ ასეთი ცოდნა ადამიანისთვის, როგორც უკვე გითხარით, პრაქტიკულად მიუწვდომელია. დასაწყისისთვის საჭიროა ვისწავლოთ მომავალთან ურთიერთქმედება. ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ თქვენ კარგი მომავალი გაქვთ, არის თქვენი მაღალი შინაგანი ენერგია. მაშინ სულში წარმოიქმნება აღმაფრენისა და სიხარულის გრძნობა, და ისიც უმიზეზოდ. ასეთ დროს ხელს რა საქმესაც არ მოკიდებთ, ყველაფერი გამოგდით. თითქოს ჯადოსნური ჯოხი დაიქნიესო, იწყება სურვილების ასრულება. მოძრაობა ხდება ჰაეროვანი, თითქოს სხეულს არ გრძნობთ. გექმნებათ წარმოდგენა, რომ ყოველგვარი პრობლემის გადალახვა შეიძლება და მომავალში

ყველაფერი კარგად იქნება. მაშინ სრულიად მშვიდად შეხედავ უსიამოვნებებს, გესმის რა, რომ ისინი აუცილებელია და გაწრთობენ შენ. ჭორებზე, შურზე, წყენაზე და კბენებზე შემწყნარებლურად რეაგირებთ, ესე იგი თქვენი დამოკიდებულება სხვების შეხედულებებზე მკვეთრად იკლებს. მაღალი ენერგია ამცირებს დამოკიდებულებას გარესამყაროზე.

თუკი ადამიანი თავის თავზე ცუდს ფიქრობს ან ნაღვლობს, ესე იგი ცუდად ფიქრობს თავის მომავალზე, ის შეუმჩნევლად კარგავს ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის აუცილებელ ძალასა და ენერგიას. მორიდებული, გაუბედავი, ადამიანი, ადამიანი, რომელმაც არ იცის სურვილი და ნატვრა, – თავის მომავალს უწყვეტს ენერგიას და იგი მას წაერთმევა. ყოველგვარი სურვილი გამოდის სიყვარულის გრძნობიდან, ამიტომაც მისი ჩაქრობა – ეს არის შინაგანი ენერგიის განადგურება. ბევრნი, რომლებიც თვითაღზრდით იყვნენ დაკავებულნი, აქტიურად იწყებდნენ თავიანთი სურვილების ჩახშობას, შემდეგ კი ვარდებოდნენ დეპრესიაში და ავად ხდებოდნენ. ხშირად ამას ადგილი ჰქონდა მორწმუნე ადამიანებში, რომლებმაც კარგად არ იცოდნენ რა არის ღმერთის სიყვარული. ცუდი სურვილები საჭიროა შევიკავოთ, ალვზარდოთ და განვავითაროთ.

მახსენდება, ერთხელ სემინარზე თუ როგორ ვუთხარი მსმენელებს ის, რაც მათ თავიდან უცნაურად მოეჩვენათ: „თუკი თქვენ გინდათ დაარტყათ იმას, ვინც გეკამათებათ, ეს სურვილი არ უნდა დათრგუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოიწვევს ავადმყოფობას და დეპრესიას. ასეთი სურვილი უნდა შეიკავოთ და გარდაქმნათ“. სხვისი დარტყმის სურვილი – ეს არის, მცდელობა გადაწყვიტო კონფლიქტი პირველყოფილი, პრიმიტიული სახით. აგრესია – ეს არის სიტუაციის მართვის ძალიან უბრალო ხერხი. თუკი თქვენ ისწავლით სხვებთან საერთო ენის გამონახვას, მაშინ შეძლებთ მიაღწიოთ სასურველს აგრესიის გარეშეც. ასე რომ, <u>აგრესიულობა – ეს არის ჩვენი განუვითარებლობის და გარესამყაროს მართვის უცოდინარობის ნიშანი, ისევე როგორც, შიში.</u>

ქრისტიანობას აქვს კოლოსალური პოტენციალი. ქრისტე იძლეოდა მცნებებს, რომლებიც აუცილებელია მომავლის ადამიანისთვის. ასეთი ადამიანისთვის შიში, სიძულვილი და სევდა თვითმკვლელობის ტოლფასია. მომავლის ადამიანი – ეს არის მაღალი ენერგიის ადამიანი, იმიტომაც ამბობდა ქრისტე: „ეძებეთ და იპოვით. დააკაკუნეთ და გაგეღებათ". ყველას ახსოვს, თუ როგორ დაუჯერა პეტრე მოციქულმა თავის მასწავლებელს, გამოვიდა ნავიდან და გაიარა წყალზე. მაგრამ როგორც კი იგრძნო შიში, მაშინათვე ჩაიძირა წყალში. მისმა სულმა დაკარგა ენერგია, რაგანაც შიში შეუთავსებელია მაღალ ენერგიასთან. მომავლის ადამიანიდან ის უცებ გადაიქცა აწმყოს ადამიანად.

რატომ ეუბნებოდა ქრისტე თავის მოწაფეებს, რომ საჭიროა რწმენა და ყველა სურვილი შეგისრულდებათო? იმიტომ, რომ ეს შეესაბამება სამყაროს კანონებს. ყოველ წამს სამყაროში მოედინება ენერგია, ჩნდება ახალი დრო, სივრცე და ნივთიერება. ყოველწამიერად შემოქმედი თავიდან ქმნის სამყაროს. ჩვენს სულში მუდმივად შემოდის ენერგია, რომელსაც ჩვენ ვხარჯავთ მომავლის, აწმყოსა და წარსულის უზრუნველსაყოფად. ყოველწამიერად ადამიანი უზრუნველყოფს თავის მომავალს ამ ენერგიით. რწმენა და იმედი ეხმარებიან, რათა მიიმართოს ეს ენერგია მომავლის გასახსნელად. რაც უფრო მეტ ენერგიას გასცემს ადამიანი, მით უფრო მეტს ღებულობს ის შემოქმედისგან და მით უკეთესად გაიხსნება მისი შესაძლებლობები.

ადამიანი სევდიანი, თავისი თავის ურწმუნო, სურვილების და ოცნებების დამთრგუნველი, უარს ამბობს ენერგიის ხარჯვაზე და ამიტომაც არ ღებულობს მას. ღმერთის რწმენა, ნებას გვაძლევს რეალიზება გავუკეთოთ სიყვარულისა და ენერგიის გაცემის უმაღლეს პოტენციალს, თუკი ის უანგაროა. ბევრს სწამს, რომ, თუკი უნდათ მიიღონ ჯანმრთელობა და მფარველობა, უნდა ილოცონ შეუმჩნევლად თავის ჯანმრთელობასა და სტაბილურობაზე.

ახლახან მე მომიყვნენ ერთი ქალის ისტორიას, რომელსაც უნდა გაეკეთბინა რთული ოპერაცია თავის ტვინზე. საავადმყოფოს პალატაში მასთან ერთად იწვა სამი ქალი ისეთივე დიაგნო-

ზით, და სამივენი გარდაიცვალა ოპერაციის დროს. ეს ქალი იყო ათეისტი, მაგრამ უცებ დაიწყო ლოცვა და შესთხოვა ღმერთს გადარჩენა – და გადარჩა. ამის შემდეგ მან დაიწყო ეკლესაში სიარული, ჩაიცვა შავები. როდესაც მას შეეკითხნენ, სწამს თუ არა ღმერთი, მან უპასუხა, რომ სწამს, რადგან ეს სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. პრინციპში პირველი ნაბიჯისთვის ეს არ არის ცუდი, მაგრამ ბევრისთვის ეს საფეხური ბოლოა და რწმენის მაგივრად იწყება ჩვეულებრივი მაგია, რომელიც სულს ვნებს. დიდ ჭეშმარიტებებს არ შეიძლება ვექცეოდეთ ანგარებით, ამისათვის ადამიანი ისჯება.

მე ისევ ჩავფიქრდი და ილუმინატორიდან უყურებ უკიდეგანო ზეცას. თურმე, ყველაფერი რა უბრალო ყოფილა – გაეცი ენერგია, არ დათრგუნო სურვილები, არ დაეჭვდე. რატომ არის რომ ორი ათასი წლის განმავლობაში ადამიანებს ეს არ შეუძლიათ? უეჭველია აქ არის რაღაც საიდუმლო, დიდი გამოცანა. ნეტარი ავგუსტინე ამბობდა: „გიყვარდეს ღმერთი და აკეთე ყველაფერი, რაც გინდა". აი, თურმე სად ყოფილა ამ გამოცანის პასუხი: აკეთონ ის, რაც უნდათ, ადამიანებმა უცებ ისწავლეს, ხოლო სიყვარული დღემდე არ იციან. სიყვარული – ეს არის მძღოლი, ხოლო სურვილი – ეს არის მანქანის ძრავი. უსიყვარულოდ სურვილებს შეუძლიათ მიგვიყვანონ, სადაც გინდა.

ღმერთის განუწყვეტელი სიყვარულიდან გამომდინარეობს ყველა მცნებები, რომლებიც მოცემულია ძველ და ახალ აღთქმებში. თუკი სიყვარული არასაკმარისია, საჭიროა განუხრელად დავიცვათ აღთქმები. საჭიროა მივმართოთ მათ არა გრძნობით, არამედ ცნობიერებით.

ახლახან სემინარზე მე ვთხოვე ჯგუფს უარი ეთქვათ ყველაფერზე, იმის წინ სანამ დავიწყებდით ურთიერთობას. გავიდა ათი წუთი, და ამ ადამიანებს მომავლის რეზერვი არ მოემატათ, არამედ პირიქით, დაეცა. მე განცვიფრებული ვიყავი. უარის თქმა, თურმე, საჭიროა სიხარულით და სიყვარულით, ხოლო უმრავლესობისთვის ყველაფერზე უარის თქმა დაკავშირებულია დანაკარგთან, ტკივილსა და სევდასთან.

## ჭეშმარიტებასთან შეხება

მე ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობდი თავს სამხრეთში. მზის რადიაცია გამოაღვიძებს ხოლმე ორგანიზმის ყველაზე ღრმა დამცავ ძალებს და უბიძგებს მას გულთბილობისა და სიყვარულისკენ. აგრესიულ მდგომარეობაში მზეზე დიდ ხანს ვერ გაჩერდები, და თუკი ეს აგრესია სხვების ან საკუთარი თავის მიმართ გადავიდა ქვეცნობიერში, მაშინ მზეზე დიდი ხნის გაჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაავადება. და პირიქით, შინაგანი გულკეთილობით ყოველგვარი გადატვირთვისგან შესაძლებელია მივიღოთ ენერგიის უდიდესი მარაგი. მე დიდი ხანია შევამჩნიე, რომ, თუკი არ გინდა გარუჯვა, ანდა რამეთი უკმაყოფილო ხარ, ან შეგიპყრო სევდამ, მაშინათვე თავი უნდა შეაფარო ჩრდილს. ბევრნი აძალებენ საკუთარ თავს გაირუჯონ ყოველგვარ მდგომარეობაში, თანაც ტანზე ისვამენ გარუჯვის საწინააღმდეგო კრემებს.

მე ცნობისმოყვარეობით გავუკეთე დიაგნოსტირება ადამიანებს, რომლებიც კრემწასმულები დიდი ხნით მზეზე იწვნენ. მათ ეწყებათ ფაქიზი ენერგიის კლება და უმოკლდებათ მომავლის მარაგი. როდესაც მზის სხივების ზემოქმედებით კანი წითლდება და გტკივა, ეს რადიაციისგან დაცვის მაჩვენებელია. კრემი, რომელიც ფარავს კანს, იცავს მას დამწვრობისგან, და ქმნის სიმშვიდის და დაცულობის ილუზიას, ისევე, როგორც ტაბლეტები, ხსნიან რა ტკივილის სინდრომს, გაძლევენ ჯანმრთელობის შეგრძნებას. საინტერესოა, რომ ამ დროს ყველაზე ძლიერი დეფორმაცია არის აურაში, გენიტალიებთან ახლოს – იქ, სადაც პირველი ჩაკრაა. ესე იგი ასეთი გარუჯვის შედეგად როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს შეიძლება განუვითარდეთ უშვილობა.

რამდენადაც საშიშია მზის სხივები, იმდენად მაცოცხლებელია და აუცილებელი ყოველი ადამიანისათვის. რომელიღაც შენიშვნაში ამოვიკითხე საინტერესო ინფორმაცია. კავკასიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ნორილსკში, პოლარულ წრის

იქით, უკეთესად იტანენ მზის არ არსებობას, ვინემ ადგილობრივები და გრძელი ზამთრის პირობებში თავს კომფორტულად გრძნობენ. გამოდის რომ, მზის უკმარისობას ადამიანი ეწვევა ძალიან ცუდად. მზის ენერგია გროვდება ფიზიკურ და ველის სხეულში და შესაძლებელია გადაეცეს კიდევაც შთამომავლობას.

ძალიან ძლიერი მზე ეკვატორზე ამუხრუჭებს ადამიანის განვითარებას, ხოლო ჩრდილოეთში მისი უკმარისობა იწვევს სისუსტეს. განვითარების მთავარი ცენტრები ყოველთვის იყო შუაში, სუბტროპიკების ზონაში. ჩემი დიაგნოსტიკით, ერთ-ერთი მძლავრი ენერგეტიკული ადგილი დედამიწაზე არის იქ, სადაც წარმოიშვა სიცოცხლე და გამოვიდა ხმელეთზე, — სამხრეთ აფრიკის აღმოსავლეთ მხარეში და, მის მიმდებარე ინდოეთის ოკეანეში.

მაგრამ სიცოცხლე მაინც თავიდან წარმოიშვა ფაქიზი ველის დონეზე. ასეთ დასკვნამდე მე მივედი ფრიად დრამატულ პირობებში. ხოლო დაიწყო ყველაფერი ძალიან კარგად. მე გადავწყვიტე დამემთავრებინა ჩემი წიგნების ციკლი „კარმის დიაგნოსტიკა" და ასევე დამემთავრებინა ამ საკითხის კვლევების სისტემა. პრინციპში ყველაფერი გასაგები იყო.

რა არის ადამიანი? ეს არის არსება, რომელსაც აქვს ორი ძირითადი ინსტინქტი: თვითშენარჩუნების ინსტინქტი და გვარის გაგარძელების ინსტინქტი. ინსტინქტებზე დამოკიდებულება და თაყვანისცემა აქცევს ადამიანს აგრესიულად. სურვილს, გააგრძელო საკუთარი თავი, სიცოცხლე, შენი გვარი, მივყავართ ეჭვიანობამდე, წყენამდე, თუკი ეს გადაიქცევა თვითმიზნად. თვითგადარჩენაა, როდესაც ადამიანი ეთაყვანება ნებისყოფას, ნიჭიერებას, მართვას, კონტროლს, ამჟღავნებს აგრესიულობას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სიამაყე. ამრიგად, გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა — ეჭვიანობა და სიამაყე. მათზე დამოკიდებულება აძლიერებს აგრესიას და იძლევა ავადმყოფობასა და უბედურებებს. მე დიდ ხანს ვცდილობდი გამეგო, ამ გრძნობებიდან რომელია უფრო ღრმა, რომელია პირველადი. შემდეგ გავიგე, რომ ფაქიზ დონეზე ისინი ერთიანია და მხო-

ლოდ ზედაპირულ დონეზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ყველაფრის საფუძველი სიყვარულია, და ამ გრძნობაში ყველა ერთიანია. რაც უფრო ნაკლებია სიყვარული და ენერგია, მით უფრო აგრესიულად იქცევიან დაპირისპირებულნი და მით მეტია მათ შორის განსხვავება. სიყვარულის უნარი ნებას გვაძლევს ადამიანური ბედნიერების ყველა დონეზე უფრო მაღლა ავიდეთ, ხოლო მიჯაჭულობის შესუსტებასთან ერთად გვტოვებენ ავადმყოფობები და აგრესია.

აი რა მინდოდა მეთქვა მკითხველისთვის ჩემს ბოლო წიგნში: „ჩემი მიზანია – მიმეყვანეთ ჭეშმარიტებამდე. მე გესმარებოდით შეხებოდით მას, შემდეგ კი წადით თვითონ. მე შევეცადე განმეზოგადებინა ყველა ადამიანური ფასეულობები და დამელაგებინა ისინი რამდენიმე მთავრი მომენტად. უნდა ეცადოთ მოერიდოთ ადამიანურს და შეეხოთ ღვათაებრივს, ყველაფერი დანარჩენი – ჩემი ამოცანა არ არის“.

მე დამავიწყდა, რომ სურვილები და ნატვრა შესაძლებელია შეგისრულდეს, და ეს სურვილების ასრულება შეძლება იყოს არა ისეთი, როგორიც ჩვენ წარმოგვეიდგენია. მინდოდა დავხმარებოდი ადამიანებს, რათა მათ აღექვათ ღვთაებრივი და ვფიქრობდი, რომ ჩემი ბოლო წიგნით შევძლებდი ამის გაკეთებას. მაგრამ ეს იყო ილუზია. იმის მაგივრად, რომ ადვილად და მალე დამეწერა წიგნი, მე უცებ ძლიერ ავად გავხდი. ეს გაგრძელდა წელიწადნახევარს. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ ეს არ იყო ავადმყოფობა და არ იყო სამაგიეროს გადახდა წინა წლების დიდი დატვირთვის გამო. უბრალოდ მე მომინდა შევხებოდი ღვთაებრივს, და ჩემი სურვილი ასრულდა. ფიქრადაც არ მომდიოდა, რომ სრულებითაც არ ვიყავი მზად ამ ოცნების შესასრულებლად. თურმე, საჭიროა რომ ღირსი იყო შენი სურვილების, მაგრამ მაშინ მე ამის შესახებ არ ვიცოდი.

<u>არსებობს ძალიან საინტერესო დაკვირვება. თუკი პატარა ბავშვი დარწმუნებით ამბობს, რომ ის იქნება მოგზაური, ან მხატვარი, ან ცნობილი მეცნიერი, ან მდიდარი ადამიანი, ეს შემდეგში დასტურდება. თუკი ბავშვი არაფერზე არ ოცნებობს, უფ-</u>

რო ხშირად ის ვერაფერს მიაღწევს ცხოვრებაში. ბევრმა შენიშნა, რომ პატარა ბავშვები — ნათელმხილველები არიან. ისინი არამცთუ გრძნობენ მომავალ ბედს, არამედ თავიანთი განუწყვეტელი მისწრაფებით ახდენენ მის ფორმირებას.

რა არის კონცენტრაცია? ეს არის ერთი მიმართულებით განუწყვეტელი ემოციონალური ენერგიის გაგზავნა. თუკი ეს პროცესი ცოტა ხანს შეკავდება ცნობიერებაში, მაშინ, შემდეგში, ის ხდება განუწყვეტელი. შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს თავისი მიზნების შესახებ, მაგრამ მისი ქვეცნობიერება დაუღალავად გააგრძელებს თავის სამუშაოს. თუკი ბავშვის ნატვრა მოდის მისი გონებიდან, მისი სურვილიდან — მიღოს კომფორტი, აამაღლოს თავისი სტატუსი, მაშინ ასეთი ნატვრა იშვიათად სრულდება. თუკი ისინი მოდის სულის სიღრმიდან, თანაც ხშირად, რეალურ სიტუაციაზე მისი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, არსებობს რეალური შანსი მათი ასრულებისა. უფრო მეტიც, თუკი ბავშვი შემდეგში უარს ამბობს თავის ნატვრაზე, ამისათვის მან შეიძლება პასუხი აგოს ავადმყოფობით ან სიკვდილით.

განსაკუთრებით ძლიერად მყარდება ქვეცნობიერი მიზანდასახულობები სქესობრივი მომწიფების პერიოდში. მოზარდის ცხოვრებაში ორგანიზმი შედის სრულიად ახალ ფაზაში, ეს ხდება დიდი ენერგიის გამოტყორცნის ფონზე. ამ დროს სწრაფად და დიდი ხნით მკვიდრდება ყველაფერი — კარგიც, და ცუდიც. თუკი სქესობრივი მომწიფების მომენტისთვის ბავშვს აქვს მყარი ოცნება, მაშინ ის, ადვილი შესაძლებელია ახდეს.

გადავწყვიტე დამემთავრებინა ჩემი კვლევები და დამეწერა ბოლო წიგნი. ამის შემდეგ რატომღაც დამეწყო ყურების ქავილი. ადრეც მქონდა ასეთი პრობლემა და მაშინ მივმართე ექიმებს. გამომიწერეს მალამოები, ტაბლეტები, მაგრამ ვერ დაადგინეს თუ რა მჭირდა. ჩემი დიაგნოსტიკით ყურების პრობლემა დაკავშირებულია ეჭვიანობასთან, საყვარელ ადამიანთან და გარესამყაროსთან ზედმეტ მიჯაჭვულობასთან. მე ვხედავდი, რომ მეწყებოდა პრობლემები, მაგრამ რატომღაც არ შემეძლო მათი მიზეზის დიაგნოსტირება. ლოცვა არ შველოდა, არც დიე-

ტა შეელოდა. ყურების ქავილი აუტანელი გახდა და მე გადავწყვიტე მიმემართა სპეციალისტებისთვის. რეკომენდაციით მოვხვდი ერთ პროფესორთან. როდესაც მივედი მის კაბინეტში, ის იქ არ დამხვდა, და მიმიღო მისმა ასისტენტმა ქალმა. მან გამხედა და გაოცებულმა მკითხა:

— მითხარით, თქვენ არა გაქვთ დიაბეტი?

— არა, რაშია საქმე?

— ყურებში ქავილი შეიძლება გამოწვეულია სოკოთი, მაგრამ ასეთი სოკო, ჩვეულებრივ უჩნდებათ დიაბეტით ავადმყოფებს.

— ესეც კაი ამბავი! — გავიფიქრე. — ისევ ის თემა, მომეტებული მიჯაჭვულობა ახლო ადამიანებთან. წიგნის წერა, ალბათ უნდა მოვითმინო.

ქალმა მომცა მიმართვა სისხლის ანალიზის ჩასაბარებლად და მირჩია მივსულიყავი მეორე დღეს.

საერთოდ, მკურნალობა, თუ მას სერიოზულად შევხედავთ, ძალიან საშიშია. ძალიან ბევრი მკურნალი ავად ხდება შაქრიანი დიაბეტით, კიბოთი და უბრალოდ კვდება უმიზეზოდ. ბევრს უჩნდება ფსიქიკის პრობლემები და ხასიათის პათოლოგიური ცვლილებები. ისინი წლების განმავლობაში აგროვებენ სულიერ ჭუჭყს, რომელიც მოდის პაციენტიდან, შემდეგ კი ხდება მისი აფეთქება.

„ეტყობა, ჩემი მკურნალობის მარათონი დასრულდა“, — გავიფიქრე მე.

დილით ჩავაბარე ანალიზები და მივიღე რა პასუხები, გავემართე პროფესორისკენ. მან ყურადღებით გახედა ჩემს ყურებს და შეაქო თავისი ასისტენტი.

— დიახ, სინამდვილეში ეს სოკოა, გამოგიწერთ მალამოს და ყველაფერი გაგივლით.

— დიაბეტზე რას მეტყვით? — მორიდებით დავინტერესდი მე.

— სისხლში შაქრის ნორმა — სამიდან ექვს ერთეულამდეა. თქვენ კი — სამი და ცხრა გაქვთ, ანალიზი იდეალურია.

ვიყიდე აფთიაქში რეკომენდირებული მალამო, და მისი გა-

მოყენების შემდეგ ქავილი სინამდვილეში თანდათან გამიქრა. თითქოსდა უნდა გამხარებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ პრობლემა არ იყო გადაჭრილი. იმ დროს მე ვისვენებდი ყირიმში, ერთმა ნაცნობმა შემომთავაზა გამესინჯა აკუპუნქტურული წერტილის ბიოლოგიური აქტიურობა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. დიაგნოსტიკის ჩატარების შემდეგ მას სახე დაუგრძელდა: „მკერდის წერტილები უკეთესად მუშაობენ ვინემ შენი. მოიწესრიგე თავი, შენ ხომ სრულებით არა გაქვს ენერგია“.

კანკალით ვცდილობდი ჩამეტარებინა ინსტინქტების მიმართ ჩემი დამოკიდებულების დიაგნოსტირება და მივილე არცთუ ცუდი სურათი. ჩემი დიაგნოსტირებით გამოდიოდა, რომ მე ჯანმრთელი ვიყავი, მაგრამ რატომღაც ვკვდებოდი. ერთ კვირაში მატკივდა კბილი, შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე, შემდეგ ამტკივდა ყველა კბილი, დაიწყო მათი დაშლა. ლაპარაკის დროსაც კი მტკიოდა. პროტექციით ჩავეწერე კარგ კბილის ექიმთან. ექიმმა ქალმა გამხედა და თქვა: „თქვენ დაშლილი გაქვთ თორმეტი კბილი, ისინი უნდა დაიპლომბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა კბილი ამოსაღები იქნება“. ვიჯექი სავარძელში ცხრა საათი. ბოლოს მიუხედავად იმისა რომ კბილებს მიბურღავდნენ ჩამეძინა. „კბილებიც ხომ სურვილების, მიჯაჭვულობის, ეჭვიანობის თემასთანაა დაკავშირებული, ვფიქრობდი მე, – საიდან გამოძვრა ეს პროგრამა?“ მე გამახსენდა საუბარი ექიმ-პროტეზისტთან. „კარგა ხანია შევნიშნე ერთი ფაქტი, – მითხრა მან. – თუკი ქალს დაეწყო გინეკოლოგიური პრობლემები, რამდენიმე ხნის შემდეგ მისი კბილები იწყებენ გაფუჭებას“. „თუკი განკურნავ კბილებს, – ულიმღამოდ გავიფიქრე მე, – უფრო ძლიერ გართულდება გინეკოლოგია“, მაგრამ ამაზე არაფერი მითქვამს.

ასე რომ, კბილების წესრიგში მოყვანის შემდეგ დამეწყო მუცლის ქვემოთ ტკივილი. „ეტყობა, ძალიან ძლიერად გამოდის მიჯაჭვულობისა და ეჭვიანობის თემები, – გავიფიქრე მე, – ალბათ, ისევ სპეციალისტთან უნდა წავიდე“. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვლოცულობდი და ვცდილობდი გადამელახა ჩემი ქვეცნობიერი ეჭვიანობა. ბავშვობიდან ვიყავი უზომოდ ეჭვია-

ნი. აბეზარი და კარგადაც ვიცოდი ამის შესახებ. ამიტომ ბავშვობაში ავად ვიყავი ფურუნკულოზით, ყოველთვის პრობლემები მქონდა ურთიერთობებში და ვიყავი ძალიან წყენია. ვმუშაობდი რა ჩემს გამოკვლევებზე, ვცდილობდი შემეცვალა ჩემი თავი და ჩავთვალე, რომ ეს გამომივიდა. და აი ყველაფერი გათავდა, და ამჯერად ისე, რომ, ალბათ, თავს ვერ დავაღწევ.

მომდევნო მეცნიერებათა დოქტორმა, გახედა რა ულტრასხივების ანალიზების შედეგს, თქვა, რომ ონკოლოგია არა მაქვს, მაგრამ მაქვს ქრონიკული პროსტატიტი. „ორმოცდაათი წლის შემდეგ, – მითხრა მან, – ეს პრობლემა ყველა მამაკაცს აქვს, – მაგრამ მკურალობა მაინც საჭიროა".

მე ვხვდებოდი, რომ ჩემში მიმდინარეობს თვითგანადგურების პროგრამა: თავიდან გამიჩნდა პრობლემა თავის არეში, ეხლა კი ის ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოდის. თუკი მე მექნებოდა ძლიერი თავის ტკივილები ან ტრავმა თავის არეში, მაშინ, ალბათ, არ მექნებოდა კბილების და შარდსასქესო სისტემის პრობლემა. მაგრამ თავი მე მჭირდება, იმისათვის, რომ დავწერო წიგნები, და ამიტომაც ქვეცნობიერებამ არჩია იმ ფუნქციების დარღვევა, რომლებიც ხელს ვერ შემიშლიან ჩემი ქვეცნობიერი სურვილის შესრულებაში.

მომდევნო მკურნალობას შესამჩნევი შედეგი არ მოუცია, ხოლო ტკივილები მქონდა ძალიან ძლიერი. „ეტყობა, ვკვდები, – გავიფიქრე, – ნეტა ვიცოდე, საიდანაა ეს გადაულახავი მიჯაჭვულობა სიცოცხლესთან და საყვარელ ადამიანთან?" ბოლოს და ბოლოს მთავარია შეინარჩუნო სიყვარული, განსაკუთრებით სიკვდილის წინ. ეს ძალიან სასარგებლოა სულისთვის. დიდი ხანია შევამჩნიე საინტერესო თავისებურება: იმის წინ, სანამ მიიღებ რაიმე სიკეთეს, მის გულისთვის ტანჯვა უნდა გამოიარო, უნდა გაიღო რაღაც იძულებითი მსხვერპლი. გაივლი გამოცდას, მიიღებ საჩუქარს. ვერ შეძელი შეგენარჩუნებინა სიყვარული და მიგეღო ზემოდან გამოგზავნილი ტანჯვა-წამება, არა ხარ ღირსი ბედნიერების. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილი ადამიანური ბედნიერებისა – ჭეშმარიტებასთან

შეხებაა. სამყაროს ახლებური გაგებაც უნდა იყოს სიმწრით მოპოვებული.

საბოლოოდ, ორწლიანი განუწყვეტელი პრობლემების შემდეგ, მე შევძელი აღმომეჩინა ინსტინქტებს იქით, უფრო ღრმა სტრუქტურა, რომელშიც ისინი იყვნენ გაერთიანებულნი. თავიდან მას მივეცი სამუშაო სახელი „ერთობა". ორივე ინსტინქტი თანაარსებობდნენ იქ, როგორც ერთი მთლიანი. შემდეგ, როდესაც გავხედე ასეულობიით სიტუაციებს, სადაც არსებობდა აგრესია, რომელიც დაკავშირებული იყო ამ სტრუქტურასთან, მე მოვუძებნე მას უფრო თავსებადი დასახელება – „ადამიანური სიყვარული". მაშინ ჩავწვდი ქრისტეს ფრაზას: „ადამიანის მთავარი მტრები მისი ოჯახის წევრებია". თურმე, ყველა ადამიანის სულმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა გააკეთოს მთავარი არჩევანი: ვისთან ერთობა არის მისთვის ყველაზე მთავარი. თუკი ერთობა შემოქმედთან და მისი სიყვარულია მთავარი სიამოვნება ცხოვრებაში, მაშინ იქნება განვითარება. თუკი მთავარია ერთობა – საყვარელ ადამიანთან და გარესამყაროსთან, მაშინ სიცოცხლე მიილევა.

მთელი ძალებით ვცდილობდი მომხდარი გამეაზრებინა. რომ განმეცადა, ღმერთთან ერთობაა უფრო მაღალი, თუ ერთობა ამ სამყაროსთან. საჭირო იყო გამეელო რღვევისა და სიკვდილის პერიოდები. ამის წინ ხომ იყო საკუთარ თავთან მუშაობის ათი წლის განუწყვეტელი შრომა, უდიდესი გამოცდილება სხვებისთვის პატიებისა და ყოველგვარი სიტუაციის მიღებისა. მაგრამ, როდესაც მე უფრო ახლოს შევეხე ღვთაებრივს, დაიწყო უძლიერესი წმენდა. რა იქნება დანარჩენი ადამიანებისთვის, თუკი მათ მოუწევთ გაიარონ იგივე პროცედურა? მანუგეშებდა მხოლოდ ის, რომ ძალიან ძნელია, პირველმა გაიგო რამე. როდესაც გზა ვიღაცის მიერ გავლილია, დანარჩენების მიერ ამ გზის გავლა შედარებით ადვილია.

ასე რომ, ყველა ადამიანური ფასეულობები მე დავიყვანე ქვეყანასთან, სამყაროსა და საყვარელ ადამიანთან ერთიანობამდე. დარჩა ბოლო ნაბიჯი – ადამიანურიდან ღვთაებრივისკენ!

ამაზე მე დავწერე „კარმის დიაგნოსტიკის" მეთორმეტე წიგნში. წიგნი წავიდა დასაბეჭდად და უცებ, როდესაც ვაკეთებდი დიაგნოსტირებას, გაკვირვებულმა დავინახე, რომ ადამიანური სიყვარულის სტრუქტურის გვერდით არის კიდევ უფრო ღრმა. ჩემი ოცნებები სისტემის დამთავრებაზე დაინგრა. იმ მომენტში ბოლოს და ბოლოს მე მივხვდი, რომ ყოველი დამთავრებული შეხედვა სამყაროსთვის — ეს არის ენერგიის გაჩერება, განვითარების შეწყვეტა.

სუსტი შინაგანი ენერგიის ადამიანი, სამყაროს ხედავს თითქოს რაღაც გაქვავებულს, უცვლელს და მუდმივს. ადრე ამას ეწოდებოდა სამყაროს სტაციონარული მოდელი. ენერგიის მომატებასთან ერთად შეცვლას იწყებს შეხედულება სამყაროზე. და რამდენადაც ჩვენი ენერგია უწყვეტად მაღლა იწევს, ჩვენთვის უწყვეტად უნდა შეიცვალოს სამყაროს სურათიც. მაგრამ სამყაროში ყველა პროცესი ხდება კვანტურად, ესე იგი ხდება ულუფებით. ყოველი კვანტი-ულუფა — ეს არის სამყაროს მოდელი. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ რაღაცის დროებითი დამთავრება და სამყაროს მყარი მოდელის ფარგლებში არსებობა. ულუფებს შორის არსებობს დასვენების შუალედი. „საინტერესოა, — ვფიქრობ მე, — შევძლებ კი, ცოტა ხნით მაინც შევქმნა, მდგრადი მოდელი ადამიანურისა და ღვთაებრივის ურთიერთქმედებისა? უკვე ჩვიდმეტი წელია ერთიმეორეზე მიყოლებით მიდის მოდელების უწყვეტი ცვლა".

ასე რომ, გამოჩნდა ახალი სტრუქტურა, რომელიც უფრო ღრმა იყო, მაშასადამე, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ ადამიანია თავისი ინსტინქტებით. ისევ დაიწყო ჩვეულებრივი მუშაობა. რა და რა დარღვევებს სჩადის ადამიანი, რომელიც დამოკიდებულია ამ სტრუქტურაზე? რამდენად აგრესიულია იგი? რას განიცდის ამ დროს? თანდათან გამოიკვეთა საინტერესო სურათი. ახალი სტრუქტურა დაკავშირებული იყო სამართლიანობისა და სიმართლის სტრუქტურებთან. რაღაც მომენტში გონება განათდა. ყოველგვარი ადამიანური ბედნიერება და ყველა ფასეულობა დაიყვანება ცნებამდე — „ადამიანი". ადამიანური

„მე“-ს დამოკიდებულებამ მის სხეულთან და ინსტინქტებთან, შესაძლებელია მიგვიყვანოს ღმერთთან ერთობის დაკარგვამდე და გახდეს ავადმყოფობის მიზეზი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადამიანი – ეს არის პირველ რიგში სულიერი არსება, რომლის დუბლირება ხდება სხეულით.

სხეულის, მისი ფუნქციის დაცულობას და სტაბილურობას, სხეულის მიჯაჭვულობაზე უარის თქმის არცოდნას და ინსტინქტებისადმი სრულ მორჩილებას, მივყავართ ავადმყოფობასა და სიკვდილამდე. მაგრამ შესაძლებელია არსებობდეს არამცთუ სხეულის, არამედ სულის დაცულობაც. სულიერი მოთხოვნილებების აბსოლუტიზაცია გაძლევს შენი სიმართლის არაჩვეულებრივ შეგრძნებას, ასევე, რასაც აკეთებ იმის უპირატესობის და სამართლიანობის შეგრძნებასაც. ამასთან, მე შევამჩნიე საინტერესო თავისებურება: როდესაც სულიერი „მე“-ზე დამოკიდებულება ხდება საშიში, აგრესია სულიერი სტრუქტურებიდან გადმოდის სხეულზე და სხეულის ტანჯვა იწყებს სულიერი საფარის გაწმენდას.

ამ სტრუქტურაზე გასვლაც დრამატულად ხდებოდა. როდესაც მე დავიწყე მეთორმეტე წიგნის წერა, მოულოდნელად ამტკივდა მარჯვენა მხარი. ტკივილი გაძლიერდა და ცოტა ხანში ხელის აწევასაც ვერ ვახერხებდი. ნაცნობმა ექიმებმა მითხრეს, რომ ეს სახსრებია და მირჩიეს სხვადასხვა მალამოები. ვერაფერმა ვერ მიშველა, ტკივილი უფრო მიძლიერდებოდა. ნათესავებმა დამაძალეს გამევლო ულტრაბგერითი და რენტგენული გამოკვლევა, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ნახეს და დაასკვნეს, რომ ეს იყო სახსრების ასაკობრივი ცვლილებები და მარილების დაგროვება. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში ტკივილი უნდა მეგრძნო ხელების მოძრაობის დროს, მე კი ძირითადად მხარი ღამით მტკიოდა, როდესაც ვიძინებდი და იხსნებოდა ქვეცნობიერება. ღამით, სამიდან ხუთ საათამდე, არ შემეძლო დაძინება მხარში აუტანელი ტკივილის გამო.

ვიხსენებდი, მქონდა თუ არა ადრე ამის მსგავსი რამ. და უცებ გამახსენდა: ასეთი რამ უკვე მქონდა მატარებელში, როდესაც

მივდიოდი ოდესაში. მაშინ გამოვაქვეყნე ჩემს საიტზე განცხადება. მინდოდა გამეხსნა დიაგნოსტიკისა და თვითდიაგნოსტიკის უფასო კურსები, მინდოდა მესწავლებინა ყველასთვის, რომ ყოფილიყვნენ ბედნიერნი. და როგორც კი განმიმტკიცდა ეს აზრი და დავიწყე სწავლების სქემის მოფიქრება, უცებ ამტკივდა მარჯვენა მხარი. ტკივილი იყო ისეთი, თითქოს დანა გაეყარათ. ტკივილისგან ხელის აწევაც არ შემეძლო.

„სხეულის მარჯვენა მხარე დაკავშირებულია მომავალთან, — ვფიქრობდი მე, — რაღაცას ვაკეთებ არასწორად, რაღაცაში არა ვარ სწორი". და უცებ მივხვდი, რომ ეს დაკავშირებული იყო ჩემს კურსებთან. ყოველგვარი, მათ შორის ზედაპირული დიაგნოსტიკაც გამოდის ფაქიზი დონეების ჩემებური ხედვიდან, ხოლო უმრავლესობისთვის ასეთი შეხება შეიძლება საშიშიც გამოდგეს. მე აზრობრივად უარი ვთქვი ჩემს გადაწყვეტილებაზე, ჩემს სიმართლეზე, და ტკივილმა მაშინათვე გამიარა.

მაგრამ ამ შემთხვევაში სამი-ოთხი თვის შემდეგ ძლივს ვამოძრავებდი მარჯვენა ხელს. ისეთი წარმოდგენა დამრჩა, რომ ეს დაკავშირებული იყო სიმართლის გრძნობასთან. უცებ გონებაში ამოტივტივდა ძველი აღთქმისეული სურათი. როდესაც ვინმე დაარღვევდა მცნებებს, იპარავდა, ტყუოდა, მრუშობდა, ებრაელები ასწევდნენ მარჯვენა ხელს და წყევლიდნენ მას. მე ვგრძნობდი, რომ მხარის ტკივილი ბლოკირებას უკეთებს სიმართლის შეგრძნებას და იმ ინფორმაციის საჭიროებას, რომელიც წამოიჭრა მეთორმეტე წიგნის დაწერის დროს. ვცდილობდი მელოცა, გადამელახა ჩემი სიმართლის შეგრძნება, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. მეჩვენებოდა, რომ ეს მართლა დაკავშირებული იყო წიგნთან, და, როდესაც დავამთავრებდი მასზე მუშაობას, ტკივილიც გამივლიდა.

ნახევარი წლის შემდეგ, ნახეს რა ჩემი სავალალო მდგომარეობა, ნათესავებმა მაიძულეს წავსულიყავი მიღებაზე სახელგანთქმულ სპეციალისტთან. ახალგაზრდა ენერგიულმა სპეციალისტმა გახედა ჩემს მხარს.

— გეთაყვა ასწიეთ ხელი ჯერ წინ, შემდეგ კი მარჯვნივ.

მე, როგორც შემეძლო ვცადე ამეწია.

— თქვენ ხელს კი არ წევთ, არამედ მხარს, — მზრუნველად მითხრა მან, — არ მინდა შეგაშინოთ, მაგრამ თუკი თქვენი ხელი პრაქტიკულად ნახევარი წელიწადი არ მოძრაობს, ეს ნიშნავს კუნთების შეზრდას. საჭიროა შეიქმნას ახალი სახსარი, მაგრამ ჩვენთან ასეთ ოპერაციას არ აკეთებენ. საზღვარგარეთ კი ასეთი ოპერაციები ძალიან ძვირი ღირს.

— რა ვქნა მე?

მან მხრები აიჩეჩა.

— ეცადეთ ხელი აამოძრაოთ. და კიდევ, გაიკეთეთ ტომოგრაფია, მე უნდა გავარკვიო, რამდენად შორს არის ყველაფერი წასული.

ხელის მოძრაობა მე არ შემეძლო, იმიტომ, რომ ყოველგვარი მოძრაობა ტკივილებს მანიჭებდა. ტომოგრაფიის შედეგები მიუტანე სპეციალისტს. ექიმმა გახედა მას და დაიწყო წუწუნი:

— აქ წერია, რომ თქვენ გაქვთ მხრის სახსრის იოგის გაწყვეტა, ხოლო დანარჩენი ყველაფერი ნორმალურადაა. მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს არასწორია.

— და რა გავაკეთო? — ვიკითხე.

— ეცადეთ გაახუროთ, გაიკეთეთ მასაჟი და მსგავსი პროცედურები, — მითხრა მეცნიერებათა დოქტორმა, შემდეგ კი შევხვდებით და დავილაპარაკებთ.

მივხვდი რომ ტყუილად მაგზავნიდნენ აქეთ-იქით. ცოტათი დამენანა უკეთესად მოპყრობის მოლოდინში ნაჩუქარი კონიაკი. ფასიანი კონსულტაცია, რომელიც მე მივიღე ამ ინსტიტუტში, არაფრით განსხვავდებოდა უფასო კონსულტაციებისგან. აღმოჩნდა, რომ მიღებაზე გადახდილი რამდენიმე ათასი მანეთი, არ გადააქცევს ადამიანს უფრო ყურადღებიანად და თავაზიანად. სულში იზრდებოდა უკმაყოფილება იმ თავის თავში დარწმუნებული ახალგაზრდა კაცის მიმართ. ის ძირითადად ღებულობდა სახელგანთქმულ სპორტსმენებს და დიდი სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. მე მისთვის, ალბათ არავითარ ინტერესს არ წარმოვადგენდი.

„მშვენიერი შესაძლებლობაა მივიღო სიკეთისა და სამართლიანობის დამცირება“, — გავიფიქრე მე და შევეცადე მშვიდად და გულთბილად მოვეპყრობოდი ამ სიტუაციას. თხუთმეტ დღეში მე მოვრჩი წიგნის წერას. სხვათა შორის, სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ მე რატომღაც გამახსენდა ერთი ინდოელის ისტორია, რომელმაც აღთქმა დადო ათი წელი დაიჭერდა ხელს მაღლა აწეულად. სამ თვეში მას მხრის სახსარი შეეზარდა და გაქრა, ასე რომ მას მოუწია მთელი დარჩენილი სიცოცხლე აწეული ხელით ეცხოვრა.

თხუთმეტი დღის შემდეგ მე დავამთავრე წიგნი. ოც დღეში კი გამიარა მხარში ტკივილმა, ხოლო ერთ თვეში შემეძლო ამეწია ხელი ყველა მიმართულებით და ვისწავლე ადამიანებისთვის მეპატიებინა მათი უსამართლო საქციელი. მხოლოდ ამის შემდეგ გამახსენდა ჩემი სიყმაწვილის ეპიზოდები. მქონდა სიტუაციები, როდესაც ჩემთვის უფრო ადვილი იყო მოვმკვდარიყავი, ვინემ მეპატიებინა ვინმესთვის ღალატი, ან არ გამეკიცხა უზნეო და არასწორი ადამიანი. თურმე, ასეთი მიდრეკილება ჩემში არსებობდა ქვეცნობიერად, და ამ ჭუჭყმა იწყო გამოსვლა, როდესაც მე შევეცადე შევხებოდი ღვთაებრივს.

„საინტერესოდ გამოდის, — ვფიქრობ მე, — რაღაც სიღრმისეულ დონეზე ეჭვიანობა და სიამაყე ერთიანდებიან ადამიანური სიყვარულის ცნებაში, მაგრამ შემდეგ ჩაღრმავებისას ორი ურთიერთსაპირისპირო, რომლებიც არსებობდა როგორც ერთი მთლიანი, ნახულობენ ახალ წინააღმდეგობას. ახალი წინააღმდეგობა — ეს არის ადამიანი, როგორც სულიერი არსება. და ისევ ჩნდება ორი ურთიერთ კონკურენტი საწყისი, სხეული და სული. ვღებულობთ, რომ ინსტინქტების თაყვანისცემა ახლოს არის ეჭვიანობის თემასთან, ხოლო სულის და უმაღლესი ცნობიერების თაყვანისცემა, ახლოსაა სიამაყის თემასთან. მე მივხვდი, თუ რატომ დაიბადა ინდოეთში გამოთქმა: ადამიანის მთავრი მტერი — ეს არის აზრები. თავის სულიერებაზე, სამართლიანობისა და სიმართლის გრძნობაზე უარის თქმის არცოდნას, მივყავართ ჯერ ადამიანის სულიერი ასპექტის, შემდეგ კი ფიზიკურის თაყ-

ვანისცემამდე. ესე იგი სრული სიმართლის და ჭეშმარიტების შეგრძნება — ეს უკვე მომავალი ავადმყოფობაა".

მართალს ყოველთვის ეყოლება მტყუანი. შენი სრული სიმართლის შეგრძნება ქვეცნობიერებაში ტრანსფორმირდება, როგორც სხვისი აბსოლუტური ბრალეულობის შეგრძნება, და ჩაირთვება ბრალეულის განადგურების პროგრამა. როგორც კი ჩვენ დავივიწყებთ, რომ ყველა ადამიანს მართავს ღმერთი, ვინც გარედან ყველაზე მეტი დამნაშავეა, იმის განადგურების პროგრამას უკვე ვერ გააჩერებ. მაშ ასე, ადამიანი თავიდან გაჩნდა, როგორც სულიერი არსება, ესე იგი ველის დონეზე, და მხოლოდ შემდეგ, როგორც ფიზიკური არსება. ისევე, როგორც ყველა ის, რასაც ჩვენ ვეძახით მატერიას, გაჩნდა ვაკუმიდან, ესე იგი სივრცობრივ-ველური სტრუქტურებიდან.

მაგრამ სისრულის შეგრძნება არ გამჩენია. ისევ და ისევ ვუბრუნდები იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც ვწერდი მეთორმეტე წიგნს. იმედი მქონდა, რომ ვიჯდებოდი ბედაურზე — ბოლოს და ბოლოს ჩემი ნატვრა სრულდებოდა, — და იმედი მქონდა რეალურად დავეხმარებოდი ადამიანებს. ხოლო სინამდვილეში ვიმყოფებოდი სრულიად დამცირებულ, დაუცველ და გაურკვეველ მდგომარეობაში. აი ამ სრული უძლურების შეგრძნებამ, რატომღაც მისცა ჩემს სულს სითბო. მე ვაგრძელებ ბევრი სიტუაციის მოგონებას და ვცდილობ დავინახო, თუ როგორ გამოიყურება აგრესიული ქცევა, როდესაც ის დამოკიდებულია სხეულსა და სულზე. ბოლოს და ბოლოს გავედი ცნებაზე „სული". ეს იყო კიდევ უფრო ღრმა და მაშტაბური დონე. მაშინ მე გავიგე, რომ სული გაჩნდა სამშვინველზე უფრო ადრე. ესე იგი სული აერთიანებს სხეულსა და სამშვინველს ერთ მთლიანობაში. როგორც ჩანს, სიცოცხლე გაჩნდა მთელ სამყაროსთან ერთად, როგორც სულის ფორმა. შემდეგ გაჩნდა სამშვინველი, ესე იგი სიცოცხლე, როგორც ცნობიერების ფორმა, ხოლო შემდეგ კი გაჩნდა სიცოცხლის ფიზიკური ასპექტი.

რამდენადაც სამყარო ჰოლოგრაფიულია არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც, ყოველგვარი სიტუაცია ახდენს სამყა-

როს მოდელირებას. მე დიდი ხანია შევნიშნე, რომ ადამიანი აზროვნებს გრძნობებით. მაშ ასე, ჯერ იბადება გრძნობა, შემდეგ ის გადაიქცევა აზრად, უფრო სწორად ჩაისმევა აზრის ჩარჩოში, ხოლო შემდეგ ამას მოსდევს მოქმედება. ესე იგი სამყაროში განვითარების მთელი პროცესი მეორდება ყოველგვარ სიტუაციაში.

ისევ გამახსენდა სრული დაუცველობის შეგრძნება და მივხვდი, რომ სულისათვის ყველაზე საშიში — ეს არის შინაგანი დაცულობა და უპირატესობა. იმიტომ რომ დაცულობა — ეს არის სტაბილურობა, ესე იგი ენერგიის გაჩერება, და მაშასადამე, სიყვარულისა და ღმერთთან ერთობის დაკარგვა. რატომღაც გამახსენდა ლერმონტოვის სიტყვები: „და ის ამბოხებული ითხოვს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე". საბოლოოდ შინაგანი დაცულობა ჩვენ ღმერთისგან გვფარავს, გვაშორებს. ყოველგვარი ცვლილება და დანგრევა ხომ ღმერთისგან მოდის, და შემოქმედებაც შეუძლებელია დანგრევისა და ცვლილებების გარეშე.

მე ვფიქრობ, რომ ჩვიდმეტი წელი განუწყვეტლივ ვმუშაობდი, ვცდილობდი გამეგო ავადმყოფობების მიზეზი, დამეკავშირებინა ყველა ადამიანური ღირებულებები ერთ კვანძად, ხოლო მივედი იქამდე რაც ძველთაგანვე ცნობილია: <u>ადამინური ბედნიერების ყველა ასპექტი საბოლოოდ დადის თვითონ ადამიანამდე, ხოლო ადამიანი — ეს არის სხეული, სული და სამშვინველი. სხეული დაკავშირებულია მატერიასთან, სამშვინველი სივრცესთან, ხოლო სული დროსთან. დრო ქმნის სივრცესა და მატერიას. სული ქმნის და ასაზრდოებს სამშვინველსა და სხეულს. თუკი ჩვენ სხეულის განადგურების დროს შევინარჩუნებთ ღმერთის სიყვარულს, სხეული გამოჯანმრთელდება. თუკი ჩვენ სამშვინველის განადგურებისას შევინარჩუნებთ ღმერთის სიყვარულს, სამშვინველი იწმინდება და სხეული გამოკეთდება. თუკი ჩვენ სულის დამცირებისა და განადგურების დროს შევინარჩუნებთ ღმერთის სიყვარულს და მასთან ერთობას, მაშინ ჩვენ ადვილად გადავიტანთ სამშვინველისა და სხეულის განად-</u>

გურებას და შემდგომი მათ აღდგენას სიყვარულის მეშვეობით. თავის მთავარ ასპექტში სული უკდავია, ხოლო მისი ზედაპირული ასპექტები პერიოდულად ინგრევა. ამიტომაც ღმერთთან ურთიერთობა ხდება მხოლოდ სულის დონეზე, და ისიც სუფთა სულის. სამშვინველითა და ცნობიერებით, რომლებიც დაკავშირებულია სხეულთან, ღმერთის შეცნობა შეუძლებელია. სანამ ჩვენთვის იარსებებს თუნდაც ერთი დამნაშავე მაინც მთელ დედამიწაზე, სანამ არის ცოტა მაინც შინაგანი დაცულობისა და უპირატესობის გრძნობა, შეუძლებელია შეიგრძნო ღმერთის მიმართ ღრმა და მაშტაბური სიყვარული.

იესო ქრისტე თავის თავს აიგივებდა სიყვარულთან. თავის თავს ძე შეუძლია უწოდოს იმან, ვინც განუწყვეტელ ერთობას ინარჩუნებს მამასთან. ჩვეულებრივ მდგომარეობაში ეს გენეტიკური, ემოციონალური ერთობაა. ქრისტემ თავის თავს უწოდა ძე ღმერთისა იმიტომ, რომ მის სულში იყო სიყვარულის განუწყვეტელი გრძნობა, რომელიც არაფერზე არ იყო დამოკიდებული, ამიტომაც ეძახდა ის თავის თავს ღმერთის ძეს და აიგივებდა საკუთარ თავს სიყვარულთან, რადგან ღმერთი არის სიყვარული, ამიტომაც ამბობდა, რომ ღმერთის სასუფეველში შევა მხოლოდ ის, ვინც მზად არის დაკარგოს სული მისი გულისთვის, ესე იგი სიყვარულისთვის.

მე ისევ ვიხსენებ ბოლო წლების მოვლენებს. ჯერ ხედავ მთის მწვერვალს, შემდეგ კი მოგინდება იქ ასვლა, შემდეგ დაადგები ასასვლელ გზას და იწყება სიძნელეები და განსაცდელები. ახლახან მე ვნახე მთის მწვერვალი, ახლა კი ვუყურებ გზას და მზად ვარ წავიდე ამ გზით. ალბათ, საჭიროა მოვემზადო ახალი განსაცდელებისათვის.

# იუდას ტრაგედია

მუდმივი კითხვა, რაც კაცობრიობას აწუხებს: თუკი ღმერთი ხელმძღვანელობს ჩვენს ქმედებებს, მაშინ რატომ მაშინვე არ გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ცოდვა და დაედგეთ უცოდველობის გზაზე? რატომ არ შეგვიძლია შევიცნოთ ჭეშმარიტება? რატომ უნდა ვცდებოდეთ, ჩაედიოდეთ დანაშაულებს, ვწვალობდეთ და ვკვდებოდეთ?

ამ კითხვებზე პასუხი მე უცბად ვერ მივიღე. ვაკვირდებოდი, თუ როგორ ცდილობდნენ ადამიანები გაეგოთ რას ქადაგებდა ქრისტე და გაკვირვებული ვხედავდი სხვადასხვა ადამიანი თუ როგორ სხვადასხვანაირად გებულობდა მის სიტყვებს. ზოგნი სიტყვა-სიტყვით და ზედაპირულად ცდილობდნენ შეესრულებინათ სახარებაში ნათქვამი, შემდეგ იმედგაცრუებულნი ხვდებოდნენ, რომ ეს შეუსრულებადია. სხვები კიდევ ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ მის აზრს სიღრმისეულად, მაგრამ აწყდებოდნენ აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. მესამენი კი საერთოდ ვერაფერს იგებდნენ და იცავდნენ თავიანთ აზრებს.

შეიძლება მთელი ცხოვრება იცხოვრო ჭეშმარიტების გვერდით და ვერ ჩასწვდე მას. შეიძლება იგი დაინახო, მაგრამ ვერ გაიგო. შეიძლება შეეხო ჭეშმარიტებას, მაგრამ დაამახინჯო. ბოლოს და ბოლოს მე გავიგე თუ რატომ არსებობს ახალი აღთქმის მრავალგვარი აღქმა. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის სულიერ ენერგიაზე, ანუ მის უნარზე, თუ როგორ შეუძლია მას სიყვარული. ჩვენს გარშემო არსებული პანორამა განისაზღვრება იმ დონით, რა დონეზეც ჩვენ შეგვიძლია ავიღეთ. მე ბევრს ვფიქრობდი ამაზე და შემდეგ მივედი უცნაურ დასკვნამდე. <u>ყოველგვარი ჭეშმარიტება მახინჯდება ჩვენი არასრულყოფილებით, ჩვენი სულის სიმდაბლით</u>. ჭეშმარიტი გაგება უსიყვარულოდ და ენერგიის გარეშე შეუძლებელია. და გაგება, ჭეშმარიტებისა, რომელიც შესაძლებელია იმ ადამიანისათვის, რომელიც დგას განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, შეესაბამება მის ენერგიასა და სიყვარულს, შესაძლებელია გახდეს

უაზრო და გაუგებარი იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ სუსტია.

შიში, განკითხვა და სიძულვილი, როგორც დამცავი რეაქცია, მაშინ წარმოიშობა როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ იგი იცავს და გადაარჩენს ჭეშმარიტებას, სინამდვილეში კი იცავს საკუთარ თავს, იმიტომ, რომ არ არის მზად მიიღოს უფრო მაღალი ხარისხის ჭეშმარიტება. უფრო მეტიც, ქვეცნობიერდ იგი გრძნობს, რომ ამ ჭეშმარიტების შემეცნება მისთვის სასიკვდილოდ საშიშია. ამ დროს ჩაირთვება დამცავი მექანიზმი, რომელიც გამომუშავებულია ევოლუციის მიერ მილიონობით წლის განმავლობაში, — სხვების მიმართ აგრესიული ქმედებები, რაც წარმოადგენს თავდაცვის პრიმიტიულ ფორმას, და მაშინ ჭეშმარიტებას კლავენ მის მატარებელთან ერთად. ამიტომაც უძველეს დროში ადამიანები ხოცავდნენ წინასწარმეტყველებს და ამით დევნიდნენ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ მიეცემოდათ, როგორც მომავალი გადარჩენა, არ ღებულობდნენ რა ჭეშმარიტებას, გადაშენდნენ მთელი ხალხები და ცივილიზაციები. თუკი ჩვენ მზად ვართ მოვკლათ ადამიანი, რომელიც ცდილობს გვაზიაროს ჭეშმარიტებას, მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენს მსჯელობას ჭეშმარიტების შემეცნებაზე.

ყოველგვარი ჭეშმარიტება დაკავშირებულია ჩვენს ფიზიოლოგიასთან, ჩვენს ენერგეტიკასთან. ყოველგვარი შემეცნება — ეს არის საკუთარი თავის დაძლევა და მტკივნეული გარდაქმნა. ის დაკავშირებულია სასიკვდილო რისკთან. ახალი ინფორმაციის მიღება ხშირად გამოიყურება როგორც სიკდილის საუფლოსკენ ნაბიჯის გადადგმა. და მას, ვინც სიცოცხლის ძლიერ მოსიყვარულეა და მიჩვეულია თავდაცვას, არ შეუძლია შეეხოს ახალ მცნებებს და არა აქვს მომავალი. ის, ვინც ადამიანურ ბედნიერებას ეთაყვანება, განსაკუთრებით სულიერს, ვერასდროს შესძლებს მიიღოს მისი განადგურება, იმიტომ, რომ ყოველი ახალი ჭეშმარიტება ანადგურებს ძველი ჭეშმარიტებების ჩვეულებრივ კავშირებს.

ადამიანის სულიერება დაკავშირებულია მის შესაძლებლობასთან თუ რამდენად შეუძლია მას მომავლის მოდელირება. ის,

ვინც ეთაყვანება სულიერებას, ეთაყვანება თავის მომავალს. ის ხდება მკვეთრი და ულმობელი ყოველგვარი განსხვავებული აზრისადმი. იგი თავს მიიჩნევს აბსოლუტურად სწორად და თავის მოქმედებებს სამართლიანად. ყოველთვის არის ორი უკიდურესობა. ინფორმაციისგან სრული დაცვა — მომავალში დაღუპვა. მისგან სრული გახსნილობა და თავის არ შენარჩუნება — ეს კი დაღუპვაა აწმყოში. ახალი უნდა მოვიდეს და გარდაგქმნას შენ, მაგრამ არ უნდა გაგანადგუროს. ძირითადად ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად: ისინი, ვინც ვერ იტანენ ახალს და ეშინიათ მისი, და ისინი, ვინც იტაცებენ მას და ყოველივეს ანადგურებენ გარშემო. მხოლოდ სიყვარულს და მაღალ ენერგიას შეუძლია შეაერთოს ეს წინააღმდეგობრიობა და დაეხმაროს ადამიანს გადარჩენაში.

ხშირად ადამიანები, მიმართავენ რა ღმერთს, მიდიან არა სიყვარულამდე, რომელშიც უმაღლესი ჭეშმარიტებაა, არამედ ფართხალებენ ენერგიის დაბალ დონეზე, და თავიანთ ლოცვებში შესთხოვენ ღმერთს მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას.

ახლახან თვალში მომხვდა მომდევნო ბესტსელერი სახელწოდებით „იუდას სახარება". გადავავლე თვალი წიგნს და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის იყო უხეშად გაყალბებული. შემდეგ გავიგე რაშიც იყო საქმე. პირველი სახარებები იწერებოდა ისეთი ადამიანების მიერ, რომლებიც ყოველთვის ვერ გებულობდნენ, თუ რაზე იყო ლაპარაკი, შეიძლება შინაგანად არც ეთანხმებოდნენ იმ ინფორმაციას რომელიც მათი მეშვეობით გადაიცემოდა, მაგრამ კეთილსინდისიერად იწერდნენ ქრისტეს პარადოქსულ ფრაზებს.

მეცნიერებმა ხელთნაწერი ცნეს როგორც დედანი, მაგრამ დაათარიღეს 280 წლით. ამდენად, ეს არ არის სახარება, არამედ არის ვიღაც ადამიანის მცდელობა გაერკვეია თუ რატომ გასცა იუდამ ქრისტე. გამცემლობის სცენა, რომელიც აღწერილია ადრინდელ სახარებებში, გამოიყურება იმდენად არაბუნებრივად და გულუბრყვილოდ, რომ ძნელად დაიჯერებ იუდას გამყიდველობას. და მართლაც, რად უნდოდა მას წასულიყო და ეთხოვა ოცდაათი ვერცხლი, მაშინ როდესაც თვითონ განაგებდა სალაროს, სადაც ინა-

ხაუდა ქრისტეს მიმდევრებისათვის გაღებულ შემოწირულობებს. უბრალოდ, იგი რომ ყოფილიყო ხარბი ადამიანი, გაიტაცებდა ამ თანხებს და მიიმალებოდა. გავიხსენოთ ის ამბავიც, რომ ქრისტე კურნავდა მრავალ ადამიანს და სალაროში თანხაც იქნებოდა იმაზე ბევრჯერ მეტი, ვიდრე ოცდაათი ვერცხლია.

თუკი იესომ და იუდამ გაითამაშეს სპექტაკლი, რომელიც საჭირო იყო ქრისტეს სადიდებლად, მაშინაც არ იყო საჭირო წასულიყო და ეთხოვა ოცდაათი ვერცხლი, საკმარისი იყო მისულიყო, ეთქვა მათთვის თუ სად იმყოფებოდა ქრისტე და გაქცეულიყო. თვითმკვლელობას კი ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, — არ ჩაიდენდა. თუკი იუდას უყვარდა ქრისტე, ის უბრალოდ უარს იტყოდა გამცემის მისიაზე.

ადამიანის ფსიქიკა, ისევე როგორც სხეული, ცოცხლობს გარკვეული კანონებით. არცერთი მძარცველი რომელიც გაძარცვავს თავის მსხვერპლს, ამის შემდეგ თავს არ ჩამოირჩრჩობს. მოდით გავუმხილოთ ჩვენს თავს: იუდას ანგარება და სიხარბე დაუჯერებელია. ყოველივე ამის უკან იმალება რაღაც სხვა მექანიზმი. ბევრნი, ღებულობდნენ რა იუდას სიხარბის ჰიპოთეზას უაზრობად, მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს იყო მოგონილი, მაგრამ ვერ გებულობდნენ იმას, რომ სპექტაკლის ვერსიაც და შეთქმულების ვერსიაც შეუძლებელი იყო.

რად უნდოდა ქრისტეს ეთქვა: „ერთი თქვენგანი გამცემს მე“? აქ ხომ გამცემლობა ემიჯნება მკვლელობას. ეს ნიშნავდა მხოლოდ ერთს: ქრისტესთან გატარებული სამი წლის განმავლობაში, მოწაფეებმა ვერ გაიგეს რაღაც მთავარი, რადგან შესაძლებელი გახდა გამცემლობა. მოციქულებმა გაიგეს რაღაც მეორეხარისხოვანი, ვერ გაიგეს მთავარი. მათ, ვინც იცავენ გამცემლობის ვერსიას, ავიწყდებათ, რომ იყო კიდევ ერთი გამცემი, რომელიც შემდგომში გახდა პეტრე მოციქული. და მან გასცა ერთხელ კი არა, სამჯერ. რა, მანაც მოილაპარაკა ეთამაშა სპექტაკლი?

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ქრისტე გასცეს საუკეთესო მოწაფეებმა. პეტრე მოციქული იყო ერთადერთი რომელმაც

ქრისტეში შეიცნო უფალი. ეს ნიშნავს, რომ იგი იყო ყველაზე გამორჩეული მოწაფე. ხოლო იუდა იყო ქრისტეს მიმდევრების ადმინისტრატორი, ე.ი. იყო ყველაზე ჭკვიანი, ნებისყოფიანი და სანდო ადამიანი. იმის დაჯერება, რომ ქრისტე მიანდობდა ხარბ და ანგარებიან კაცს ფულთან დაკავშირებულ საქმეებს, დაუჯერებელია. თუკი იგი გასცეს საუკეთესო მოწაფეებმა ეს ნიშნავს იმას, რომ გამცემლობა იყო მასიური.

რა არ ყოფნიდათ ქრისტეს მოწაფეებს? ვეცადოთ გავიხსენოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პეტრე მოციქულის გამცემლობასთან. პეტრე იყო ის, ვინც ყური მოაჭრა ერთ-ერთ ქრისტეს წასაყვანად მოსულთაგანს, ესე იგი, იგი მზად იყო დაეცვა მოძღვარი და მომკვდარიყო მასთან ერთად. მაშინ, რამოდენიმე ხნის შემდეგ მშიშარასავით რატომ უღალატა და უარჰყო იგი? გამოდის, რომ, რამდენიმე საათში პეტრეს შეეცვალა ხასიათი, რაც შეუძლებელია.

ავიღოთ იუდა — უმრავლესობის ერთსულოვანი აზრით სულმდაბალი, დაცემული და ხარბი ადამიანი. თუკი ყურადღებით წავიკითხავთ სახარებას, შეიძლება დავინახოთ სრულიად საწინააღმდეგო სურათი. სინამდვილეში იუდა აღმოჩნდება მოწაფეებს შორის ყველაზე სულიერი და პრინციპული მოწაფე. იგი აღშფოთდა ყველაზე უფრო, როცა დაინახა თუ როგორ მისცა იესომ ნება ქალს ეცხო მისთვის ტანზე ნარდის ნელსაცხებელი. იუდა იყო რომ თქვა, ნარდი შეიძლებოდა გაგვეყიდა და ფული მათხოვრებისთვის დაგვერიგებინაო. ამრიგად, იუდას ხასიათში იყო უფრო მეტი სურვილი ეზრუნა ხალხზე, ვინემ სხვებში. ხასიათი კი ისეთი რამეა, რის შეცვლაც ძალიან ძნელია, პრაქტიკულად შეუძლებელი.

არის კიდევ ერთი ფენომენი, რომელზეც პრაქტიკულად არასდროს ყურადღება არავის არ მიუქცევია. ყველა უზენაეს ჭეშმარიტებებს ეცნობოდნენ ადამიანები, ან ხელდასხმული განდეგილების ან მთავრებისა და მეფეების მეშვეობით, ესე იგი იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკავათ მაღალი მდგომარეობა. მათი მომეტებული შესაძლებლო-

ბები, ნებისყოფა, ამაღლებული სულიერება, შესაძლებლობას აძლევდა მათ, გაეგოთ და შეენარჩუნებინათ კაცობრიობის გადამრჩენი ჭეშმარიტებები. ქრისტეს მოწაფეები იყვნენ უმდაბლესი წოდების ადამიანები, უბრალო მეთევზეები და ხელოსნები. ნუთუ შეეძლოთ მათ ჩასწვდომოდნენ იმ სიღიადეს, რაზეც ლაპარაკობდა ქრისტე? ელემანტარული ლოგიკა მიუთითებს იმაზე, რომ არ შეეძლოთ. შემდგომმა გამცემლობამ ეს დაადასტურა. მაშინ, რატომ შემოიკრიბა ქრისტემ თავის გარშემო ასეთი აბსოლუტურად მოუმზადებელი და სულიერად უმწიფარი მოწაფეები? ამის უკან იმალება რაღაც ღრმა აზრი. რატომ მისმა ყველაზე უკეთესმა მოწაფეებმა პირველებმა გასცეს იგი? და რატომ ყველაზე უფრო პრინციპულმა და საიმედომ, იუდამ, გასცა პირველმა?

აუხსნელი კოლიზიაა: იუდამ მოინანია მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს. მაგრამ იუდამ ხომ იცოდა, სანამდე მიიყვანდა მისი გამცემლობა. უფრო მეტიც, თუ ჩავუფიქრდებით სახარებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ იუდას უნდოდა იესო ქრისტეს სიკვდილი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, თუკი მისი სურვილი ახდა, მაშინ რატომ ჩამოიხრჩო თავი. რაც უფრო ღრმად ვაანალიზებთ სახარების ტექსტს, მით უფრო მეტ შეუსაბამობებს აღმოვაჩენთ. ისეთი წარმოდგენა გვრჩება, თითქოს სინამდვილე მთლიანად დამახინჯებულია. როდესაც ჩვენ ვცდილობთ ზედაპირულად გავიგოთ სახარება, სრული აბსურდის წარმოდგენა გვრჩება. როდესაც ვცდილობთ გავიგოთ სიღრმისეულად და სერიოზულად, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

სახარების კითხვის დროს, მე მუდამ მაკვირვებდა, თუ რატომ არ იყო მასში ინფორმაცია გასაგები, რატომ არ იყო დაწყობილი მკაფიო სურათებად. შემდეგში თანდათანობით მე მივხვდი, რომ ამ ალოგიკურობასა და პარადოქსულობაში იყო ჩამალული დიადი აზრი. სრულიად უაზრო და ერთმანეთთან კავშირის არ მქონე მოვლენები, უცბად ადვილად მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და ქმნიდნენ მომხდარის ნათელ სურათს. უნდა ყოფილიყო რაღაც გასაღები, რომელიც გააერთიანებდა ამ მოვლენებს.

რამდენიმე ათწლეული მე თავს ვიმტვრევდი ამ გამოცანის ამოხსნაზე და ბოლოს და ბოლოს ეს გასაღები ვიპოვნე. ის აღმოჩნდა მომავალი.

მაშინ მე გავიგე თუ რატომ ამბობდა ქრისტე: „არ იფიქროთ ხვალინდელ დღეზე". ეს ნიშნავდა: არ ეთაყვანოთ მომავალს, არის უფრო მაღალი ღირებულებები. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ გახდა შესაძლებელი მოწაფეების გამცემლობა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, უყვარდათ ქრისტე და ეთაყვანებოდნენ მას, უნდა მივმართოთ იუდაიზმის ისტორიას.

თუკი ცოცხალი უჯრედიდან გამოვაცალკევებთ ბირთვს, ის ვეღარ იცოცხლებს და მოკვდება. თუკი ვაშლიდან ამოვიღებთ თესლს, შემდეგ კი ჩავმარხავთ მას მიწაში, მისგან ვერასდროს ვერ მოვიღებთ ვერც ნერგს და ვერც ხეს. ყველა ერი ცხოვრობს და ვითარდება თავისი სულიერების ხარჯზე. თუკი იკარგება რელიგია, რომელსაც მიჰყავს ადამიანი სამყაროს კანონებამდე, საზოგადოება და ცივილიზაცია სასიკვდილოდ არიან განწირულნი. ათეული მილიონი წლების განმავლობაში ადამიანები ცხოვრობდნენ როგორც ცხოველები. სტრატეგიული და ტაქტიკური ადაპტაცია სამყაროსთან მათ ჰქონდათ ინსტიქტებში და გენებში. მოვლენილმა მსოფლიო რელიგიებმა ბიძგი მისცეს განვითარების დაჩქარებას, რადგან ძველებურად ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო.

ბაქტერიები ცოცხლობენ რამდენ ხანსაც უნდათ, ხოლო ადამიანის ორგანიზმი იბადება, ვითარდება და კვდება. რაც უფრო სრულყოფილია ორგანიზმი, მით უფრო მეტი საშიშროება ესაფრდება და უდიდესი ძალისხმევა სჭირდება თავის გადარჩენისა და განვითარებისათვის. ჩვეულებრივი ბაქტერია უკვდავია, იგი გაიყოფა უთვალავჯერ, ხოლო ორგანიზმი, რომელიც შედგება უჯრედებისგან, მოკვდავია. რატომ? იმიტომ რომ ბაქტერია ღიაა სამყაროს ენერგიისათვის, ხოლო ორგანიზმი არის ჩაკეტილი სისტემა საკმაოდ მკაცრი საიფორმაციო კავშირებით. ველის დონეზე ბაქტერია ერთიანი ორგანიზმია, ხოლო მაღალგანვითარებული არსებები ერთიანნი არიან ასევე ფიზიკურ დონეზეც.

ამ ფიზიკურ ერთობაში არის უდიდესი პლუსები და მინუსები. ერთმხრივ, ხდება მოვლენების დაჩქარება, აქ ორგანიზმის არსებობისთვის საჭიროა უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა, უფრო აქტიურად სამყაროს შემეცნება და მომავლის უფრო მაშტაბური ადაპტაცია, მეორეს მხრივ, ყოველთვის არსებობს საშიშროება ჩაიკეტო, დაიხშო შენს პრობლემებში. ასეთ შემთხვევაში შეინიშნება ორგანიზმის პოპულაციის ნელი გადაგვარება.

ასე რომ, ებრაელი ხალხი გაჩნდა როგორც ადამიანთა ერთობა, რომელიც აღიარებდა ერთღმერთიანობას, და გაერთიანებული იყო ექვსას ოცდაათი მცნებით, რომლებიც გამომდინარეობდნენ მოსეს მიერ მიცემული ათი მცნებიდან. ბევრი ხალხი გადაშენდა ბოლო ათასწლეულების განმავლობაში, ბევრმა ცივილიზაციებმა და ქვეყნებმა შეწყვიტეს არსებობა, ხოლო ებრაელი ერი გადარჩა. გადარჩა იმიტომ, რომ მისი სულიერების მდგომარეობა იყო ძლიერი. სახელმწიფოები, რომელთა დასაყრდენს წარმოადგენდნენ წარმართული რელიგიები, ერთი მეორის მიყოლებით განიცდიდნენ კრახს და ინთქმებოდნენ უსასრულობაში. განადგურებული სახელმწიფო ქრებოდა, ხდებოდა მასში მცხოვრები ხალხის ტრანსფორმაცია. ორგანიზმი იშლებოდა ცალკეულ უჯრედებად. ებრაელმა ხალხმა გადალახა უნიკალური სიტუაცია, როცა სახელმწიფო გაქრა, ხოლო ხალხი დარჩა. კალაპოტი გაქრა, ხოლო მდინარე დარჩა. და ამ ხალხმა შემდეგში შექმნა ახალი სახელმწიფო. ებრაელი ხალხის კოლოსალური სიცოცხლისუნარიანობა პირველ რიგში აიხსნება მისი რელიგიით. მცნებები, რომლებიც მიეცა მოსეს სინას მთაზე, იძლეოდა გადარჩენის უდიდეს პოტენციალს მომავალში. მცნებებისთვის მუდმივმა მიმართვამ და მათმა დაცვამ, შესაძლებელი გახადა გახსნილიყო მათთვის სამყაროს ინფორმაცია და მიეღოთ იქიდან ახალი ენერგია შემდგომი განვითარებისთვის.

ყველა დანარჩენი ხალხები იკეტებოდნენ თავიანთ მოთხოვნილებებში და ვერ ამჩნევდნენ, თანდათანობით თუ როგორ გარდაიქმნებოდა მომავლიდან მომდინარე ენერგია პატარა ღელედ, შემდეგ კი სულ პატარა წყლის ჭავლად. თუკი მომავალი არ

არის, თვითმკვლელობის მეთოდი, რომელსაც ირჩევს ცივილიზაცია, არც ისე მნიშვნელოვანია. ნელი ჩაქრობა ან ბუნებრივი კატაკლიზმი, თავის დამღუპველი ომით ან ახალი ეპიდემიით – ან კიდევ სხვა რამე, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდებოდა.

ებრაელმა ხალხმა მიიღო მომავლის დაკარგვის საწინააღმდეგო ვაქცინა და არა ერთი ათასწლეული ატარებდა მას თავის თავში. მუდმივად მიმართავდა რა მცნებებს ხალხი ხედავდა, რომ ამას მოჰქონდა წარმატება, გადარჩენა და ხსნა. ყველაზე ჭკვიანი ნებისყოფიანი და სულიერად ძლიერი იუდეველები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მცნებების მნიშვნელობას და მათი დაცვის აუცილებლობას. მაგრამ თანდათანობით ამ ხალხმა იწყო ცნებებისა და იმ ინფორმაციის თაყვანისცემა რომელსაც ღებულობდნენ. შეუმჩნევლად დარღვეულ იქნა მთავარი პირობა, რომლიდანაც გამომდინარეობენ მცნებები: ღმერთი ერთია. ვცემთ რა თაყვანს ნაწილს, ჩვენ ვკარგავთ ერთობას მთლიანთან. მცნებების თაყვანისცემა გადაიქცა ცნობიერების თაყვანისცემად, რის მეშვეობითაც ისინი შეიცნობიან. ცნობიერების თაყვანისცემა – ეს არის სულიერების თაყვანისცემა, მომავლის თაყვანისცემის ფორმა. ებრაელებმა თვითონ ვერ შენიშნეს ისე იწყეს ლოცვა და მცნებების დაცვა, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი მომავალი.

მაგრამ ღმერთის ცნობიერებით აღქმა შეუძლებელია. <u>ხსეული და სამშვინველი წარმოიქმნა უფრო გვიან ვინემ სული, და ისინი არიან მისი შემადგენელი ნაწილები. მატერია და სივრცე არიან დროის ნაწილები და გაჩნდნენ მის მერე.</u> სული გაჩნდა სამყაროსთან ერთად, და მხოლოდ მას აქვს განუწყვეტელი ერთიანობა ღმერთთან. ღმერთის შეცნობა კი შესაძლებელია მხოლოდ მისადმი განუწყვეტელი სიყვარულის მეშვეობით. და რაც უფრო ეთაყვანებოდნენ ადამიანები თავიანთ მომავალს, ე.ი. სულიერებას და ცნობიერებას, მით უფრო შეუწყნარებლად ექცეოდნენ ყოველივე ახალს, აგრესიულად ექცეოდნენ წინასწარმწტყველებს, რომელთა მეშვეობითაც გადმოიცემოდა ახალი ინფორმაცია, და სამართლიანობა და სიმართლე უკეტავდა მათ სიყვარულისკენ მიმავალ გზას.

ორი ათასი წლის წინ ისრაელის სახელმწიფო ჩაიკეტა რა თავის თავში, იწყო სამყაროსთან ერთიანობის რღვევა. იმ ორგანიზმისთვის, როგორსაც წარმოადგენდა ეს ადამიანთა საზოგადოება, მომავალმა იწყო გაქრობა. დამცირება, რომელიც მოდიოდა რომიდან, ისრაელის ოკუპაციის სახით, სინამდვილეში იყო მისი გადარჩენა. გარეგანი დამცირება ყოველთვის აიძულებდა ებრაელ ხალხს გაერთიანებულიყვნენ სულიერ, უზენაეს ასპექტში. მაგრამ შეუმჩნეველი ტრაგედია უკვე მოხდა: მომავალი ებრაელებისთვის გახდა ღმერთის სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანი. და იმ სიტუაციაში, როცა ადამიანის სულიერი და ფიზიკური ღირსებები დაცემული იყო, ებრაელებმა მიმართეს არა ღმერთს და სიყვარულს, არამედ სიძულვილსა და ომს. მან, ვინც ეთაყვანება მომავალს, უნდა დაკარგოს იგი. ისრაელი, როგორც სახელმწიფო უნდა დაღუპულიყო. იერუსალიმის ტაძარი ძირეულად უნდა დანგრეულიყო, იმიტომ, რომ იქ შეწყვიტეს ღმერთზე ლოცვა. ამის მაგიერად ეთაყვანებოდნენ მცნებებს და ცნობიერებას, რომელთა მეშვეობითაც ისინი მოვიდნენ.

ზემოდან ისრაელს მისცეს შანსი. ღმერთმა თავისი წარგზავნილის მეშვეობით გამოუცხადა ადამიანებს, რომ სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ სულიერება და სიმართლე, მაგრამ საზოგადოება უკვე შორს იყო წასული მომავლის თაყვანისცემაში და ამ პროცესმა მიიღო შეუქცევადობის ნიშნები. გამოვიდა, რომ ყველაზე სულიერი, ჭკვიანური და პატივსაცემი მცნებები დაშორდნენ მაცოცხლებელ ჭეშმარიტებას. ცნობიერებამ თავი ცნო უმთავრესად და იწყო სიყვარულისგან თავდაცვა. და ყველაზე სუსტები, მოუმზადებლები და სულიერად განუვითარებლები აღმოჩნნენ ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს, ვინემ ისინი, ვინც პირველ რიგებში იყვნენ. ქრისტემ დაინახა, რომ უკვე გვიან იყო. მან დაინახა, რომ ყველაზე ჭკვიანები და დაწინაურებულნი უკვე ჩაკეტილნი იყვნენ ახალი ინფორმაციის მისაღებად, გაიგო, რომ ისინი განწირულნი იყვნენ. და ამიტომაც მოსწავლეებად აიყვანა ისინი, ვისთვისაც სულიერება, ცოდნა და სამართლიანობა არ გამხდარა თვითმიზანი, იმიტომ,

რომ მათ არ ჰქონდათ განვითარებული ყველაზე საშიში მექანიზმი სიყვარულის მოსაკლავად — შემეცნება და სულიერება, ყველაზე სუსტი, დაუცველი, უბრალო ადამიანი, რომელიც იმყოფებოდა სოციალური მდგომარეობის დაბალ საფეხურზე, იყო სხვებზე უფრო ღია სიყვარულის მისაღებად, რის გარეშეც შეუძლებელი იყო ახალი ჭეშმარიტებების მიღება. სიყვარულისკენ ლტოლვაში ყველაზე ბოლონი ხდებოდნენ პირველნი.

ეხლა შეიძლება ავსხნათ, თუ რატომ გაყიდა სამჯერ პეტრემ ქრისტე. როდესაც ის იყო იესოს გვერდით, სიყვარული მისთვის იყო უპირველესი, ვინემ სულიერება, შემეცნება და სამართლიანობა, და მას არ ეშინოდა დაეკარგა თავისი მომავალი, როდესაც ხმლით ხელში იცავდა თავის მასწავლებელს. მაგრამ, როდესაც ქრისტე წაიყვანეს, მომავალმა ისევ გაიმარჯვა, დაისადგურა სიცოცხლის გამო შიშმა და სიყვარულმა დატოვა იგი, რის შემდეგაც მომავლის გამო შიშთან ერთად მოვიდა ღალატიც.

სამი წელიწადი იესო უმეორებდა თავის მოწაფეებს, რომ სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ მომავლი, და ხედავდა, რომ ისინი ვერ ძლევდნენ ამას, ვერ შეძლეს გარდაქმნა. ხედავდა რა თავისი მცდელობის უნაყოფობას, რატომ მიიწევდა წინ? იმიტომ რომ ის ისედებოდა ძალიან შორს. ის ხედავდა, რომ უმაღლესი ჭეშმარიტებების გაგება ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ დამახინჯებული და არასწორად გაგებული ეს ჭეშმარიტება, იცოცხლებს მისი მოსწავლეებისა და მიმდევრების მეცადინეობით. დიახ, ისრაელის სახელმწიფო მალე განადგურდება, მაგრამ ორი ათასი წლის შემდეგ, იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება მთელი კაცობრიობა. და შესაძლებელია, იმ დროისათვის ადამიანები ჩასწვდნენ ჭეშმარიტებას, გაიგონ იგი და, შესაძლებელია, გადარჩნენ.

იუდა ქრისტეს მოწაფეებს შორის იყო ყველაზე ჭკვიანი, სულიერად ამაღლებული და, შესაბამიასად, მომავლის დაკარგვის შემთხვევაში, განწირული იყო ყველაზე დიდი აგრესიისათვის. უსამართლობის მიღება და სიყვარულის შენარჩუნება, მაშინ როდესაც ისპობოდა მისი წარმოდგენა მომავალზე, იუდას არ შეეძლო, მასში მთელი სიმწვავით მოხდა ებრაელი ერის ტრაგედიის

მაქსიმალური რეალიზება. პეტრე მოციქულმა, დაკარგა რა სიყვარული, უნდოდა თავისი ფიზიკური სხეულის გადარჩენა. იუდას კი უნდოდა თავის პრინციპების და სულიერი სხეულის გადარჩენა და იყო ბევრად უფრო შეუწყნარებელი და აგრესიული.

იმ ადამიანს, რომელიც ეთაყვანება ფულს, აქვს მხოლოდ ორი გზა. ამაღლდეს ფულზე და არ იყოს დამოკიდებული მასზე – პირველი გზა, ყველაზე ძნელი. ეს შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის სიყვარულის მეშვეობით. მეორე გზაა – გახდეს მათხოვარი, უარი თქვას ფულზე.

ვინც ეთაყვანება სულიერებას, იმათაც ემართებათ იგივე, ან უნდა შეიგრძნონ, რომ სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ სულიერება, ან უარი უნდა თქვან სულიერზე და ეთაყვანონ მატერიალურს. მაშინ როდესაც, ქრისტემ ნება მისცა დაეზილათ იგი ძვირფასი ნარდის ნელსაცხებლით, რომელიც ღირდა ძალიან ძვირი, იუდას თვალში მოხდა ქრისტეს ნათქვამის – სიმდიდრე საშიშია, დისკრედიტაცია, რადგან ამით ქრისტემ მიბაძა ძალიან მდიდარ ადამიანებს. იუდასთვის ეს იყო იდეალურ მასწავლებელზე მისი შეხედულების სრული კრახი. „შენ მოგვატყუე ჩვენ, – ნაღვლიანად და სიძულვილით ფიქრობდა იუდა, – ჩვენ კი გვწამდა შენი. სინამდვილეში კი სხეული შენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ სულიერება და სამართლიანობა. კარგი, მე გაგყვები შენ ამაშიც, მაგრამ შენ ამას ინანებ. თუკი ფიზიკური და არა სულიერი უნდა გახდეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაშინ მას გავიხდი მთავარ პრინციპად, და მაშინ ჩემთვის ფული გადაიქცევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად, უფრო მნიშვნელოვნად, ვინემ შენი სიცოცხლეა. შენ უნდა დაიტანჯო იმისათვის, რომ გააქარწყლე ჩვენი რწმენა შენზე და გვიჩვენე მატერიალურის მნიშვნელობა“.

ყველაფერი, რასაც აკეთებს იუდა, – ეს არის დემონსტრაციული პროტესტი მომავლის კრახისადმი. ის არ იმალება, არ გარბის. ის მიდის მასწავლებელთან გადაეხვევა მას და ეამბორება: „შენ დაიწყე სხეულისადმი თაყვანისცემა, მე გამოგყევი შენ, მაშ მიიღე შენი საჩუქარი“.

თვალი აეხილა მოულოდნელად და უეცრად. და მაშინ იუდას მეორედ ჩამოექცა თავზე მომავალი. ეთაყვანებოდა რა სხეულს, ქრისტეს უნდა შეშინებოდა, უნდა დაეწყევლა მისი მდევრები და ნაწყენი უნდა ყოფილიყო მათზე. მას უნდა ესარგებლა თავისი ზემაღალი შესაძლებლობებით და თავი უნდა დაეღწია მდევნელებისათვის. მაგრამ იესომ იცოდა რაც მოელოდა, სრულიად მშვიდად წავიდა სიკვდილთან შესახვედრად. და უცბად შეძრწუნებული იუდა მიხვდა, რომ შეცდა. ქრისტე სრულებით არ იყო დამოკიდებული სხეულზე და მატერიალურ ბედნიერებაზე. ეს იყო იმდენად თვალსაჩინო, რეალური და აშკარა, რომ არ იყო საჭირო არაფრის ახსნა ან დამტკიცება. იუდას თვალში მთელი სამყარო მეორეჯერ ჩამოიქცა. თუკი პირველად მომავლის მიუღებლობის კრახი გამოვლინდა სხვის მიმართ აგრესიაში, მეორეჯერ სიძულვილი მიმართული იყო მისკენ.

იუდა წავიდა და სცადა დაებრუნებინა უკან ოცდაათი ვერცხლი. იგი მიხვდა, რომ ფულისა და მატერიალური სიკეთისადმი თაყვანისცემა იყო უაზრო და უნაყოფო. მის თვალწინ ჩამოიქცა როგორც მატერიალური, ასევე სულიერი სამყარო, და ამის მიღება მას აღარ შეეძლო. შეყვარება მან ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, და თავიდან როგორც განწირული იყო ღალატისთვის, გვიან განწირული გახდა თვითმკვლელობისთვის.

ქრისტე იმ დროს ოცდაცამეტი წლის იყო. ხოლო ოცდაცამეტი წლის შემდეგ, 66 წელს, დაიწყო იუდეური ომი. აჯანყება იყო უაზრო და დამარცხებისთვის განწირული. ამ შემთხვევამდე ასწლეულების წინ ებრაელი ხალხი იყო ბაბილონის ტყვეობაში. ებრაელებს არათუ კლავდნენ და მონებად აქცევდნენ — მათ უკრძალავდნენ ეღიარებინათ თავიანთი რელიგია. და რაც განსაცვიფრებელია, ებრაელები არ განიცდიდნენ სიძულვილს და არ კლავდნენ დამპყრობლებს. რაც უფრო მაგრად იყვნენ დამცირებულნი, მით უფრო კმაყოფილებით და მხურვალე ლოცვით მიმართავდნენ ღმერთს. და მათმა დამპყრობმა დიდმა მეფემ ნაბუქოდონოსორმა იწყო ჭკუიდან შეშლა, იგი დაემსაგვსა ნადირს, ხოლო მისი შვილი შემდეგში მოკლულ იქნა, სახელმწი-

ფო კი დაიშალა. ებრაელები გადარჩნენ, შეკავშირდნენ ერთად და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

რომაელები, რომლებმაც დაიპყრეს ისრაელი, იქცეოდნენ უფრო შემწყნარებლად. იუდაური რელიგია ნებადართული იყო, პოლიტიკური და ეკონიმიკური ინსტიტუტები უცვლელად დატოვეს, საჭირო იყო მხოლოდ ეცნოთ რომის ძალაუფლება და ეხადათ გადასახადები. მაგრამ ლოცვის მაგივრად რომის საწინააღმდეგო რეაქციად გადაიქცა სიძულვილი და შურისძიება. ისრაელის ხალხს მიეცა შანსი. მოვიდა ადამიანი, რომელმაც თქვა: ვინც ლოყაში გაგარტყას, მეორეც მიუშვირე; ვინც სამოსი წაგართვას, მოსასხამსაც ნუ დაუჭერ (ლუკა 6,29). ადამიანებს ეცნობათ უდიდესი ჭეშმარიტება. ყველაფერი ახალი და მხსნელი მოდის ტკივილითა და არსებულის დამცირებით. თუკი ამ ტკივილის დროს ჩვენ მივმართავთ ღმერთს, ვლოცულობთ და ვინარჩუნებთ სიყვარულს, ჩვენ ვღებულობთ ახალ მომავალს. მაგრამ, თუკი ჩვენ თავს ვიცავთ, გვძულს და ვეწინააღმდეგებით, მაშინ ვკარგავთ მომავალს იმ ახალ ჭეშმარიტებასთან ერთად.

ერთხელ მე მკითხეს: „მაშინ როგორ იყო დიდი სამამულო ომის დროს? რა მოხდებოდა საბჭოთა ხალხი, რომ არ დარაზმულიყო სამშობლოს დასაცავად? ყველასთვის გასაგებია, რომ ყველას ამოგვწყვეტდნენ“. მაგრამ ვერავინ ამჩნევს ამ ორ სიტუაციას შორის უდიდეს განსხვავებას. ებრაელი ხალხი ბაბილონის ტყვეობაში გარეგნულად თავს არ იცავდა, მთელი მისი ენერგია მიდიოდა ღმერთისადმი რწმენის განსამტკიცებლად, რაც წარმოადგენდა უმაღლეს თავდაცვას. ხოლო საბჭოთა ხალხი იყო ათეისტური და თავდაცვა შეეძლო მხოლოდ გარეგნულად, ამიტომაც განწირული იყო ომისათვის და შესაძლო დამარცხებისთვის.

ომის პირველ თვეებში საბჭოთა კავშირის მოჩვენებითი სიძლიერე გაქარწყლდა, იმავე დროს მოხდა სოციალიზმის და მისი იდეების კრახიც. მაშინ ხალხმა მიმართა ღმერთს და დაიწყო სასწაულები. ომი თითქმის წაგებული იყო, მაგრამ საბჭოთა ჯარისკაცების გმირობას, ამაგრებდა აუხსნელი ბედნიერი შემ-

იხვევები და დამთხვევები. ქვეყანამ, რომელმაც დაკარგა მომავალი, რომელზეც ის ლოცულობდა, განწირული იყო დამარცხების, დაქუცმაცებისა და განადგურებისთვის, სიყვარულის მეშვეობით შეიძინა ახალი მომავალი, და ომის მიმდინარეობა შეიცვალა. ამან განაპირობა ომისშემდგომ წლებში, დაეწყოთ ლაპარაკი პიროვნების კულტზე, კერძოდ, ეცნოთ, რომ სოციალიზმს აქვს სერიოზული პრობლემები როგორც წარსულში, ასევე აწმყოსა და მომავალში.

ომი – ეს არის მოვლენა, რომლის დროსაც ყველანი ემზადებიან, რომ შეურიგდნენ მომავლის დაკარგვას. იმისათვის რომ რუსეთს ეგრძნო, სიყვარული მთავარია ვინემ მომავალი, იგი უნდა მისულიყო კატასტროფის პირამდე, იგი ბოლომდე უნდა განადგურებულიყო. მხოლოდ მაშინ გაიგებდა და იგრძნობდა ყველა, რომ მათ მომავალი არა აქვთ და მასზე ლოცვა უნაყოფოა. მაშინ ადამიანები ეცადნენ მიემართათ ღმერთისა და სიყვარულისათვის და ეს იყო გადარჩენა. სიყვარულის ინტენსიური განცდა წარმოიშობა უკიდურესი საშიშროების მომენტში, მაგრამ, როდესაც უბედურება გადაივლის, ადამიანები მშვიდდებიან და ისევ იწყებენ მატერიალურისა და სულიერის თაყვანისცემას.

ახლახან მე ვიყავი ოდესაში და იქ მომიყვნენ მეზღვაურების შესახებ საინტერესო ეპიზოდს. საშუალოდ გემზე 30 პროცენტი მორწმუნეა, 20 პროცენტი ათეისტი, დანარჩენი კი წარმართები არიან. მაგრამ აი დაიწყება შტორმი და ყველა 100 პროცენტი ეცემიან მუხლებზე და მიმართავენ ღმერთს: „ღმერთო შეგვინდე ცოდვილებს, ღმერთო გადაგვარჩინე!" ხოლო, როდესაც დადგება მოწმენდილი და წყნარი დღე, გემზე ისევ 30 პროცენტი მორწმუნეა, 20 ათეისტი და ა. შ. ყველა უბრუნდება ენერგიის და სიყვარულის იმ დონეს, რაც მათ გააჩნიათ.

იუდეური აჯანყება დამთავრდა კატასტროფით. რომის ლეგიონებმა დაწვეს იერუსალიმი და ამოწყვიტეს მისი მცხოვრებნი, სოლომონის ტაძარი აღიგავა პირისაგან მიწისა. მისგან დარჩა მხოლოდ ერთი კედელი, რომელსაც ეხლა „გოდების კედელი" ჰქვია. ისრაელმა, როგორც სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა.

ალბათ, ეს იყო ებრაელი ერის გადარჩენის პირობა. დაკარგა რა აწმყო და მომავალი, ხალხმა ისევ დაიბრუნა ღმერთისადმი სიყვარული, და ეს გახდა მისი გადარჩენის საწინდარი.

ხოლო რამოდენიმე ათეული წლის წინ იუდამ ვერ შეძლო მიეღო მომავლის მარცხი, ვერ შეძლო შეეგრძნო, თუ რამდენად აღმატებულია სიყვარული ყველაფერ დანარჩენზე, ასევე ვერ შეძლეს ეს ისრაელში მცხოვრებმა დანარჩენმა იუდეველებმა. ბიბლიაში შემთხვევით არაფერი წერია, ყველაზე სულიერ და ჭკვიან მოციქულს რომ იუდა ჰქვია, არც ეს არის შემთხვევითი. იუდას ტრაგედია იყო მთელი ებრაელი ხალხის ტრაგედია რაც შემდგომმა მოვლენებმა დაამტკიცა.

რუსეთმაც გაიარა მსგავსი კატასტროფა. სოციალიზმის იდეები ჩვენთვის იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სიყვარული და სხვა ადამიანების სიცოცხლე, რაც მოგვიბრუნდა მილიონობით ადამიანის სიკვდილით. ახლადმოვლენილი იუდები, ბრმად მისდევდნენ რა სოციალიზმის იდეებს, კლავდნენ თავიანთ მშობლებს, ძმებს, დებსა და შვილებს.

ყოველ ჩვენთაგანში ზის იუდა, რომელიც აქეთ-იქით ასკდება და ცდილობს გაერკვეს თუ ვის ეთაყვანოს: სულიერს თუ მატერიალურს, თან ამასთან ერთად ნელ-ნელა კარგავს სიყვარულს. ამ დროს კი კაცობრიობა სწრაფად კარგავს თავის მომავალს. ამ დანაკარგის ნიშნები უკვე შეიმჩნევა შეუიარაღებელი თვალითაც. იუდას ტრაგედია ყოველდღიურად შეუმჩნევლად მეორდება ყოველ ჩვენთაგანში.

ფანჯრიდან უყურებ ლაჟვარდოვან ცას. რამხელა უნდა იყოს უბედურების მასშტაბი, რომ კაცობრიობა ისევ მობრუნდეს ღმერთისა და სიყვარულისკენ და მიატოვოს ლოცვა ხვალინდელ დღეზე? ორი ათასი წლის წინ ჩვენ მივიღეთ წამალი და ხსნა. ჩვენ მას ჩვენდაუნებურად ვატარებთ შინაგანად, ისე, რომ არც კი უფიქრდებით ამას, და მე მჯერა, რომ გამოვაღვიძებთ მას. მხოლოდ არ უნდა გადავდოთ ეს — უნდა დავიწყოთ დაუყონებლივ.

# სატელეფონო საუბრები

გაიგო. ნიშნავს დაინახო შინაგანი კავშირი გარეგნულად თითქოს ერთმანეთთან კავშირის არ მქონე სიტუაციებს შორის. სიტუაციები იზრდება ერთი ძირიდან. ისინი ვითარდებიან, ხდებიან განსხვავებულნი და გარეგნულად ერთმანეთთან დაუკავშირებელნი, მაგრამ შინაგანი ერთობა მაინც შენარჩუნებულია. ამასთან, მათ შორის დაკავშირება ხდება მყისიერად, როგორც ორ ერთმანეთისგან განტყორცნილ ფოტონებს შორის. ზემოქმედება ერთზე, მყისიერად ნებისმიერ მანძილზე გადაეცემა მეორეს. მაშასადამე, მთელი სამყარო მყისიერად რეაგირებს ყოველგვარ მოქმედებასა და მოვლენაზე, სადაც არ უნდა ხდებოდეს ის.

განსაკუთრებით ეს ვლინდება ადამიანის ცხოვრებაში. ყოველგვარი მოვლენა, რომელიც ემართება ახლა და შეემთხვევა ადამიანს მომავალში, ყოველთვის დაკავშირებულია მისი სულის მდგომარეობასთან. ის, რაც ხდება სულში, განსაზღვრავს მთელ რიგ მომხდარ მოვლენებს, მომავლის ჩათვლით. გენები განსაზღვრავენ სხეულის განვითარებას, სული კი ბედის განვითარებას.

მე ხშირად მიხდება თითქმისდა სრულებით გაუგებარი სიტუაციების ახსნა. სინამდვილეში კი ისინი სავსეა შინაგანი აზრით. მე მახსენდება ზარები მეგობრებისგან, რომლებიც მთხოვდნენ დახმარებას. ბოლო ზარი იყო ისრაელიდან.

— მამაჩემს რაღაც გაუგებარი ავადმყოფობა დაემართა, — შემომჩივლა ჩემმა ნაცნობმა ქალმა. — მე მესმის, რომ ეს, ალბათ, რაღაც ფსიქიკის ბებრული პრობლემებია, მაგრამ მაინც ძალიან მტკივნეულია და გაუგებარი.

— რა დაემართა? დავინტერესდი მე.

ის ვერ იტანს საკუთარ შვილებს. მე და ჩემმა დამ ბინა ვუყიდეთ, ფულითაც ვეხმარებით, ვზრუნავთ ყველაფერზე, ის კი თითქმის გვწყევლის და ჩვენი დანახვა არ უნდა. ბოლოს მე მას ვუყიდე გამათბობელი, მან კი ფანჯრიდან გადააგდო. მესმის,

რომ ექიმს შეუძლია დაუსვას დიაგნოზი და გამოუწეროს წამალი, მაგრამ შეიძლება გაიგო, თუ რა ხდება მის სულში?

— შეიძლება, — ვეუბნები მე. — მას სიკვდილის ეშინია.

— ???

— რამდენი წლისაა?

— დაახლოებით ოთხმოცის.

— მე განვაგრძობ:

— ამ ასაკში ყველა ადამიანი ემზადება სიკვდილისათვის. ჩვენს ქვეცნობიერებაში სიკვდილი — ეს არის მომავლის დაკარგვა. რაც უფრო მეტად ვართ მიჯაჭვულნი მომავალს, მით უფრო საშინელია სიკვდილი. მიჯაჭვულობა გადაიქცევა სიძულვილად, და ადამიანი ქვეცნობიერად იწყებს თავისი მომავლის შეძულებას. მომავლის მატერიალური განსახიერება — ჩვენი შვილები და შვილიშვილები არიან. და რაც უფრო ძლიერ გვეშინია მომავლის, მით უფრო ძლიერ გაგვეზრდება შვილების მიმართ გარეგანი პრეტენზიები.

— შეიძლება დავეხმაროთ?

— შეუმჩნევლად შეიძლება, მაგრამ უკეთესია თვითონ მას თხოვოთ დახმარება.

— ის ხომ ოთხმოცი წლისაა, რა დახმარება შეუძლია მას? — უკვირს ქალს.

— მომავლისა და საკუთარი შვილებისადმი მისი აგრესია გადაიქცევა თვითგანადგურების პროგრამად. ფაქიზი ენერგია ეცემა, და წარმოიშობა უფრო ძლიერი შიში, — ვუხსნი მე.

ეხლახან ერთმა ქალმა ელექტრონული ფოსტით გამომიგზავნა სამადლობელი წერილი. მისი პატარა შვილი სულ იმეორებდა, რომ სიკვდილი სურდა. მაშინ ის ეცადა ემოქმედა ისე, როგორც ეს წერია ჩემს წიგნებში. მან დაიწყო ბავშვისთვის პრობლემების და სიძნელეების შექმნა, ყოველთვის აიძულებდა რაღაც ეკეთებინა: ოთახი დაელაგებინა, იატაკი გაერეცხა, დაკავებულიყო სპორტით. გარეგნულად ის გახდა მკაცრი და მომთხოვნი. რამოდენიმე ხანში ბავშვს სევდასა და უხალისობასთან ერთად გაუქრა სიკვდილზე ფიქრიც.

მე ადრე მიკვირდა რუსული არმიის უჩვეული წესი: თუკი ჯარისკაცს არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, აახევდნენ ღილს და აიძულებდნენ მიეკერებინა. ჩემთვის ეს იყო ჩვეულებრივი დაცინვა, არავითარ სიბრძნეს მე ამაში ვერ ვხედავდი. ხოლო ამის ახსნა ძალიან უბრალოა: თუკი ჯარისკაცი არაფერს აკეთებს, მაშინ ეცემა მისი შინაგანი ენერგია და ის ომს ვერ მოიგებს. ამიტომაც იყო, რომ სუვოროვი ატარებდა უმძიმეს სწავლებებს, ნამდვილი ბრძოლის იმიტაციას. მასვე ეკუთვნის მტკიცება: გაიჭირვე სწავლებისას და გაგიადვილდება ბრძოლაში. გარდა ამისა, ის აიძულებდა ჯარისკაცებს ელოცათ, ესე იგი მისი ჯარისკაცები გასცემდნენ არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ ენერგიასაც. სუვოროვის არმია იყო დაუმარცხებელი, თუმცა ზოგჯერ მოწინააღმდეგეს ჰყავდა ათჯერ მეტი ძალები.

მუდმივად ენერგიის გამცემი ადამიანი, კარგავს შიშის და სევდის გრძნობას. მაგრამ ეს უნდა ისწავლო. არის სხეულის ფიზიოლოგია და სულის ფიზიოლოგია. ადამიანებს შორის ურთიერთობა უნდა განვითარდეს, ხოლო ვარჯიშის გარეშე ის — გახმება.

— ახლა დავუბრუნდეთ მამათქვენს. მას ამჟამად სიკვდილის შიში აქვს.

— ზუსტად ასეა, — გამოცოცხლდა ქალი, — ის ძალიან განიცდის, როდესაც მისი მეგობრები კვდებიან.

— ასე რომ, რაც უფრო მეტი პრობლემები და საზრუნავი ექნება, მით ნაკლები იქნება წყენა. თქვენ კი დახმარების მეშვეობით უსპობთ მას ყოველგვარ პრობლემას. ამ დროს ეცემა მისი ენერგია, და უფრო მეტად ძლიერდება შიში და თქვენი სიძულვილი. თუკი თქვენ თხოვდით მას რაიმე საბაბით დახმარებას, აიძულებდით გაეკეთებინა რაიმე თქვენთვის, ეზრუნა თქვენზე, მისი ბრაზი გაქრებოდა. ერთ-ერთი მთავარი მომენტი ბედნიერებისა — ეს არის საჭირო იყოს ვინმესთვის. ეს კი ნიშნავს ენერგიის გაცემას სხვებზე, ზრუნვას სხვებზე, რაღაცით მაინც სხვების დახმარებას.

არ მოგერიდოთ ახლობლებისთვის დახმარების თხოვნის,

ეს მათთვის სასარგებლოა. ახლახან ერთმა ქალმა დამისვა ასეთი კითხვა:

— შური იკურნება გულუხვობითა და თავგანწირვით. შესაძლებელია თავგანწირვა გადაიქცეს შურად და სიძუნწედ, ესე იგი თავის საპირისპიროდ?

— შეიძლება, — ვუპასუხე მე, — თუკი მხოლოდ ეხმარები ადამიანს და თავს სწირავ მისთვის, ამით მას ხრწნი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემები შეექმნას შენს ჯანმრთელობას. ამ დროს, გადარჩენის მიზნით, ასეთი კეთილისმყოფელი გადადის ძუნწებისა და შურიანების რიცხვში, ესე იგი წყვეტს ადამიანების დახმარებას. ამიტომ, გავცემთ რა სხვაზე, ჩვენ მასაც უნდა ვასწავლოთ, იგივე გააკეთოს.

ახლახან მე კონსულტაციას ვუწევდი ქალს, რომლის სიტუაციაც აბსურდამდე მიდიოდა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა ძმებსა და დებს, რომლებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. შემდეგ მას შეექმნა ფულის პრობლემები რის გამოც მათ უწევდა ნაკლებ დახმარებას. მაშინ მისმა ნათესავებმა დაურეკეს და დაემუქრნენ.

— თუკი არ დაგვეხმარები, ჩვენ მოვკლავთ დედას, — ეუბნებოდნენ ისინი.

— როგორ მოვიქცე მომავალში? — მეკითხება ქალი.

— დაუკელით დოზას, როგორც ნარკომანებს, — ვუპასუხე მე. — ფულის პრობლემები თქვენ დაგეწყოთ იმისათვის, რომ არ გაგეფუჭებინათ ნათესავები. შემდეგ დადგება ჯანმრთელობის პრობლემები. უფრო მეტიც, თქვენ გაკვირვებული შენიშნავთ, რომ დაგეწყებათ ხასიათის გადაგვარება, გაგიჩნდებათ ისეთი აზრები როგორიცაა: მე არავის არ ვენდობი, ყველა არამზადაა, უნდა ვიცხოვრო მხოლოდ საკუთარი თავისთვის. ძუნწი და ანგარებიანი ადამიანისთვის დახმარება — დანაშაულია.

— მაშინ როგორ არის ქრისტეს ნათქვამი, რომ უნდა გასცე ბოლო პერანგი?

— ასწავლეთ ძუნწსა და ანგარებიან ადამიანს გაცემა და გაყოფა. რადგან ჭეშმარიტება გეხებათ არა მარტო თქვენ, არამედ

სხვა ადამიანებსაც. გასცემთ რა ენერგიას და ზრუნვას, თქვენ ასწავლით სხვას აკეთოს იგივე. მუდმივი და განუწყვეტელი დახმარება კლავს ადამიანს. რატომ უნდა ვიზრუნო საკუთარ თავზე, მაშინ როდესაც სხვა ზრუნავს ჩემზე?

არსებობს საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი: შენ, — მე, მე — შენ. ის მუშაობს, როგორც ენერგიის შენახვის კანონი. პრინციპი ძველია, შეიძლება ითქვას პირველყოფილი, და მუშაობს შესანიშნავად. მაგრამ მას აქვს თავისი, შეზღუდული შესაძლებლობები. თუკი შენ მე არ მეხმარებოდი, მაშინ არც მე დაგეხმარები შენ. ესე იგი, ეს პრინციპი კარგია დაბალი ენერგეტიკის ადამიანებისათვის.

ქრისტემ შემოგვთავაზა ახალი სქემა. სხვების დახმარება და მათზე ზრუნვა უნდა იყოს მუდმივი, და სრულებითაც არ უნდა ამუხრუჭებდე შენს თავს ამაში. თუკი ყოველი ადამიანი დაიცავს ასეთ პრინციპს, მაშინ ის გადის ძალიან დიდი ენერგეტიკის მქონე ურთიერთობის სრულებით ახალ დონეზე. მაგრამ თუკი ერთი მხოლოდ გასცემს, ხოლო მეორე კი მხოლოდ მოიხმარს, ასეთი პრინციპი გადაიქცევა თავის თავის საპირისპიროდ. ერთი იზრდება და ვითარდება, მეორე კი დეგრადაციას განიცდის.

ფრაზა: „როდესაც შენ გთხოვენ, გაეცი ბოლო" აღწერს მაღალი ენერგეტიკის სულის მქონე ადამიანის მდგომარეობას. ჩვენ ყველანი მივალთ ამ მდგომარეობამდე. ხოლო ახლა საჭიროა დავეხმაროთ ერთმანეთს და განვიცადოთ. თუკი მდიდარს არ უნდა დაეხმაროს შიმშილისგან მომაკვდავ ღარიბ ადამიანს, ეს ცუდია? მაგრამ მდიდარი და განვითარებული სულის ადამიანი, რომელიც მუდმივად სწირავს და გასცემს, არ უნდა დაეხმაროს სულით ღარიბს? მე ვფიქრობ, რომ ვალდებულია დაეხმაროს, როგორც პირველ შემთხვევაში. მეორე შემთხვევაში კი სასარგებლოა წაართვა მატერიალური სიკეთე, ვინემ მისცე. ითხოვო და მოითხოვო სხვებისგან დახმარება აუცილებელია. ამიტომაც ამბობდა ქრისტე: „დააკაკუნეთ და გაგეღებათ".

ჩვენ ჩვენი განუვითარებლობის გამო, ვიღებთ ერთ-ერთ ურთიერთსაწინააღმდეგოს, ვცდილობთ მივსდიოთ მას და იმედი

გვაქვს, ვიქნებით ბედნიერნი. მაშინ გულუხვობიდან შეუმჩნევლად გადავიქცევით ძუნწებად, და ამასთან გადასვლის მომენტში განვიცდით ბედნიერების გრძნობას, იმიტომ, რომ შევწყვეტთ სხვა ადამიანების სულების დაღუპვას. გავხდებით რა ძუნწები, ჩვენ ვიწყებთ ავადმყოფობას და სიკვდილს, ვიგრძნობთ თუ როგორ გაბოროტდება ჩვენი სული. და ისევ, რაღაც მომენტში ვეცდებით გავხდეთ გულუხვნი, და ისევ განვიცდით ბედნიერებას გადასვლის მომენტში. შემდეგ ისევ ვიწყებთ ტანჯვას ჩვენი გულუხვობის და ვისაც დავეხმარეთ იმათი სიძულვილისა და ღალატის გამო. მაშინ ვიწყებთ ფრთიანი ფრაზების შეთხზვას, როგორიცაა: „არცერთი კეთილი საქმე არ უნდა დარჩეს დაუსჯელი“. და ასე იქნება მანამდე, სანამ ჩვენ არ გავიგებთ და არ ვიგრძნობთ, რომ სიყვარული – ეს არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ერთდროულად.

სიყვარულში ყოველთვის არის მტკიცება და უარყოფა. მასში ყოველთვის იქნება შეჩვევისა და განშორების ტკივილი. და როდესაც ჩვენ დავაპირებთ გავექცეთ ტკივილს, შეჩვევა დაიწყებს ჩვენს მოკვდინებას. ღმერთი ერთდროულად ქმნის და ანგრევს სამყაროს. ღმერთი ჩვენ გვაძლევს სიცოცხლეს და გვართმევს მას. რომ გავიგოთ ღმერთის ჩანაფიქრი, უნდა მივიღოთ როგორც პირველი, ისე მეორეც. და როგორც კი სიყვარული აეწყობა ამ ორიდან ერთ-ერთ ურთიერთსაწინააღმდეგოზე, ის იწყებს გაქრობას.

როგორც ამბობდნენ მოხუცები კავკასიაში, „იმღერე ნაღვლიანი სიმღერა, მაგრამ მასში, უნდა იყოს სიხარული“. თანამედროვე დასავლეთის კულტურას, რომელიც ცდილობს გადმოსცეს მხოლოდ სიხარულის გრძნობა, ხშირად მხოლოდ დანაკარგის გამო ტკივილი მოაქვს. ის, ვინც ეთაყვანება სტაბილურობას, რამდენიმე ხნის შემდეგ იწყებს განადგურების შესახებ ქადაგებას. ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ქვეყანა მსოფლიოში, ეკონომიკის, ტრადიციის და წესების დაცვის მხრივ არის იაპონია. მაგრამ კერძოდ იაპონიაში წარმოიშვა სექტა, რომლის ხელმძღვანელმა თავის მთავარ მიზნად დაისახა კაცობრიობის

განადგურება. სხვა მაგალითი: ყველაზე დიდი რაოდენობა უმოტივოდ ცეცხლის წაკიდებისა არის ნიუ-იორკში. სტატისტიკით ამ დანაშაულს სჩადიოდნენ ორთოდოქსი ებრაული ოჯახის შვილები, რომელთა ოჯახებშიც სკრუპულოზურად იცავდნენ ყველა წესებსა და კანონებს. თუკი ჩვენ არ ვეთაყვანებით სიყვარულს, მაშინ ვეთაყვანებით სტაბილურობასა და ნგრევას.

მე მახსენდება სატელეფონო საუბარი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლახან, მაგრამ ამ დროს აზრებიდან გამოძარკვია ახალმა სატელეფონო ზარმა. რეკავს ჩემი კოლორადოელი ნაცნობი. ის გატაცებულია სხვადასხვა სკოლებით, სწავლებებითა და ტექნიკით. ეტყობა ისევ წააწყდა რაღაც პრობლემას.

— რა მოგივიდა, ამჯერად? — ვეკითხები მე.

ის იწყებს მოყოლას:

— ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყენა მოქმედებს ჯანმრთელობაზე და ადამიანებს შორის ურთიერთობას აუარესებს. შემუშავებული იყო წყენის თავიდან ასაცილებელი ტექნიკა. ტარდებოდა ტრენინგები, და ხალხი აკეთებდა ამაში დიდ ფულს. რა გაარკვიეს მეცნიერებმა? როდესაც ადამიანი ნაწყენია, მას ეძაბება სახის კუნთები. ამ დროს საჭიროა ხმამაღლა ვთქვათ, მაგალითად: „მე ნაწყენი ვარ ჯონიზე“, შემდეგ კი მთელი ძალით ვირტყათ ხელები ლოყებზე. გავიხსენოთ ყველა, ვისზეც ნაწყენი ვართ, და გავიმეოროთ ეს პროცედურა.

მე გავსინჯე ეს და მშვენიერი საშუალება გამოდგა. სინამდვილეში გამიარა ყველა წყენამ! ყველაზე საინტერესოა, რომ ჩემთან სამსახურში ერთ კაცი, რომელიც ხულიგნობდა და არაკორექტულად მექცეოდა, უცებ მკვეთრად შეიცვალა. მე განცვიფრებული ვიყავი, როდესაც დავინახე თუ როგორ შეცვალა ჩემმა ცვლილებამ გარშემომყოფთა ქცევა.

— მშვენიერია, — ვეუბნები მე. — რა იყო შემდეგ?

— შემდეგ კი, — ჩაფიქრდა ის, — რამდენიმე ხნის შემდეგ მე ამტკივდა ღვიძლი. წავედი ნაცნობ მკურნალთან. ის დიდ ხანს აფასებდა და დიაგნოსტირებას უკეთებდა ჩემს მდგომარეობას, შემდეგ კი მითხრა მოულოდნელი რამ: „შენ ყველაზე უკეთეს

ფიზიკურ ფორმაში ხარ, მაგრამ მიგივიდა რაღაც უჩვეულო: ყველა შენი წყენა გარეგნულად გაქრა, მაგრამ ჩავიდა შიგნით და ამჟამად ისინი ანადგურებენ შენს ღვიძლს. მე ვერაფრით ვერ დაგეხმარები".

— ასე რომ, რა მომივიდა? — აინტერესებს ჩემს ნაცნობს.

— ჯერ მოგიყვები ისტორიას, — ვეუბნები მე, — როდესაც ვიწყებდი მკურნალად მუშაობას და დავინახე, რომ ავადმყოფობა მოდის გარედან, დავიწყე ავადმყოფობის განკურნების საშუალების ძიება. ადრე მე ვფიქრობდი, რომ ორგანო ავად ხდება შიგნიდან, მაგრამ, როდესაც დავინახე ფაქიზი ველის სტრუქტურები, სურათი ჩემთვის სრულებით შეიცვალა. მე ვხედავდი ველის დეფორმაციას რომელიმე ორგანოსთან ახლოს, ხოლო ერთი ორი წლის შემდეგ ეს ორგანო ავად ხდებოდა. თავიდან ხელებით ვაშორებდი ამ დეფორმაციას, შემდეგ ვხატავდი მას ქაღალდის ფურცელზე და ვწვავდი. განსაცვიფრებელია, მაგრამ ავადმყოფობა ქრებოდა! ვნატრობდი შემექმნა სპეციალური აპარატი, რომლითაც წელიწადში ერთ-ორჯერ გაწმენდდი შენს ველს — და ავადმყოფობა გაქრებოდა. კაცობრიობა საუდამოდ განთავისუფლდება პრობლემებისგან!

შემდეგ კი შევნიშნე, რომ ეს დეფორმაცია შეიძლება დაბრუნდეს რამდენიმე ხნის შემდეგ, და მივედი გასაოცარ დასკვნამდე. თურმე, ველის სტრუქტურის დეფორმაციას შეუძლია გავლენა მოხდინოს არა მარტო ჯანმრთელობაზე, არამედ ბედზე და ადამიანის ხასიათზეც, ის შეიძლება გადაეცეს მის შვილებსა და შვილიშვილებს. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა რომ ეს ინფორმაცია წარმოიშობა, როდესაც ჩვენ ვინმე გვძულს ან ვინმესგან გვწყინს. მივხვდი, რომ ადამიანმა თვითონ უნდა განიკურნოს საკუთარი თავი. თავიდან მე ვეხმარებოდი ადამიანებს წყენის მოშორებაში, და ისინიც იკურნებოდნენ. შემდეგ კი ვნახე, რომ თუკი უბრალოდ მოვაშორებდი ვინმეს წყენას, ის გადაიქცეოდა საკუთარ თავზე წყენად.

<u>წყენა — ეს არის გარესამყაროს მართვის პრიმიტიული ფორმა. წარმოიდგინე, რომ შენ სახლში დატოვე შვილი და დაავა-</u>

ლე მას გარკვეული სამუშაოს შესრულება. დაუშვათ, გაერეცხა იატაკი ბინაში, მიელაგებინა სამზარეულო და ჩაესვა საკეტი კარებში. საღამოს მოდიხარ სახლში და ხედავ, რომ არაფერი არაა გაკეთებული. შვილი ტყუილს ამბობს, თავს იმართლებს, თვალებს ხრის, და შენს გულში იფეთქებს წყენა. სიტუაცია გრძელდება და ბევრჯერ მეორდება. რამდენიმე ხნის შემდეგ გიჩნდება კუჭის წყლული, შემდეგ ავად ხდება ღვიძლი, შემდეგ კი იწყებ ფიზიკურად დაშლას და ამჩნევ, რომ წამლები არ გშველის. უფრო გვიან გეწყება უსიამოვნებები სამსახურსა და ბედიღბალში. ყველა ამ პრობლემების გროვას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი: შეაჩეროს შენი წყენა, იმიტომ, რომ ქვეცნობიერებაში წყენა გამოიყურება როგორც სხვა ადამიანისთვის სიკვდილის სურვილი. და რომ შენი შვილი არ მოკვდეს, ავად ხდები შენ. არის კიდევ ერთი მომენტი: ქვეცნობიერებაში არ არის ხანდაზმულობის ვადა. ყველაფერი, რაც დამაგრდა ქვეცნობიერებაში და შეაღწია შიგნით, განკუთვნილია დიდი ხნის მუშაობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი უკვე აღარ არსებობს. ეს არის როგორც მდინარე — შენ გააკეთე ახალი კალაპოტი, და ის მომავალში ამ მიმართულებით იდენს. და თუკი შენ შენი ენერგია მიმართე წყენის კალაპოტით, მაშინ, დამიჯერე, ეს დიდი ხნით ასე იდენს.

ეხლა კი წარმოიდგინე სხვა ვარიანტი: მოხვედი სახლში და შვილს ძველებურად არაფერი არ გაუკეთებია, მიუხედავად ამისა, არა გაქვს არავითარი წყენა. მაგრამ არ მოგწონს, რომ შენი შვილი ზარმაცია და სამუშაო დარჩა შეუსრულებელი. გული მოგივა შენს თავზე, და შედეგი ამ შემთხვევაშიც სატირალია.

ჩნდება კითხვა: რით შეიძლება შეიცვალოს წყენა როგორც მართვის ფორმა? თავიდან გავერკვეთ რაშია წყენის აზრი? ჯერ მე მწყინს, შემდეგ ვემუქრები და ვიწყებ ჩხუბს, უფრო სწორად ფიზიკურად ვანთავისუფლებ უკმაყოფილების ენერგიას. ამდენად, წყენა — ეს არის პირველადი მუქარა, გარკვეული ქმედებების ჩადენის იძულება. ასე რომ, აღზრდა შეიძლება მუქარით, ან შეიძლება ჩვევებით.

უსვამთ პირველ კითხვას: რატომ არ ჩასვა შვილმა საკეტი? იმიტომ რომ მან არ იცის და ეშინია ამის გაკეთება. ყოველი ახალი საქმე მოითხოვს დიდი რაოდენობის ენერგიის გამოტყორცნას. ეს შეიძლება საშიში იყოს, ამიტომ ადამიანი ინტუიციით გამოდის ზედმეტად დატვირთვის რეჟიმიდან. მაშასადამე, უნდა ვასწავლოთ შვილს საკეტის ჩასმა და ეს პროცედურა უნდა გავხადოთ მისთვის ჩვეულებრივ პროცედურად.

თავიდან შენ დაწვრილებით უხსნი შვილს, თუ როგორ კეთდება ეს, შემდეგ ჯდები კარებთან და უყურებ როგორ აკეთებს იგი მას. დაე მან ეს საკეტი ჩასვას ხუთჯერ ან ათჯერ. შემდეგ გადადიხარ სამზარეულოში და თხოვ შვილს რამდენიმეჯერ გარეცხოს იატაკი და ყველაფერი დაალაგოს. მომდევნო დღეს საკეტს დებ თვალსაჩინო ადგილას და თხოვს შვილს ჩასვას იგი და დაალაგოს სამზარეულო. ის ამას გააკეთებს ნახევარ საათში, რადგან ეს იქცა მისთვის ჩვეულებრივ პროცედურად. ჩვენ გვმართავენ ჩვევები. თავიდან ბავშვი იატაკს გარეცხავს სასჯელის შიშით, შემდეგ იმიტომ, რომ არ დაუწყონ მორალის კითხვა, შემდეგ იმიტომ, რომ ის გადაიქცა მისთვის ჩვეულებრივ საქმიანობად, და ბოლოს და ბოლოს იმიტომ, რომ მას მოსწონს ნახოს სამზარეული და იატაკი სუფთა. რახან საქმე მოწონებამდე მივიდა, მაშასადამე, ენერგია წამოვიდა, და წამოვიდა ზედმეტიც.

ასე რომ, აღზრდა – თავისი შინაარსით, ეს არის სწორი ჩვევების ფორმირება. სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედება – ეს არის მისი აღზრდა. სუსტს წყინს, ძლიერი ქათინაურებს ამბობს, ასაჩუქრებს და ეძებს ურთიერთშეხების წერტილებს, მიდის კომპრომისებზე, სწავლობს თუ როგორ შეცვალოს სხვები და საკუთარი თავი. უმაღლესი მართვა ხდება სულში არსებული განუწყვეტელი სიყვარულის გრძნობის მეშვეობით. მისი მეშვეობით მოდის ენერგია, რომელიც აუცილებელია ძიების, ურთიერთგაგებისა და მართვისათვის.

– რატომ ამტკივდა ღვიძლი? – აინტერესებს ჩემს ნაცნობს.

– იმიტომ, რომ შენი წყენა გადაიქცა თვითგანადგურების

პროგრამად. მუშტების მეშვეობით შენ თავიდან წყენას ვერ გამოდევნი. დასავლეთის მეთოდია — ყველა საკითხის გადაწყვეტა მატერიალური დონის მეშვეობით. წყენა შენი თავის მიმართ. ანადგურებს შენს მომავალს, და რადგანაც ღვიძლი არის მომავლის სიმბოლო, იწყება მისი ტკივილი, რითაც მომავალი პრობლემების ნიშანი ვლინდება.

— სამუშაოდან რატომ დამითხოვეს? — ინტერესდება ჩემი თანამოსაუბრე.

— თვითგანადგურების პროგრამა ანადგურებს არამარტო სხეულს, არამედ ბედსაც, — ვეუბნები მე, — და ხშირად ბედის განადგურება გადაგვარჩენს მძიმე ავადმყოფობისგან.

— მაშინ მე მაქვს კიდევ ერთი შეკითხვა, — მეუბნება ტელეფონზე თანამოსაუბრე, — ეს ეხება ქვეცნობიერებასთან მუშაობას. ამერიკაში არის ასეთი ტექნიკა: ყოველდღე ქაღალდის ფურცელზე შენი სურვილების ჩაწერა. ის სწრაფად აღწევს ქვეცნობიერებას და სრულდება. მე დავწერე: „ღმერთო, გამხადე ღირსი მიყვარდე შენ და ყველას ვაპატიო“. ხოლო რამდენიმე დღეში დედაჩემს კინაღამ ინფარქტმა დაარტყა, შემდეგ კი მე გავხდი ცუდად, რასთანაა ეს დაკავშირებული?

— როდესაც მე მივხვდი, რომ სიძულვილი, წყენა და გაკიცხვა იძლევიან მძიმე ავადმყოფობებს, გადავწყვიტე შემექმნა საგანი, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანს დაეჩქარებინა წყენის დაძლევა. არსებობს ასეთი ტექნიკა — პირობითი რეფლექსის ფორმირება. ეკრანზე ჩნდება სიტყვა „სიძულვილი“, და შენ ღებულობ დენის მსუბუქ დარტყმას. შემდეგ ჩნება სიტყვა „პატიება“, და ყველაფერი მშვიდადაა, შემდეგ ჩნდება სიტყვა „განსჯა“ და ისევ დენის დარტყმა, შემდეგ ჩნდება სიტყვა „სიყვარული“, და ისევ სიმშვიდე და სიჩუმე. წარმოგიდგენია, რამდენი ფულის გაკეთება შეიძლებოდა ამ მოწყობილობით? — ვიღიმები მე. — ორი-სამი დღე და ონკოლოგიის კვალიც არ იქნებოდა.

შემდეგ კი გავხედე ფაქიზ დონეზე თუ როგორ იმოქმედებდა ის ადამიანზე. კიბო სინამდვილეში გაქრებოდა, მაგრამ მომავალი მოკლდებოდა. თავიდან განცვიფრებული ვიყავი, შემდეგ კი

მივხვდი: სული — არ არის ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამართო და გაასწორო, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიწყებთ აბების ყლაპვას, რომლებიც გააძლიერებენ ღმერთის სიყვარულს და მოხსნიან აგრესიას. დავკარგავთ პირად იმპულსს და სიყვარულისა და ღმერთისაკენ წრაფვას, აი მაშინ დაიწყება სულის დაშლა. სხვათა შორის, ასეთ რაღაცას ადგილი აქვს ბევრ მორწმუნესთან, როდესაც ისინი რიტუალებს, მარხვას და ლოცვას ექცევიან როგორც აბებს, რომლებიც ღმერთის სიყვარულს აძლიერებენ. ამით ცოდავდა იუდაიზმი და სწორედ ამის შესახებ აფრთხილებდა იესო ქრისტე.

— წარმოიდგინე ასეთი სურათი, — მივმართავ თანამოსაუბრეს. — ადამიანი კვდება წყურვილისგან და ითხოვს წყალს, შენ კი ზიხარ გვერდით წყლიანი ბოთლით და ლოცულობ: „ღმერთო, დამეხმარე შევიგრძნო სხვა ადამიანისადმი სიყვარული!“ და რაც უფრო კვნესის მომაკვდავი, მით უფრო ინტენსიურად შენ ლოცულობ. ხოლო იმისათვის, რომ შეიგრძნო სიყვარული, საჭიროა ადგე და მისცე მას ჭიქა წყალი. მაშასადამე, სიყვარული ის კი არ არის რამე გამოითხოვო, არამედ ის იფურჩქნება დახმარების, ზრუნვის და უანგარობის მეშვეობით. მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში, ბევრგზის ცდის გაფუჭების შემდეგ შეიძლება მივმართოთ ღმერთს. საჭიროა ბევრჯერ მეტი სიყვარული მივაგოთ ღმერთს, ვინემ მისგან ვითხოვთ. როგორც ჩვენ ვექცევით ღმერთს და ჩვენს მშობლებს, ასევე ვექცევით მთელ სამყაროს და ადამიანებს. როდესაც გვინდა გავწმინდოთ ჩვენი სული და ვექცევით მას როგორც ჩვარს, რომელიც შეიძლება გარეცხო, გაწმინდო და გააუთაო, მაშინ სული მომავალთან ერთად კარგავს ყველაზე უფრო ფაქიზ ენერგიას.

— კარგით, მაშინ მითხარით რა მოუვა იმათ, ვინც დღეში ორმოცდაათჯერ წერს: „მე მინდა ჩქარა მივიღო მანქანა“?

— იცი, რატომ ამბობდა ქრისტე, რომ მდიდრისთვის უფრო ძნელია ცათა სასუფეველში მოხვედრა, ვინემ ღარიბისთვის?

— იმიტომ, რომ ფული აფუჭებს ადამიანს, — დასწავლილი სიტყვებით მხნედ მიპასუხა მან.

— ფული კი არ აფუჭებს ადამიანს, არამედ მას ანვითარებს. როდესაც შენ გაქვს აგარაკი, ავტომანქანა, ბინა და სხვა მატერიალური და სულიერი შესაძლებლობები, შენ მათზე უნდა დახარჯო დიდი ენერგია და ქვეცნობიერად მუდმივად უნდა აკონტროლო ის, რასაც ფლობ. ეს არის განვითარება. უბრალოდ ენერგიის მთავარი ნაკადი ჯერ უნდა დაიხარჯოს შენს სულიერებაზე ზრუნვაში, ხოლო შემდეგ კი მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობაზე.

მაგრამ თუკი გაგიტაცებს ეს კეთილდღეობა, მაშინ, დააგროვებ რა მათ, შეიძლება გაძარცვო შენი სული და დაკარგო მომავალი მატერიალურ და სულიერ სიკეთეებთან ერთად. ქრისტე ამ საშიშროებაზე ლაპარაკობს, მაგრამ არასდროს ფულს ბოროტებას არ უწოდებდა. აკი, გულკეთილი მდიდარი ბევრად უკეთესია, ვინემ გაბოროტებული ღარიბი. თუკი სიმდიდრე უზრუნველყოფილი არ არის შინაგანი ენერგიით, იგი გამოგწოვს ჯანმრთელობასა და ბედ-იღბალს. თუკი სიმდიდრე დაიწყებს სულისათვის ზიანის მიყენებას, მაშინაც, ამისათვის ადამიანი გადაიხდის სამაგიეროს თავისი და შთამომავლების ჯანმრთელობით. ჩვენ მივეჩვიეთ ცხოვრებას ზღაპრებით იმის შესახებ, რომ ღარიბი ჭკვიანია, ხოლო მდიდარი, როგორც წესი, სულელი, მაგრამ ფაქტები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ სულელი მდიდრები არ არსებობენ.

თუკი ადამიანს სულში აქვს სიყვარული და ენერგია, მისი სურვილები ასრულდება და ის იყიდის მანქანას მაშინ, როდესაც მოისურვებს, და ეს, არ დააზიანებს მის სულს. ადამიანი, რომელსაც თავის ქვეცნობიერებაში შეჰყავს პროგრამა „მინდა ჩქარა ვიყიდო მანქანა", გადაანაწილებს თავისი ენერგიის ნაკადს. ის იწოვს ენერგიას შორი მომავლიდან და გადააქცევს მას ახლო მომავლად. ის მართლა მიიღებს მანქანას და უხარია. მას არც ეეჭვება, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მოუწევს ამისათვის სამაგიეროს გადახდა ავადმყოფობებითა და უბედურებებით.

ამერიკაში ამჟამად ძალიან პოპულარულია ქვეცნობიერების მართვის მეთოდიკები. პრაგმატული ამერიკელები ამას უყუ-

რებენ როგორც ჯადოსნურ ყუთს, საიდანაც შეგიძლია ამოიღო, რაც მოგესურვება. ახლახან მომიყვნენ ქალის ისტორიას, რომელიც ქაღალდზე არაფერს არ წერდა, მაგრამ ორი წლის განმაელობაში ლოცულობდა და ყოველი ლოცვის დროს ღმერთს ეხვეწებოდა, მიეცა მისთვის ბინა. ორი წლის შემდეგ, მან სასწაულებრივად მართლაც მიიღო ეს ბინა, მაგრამ მალე ამის შემდეგ დაეღუპა ერთადერთი შვილი. მას მისცეს აწმყო და წაართვეს მომავალი.

რა არის ღიმილი? ეს არის სიხარულის მეშვეობით გამოტყორცნილი ენერგიის აფეთქება. ამერიკელები მუდამ იღიმიან და ასწავლიან სხვებს, თუ როგორ აისრულონ სურვილები, მაგრამ, ამასთან, ამერიკელები ყველაზე უფრო დეპრესიული ნაციაა დედამიწის ზურგზე. ჩამავალი მზის ქვეყნის დეპრესია, დაკავშირებულია მათი მომავლის შიშთან, რომელიც განიმუხტება აწმყოში უზრუნველად ცხოვრების სურვილით.

— სხვათაშორის, — მივმართავ მეგობარს, — ის, რომ დედაშენს ასტკივდა გული, შენ კი გამტერევდა, ამით საშულება მოგეცა უცებ გეგრძნო ასეთი ტექნიკის სამიშროების შესახებ. სხვები წერენ ბარათებს, უხარიათ სურვილების შესრულება, მაგრამ არ ვითარდებიან, მაშასადამე, უბრალოდ პარავენ თავიანთ თავს მომავალს. ის, ვინც მიმართავს ღმერთს, უფრო ჩქარა ისჯება თავისი შეცდომის გამო, ადვილად გამოდის ჭეშმარიტების გზაზე და ცხოვრობს გარესამყაროსთან პარმონიაში.

— ყველაფერი გასაგებია, — ამბობს ამხანაგი, — მადლობა რჩევისთვის, უფრო გვიან დაგირეკავთ.

მან დადო ყურმილი.

მახსენდება წინა სატელეფონო საუბრები და უბრალოდ კითხვები, რომელითაც მომმართეს ნაცნობებმა. ერთმა ქამბატონმა მაგალითად მკითხა: „ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს საბერძნეთში. იქ, სადაც ის ცხოვრობს, უყვართ ჭორიკნობა, მაგრამ მას არ სურს ამაში მონაწილეობის მიღება. სწორად აკეთებს თუ არა?“ სარაფნის რადიო ყოველთვის მუშაობდა ჩქარა და შეუფესებლად, და რამდენადაც ადამიანის ფორმირება მოხდა

ერთმანეთთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლის შედეგად, ამიტომ ეს პროცესი აუცილებელია. ურთიერთობა განავითარებს, გაიძულებს განაზოგადო ინფორმაცია და გამოყო ენერგია მის გადაცემაზე. სხვათა შორის, როდესაც ადამიანი უყურებს ტელევიზორს, ხდება ამის საწინააღმდეგო: ადამიანს მოუნდება ურთიერთობა, ხოლო ენერგეტიკა ეცემა. ამიტომაც დიდ ხანს ტელევიზორის ყურება, განსაკუთრებით ბავშვების მიერ მიზანშეუწონელია.

ზოგჯერ ისინი, ვინც ჭორაობენ, მთავარ მიზნად ისახავენ თავის თავის ამღლებას და სხვების ღამცირებას. ყოველ ადამიანს უნდა რომ გამოდგეს ცხოვრებაში. ცხოველებსაც აქვთ მისწრაფება აიმაღლონ თავიანთი სტატუსი. იმისათვის, რომ გამორჩეული იყო როგორც პიროვნება, საჭიროა მაღალი ენერგია. იმის განცდა, რომ შენ უფრო ჭკვიანი, ენერგიული, გულკეთილი ხარ, ამტკიცებს შენს სიცოცხლისუნარიანობას და გადარჩენისა და განვითარების პერსპექტივას. მაგრამ, ზოგჯერ ადამიანს ისე უნდა მიიღოს რამე, რომ არ განვითარდეს და არ დახარჯოს ენერგია. მაშინ საკმარისია ვინმეზე თქვა ცუდი, დაინახო მისი ნაკლი, გაგიჩნდება შეგრძნება, რომ შენ უფრო ჭკვიანი, კეთილსინდისიერი და უკეთესი ხარ. ამ ილუზიას მიმართავენ სუსტი ადამიანები, რომლებსაც ენერგეტიკა დაწეული აქვთ. ასეთი მსოფლმხედველობის ადამიანს უბრალოდ არ ექნება მაღალი ენერგია. ასეთი ადამიანი იქნება უვარგისი თანამშრომელი და თავისი სისუსტის გამო ადვილად გიღალატებს. იმიტომ, რომ შინაგანად სუსტი ადამიანი — დამოკიდებულია სხვაზე, მას არ შეუძლია საკუთარი თავი მართოს და ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ. ასე რომ, იმ ქალბატონის შვილს უბრალოდ არ უნდა თავი გაინადგუროს და, ალბათ, სწორადაც იქცევა.

გუშინ მინდოდა წავსულიყავი და არყის ხის ტოტები დამემზადებინა აბანოსთვის, მაგრამ წასვლა გადაიდო, როგორც მეგობარმა თქვა, თურმე ტყეში გაჩენილა — ენცეფალიტური ტკიპა.

ახლახან მოხდა საშინელი ისტორია, — მოჰყვა ის, — კაცი

სეირნობდა ტყეში ოთხი ბავშვით, შემდეგ მათ დაუბუჟდათ და წაერთვათ ხელები. ჩამოვიდნენ მოსკოვში და გამოირკვა, რომ უკბენია ენცეფალიტურ ტკიპას. მათ დაეწყოთ ნერვული ქსოვილების კვდომა. ექიმებმა თქვეს, რომ ეს მკურნალობას არ ექვემდებარება, კაცი დაბრუნდა სახლში, რომ იქ მოკვდეს.

— შენ იცნობ მას? — შევეკითხე იმ იმედით, რომ რჩევით მაინც დავეხმარებოდი იმ კაცს.

— არა. — მიპასუხა მეგობარმა, მე სხვა კაცმა მიამბო ეს ისტორია.

— ტკიპებიც ხომ ყველას არ კბენენ, რატომ უკბინეს მაინც და მაინც იმ კაცს? სად ცხოვრობს იგი?

— ის სომხეთიდანაა.

ადვილი შესაძლებელია, რომ მას აქვს ბედისადმი ძლიერი შინაგანი უკმაყოფილება, რომელიც ბავშვებსაც გადაეცათ. შინაგანი სულიერების დონე სომხებს ძალიან მაღალი აქვთ. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სომეხი ბავშვები საშუალოზე უფრო ნიჭიერები არიან. მაგრამ სულიერ ადამიანს შეუძლია ისე მიეჯაჭვოს იდეალურ ხატებას, რომ კატეგორიულად უარყოფდეს იქნება აწმყოს და თან უკმაყოფილო იყოს ბედით. ესე იგი, რაც უფრო სულიერად ძლიერია ადამიანი, მით უფრო მეტი ბედით უკმაყოფილება შეიძლება მან განიცადოს, იმიტომ, რომ ის არ ემთხვევა სასურველ იდეალებს, იმას, რის მიღებასაც ის ელოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთი აღმოჩნდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში. და თუკი ამ კაცმა ნება მისცა საკუთარ თავს მხარი დაეჭირა თავისი ხალხის ბედით ღრმა უკმაყოფილებისთვის, მაშინ მისი და მისი შთამომავლებისთვის ავადმყოფობები და დაღუპვა — დროის საკითხია. ავადმყოფობები, რომლებიც ემართებათ ბედით უკმაყოფილების გამო, ტრადიციული მედიცინით არ ინკურნება. მათში საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ ძალიან დიდი და ღრმა აგრესიის მასშტაბია. სხვათა შორის, — ეცვლი თემას, — დედამიწაზე არიან არსებები, რომლებიც უძლებენ დიდი დოზის რადიაციას.

— მე ვიცი, — სწრაფად მპასუხობს ამხანაგი, — ესენია ობობები და ტარაკანები.

— ესენი ხომ მწერებია, — მეღიმება მე, — მათ ცნება ბედით უკმაყოფილება ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებიათ.

— ძუძუმწოვრებიდან?

ის ჩაფიქრდა და ხელებს შლის.

— ჩემი აზრით, ასეთი უბრალოდ არ არის.

— ვირთხები, — ვეუბნები მე. — ცხოველებიდან მათ აქვთ ღირსშესანიშნავი ინტელექტი და შეუძლიათ იარსებონ ყველაზე საშინელ პირობებში. რადიაცია — ეს არის ყოველწამიერი ბედის უკმაყოფილება. ვირთხებში უსიამოვნების მომენტში პრობლემის დასაძლევად იფეთქებს უძლიერესი შინაგანი ენერგია. ამიტომაც რადიაცია ვირთხებისთვის სასარგებლოც კია. ადამიანში კი მსგავსი პროცესი ხორციელდება სიყვარულისა და ოპტიმიზმის მეშვეობით.

ჩერნობილში აღწერილია საინტერესო ფენომენი. იქ ჩადიოდნენ უშვილო ქალები და იმპოტენტი მამაკაცები, რომლებსაც ყველაფერზე ხელი ჩაქნეული ჰქონდათ და არაფრის არ ეშინოდათ, როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი გამოჯანმრთელდნენ.

მე მახსენდება ტაშკენტიდან ამ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული ზარი და ჩვენი საინტერესო საუბარი.

— მე მაწუხებს ერთი საკითხი, — მიყვება ჩემი ნაცნობი, — ერთმა კაცმა მომატყუა. შემდეგ როგორც გავიგე, მას ჩემსავით ბევრი მოუტყუებია. მეგობრებს უნდოდათ მისი დასჯა. ისე გამოვიდა, რომ ჩემზე იყო დამოკიდებული, მიმეცა თუ არა მეგობრებისთვის მისი დასჯის უფლება. ასეთი უფლება არ მივეცი. ეხლა ვფიქრობ, კარგად მოვიქეცი თუ არა.

მე ჩავფიქრდი.

— როდესაც ჩვენ ვცდილობთ ყოველგვარი პრობლემა გადავწყვიტოთ „დიახ“ ან „არა“-ს მეშვეობით, შეიძლება შევცდეთ, — ვეუბნები მე. — სხვისი დასჯა შეიძლება გამოდგეს სიკეთე, შეიძლება — ბოროტება. დასჯის თემაზე არსებობს ორი პოლარული შეხედულება — ერთი იუდაიზმში, მეორე ქრისტიანობაში.

იუდაიზმმა მოიყვანა წესრიგში სამაგიეროს გადახდის უკონტროლო სურვილი და სამართლიანობის ბუნდოვანი ცნება. ადრე ადამიანი პასუხობდა აგრესიულად, ორიენტირებული იყო მისი წყენის ხარისხზე, და შეეძლო უბრალო რაღაცაზე მოეკლა სხვა ადამიანი. იუდაიზმში გამოჩნდა გენიალური ფორმულა: სასჯელის ზომა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. თუკი სასჯელი იქნებოდა ნაკლები, მაშინ ეს გახრწნიდა დამნაშავეს და უბიძგებდა მას ანალოგიური დამაშაულის ჩასადენად. თუკი სასჯელი იქნებოდა მეტი, მაშინ ეს იქნებოდა არა სასჯელი, არამედ დანაშაული, რისთვისაც შურს იძიებდნენ ნათესავები. პატარა დანაშაულისათვის მკაცრად დასჯა, ანვითარებს შიშს, მწყობრიდან გამოჰყავს ადამიანის ნებისყოფა და შესაძლებელია მიიყვანოს იგი დეგრადაციამდე.

ჩავფიქრდეთ: რა არის ადამიანური სასჯელი? ბოლოს და ბოლოს, ეს არის ღვთაებრივი ნების დაჩქარება. როდესაც ადამიანი ცრუობს და ღალატობს, როდესაც ის ქურდობს, კლავს, ყველაფერი ეს მაგრად ჩაიბეჭდება მის ქვეცნობიერებაში. მკვიდრდება მომხმარებლობის პროგრამა და იკეტება გაცემის პროგრამა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეცნობიერებაში დაიწყება გადაგვარების პროცესი, და ეს კაცი, და მისი შთამომავლობა დაავადდებიან და მოკვდებიან. სასჯელი საშუალებს გვაძლევს გავაჩეროთ აგრესიული მომხმარებლობის პროცესი, დავამუხრუჭოთ სიყვარულისა და ენერგიის გადინება სულიდან.

სხვათა შორის, გაგონილი მაქვს, რომ ესპანეთში პატარა საბაბის ასებობისას ცდილობენ ახალგაზრდები ციხეში ჩასვან, ოღონდ რამდენიმე დღით. ყმაწვილმა კაცმა უნდა გაიგოს რა არის ციხე და დაფიქრდეს, — ღირს თუ არა კანონის დარღვევა. საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი რუსეთში, ციხეში ყოფნა იყო წაუშლელი დაღი, ამიტომ მოსამართლეებს ეცოდებოდათ ახალგაზრდები და მათ მიერ ჩადენილ უმნიშვნელო დანაშაულზე თვალს ხუჭავდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ მათ სულიერ დეგრადაციას. შემდეგ კი სჯიდნენ ზედმეტად მკაცრად, აძლევდნენ — ხუთ-ათ წელს.

არის უბრალო კანონი: ყველაფერს, რასაც ადამიანი ყოველდღიურად ხედავს, ღებულობს შინაგანად და ამართლებს, სხვანაირად სიტუაციით უკმაყოფილებისგან ჭკუიდან შეიშლებოდა. მორწმუნე ადამიანს შეუძლია რამდენიმე წლის განმავლობაში იცხოვროს მისთვის მიუღებელ სიტუაციაში და შესაძლებლობის შემთხვევაში შეეცადოს თავი დააღწიოს მას იმიტომ, რომ ის შინაგანად მისგან დამოკიდებული არ არის. თუკი რწმენა არ არის, მაშინ შეიძლება ან გძულდეს ან ეთაყვანებოდე. და ბევრნი, გაატარებენ რა წელიწადზე მეტს ციხეში, ეჩვევიან თავიანთ მდგომარეობას, სიამოვნებთ კიდევაც ეს, და ხდებიან ჩამოყალიბებული რეციდივისტები.

ასე რომ, სისხლის სამართლის კანონები და ადამიანური სასჯელი უნდა დაეხმაროს ადამიანს დაუბრუნდეს შინაგან ჰარმონიას და მცნებების დაცვას. თუკი სისხლის სამართლის კანონმდებლობას აქვს სხვა მიზანი, მაშინ, სასჯელთა სისტემა ამახინჯებს ადამიანს, ახდენს მისი პიროვნების დეფორმაციას. საბჭოთა კავშირში პატარა გადაცდომაზეც კი შეეძლოთ ადამიანისთვის მიესაჯათ ათი წელი ან დაეხვრიტათ, და სრული ქაოსი, არსებითად კი ზნეობრივი დამბლა, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იყო ბუნებრივი შედეგი სასჯელთა მიზნის გაუკულმართებისა.

საბჭოთა კავშირისთვის მთავარი იყო არა მცნებების დაცვა, არამედ ნათელი მომავლის შენება. სასჯელმა უნდა შეამციროს მიზნიდან ჩვენი დაშორება და გვაიძულოს ვიაროთ მისკენ. იუდაიზმში სასჯელი უბიძგებს მცნებების დაცვისკენ, ესე იგი ღმერთის შეცნობისკენ. სოციალიზმის დროს სასჯელი გამოდიოდა საწინააღმდეგო მიზნიდან — კეთილდღეობის, მაძლარი მომავლის მშენებლობის მიზნიდან. ხოლო როდესაც მიზანი ხდება პურის ნატეხი ან ოქროს ნატეხი, აზროვნება ან სასჯელი იქნება ულმობელი, რა გინდ ლამაზი სიტყვებითაც არ უნდა შეამკონ იგი.

ფაშიზმის დროს მიზნების სისტემამ, ესე იგი ბედნიერებამ ერთი ჯგუფის ადამიანებისთვის, განსაზღვრა საშინელი სისასტიკე

და არადამიანური კანონები სხვა ადამიანების მიმართ. სოციალიზმმა კი საერთო მიზნად გახადა მატერიალური კეთილდღეობა. მიზანი არ იყო ისეთივე ბარბაროსულად დამთრგუნველი, როგორც ფაშიზმის პირობებში, ამიტომაც სოციალიზმის დროს მეცნიერებამ და ხელოვნებამ მიაღწიეს განვითარების მაღალ საფეხურს. მაგრამ, ფაქტობრივად, მიზანი იყო ერთი და იგივე: არა ღმერთის შეცნობა, არამედ პურის ნატეხის თაყვანისცემა. სოციალიზმს არ ჰქონდა ფაშიზმივით მხეცური იერსახე, მაგრამ მისი მსხვერპლი გახდა ათეულობით მილიონი ადამიანი. რაც უფრო ლამაზად გამოიყურება არასწორი იდეა, მით უფრო საშიშია იგი.

ახლა კი დავუბრუნდეთ იუდაიზმს, — შევახსენე მე ქალს, — იმ არამზადის დასჯა ნიშნავდა მისი სულისთვის დახმარების გაწევას, მაგრამ თქვენ ეს არ გააკეთეთ. რატომ?

ქალი ფიქრობს.

— ალბათ, თქვენ შეგაჩერათ ქრისტეს სიტყვებმა: ვინც მარჯვენა ლოყაზე გაგარტყამს, მარცხენა მიუშვირე!

— შეიძლება, სწორი ხართ, — პასუხობს ქალი.

— მოდით ვისაუბროთ ამ თემაზე, თქვენ გაგიგონიათ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის შესახებ? განვიხილოთ ის დეტალურად. დავუშვათ, არის გარკვეული არსება. ის ცხოვრობს და ვითარდება. რაღაც ეტაპზე მის გვერდით უნდა გაჩნდეს მისი საწინააღმდეგო, რომელიც მას უარყოფს და ებრძვის. საწინააღმდეგო, რომელიც გარეგნულად მას არ გავს, თავისი არსით მასთან ერთიანია და მის გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენს. კერძოდ მშობლებს გაუჩნდათ შვილი, რომელსაც აქვს თავისი ხასიათი, იცავს თავის შეხედულებებს, მაგრამ შინაგანად ის ატარებს მათ გენებს. თუკი ბავშვი იქნება მშობლის სრული ასლი, მაშინ განვითარება არ მოხდება, რადგან ახალი უნდა განსხვავდებოდეს ძველისაგან. და სანამ ახალი არ მოძლიერდება, არ გამაგრდება გარკვეულ ფორმაში, მან უნდა უარყოს ძველი, რომ არ შეერწყას და არ დაემსგავსოს მას.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გყავთ მანქანა, რომლითაც დადიხართ. ავარიის შემთვევაში აუცილებელია მისი შეკეთება, ამასთან პიროვნება, ვინაც დაგიმტვრიათ მანქანა, ვალდებულია გადაგიხადოთ რემონტის ღირებულება. ყოველგვარმა ავარიამ, პატარა განაკაწრმაც კი შეიძლება მოითხოვოს შეკეთება, რომელიც ყოველთვის ანაზღაურდება და ამას თქვენ განსაკუთრებულად არ განიცდით. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ავარიის შემდეგ თქვენი მანქანის რემონტი შეუძლებელია. საით მიემართება ასეთ შემთხვევაში თქვენი აზრების ენერგია? მოხდება მათი კონცენტრაცია იმაზე, რომ არ დაუშვათ ავარია. თქვენ დაიწყებთ მოძრაობის წესების უკეთ სწავლას და ეცდებით დაკვირვებულად ატაროთ მანქანა. თანდათანობით ენერგია, რომელიც მიმართულია მოძრაობის გასაუმჯობესებლად, დამკვიდრდება ჩვევაში და იქცევა თქვენი ხასიათის ნაწილად.

მაშინ, გექნებათ რა მძღოლობის მაღალი ხარისხი, თქვენ შეგიძლიათ გადაჯდეთ უკეთეს მანქანაზე და იაროთ უფრო ჩქარა. და აი დადგა ნანატრი დღეც, თქვენ გაძლევენ ახალ ჩქარ მანქანას და გეუბნებიან: „თქვენ პროფესიონალურად დაგყავთ მანქანა და თქვენთვის არ არის საშიში ასეთი მანქანის ტარება“. სხვათაშორის, ავარიის შემთხვევაში მანქანის რემონტი შესაძლებელია, მაგრამ უკეთესია ამის იმედი არ გქონდეთ და ყურადღებით ატაროთ მანქანა. ასეთი დიდი სიჩქარის დროს ავარია შეიძლება სასიკვდილო გამოდგეს.

ქრისტიანობამ ადამიანთა ურთიერთობის ახალი მოდელი შემოგვთავაზა. შეიძლება დასაჯო მოღალატე, და შეიძლება გამოიცნო იგი წინასწარ და არ მოხვდე სიტუაციაში, როცა ის გიღალატებს. როგორ გამოიყურება მომავალი მოღალატის პორტრეტი? პირველ რიგში ეს არის შინაგანად დამოკიდებული ადამიანი. გაიხსენეთ პეტრე და იუდა. ერთის დამოკიდებულება უფრო დაკავშირებული იყო სხეულთან, და გამოიყურებოდა როგორც შიში თავისი სიცოცხლის გამო, ხოლო მეორეს – სულთან, ესე იგი შიში ჰქონდა არ დაეკარგა თავისი იდეალები. მშიშარა ყოველთვის მიილტვის ღალატისკენ. ხარბი და შურიანი –

მომავალი მოღალატეა. ადამიანი, რომელიც ბილწსიტყვაობს, განსჯის სხვებს, შინაგანად ძალიან მიჯაჭულია მომავალზე და დამოკიდებულია მასზე. ისიც მომავალი მოღალატეა.

ყველაფერი, რაც მე ჩამოვთვალე, – ესენი სულში სიყვარულის დაკარგვის ფორმებია. რაც უფრო მეტად მიეჯაჭვება ადამიანი სულიერ და მატერიალურ სიკეთეებს და რაც უფრო დამოკიდებულია მათზე, მით უფრო მეტად მიდრეკილია სიცრუისა და ღალატისკენ. ყოველი ჩვენთაგანის სულში არსებობს მსგავსი მარცვალი, და იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით ვმოძრაობთ ჩვენ და როგორი ქმედებებით ვამყარებთ მიზნისკენ ჩვენს მოძრაობას, დამოკიდებულია როგორი ვიქნებით ჩვენ თვითონ და როგორი ადამიანებით ვიქნებით გარშემორტყმული.

ჩემთან მიღებაზე მოდიოდნენ ფირმის ხელმძღვანელები, რომლებსაც თანამშრომლები ღალატობდნენ. მიზეზი, როგორც წესი, იყო ერთი. ხელმძღვანელი თავიდან მთლიანად ენდობოდა თავის ხელქვეითს, შემდეგ გადასცემდა რა ხელმძღვანელობას მას, შეუმჩნევლად კარგავდა კონტროლს, შემდეგ კი დამოკიდებული ხდებოდა თავის ხელქვეითზე. მას უჩნდებოდა ხელმძღვანელის მიმართ უპირატესობის და უგულებელყოფის გრძნობა, შემდეგ კი იწყებოდა მოტყუება და ღალატი. თუკი ხელმძღვანელი თავის თავს აყენებს ხელქვეითზე დამოკიდებულებაში, მაშინ ის უნდა მოატყუონ და უღალატონ, რადგან, დამოკიდებულება რყვნის ადამიანს. ამიტომ ის, ვინც ხაზს უსვამს თავის დამოკიდებულებას ხელმძღვანელობის წინაშე, ესე იგი მლიქვნელობს, ლაქუცობს და პირმოთნეობს, ასეთი კაცი თითქმის ყოველთვის მოღალატეა.

შეიძლება მუდამ განვსაჯოთ ის, ვინც ჩვენ გვაწყენინა, ან შეიძლება დავიწყოთ ჩვენი თავის წესრიგში მოყვანა და შინაგანი დამოკიდებულების გადალახვა. მსგავსი მიიზიდავს თავის მსგავსს. თუკი ჩვენს გვერდით გაჩნდა მოღალატე, ასეთივე ზის ჩვენს შიგნით. მამასადამე, სამყაროსადმი ჩვენი შინაგანი მიჯაჭვულობა გადავიდა რაღაც სახიფათო ზღვარს და ასეთი ადა-

მიანის მეშვეობით გვაძლევენ ნიშანს, ჩვენი უკეთური მდგომარეობის შესახებ. გვიტაცებს რა სამართლიანი დასჯა, ჩვენ ვიგებთ აწმყოში და ვაგებთ მომავალში.

ქრისტე ცდილობდა ადამიანებისთვის შეეცვალა აზრების მიმართულება. ენერგიის დაბალ დონეზე დამნაშავის დასჯა ბუნებრივია და აუცილებელი, მაღალ დონეებზე კი საჭიროა ალზარდო, როგორც საკუთარი თავი ისე სხვებიც. ესე იგი ისწავლო იყო ისეთი, რომ ვერ შეძლონ შენი ღალატი. მაგრამ ქრისტე ხაზს უსვამდა, რომ იგი მოვიდა არა კანონების დასარღვევად, არამედ მათ შესასრულებლად. ეს ნიშნავდა, რომ ის არ უარყოფდა დასჯას, მაგრამ გვთავაზობდა ბევრად უფრო სრულყოფილ მოდელს: ადამიანის შეცვლას და გასვლას ისეთ დონეზე, სადაც უბრალოდ არ არსებობენ მოღალატეები და ნაღალატევნი.

წინააღმდეგობები, თავიდან ემორჩილებიან რა უარყოფის უარყოფის კანონს, შემდეგ იწყებენ ერთმანეთისკენ სწრაფვას და ერთიანდებიან ერთ მთლიანობაში, ამასთან ერთად არ ერწყმიან ერთმანეთს. და მაშინ თვითაღზრდა არ გამორიცხავს სასჯელს. კანონი „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ და კანონი „გაგარტყეს ერთ ლოყაში, მიუშვირე მეორე“ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. პატიება არ გამორიცხავს სასჯელს.

ხშირად ჩვენ არ შეგვიძლია დავსაჯოთ სხვა იმიტომ, რომ არ გვინდა მივაყენოთ მას ტკივილი. ეს არის ადამიანის სულის თაყვანისცემის დონე. ყველაზე დიდი ცდუნებაა – როდესაც საყვარელი ადამიანი ჩამოეფარება ღმერთს. და რაც უფრო მეტად მიეჯაჭვები საყვარელ ადამიანს, მით უფრო მეტად კარგავ ღმერთთან ერთობას. სულები ეწებებიან ერთმანეთს, და უკვე არ შეგიძლია ტკივილი მიაყენო და გაშორდე სხვა ადამიანის სულს. ხოლო, როდესაც სიყვარულს ტოვებს განშორების ტკივილი და მისგან თავის დაღწევა, რჩება მხოლოდ მიჯაჭვულობა, რომელიც ძალიან მალე იწყებს წყენის, ეჭვიანობის და უსულგულობის მომრავლებას. გადალახო სხვა ადამიანის სულის თაყვანისცემის გრძნობა, გადალახო უმაღლის გრძნობებზე დამოკიდებულება – ერთ-ერთი ყველაზე ძნელი ამოცანაა. ამიტომაც

ამბობდა ქრისტე, რომ ადამიანის მთავარი მტერი – მისი ოჯახის წევრებია.

სიტყვამ მოიტანა და, შინაურებზე. როდესაც ცუდად იქცევა შენი არცთუ ახლო ნაცნობი, მისი შეჩერება და დასჯა, შემდეგ კი მასთან ურთიერთობის გაწყვეტა – არის მისთვის დახმარების გაწევა. როდესაც ხულიგნობს და გაწყენინებს ახლობელი ადამიანი, იუდაიზმიდან უნდა გადავიდეთ ქრისტიანობაზე. მისი მკაცრად დასჯა და მოცილება ამ შემთხვევაში არაფერს არ მოგვცემს. საჭიროა მისი და საკუთარი თავის აღზრდა. ასეთ შემთხვევაში დასჯა არაეფექტურია. სიყვარული, მიჯაჭვულობის გადალახვა, სიმკაცრე და სირბილე ერთდროულად – მხოლოდ ამას შეუძლია სიტუაციის რეალური შეცვლა.

იუდაიზმისა და ქრისტიანობის რაღაცნაირი გაერთიანება მოხდა ისლამში, რომელიც გაჩნდა ქრისტეს დაბადებიდან ექვსასი წლის შემდეგ. ისლამში არის გენიალური ფორმულა, რომლის აზრი შემდეგში მდგომარეობს: შენ შეგიძლია დასაჯო ის ვინც შენ გაწყენინა, მაგრამ ათასჯერ უკეთესი იქნება, თუკი მას აპატიებ. ესე იგი მკაფიოდ განახებს, რომ პატიება დასჯაზე უფრო მაღლა დგას. მთავარია გაიგო ერთი რაღაცა: ყველანაირი სასჯელი არის აღზრდის საშუალება.

მაშინ როგორ არის დამნაშავისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი? შეიძლება ის იყოს სასჯელის ზომა? თურმე, შეიძლება იყოს, თუკი ყოველდღიურად, პატიმრობაში ყოფნის დროსაც, ბოროტმოქმედი არ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არამედ უფრო და უფრო ბრაზდება მთელ ქვეყანაზე და კარგავს სიყვარულის გრძნობას სულში, მაშინ ასეთ შემთხვევაში სიკვდილი აჩერებს რა ამ პათოლოგიურ პროცესს, გადაარჩენს მის სულს. მაგრამ, თუკი ყველაზე გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი მიდის ღმერთთან და ცდილობს შეიცვალოს, გაიწმინდოს თავისი სული, მაშინ სიკვდილით დასჯას არავითარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა არ ექნება, ასეთ შემთხვევაში სასჯელი გადაიქცევა დანაშაულად. ჩვენს ციხეებში დიდი ხანია დაიკარგა აღმზრდელობითი იდეა და პატიმრების სულის დახმარების

სურვილი. საბჭოთა კავშირში სასჯელი გადაიქცა დაცინვისა და პატიმრების განადგურების ფორმად.

იმ კაცისთვის, ვინც დაკარგა სიყვარული სულში, სხვისი დასჯა იქნება არა აღზრდა, არამედ სიძულვილი და შურისძიება. სამყარო ერთიანია, და ყველა ადამიანის სული ფაქიზ დონეზე გამოიყურება, როგორც ერთიანი სული, ამიტომაც ყველაზე უკანასკნელ ბოროტმოქმედის გამოსწორებასაც უნდა ვეცადოთ და დავეხმაროთ მას ამაში, ვინაიდან, როდესაც ის მოკვდება, მისი სული, გავა რა ფაქიზ დონეზე, დაიწყებს საერთო საკაცობრიო სულის დაბინძურებას, და ყველაზე სრულყოფილი სასჯელთა სისტემა ვერ დაეხმარება, სანამ დასჯა არ გადაიქცევა აღზრდად, შემდეგ კი, დახმარებად.

„სამყარო ერთიანია, – განვაგრძობ ფიქრებს მე, – და ყველაფერი მასში ურთიერთდაკავშირებულია. რა მიმართულებითაც შენ მოძრაობ, ისეთი იქნება შენი ხასიათი, შენი ქმედებები და შენი ბედი, ისეთივე იქნებიან ადამიანები შენს გარშემო და გარესამყაროც. სწორი გზის არჩევა შენზეა დამოკიდებული“.

## პირველი ნაბიჯი

ბენ-გურიონის სახელობის აეროპორტში დაჯდომამდე რჩება ერთი საათი. დაჯდომის შემდეგ იქნება ჩვეულებრივი პროცედურა, საპასპორტო კონტროლის გავლა – უაზრო და დამამცირებელი შემოწმება, რომელიც ადრე იყო, ახლა არ ხდება. რამდენიმე წლის წინ კი ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, რუსები, ჩამოვიდოდნენ რა თვითმფრინავიდან, საათობით ელოდებოდნენ შემდეგ შემოწმებას. ყველაფერი ეს გაგონებდა საბჭოთა რუსეთს მისი უაზრო ღონისძიებებითა და პროცედურებით. იდეის თაყვანისმცემელი ადამიანი, კარგავს რეალობის ობიექტურად შეფასების უნარს. ეშინოდათ რა მითიური გარეშე მტრის შემოღწევისა, ისრაელები საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ ყოველ ჩამოფრენილ ადამიანს, და მაშინ პრობლემა მოვიდა შიგნიდან: ქუჩებში, კაფეებში და მაღაზიებში გაისმა აფეთქების ხმა. ამის შემდეგ აღდგა საღი აზრი. შეწყვიტეს უცხოელების ჩხრეკა, და გადაერთვნენ საკუთარ, შინა პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირიც თავის გარშემო ხედავდა მხოლოდ მტრებს, ის ვერ გებულობდა, რომ თვით სოციალიზმის კონცეფციაა აგრესიული და მას აუცილებლად მიჰყავხარ კონფლიქტებამდე და ომამდე. მახსენდება კლასიკური განსაზღვრება: პოლიტიკა – ეს არის კონცენტრირებული ეკონომიკა. და მართლაც, ომები იწყებოდა ეკონომიკური კრიზისები დროს. ტერიტორიების, საჭმლის, ენერგორესურსების უკმარისობა უბიძგებდა კონფლიქტებისკენ. ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის მწვავდება მაშინ, როდესაც მწვავდება ენერგეტიკული რესურსების გადანაწილების საკითხი. უყურებ რა მიმდინარე პროცესებს, ვრწმუნდები, რომ პოლიტიკა – ეს არის არა მარტო ეკონომიკა, პოლიტიკა, – პირველ რიგში, ეს არის ფსიქოლოგია. არასწორ მსოფლმხედველობასა და ყალბ იდეებს შეუძლიათ მოსპოს უფრო მეტი ხალხი, ვინემ ყოველგვარ იარაღს.

რამდენიმე ათეული წლის წინ ჩატარდა საინტერესო გამოკვლევა. ავტორმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მრავალი

სახელმწიფოს დაღუპვის მიზეზი იყო მათი ლიდერების თვითმკვლელური ქმედებები. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მთავარი ინტრიგა მთლად ამაში არ მდგომარეობდა. გასაკვირი ის იყო, რომ ლიდერი რომელიც კლავდა თავის ქვეყანას, დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანას შველოდა. ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, საინტერესო იყო რატომ გახდა შესაძლებელი ასეთი ფენომენის ჩამოყალიბება, და შესაძლებელია თუ არა დაიხატოს იმ ადამიანის პორტრეტი, რომელმაც მოკლა თავისი ხალხი და სახელმწიფო? ყველგან ვხედავდი ერთსა და იმავე სურათს: ყოჩი ყოველთვის მიუძღვება ცხვრის ფარას და უჩვენებს მას გზას. ყველა ხელმძღვანელმა უნდა წარადგინოს მომავალი, საითაც მიისწრაფის. და თუკი საზოგადოება დაიწყებს მომავლის თაყვანისცემას და გახდება მასზე დამოკიდებული, მაშინ ეს ტენდენცია, ბუნებრივია, ყველაზე მკაფიოდ ლიდერში აისახება. თვითმკვლელური ემოციები და საზოგადოების მსოფლმხედველობა აისახება ლიდერის კატასტროფულ ქმედებებში.

ნიკოლოზ II ძალიან კეთილი და წესიერი ადამიანი იყო. ამ მისმა სირბილემ გახადა იგი სხვებზე დამოკიდებული, მათ შორის ცოლზე. ამიტომ მას არ შესწევდა უნარი გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი და გაეტარებინა მომწიფებული რეფორმები. ის ცხოვრობდა თავის ლამაზ და სულიერ სამყაროში, რომელიც დაშორებული იყო არსებულ მკაცრ რეალობას.

ლენინი ესწრაფოდა შეექმნა მის მიერ ჩაფიქრებული ბედნიერი სამყარო და ცდილობდა გაენადგურებინა რეალობა, რომელიც არ შეესაბამებოდა მომავალზე მის შეხედულებებს. მაგრამ ძალიან მალე იგი შეძრწმუნებული მიხვდა, რომ იდეა, რომლისკენაც ის მიისწრაფოდა აუსრულებადი და არასწორი იყო. ის მუდამ ლაპარაკობდა დიალექტიკაზე, მაგრამ არ იცოდა, რომ კოლექტიური აზროვნება ვითარდება მხოლოდ ინდივიდუალურთან ურთიერთქმედებაში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება მისთვის იყო კატასტროფა, იმიტომ, რომ ის აბსოლუტურად არ თავსდებოდა კომუნიზმის იდეაში, რომელიც გამორიცხავდა კერძო საკუთრებას. ბელადი იდგა მკაცრი არჩე-

ვანის წინაშე: ან გაანადგუროს თავისი ხალხი და დაღუპოს რუსეთის სახელმწიფო ან მიიღოს თავისი იდეის კრახი. საჭიროა ღირსეულად შეფასდეს მისი საქციელი — მან აირჩია მეორე. მაგრამ შინაგანად ამის მიღება მაინც ვერ შეძლო. მასში წარმოიქმნა შინაგანი მოთხოვნა სიცოცხლის უარყოფისა, და თვითგანადგურების პროგრამამ ის რამდენიმე წელიწადში მოკლა.

კომუნიზმმა დაასაბუთა კოლექტიური აზროვნების აუცილებლობა — სრულიად კანონზომიერად, ახალი უარყოფდა ძველს და ებრძოდა მას. მაგრამ შემდეგ ეტაპზე ახალი უნდა დაუბრუნდეს ძველს და შეიყვანოს იგი თავის თავში. კომუნიზმსაც დროთა განმავლობაში ასევე უნდა შეეთავსებინა ერთმანეთისთვის კოლექტიური და კერძო საკუთრება. რა არის კოლექტიური საკუთრება? ეს ძალიან დიდ მასშტაბში გაზრდილი იგივე კერძო საკუთრებაა. შეუძლია ადამიანს აკონტროლოს მთელი ქვეყანა ისე, როგორც აკონტრილებს თავის ბოსტანს? პასუხი ძალიან მარტივია: ვერასდროს ვერ შეძლებს. ქვეყნის ასე თუ ისე მისაღები კონტროლისთვის, საჭიროა ენერგიის უმაღლესი დონე და შესაბამისი კანონმდებლობითი შესაძლებლობები. კოლექტიური აზროვნებიდან ჩნდება ინდივიდუალური, ის ეწინააღმდეგება კოლექტიურს, ებრძვის მას, შემდეგ კი, დადის რა გარკვეულ ზღვრამდე, ან გადაგვარდება და იღუპება, ან მიისწრაფის კოლექტიურისკენ და უერთდება მას.

თვითონ ფაქტი კომუნიზმის იდეის წარმოშობისა იყო ინდივიდუალური დასავლური ცნობიერების განვითარების კანონზომიერი ეტაპი. კოლექტიური წინ აღუდგა ინდივიდუალისტური ცნობიერების მატერიალურ ეგოიზმს. მაგრამ ცდილობდა რა მთლიანად განცალკევებულიყო ძველისგან, ახალმა დროთა განმავლობაში, თვითონ იწყო დაღუპვა. თანამედროვე მსოფლიო დაბნეულია, ისტორიამ გამოუტანა განაჩენი სოციალიზმს, მაგრამ უფრო ადრე, მან განაჩენი გამოუტანა კაპიტალიზმს. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგოს გაერთიანება გაურკვეველი მიზნის მქონე ადამიანს არ შეუძლია, იმიტომ, რომ მიზანი ამართლებს არამარტო საშუალებას, არამედ ადამიანის სულის მდგომარეობას.

მიზანი, რომელსაც ეთაყვანებოდა და რომლისკენაც მიისწრაფოდა ლენინი, იყო ძალიან შორს, ნათელ მომავალში. ის არღვევდა რა წინააღმდეგობათა ერთიანობას, ეთაყვანებოდა ყოფიერების მხოლოდ ერთ მხარეს. ამიტომ მის სულში იყო ნაკლები სიყვარული, და მას არ შეეძლო დაენახა სამყაროს ჭეშმარიტი სურათი. იგი, მომაკვდავი და უძლური, ხედავდა, თუ როგორ იკრებდა ძალას ხალხის განადგურების პროცესი, მარამ უკვე არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

მომავლის თაყვანისცემის პროცესმა და ადამიანიების გაერთიანებისკენ სწრაფვამ მოიცვა მთელი რიგი ქვეყნები. ფული, რომელსაც ეთაყვანება კაპიტალიზმი, აცალკევებს ადამიანებს, გადაქმნის მათ ცნობიერებას ინდივიდუალისტურად. ეს სხეულის ეგოიზმია. ერთიანი მიზანი და საერთო იდეები, მიმართული მომავლისკენ, პირიქით, აერთიანებს ადამიანებს, აძლიერებს მათ კოლექტიურ ცნობიერებას. ეს სულის ეგოიზმია.

შეპირდა რა ნათელ მომავალს, ჰიტლერიც შეეცადა გაეერთიანებინა თავისი თანამემამულენი. მაგრამ კოლექტიური ცნობიერება მის სისტემაში არ ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალურს და უარს არ ამბობდა მასზე. სიყვარულის მეშვეობით აძლიერებენ რა შინაგან ერთობას, დაპირისპირებულებმა უნდა იბრძოლონ ერთმანეთთან და უნდა დადგნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს. აი ეს არის განვითარება. ფაშიზმში ორმა ურთიერთსაწინააღმდეგომ მახინჯი ფორმით დაიწყეს ერთმანეთთან შერწყმა, რამდენადაც მათი მიზანი იყო ნათელი მომავალი გამორჩეული ადამიანების პატარა ჯგუფისთვის.

სოციალიზმი იყო კაცობრიობის განვითარების კანონზომიერი ეტაპი და კრახით დასრულდა, იმიტომ, რომ ადამიანთა ცნობიერებამ ვერ შეძლო ერთდროულად დაემახსოვრებინა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო. მაგრამ ნებსით თუ უნებლიედ, მსოფლიო თანამეგობრობა სარგებლობს ამ გამოცდილებით, რადგან კოლექტიური ცნობიერების გარეშე გადარჩენა შეუძლებელია.

კომუნისტებს, ასე თუ ისე, სულში მაინც ჰქონდათ სიყვარუ-

ლი და ადამიანთა დახმარების სურვილი, ამიტომაც ურთიერთსაწინააღმდეგონი არ შეზრდიან ერთმანეთს და მიდიოდა განვითარება. ფაშისტების გულში იყო მხოლოდ სიხარბე და უპირატესობის გრძნობა. ამიტომაც ორმა ურთიერთსაწინააღმდეგომ ფაშიზმში მაშინათვე იწყო ერთმანეთთან შეზრდა და ურთიერთგანადგურება. ჰიტლერი არ ინდობდა არავის, და შეგნებული ჰქონდა რა თავისი სახელმწიფოს კრახი და დაღუპვის გარდაუვალობა, მაინც აგზავნიდა ომში ათი ათასობით ახალგაზრდას, ეგრეთ წოდებულ ახალგაზრდულ ბრიგადებს. ამასთან, მის გულში არ გაჩენილა არავითარი სინანული, ეს იმიტომ, რომ იქ პრაქტიკულად არ იყო სიყვარული.

ქრისტე თავის მოსწავლეებს აცნობდა უდიდეს ჭეშმარიტებებს, მაგრამ იმ დროს მოწაფეებისთვის ძნელი იყო ამის გაგება. ის ტაძრიდან აძევებდა მოვაჭრეებს, აყირავებდა ფულის გადამცვლელთა დახლებს და ამასთან ერთად ასწავლიდა, რომ არ შეიძლება ძალადობას დაუპირისპირო ძალადობა. ის ლაპარაკობდა მოყვასის სიყვარულზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მთავარ მცნებაზე, ხოლო შემდეგ ამბობდა, რომ ადამიანის მთავარი მტრები — მისი შინაურებია. ადამიანები ვერ უძლებდნენ ამ ჭეშმარიტების ფლობას, და ქრისტიანობაში ხედავდნენ მხოლოდ მედლის ერთ მხარეს: ბოროტებისადმი წინააღუდგომლობას, თავგანწირვას და მოყვასის სიყვარულს. მაგრამ, ადრე თუ გვიან, ამ ტენდენციის ნაცვლად უნდა მოსულიყო სხვა. უარის თქმის მაგივრად — კეთილდღეობის თაყვანისცემა, მოყვასის სიყვარულის ნაცვლად — საკუთარი თავის თაყვანისცემა, თავგანწირვის ნაცვლად — მომხმარებლობა. მეათე საუკუნიდან კათოლიციზმში თანდათანობით დაიწყო გაძლიერება საწინააღმდეგო ტენდენციებმა. წინააღმდეგობები გათანაბრდნენ აღორძინების ეპოქის დასაწყისისთვის, რომელიც თანდათან გადაიქცა გადაგვარების ეპოქად. ამ მეორე ტენდენციამ კათოლიკური ეკლესია და მასთან ერთად მთელი დასავლური ცივილიზაცია მიიყვანა მძიმე კრიზისამდე.

ქრისტეს უყვარდა სიცოცხლე და უარს ამბობდა მასზე. კათო-

ლიკობაც თავიდან უარს ამბობდა სიცოცხლეზე, შემდეგ კი შეუმჩნევლად იწყო მისი თაყავნისცემა. თაყვანს სცემდა რა სიცოცხლეს, დასავლეთის სამყარო ძალაუნებურად ქედს იხრის მისი ყველა გამოვლინებისადმი. ქალი, სექსი, ბავშვი – ყველა ესენი სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოებია, ესე იგი მომავლის.

თავიდან ადამიანი ეთაყვანება მატერიალურ, რეალურ სამყაროს, შემდეგ კი სულიერ სამყაროს, ესე იგი, მომავალს. ამის შემდეგ ის, აერთიანებს რა მატერიალურ და სულიერ სიკეთეებს, უნდა მიისწრაფოდეს შემოქმედისკენ. თუკი ეს არ ხდება, წინააღმდეგობები, ვერ ახერხებენ რა გაერთიანებას უმაღლეს დონეზე, ანადგურებენ ერთმანეთს ან, შეეზრდებიან ერთმანეთს და მაინც იღუპებიან. აწმყო მოდის წარსულიდან, და იღებს რა ენერგიას მომავლიდან ვითარდება და არსებობს, მაგრამ როდესაც მომავალი გადაიქცევა მიზნად, ჩვენ ვკარგავთ მას აწმყოსთან ერთად. და როდესაც შევიგნებთ, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი მიზნები, ვინემ მომავალია, მაშინ ჩნდება აღორძინების შანსი. გადარჩება ის, ვინც შეიგნებს, რომ არსებობს იმაზე უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი ბედნიერება, ვინემ საყვარელი ადამიანი, სექსი, ოჯახი და თვით სიცოცხლეა. არის ბედნიერება ბევრად უფრო მაღალი, ვინემ ყველა ადამიანისთვის მაძღარი და ბედნიერი მომავალია. არის ბედნიერება იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ შენი ინსტინქტების და სურვილების დაკმაყოფილებაა.

თვითმფრინავი იწყებს რყევას და ეკიპაჟი გვამცნობს დასაშვებად მომზადების შესახებ. „საინტერესო ქვეყანაა ისრაელი, ვფიქრობ მე, – მას არა აქვს კინსტიტუცია, ე.ი. ქვეყნის მთავარი კანონი, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი მიმართულებით წავიდეს ქვეყანა. იგულისხმება, რომ ეს მიმართულება უკვე განსაზღვრულია რელიგიით“. იუდაიზმის არსი მდგომარეობს მცნებებში, რომლებიც მოცემულია თორაში. ყველა ისინი გამომდინარეობენ ათი მცნებიდან, რომლებიც ოდესღაც მიეცა მოსეს. ისრაელის კანონებმა უნდა უბიძგონ ადამიანებს ათი მცნების დაცვისკენ. და აი იწყება პრობლემა. ისრაელის სისხლის და სა-

მოქალაქო სამართლის კანონმდებლობები წარმოადგენს ინგლისური მართლმსაჯულების მემკვიდრეს, რადგანაც ეს ტერიტორიები ადრე ინგლისის მიერ იყო ოკუპირებული. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისრაელზე დიდ ზეგავლენას ახდენს ამერიკა. მაგრამ დასავლეთის კანონმდებლობაში სულ უფრო ძლიერ ფორმდება ადრე დაფარული კერპთაყვანისმცემლობა. მატერიალური ფასეულობების, სიცოცხლის და სურვილების თაყვანისცემა შეუმჩნევლად ხდება ნორმა. და გამოდის, რომ სახელმწიფო მკაფიოდ და თანმიმდევრობით ანადგურებს ებრაელ ხალხს მის რწმენასა და სულიერებასთან ერთად.

ორი ათასი წლის წინ ისრაელმა, როგორც სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა — ფორმა განადგურებულ იქნა იმიტომ, რომ შენარჩუნებულიყო შინაარსი. ებრაელი ხალხი გადარჩა ცოცხალი და კვლავ შექმნა სახელწიფო. თუკი არ ყოფნის სიყვარული, მაშინ შინაარსი, ესე იგი ფაქიზი სულიერი ენერგია, იწყებს დასუსტებას, და ფორმა იწყებს შინაარსის დახრჩობასა და განადგურებას. ფაქიზი სულიერი ენერგია — ეს არის მომავალი. ორი ათასი წლის წინ ებრაელი ხალხისთვის ფორმა გახდა შინაარსზე უფრო მნიშვნელოვანი.

ჭეშმარიტი შინაარსი, არსი, მარცვალი, სამყაროს დნკ — ეს არის სიყვარული და ღმერთთან ერთიანობა, ხოლო ფორმას კი წარმოადგენს არსებობის მატერიალური და სულიერი ასპექტები. თავის მხრივ, ფორმაც იყოფა ორ ურთიერთსაწინააღმდეგოდ: სულიერ და მატერიალურ შემადგენლებად. უმაღლესი ენერგია მოდის მხოლოდ შენს მიერ სამყაროზე უარის თქმისა და ღმერთისაკენ მისწრაფების შემთხვევაში. თუკი ეს იმპულსი სუსტდება, თანდათან ქრება ურთიერთწინააღმდეგობების შემდგომი დონე, სუსტდება სულიერება, შემდეგ კი იფანტება მატერიალური.

„რა საინტერესოა, — ვფიქრობ მე, — როგორ იცვლება სამყაროს სურათი სულის განვითარებისა და სიყვარულის უნარის არსებობისას. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ წმინდა სამების დოგმატში ჩადებული იყო უმაღლესი აზრი, მაგრამ ვფიქრობდი,

რომ ძე ღმერთი და სულიწმიდა — ეს იყო ხილული და უხილავი სამყარო, ხოლო მამა ღმერთი იმყოფებოდა დროების იქით. ეტყობა, მე ვცდებოდი. ხილული და უხილავი სამყარო, ალბათ, უნდა ჩაითვალოს ძე ღმერთად, სულიწმინდა იმყოფება სამყაროსა და დროების მიღმა, ხოლო მამა ღმერთი — ეს არის სულიწმიდა და ძე ღმერთი ერთ მთლიანობაში. თუკი ჩვენ ვსაუბრობთ შემოქმედზე და მის მიერ შექმნილ სამყაროზე, მაშინ, რაღაც ნაწილში ჩვენ ვლაპარაკობთ ორ ურთიერთსაწინააღმდეგოზე და ვიწყებთ ერთმანეთს დავუპირისპიროთ შემოქმედი და მის მიერ შექმნილი სამყარო. მაგრამ ღმერთი ერთია და, მაშასადამე, სამყარო და ის, რისგანაც ის წარმოიშვა, წარმოადგენენ მხოლოდ ასპექტს ერთიანი და მარადიული შემოქმედისა".

მე ვცდილობ გავიაზრო ეს, მაგრამ არ გამომდის. ხდება რაღაც ნეიტრალიზაციის რეაქციის მსგავსი. როდესაც ერთი ჭეშმარიტებიდან გადადიხარ მეორეზე, უფრო მაღალზე, რაღაც მომენტში ვარდები სტუპორში. „ასე რომ, — ვფიქრობ მე, — ალბათ, უკეთესია არ შევეხო ამ თემას. ჯერ-ჯერობით ეს ჩემს ძალებს აღემატება. ღმერთი ინებებს, და ოდესღაც შევძლებ გავიგო, მაგრამ, ალბათ, შესაძლებელია ეს მხოლოდ ვიგრძნო, ისიც მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით. ასე, რომ ცნობიერება, ალბათ, საჭიროა უკუვაგდოთ".

მეორე დღეს მე გავიღვიძე მშვენიერ ხასიათზე. საინტერესოა, რა პრობლემები ექნებათ იმათ, ვინც ლექციებზე მოვლენ? ალბათ, როგორც ყველას, მომავლის პრობლემები. მივდივარ გამწვანებული ქუჩით, უყურებს მზის სხივებით გაცისკროვნებულ ხეებს. მახსენდება საუბარი ჩემს ნაცნობთან.

უახლოეს წლებში შესაძლებელია მთელ მსოფლიოში წამოიჭრას პრობლემები, — ვუთხარი მე მას. — ჩემი წესია — არ ჩავიხედო მომავალში, მაგრამ აქ ნათელმხილველობის გარეშეც ნათელია, რომ სიტუაცია კრიტიკულია.

— მე ვიცი, თუ როგორ არ იხედები შენ მომავალში, — გამიღიმა მან, — მახსოვს, როგორ გეხვეწებოდი რამდენიმე თვის წინ მოგეთხრო ჩემი მომავლის შესახებ. შენ დიდ ხანს უარზე იდე-

ქი, მაგრამ დამთანხმდი და მითხარი, რომ მე მალე დავშორდებოდი ქმარს, შემდეგ ისევ გავთხოვდებოდი და შემეძინებოდა ერთი ვაჟიშვილი. მე მშვენიერი ოჯახი მქონდა. და ყოველივე ეს ჩემთვის ისეთი შოკისმომგვრელი იყო, რომ მთელი დღე ვტიროდი, შემდეგ კი გითხარი, აწი არასდროს არ გეწინასწარმეტყველა ჩემთვის, იმ შემთხვევაშიც კი მუხლებზე დაჩოქილი შეგეხვეწებოდი ამის შესახებ. ნუთუ არ გახსოვს?

მე შეცბუნებულმა მხრები ავიჩეჩე.

— სიმართლე გითხრა, არ მახსოვს. მართლა, როგორაა უმცროსი ვაჟის საქმე?

— ყველაფერი ნორმალურად, — ილიმება იგი, — და ახლანდელი ქმრის საქმეებიც ნორმალურადაა.

„ჩვენი ბედი, ვფიქრობ მე, — ეს არის ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე გადასვლა, და ჩვენი დანიშნულების შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია, ის გვეძლევა ზემოდან. მაგრამ მიზანთან მისვლა შეიძლება სხვადასხვა გზებით. ზოგნი მას აღწევენ ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის და სიკვდილის მეშვეობით, ხოლო სხვები რომლებსაც მეტი სიყვარული აქვთ, — არ კარგავენ არაფერს, არამედ იძენენ. ერთისთვის, რომ შეიცნოს ღვთაებრივი, საჭიროა მოიპაროს, დააყაჩაღოს, ულალატოს, და ამისათვის სამაგიეროდ გაიღოს სულიერი სიცარიელე და მატერიალურისადმი თაყვანისცემა, შემდეგ კი გახდეს ავად, და მოკვდეს, თან ქვეცნობიერდ იგრძნოს, რომ მისი შვილების უბედურება დაკავშირებულია მასთან. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანი შეიძენს სიყვარულს. მეორე იცავს რა მცნებებს შეიკავებს სურვილებს და აგრესიას, ჩქარა გაიელის ტანჯვის გზას და გაიმრავლებს სიყვარულის გრძნობას. სიყვარულამდე მივლენ ყველანი, მხოლოდ სხვადასხვა გზებით და სხვადასხვა პრობლემების გავლით. მთავარია, ეს გრძნობა არ შეეზარდოს ადამიანურ ბედნიერებას, და არ გაიგივდეს მასთან.

ახლახან ჩემმა ნაცნობმა მიამბო საინტერესო ისტორია:

— მე ჩამოვდიოდი ტრამვაიდან და დავინახე ქალი, რომელსაც მოჰქონდა მძიმე ჩანთები. დავეხმარე ჩანთების ჩამოტანა-

ში, რაზეც მადლობა გადამიხადა. თავიდან მე მქონდა სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნება, მაგრამ შემდეგ სულში გამიჩნდა რაღაც შავბნელი გრძნობა. შევეცადე გავნეიტრალებულიყავი და მივყოლოდი ჩემს გრძნობებს და უცებ, გაკვირვებულმა დავინახე, რომ თურმე გამჩენია გრძნობა, თუ რამდენად მართალი და სამართლიანი პიროვნება ვარ. ანუ, სხვების თვალში მე მოვიქეცი სწორად, მე სწორი ვარ. – იცით როგორი გრძნობა გამიჩნდა შემდეგ? – შემეკითხა იგი.

პასუხად მე გაოცებულმა თავი გავიქნიე.

– ასე რომ, შემდეგი გრძნობა იყო ასეთი: ახლა ღმერთს მე ვუყვარვარ და დამიცავს.

– სრულიად ლოგიკურია, – გავიღიმე მე. – როდესაც ჩვენ ვეხმარებით სხვას და რაღაცას მსხვერპლად ვიღებთ, ჩნდება ფიზიკური დაუცველობის გრძნობა. და თუ სულში ღმერთის სიყვარული არასაკმარისია, ჩვენ ვცდილობთ შევცვალოთ იგი სულისა და სამშვინველის დაცულობით. სამშვინველის დაცულობა – ეს არის სიმართლე და სამართლიანობა. სულის დაცულობაა – როდესაც შენ ვიღაცას უყვარხარ და, როდესაც სხვებზე უპირატესობის შეგრძნება გაქვს. და თუკი სხვების დახმარების პირველი იმპულსი მოდის სიყვარულიდან, ჩვენ არ გვჭირდება დავეყრდნოთ უპირატესობას, სიმართლეს და სტაბილურობას. როდესაც ადამიანი ეხმარება სხვების დასანახად, მაშინ სიყვარულის ნაცვლად ის ეყრდნობა თავის წესიერებას და სიმართლეს. აი, რატომაა ბიბლიაში ნათქვამი, რომ მსხვერპლი არ უნდა იყოს დემონსტრაციული.

– ისლამში არის შესანიშნავი ფორმულა, – თქვა ჩაფიქრებულმა ჩემმა ნაცნობმა, – ვისაც არ უნდა ეხმარებოდე და სწირავდე მსხვერპლს, ის ყოველთვის ღმერთისთვის შეწირული მსხვერპლია.

– სწორია, როდესაც ადამიანი მსხვერპლს სწირავს, ის ეხმარება პირველ რიგში სიყვარულს, და შემდეგ კი სულს, სამშვინველს და სხეულს. მართლა, იცით, როგორ ჩნდებიან დამნაშავენი? დაუშვათ, ადამიანი აკეთებს კეთილ საქმეებს და მუდამ

ეხმარება სხვებს. ყოველი ასეთი დახმარების დროს, ის ლახავს თავის ფიზიკურ ბედნიერებას და, თანდათანობით სულ უფრო ძლიერ, ამაყობს თავისი ალალმართლობითა და გულკეთილობით. „მე ღმერთის რჩეული ვარ, – ფიქრობს ის, – მე ყველაფერს სწორად ვაკეთებ“. მაგრამ რაც უფრო მეტად ეთაყვანება თავის სულს და სამშვინველს, მით უფრო მტკიენეულად განიცდის თავისი წესიერებისა და ალალმართლობის დამცირებას და სულ უფრო გაბოროტებით უყურებს უზნეო და უსამართლო ადამიანებს. შემდეგ ავად ხდება და მოულოდნელად ამჩნევს, რომ სიძუნწე შველის, ამ დროს ის გრძნობს სულიერ სიმსუბუქეს. და მართლაც, როდესაც ადამიანი მთელი არსით იძირება მატერიალურში, ფაქიზ სულიერ ასპექტებზე დამოკიდებულება მცირდება. მართალია, შემდეგ იქნება უფრო უარესი, ანუ, ეს გაგრძელდება მანამ, სანამ, ადამიანი არ ისწავლის დააყენოს სიყვარული მომაღალზე უფრო მაღლა, ესე იგი ზნეობრიობაზე, სიკეთეზე და სამართლიანობაზე მაღლა.

ვიხსენებ ჩემს პრობლემებს, რომლებიც შემექმნა მეთორმეტე წიგნზე მუშაობის დროს. როდესაც ამტკივდა მხარი და ვერაფრის დიდებით ვერ გავიგე, თუ რისი ბრალი იყო. მაშინ შევეცადე შემეხედა პრობლემისთვის სხვა მხრიდან. ჩემმა ნაცნობმა მიიხრა, რომ აღმოსავლეთში იყო ვიღაც უნიკალური მკურნალი, რომელთან მკურნალობა ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ სამაგიეროდ ის არ იყო თაღლითი. როგორც მან მაცნობა, ახლახან მან მოარჩინა ერთი ახალგაზრდა კაცი ბეხტერევის ავადმყოფობისგან.

– ჩვენ გვინდოდა დავხმარებოდით ჩვენს საერთო ნაცნობს, და გავუგზავნეთ მკურნალს მისი ფოტო. მან გახედა და თქვა: „ამ ადამიანს აქვს მეოთხე სტადიის კიბო. დრო დარჩა მცირე, მაგრამ მე შემიძლია დავეხმარო“. იმ მამაკაცს ვის ფოტოსაც გახედა მკურნალმა, მართლაც მეოთხე სტადიის კიბო ჰქონდა, მაგრამ რატომღაც არ მოისურვა მკურნალობა და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

მოვისმინე რა ეს ინფორმაცია, გადავწყვიტე მეც ასე მოვქცე-

ულიყავი. რამოდენიმე ხანში ნაცნობებმა გადააგზავნეს აღმოსავლეთში ჩემი ფოტოსურათი. ხოლო კიდევ რამდენიმე კვირაში მე შევხვდი იმ კაცს, ვინც ჩემი ფოტოსურათი გადასცა.

— რა თქვა მკურნალმა? — შევეკითხე დაინტერესებულმა.

კაცი დაფიქრდა.

— პირველი, რაც მან თქვენი ფოტოსურათის ნახვისთანავე თქვა, იყო ის, რომ თქვენ კარგი კაცი ხართ, მეორე კი, ის რომ, თქვენ გაქვთ დიდი პრობლემები სახსრებთან დაკავშირებით.

— მხარი? — ჩქარა შევეკითხე მე.

— არა, უფრო ალბათ მუხლები, ამასთან მან თქვა, რომ დროის გასვლასთან ერთად, გექნებათ საშინელი ტკივილი და თქვენ არ შეგეძლებათ სიარული. და რომ მას შეუძლია მოგარჩინოთ.

— რა დამიჯდება ასეთი მკურნალობა? — შევეკითხე მე.

თანხა დაახლოებით მოსკოვში ოროთახიანი ბინის ფასი იყო.

— ეს, რა თქმა უნდა, ძვირია, — მობოდიშებით თქვა კაცმა, — მაგრამ მე გადმოგეცით მისი სიტყვები.

— საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ფარდობითია, — უპასუხე მე, — თირკმლის ან ღვიძლის გადანერგვაც ამდენივე ღირს. გადაეცით, გეთყვა, ჩემი გულწრფელი პატივისცემა მკურნალს და ჩემი აღფრთოვანება მისი ტალანტით. ის მართლა პროფესიონალია.

— სხვათა შორის, — გამოცოცხლდა თანამოსაუბრე, — როდესაც ის ვინმეს მკურნალობს თავისი ბალახებითა და ენერგიით, პაციენტს ეცვლება ხასიათი. ის ახალგაზრდა, რომელიც უნდა მომკვდარიყო ბეხტერევის ავადმყოფობით, სანამ ავად გახდებოდა, იყო სასტიკი, კატეგორიული და სულ მუდამ სხვას კიცხავდა. ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ მე დავინახე მასში გასაოცარი ცვლილებები. ეხლა მისთვის საყვარელი გამოთქმაა: „უბრალოდ ეს შენ გულთან ახლოს არ მიიტანო“.

— მეჩვენება, რომ ყველაფერი ცოტა სხვანაირად იყო, — ვუპასუხე მე, — ის გამოჯანმრთელდა მას შემდეგ, რაც მოხდა მისი ხასიათის შინაგანი ცვლილება.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — მკითხა გაკვირვებულმა თანამოსაუბრემ.

— ახლა უკვე არ ვიცი, — ვუპასუხე.

საღამოს მე მივედი სახლში და ცოლს ვუთხარი: ჩაიფიქრე სამი კაცი, მათ შორის მე". მან ჩაიფიქრა და მე, ბრმად შევუდექი დიაგნოსტირებას.

— პირველის მდგომარეობა ცუდი არ არის, — დავიწყე, — მეორე მკვდარია, მომავლის მარაგი პრაქტიკულად არა აქვს, ის კრიტიკულზე სამჯერ უფრო დაბალია. ამ კაცს თავისი სიმართლის და სულიერი უპირატესობის გამწვავებული გრძნობა აქვს. მიიღოს სულის შეურაცხყოფა და ღალატი მას არ შეუძლია, ამიტომ აქამდე შინაგანად მასში შენარჩუნებულია ქალების მიმართ დიდი აგრესია. აკი ყველაზე უფრო ძლიერი ტკივილი იქაა, სადაც ყველაზე მეტი სიამოვნებაა.

— როგორღაა მესამის საქმე? — ცნობისმოყვარეობით შემეკითხა ცოლი.

— მესამეს ყველაფერი ნორმალურად აქვს, ძალიან გულკეთილი და ჰარმონიული ადამიანია. — და მოუთმენლად ვკითხე: — მესამე — ეს ხომ მე ვარ?

— არა შენ მეორე ხარ, — მიპასუხა ცოლმა.

— ყველაფრი ემთხვევა, ვუთხარი მე. — სახსრების პრობლემა — ეს ეჭვიანობაა, ასე ვუხსნიდი ყოველთვის პაციენტებს. თუკი მაღალი გრძნობები, დაფარავენ ღმერთის სიყვარულს, მაშინ მათ თაყვანისცემას მივყავართ აგრესიულობამდე და მომავლის დანგრევამდე, იმიტომ რომ მომავალი, ზეფაქიზი დონეები და უმაღლესი გრძნობა — ერთი და იგივეა. ეტყობა, ეს პრობლემა ზის არა მარტო ჩემში, არამედ შვილებშიც. შვილების განწმენდისთვის საჭიროა გადაილახოს მომავალზე დამოკიდებულება.

მე ვიჯექი და ვფიქრობდი: გულწრფელად უნდა გამოვუტყდე საკუთარ თავს, რომ მე ჯერ კიდევ არ შემიძლია შევინარჩუნო სიყვარული, როდესაც უსამართლოდ მექცევიან, და ასე რომ ვთქვათ, სულში მაფურთხებენ. გამოდის რომ, მე ჯერ კიდევ არა მაქვს აწყობილი პრიორიტეტების სისტემა. როდესაც მე

დავიწყე ახალი წიგნის წერა, დაჩქარდა ყველა პროცესი და მომავალმა პრობლემებმა აქტიური რეალიზება იწყეს აწმყოში. უცებ ამ პრობლემების შეცნობის შემდეგ, მე დამეწყო ჯანმრთელობის მკვეთრი გამოკეთება.

**ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით. გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამოგიცხადე. ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე შენი სახლის წირთხლებს და კარებს (რჯლ. 6, 4-9).**

ჩემს წინ ზის რამდენიმე ათეული ადამიანი. მათ წაკითხული აქვთ ჩემი წიგნები და ნანახი აქვთ ვიდეოფილმები. ყოველთვის, როდესაც მე ვკითხულობ ლექციას მომზადებული ადამიანებისთვის, განვიცდი გარკვეულ თრთოლვას. იქნებ ისინი უარესად გახდნენ, იქნებ წავიდნენ სულ სხვა მიმართულებით? მომავლისადმი ინსტინქტური განცდები მომდის, და ყოველთვის მიწევს მათი გადალახვა. როდესაც იცი, რომ შენ არ მართავ შენს ბედსა და მომავალს, უკეთესად ხდები. ეს იმიტომ რომ, არის რაღაც განუზომლად უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ შენი ბედი და მომავალია.

ჩუმად ვავლებ თვალს გაჩუმებულ დარბაზს. რას ვნახავ მე, როცა დავიწყებ დიაგნოსტირებას? ეხლა უკვე არ ვუყურებ აურის ზედაპირულ მდგომარეობას. მომავლის მარაგი, ფაქიზი ენერგიის არსებობა — აი, ღმერთთან ერთობის მაჩვენებელი. თუკი ეს კავშირი დასუსტდება, მაშინ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე უბრალოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ალბათ, დიაგნოზი იქნება ცუდი, — გამიელვა აზრმა. ეხლა ისრაელს იმედი აქვს არა ღმერთის, არამედ შეერთებული შტატების. რა თქმა უნდა, შეიძლება დაუკავშირდე უძლიერეს სახელმწიფოს, შეაიარაღო შენი წყალქვეშა ნავები ბირთვული რაკეტებით, ხოლო არმია — უახლესი ტექნიკით. ეს მოგანიჭებს გულდაჯერებულობისა და სხვებზე უპირატესობის გრძნობას. პრობლემა იმა-

შია, რომ ისრაელი რამდენიმე ათასეული წელია ავადმყოფია ასეთი გრძნობებით, და მათი გაძლიერება არაფერს კარგს არ მოუტანს. ღმერთისგან თავს ვერ დაიცავ.

საბჭოთა კავშირიც გამანტკიცებდა თავის ათეისტურ რწმენას წარმოუდგენელი რაოდენობის ტანკებით, თვითმფრინავებით და ყოველდღიურად ემზადებოდა ომისათვის. თუ როგორ დაიწყო ომი, ჩვენ ვიცით. და რამდენი მსხვერპლიც მიიტანა საბჭოთა ხალხმა ამ გრძნობის სამსხვერპლოზე, ისიც ვიცით. თუკი ქვეყანას არა აქვს ფაქიზი ენერგია, მომავალი არა აქვს – ვერ გიშველის ვერავითარი შეიარაღება.

ჩვენ არ შეგვიძლია ვმართოთ ჩვენი ბედი. მაგრამ, თუკი ჩვენ ვიცვლებით, ზემოდან შეუძლიათ ბედი შეგვიცვალონ. ზედაპირული მართვა სრულებით შესაძლებელია, მაგრამ ღრმა დონეზე ჩვენი ბედი გადაჯაჭულია სამყაროს ბედთან, ხოლო მისი მართვის ნება ჩვენ არა გვაქვს. საჭიროა ვიცოდეთ მეორეხარისხოვანისგან მთავარის გარჩევა.

კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს აუდიტორიას. თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია თავისი ძირებით დაკავშირებულია ისრაელთან. თუკი ბავშვი შეიძლება დაიღუპოს, მაშინ პირველი ავადდება და იღუპება მისი მშობელი. თანამედროვე მსოფლიო, როგორც მინიმუმი, ავად არის, ამიტომაც ისრაელის პრობლემები გარდაუვალია.

ჩვენ ყველამ სკოლის მერხიდან ვიცით დიალექტიკის მთავარი კანონები: კანონი რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებაში გადასვლის შესახებ, კანონი ურაყოფის უარყოფის შესახებ, და კანონი დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის შესახებ. ერთი არსიდან გამოდის მეორე, თავისი არსით მისი გაგრძელება, მაგრამ ამასთან ერთად, პირველის გამომრიცხველი. ეს შესაძლებელია, როდესაც არსებობს ენერგიის მაღალი დონე. თუკი უბრალოდ დავახვავებთ აგურების გროვას, ამით სახლი არ აშენდება. რაოდენობა არ გადავა თვისებაში. პირველ რიგში ეს კანონი ეხება, ისეთ ცნებას, როგორიცაა ენერგია. მოწესრიგდება რა ენერგია, იგი ახდენს ახალი კავშირების

ფორმირებას, და შესაძლებელი ხდება ახალი არსის გაჩენა. ანუ პირველი კანონის შესასრულებლად – რაოდენობის ხარისხში გადსვლა – აუცილებელია ენერგიის მომატება.

იმისათვის, რომ შესრულდეს მეორე კანონი, რომ ახალი არსი გადარჩეს, დამოუკიდებლად გაფორმდეს და ურთიერთობა ჰქონდეს მეორე ნახევართან, საჭიროა უფრო მეტი ენერგია. დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის შესახებ კანონის მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მომეტებული ენერგიის არსებობის პირობებში. თუკი ის არ ყოფნის, წინააღმდეგობები ან დეგრადირდებიან და შეეზრდებიან ერთმანეთს, ან ერთმანეთს შორდებიან და იღუპებიან.

დასავლეთი და აღმოსავლეთი – აზროვნების ეს ორი სხვადასხვა ფორმა, მატერიალური და სულიერი არ უნდა შეეზარდონ ერთმანეთს, მაგრამ ამასთან ერთმანეთიც არ უნდა დაკარგონ. სოციალიზმის დროს მატერიალურმა და სულიერმა საწყისებმა ვერ შეძლეს გაერთიანება და თავიანთი ერთობის შენარჩუნება. სულიერმა საწყისმა იწყო ფიზიკურის განადგურება და მისი დამონება. ფაშიზმში ამ ორმა წინააღმდეგობამ დაიწყო ურთიერთშეზრდა. ფიზიკურმა იწყო სულიერის განადგურება, შემდეგ კი გაანადგურა საკუთარი თავიც.

ჩვენი სამყარო რომ გადარჩეს, საჭიროა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, ახალი ფილოსოფია, რომელშიც სულიერი და ფიზიკური არ შეეზრდებიან ერთმანეთს, არამედ შეავსებენ და განავითარებენ. ამისათვის საჭიროა ენერგიის მაღალი დონე, რომელიც ახლა არ არის. ეს ჩანს ადამიანების შეგნებიდან. მათ აზროვნებას არ შეუძლია შეუთავსოს ერთმანეთს, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ერთდროულად. მათთვის არსებობს ან მართალი, ან დამნაშავე. ყველგან ზეიმობს ერთპოლუსიანი აზროვნება.

ქვეყანაში იწყებს შემოსვლას მაღალი ენერგია. ის იძლევა წინააღმდეგობათა შერიგების საშუალებას. მთელი პრობლემა ამ ენერგიის ათვისებაშია. მაგრამ ადამიანებს ეს არ შეუძლიათ. ათასჯერ მითქვამს ქალებისთვის, რომლებსაც არ შეუძ-

ლიათ შეილების ყოლა, ან რომლებსაც ავადმყოფი შვილები ჰყავთ: „რომ თქვენს ბავშვს ჰქონდეს მომავალი, მისთვის აუცილებელია უმაღლესი ენერგია. ეს არის ენერგია, რომელსაც ღმერთისგან ვიღებთ, სიყვარულის ენერგია. ის ღვთაებიდან მოდის, როდესაც ადამიანური დაიჩოქებს მუხლებზე. ჯანმრთელი ბავშვის გასაჩენად და სიყვარულის ენერგიის მისაღებად, საჭიროა გავიაროთ სხეულისა და ინსტინქტების დამცირება, სამშვინველის მისი სიმართლითა და სამართლიანობით, სულის — მისი დაცულობითა და მიჯაჭვულობის უმაღლესი გრძნობებით, სითბოთი და სტაბილურობით. თუკი, სხეულის, სამშვინველის და სულის დამცირების გავლისას, ჩვენ ვაგრძელებთ ადამიანების სიყვარულს მიუხედავად მათი ნაკლისა, ვინარჩუნებთ სიყვარულს საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ, ვლებულობთ ჩვენს ბედისწერას, გვესმის რა, რომ ყოველგვარი სიტუაცია მიმართულია სიყვარულისკენ, მაშინ განახლება მიმდინარეობს. ყოველმა ადამიანმა პერიოდულად უნდა გაიაროს სულის განწმენდის ეს პროცედურა. ყველაზე საშიში რამ სულისათვის — ეს არის დაცულობისა და უპირატესობის გრძნობა. რამდენადაც ეს სასარგებლოა სხეულისთვის, იმდენად საშიშია სულისათვის. თუმც ძალიან საიმედოდ დაცული სხეულიც ისევე გადაგვარდება, როგორც სული“.

სახელმწიფოც, როგორც საზოგადოება, პერიოდულად უნდა განახლდეს და მიიღოს ახალი ენერგია. უმრავლესობისთვის შეუძლებელია განწმენდის პროცედურის გავლა, რადგან ამაში მათ ხელს უშლის მათი ხასიათი. ხოლო ხასიათის მხარდაჭერა ხდება მსოფლმხედველობით. იდეოლოგიამ და სახელმწიფოს კანონებმა შესაძლებლია ხელი შეუშალონ ადამიანს სიყვარულის ენერგიის მიღებაში. მაშინ სახელმწიფო ავად გახდება და მოკვდება ისევე, როგორც ადამიანი. გადარჩება თუ არა ცივილიზაცია და ადამიანი, დამოკიდებულია იმაზე, რას ფიქრობს ცალკე აღებული ადამიანი. ორი ათასი წლის წინ ქრისტეს მეშვეობით მოგვეცა კაცობრიობის ხსნისა და გადარჩენის მოდელი. ორი ათასი წელია ჩვენში ვატარებთ ამ ინფორმაციას.

ვიხსენებ რა სტრიქონებს ბიბლიიდან, ჩავფიქრდი. სიყვარული მოდის ადამიანთან სხეულის, სამშვინველის და სულის დამცირებით. დამცირება შეიძლება მოვიდეს სხვა ადამიანების მეშვეობითაც. უწესობა, უსამართლობა, ღალატი, წყენა – ამგვარი დამცირების ვარიანტებია. დამცირება შეიძლება მოვიდეს უფრო მკაცრი გზებითაც – ავადმყოფობებისა და უბედურებების მეშვეობით. ან კიდევ, სიკვდილის მეშვეობით.

ადამიანი, რომელმაც მიიღო სიყვარულის ახალი დოზა ახალ მომავალთან ერთად, საქმის არსიდან გამომდინარე, გადის აღდგომის პროცედურას. მაგრამ, ეს აღდგომა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი მივიღებთ მთლიანად და უსიტყვოდ მთელი კაცობრიობის დანაკარგს. ახლობლების ღალატი, გარშემომყოფთა დაცინვა და თვით ჯვარზე გაკვრაც ქრისტეს მიერ მიღებულ იქნა მორჩილად და სიყვარულით. კაცობრიობის გადარჩენის უფრო ტევადი მოდელი ძნელად წარმოსადგენია. მაგრამ მიუხედავად განადგურებისა, ადამიანური ჯანყდება, წინააღმდეგობას სწევს და საჭიროა სიყვარულის შენარჩუნების პირობებში ამ პროცესის გადალახვა.

გავიხსენოთ მთავარი გამოვლინება ადამიანური ბუნებისა იესო ქრისტეში, მისი ადამიანური გარსისა. გეთსიმანიის ბაღში იგი შეიპყრო შიშმა სიცოცხლის გამო – სხეულს არ უნდოდა სიკვდილი, ის ჯანყდებოდა, აპროტესტებდა, და აიძულებდა ეთქვა: „ღმერთო, ამაცილე ეს ფიალა მე". – ქრისტე ხშირად იყო საკმაოდ კატეგორიული მოწაფეებთან ურთიერთობაში, ზოგჯერ ღიზიანდებოდა კიდეც, ესე იგი სრული სამართლიანობისა და სიმართლის შეგრძნების გადალახვა ყოველთვის არც მას ძალუძდა. ყველაზე მძიმედ აღიქმება სულიერი ტანჯვა. სულის კრახის არ მიღება, ანუ ამ სამყაროს სიყვარულის არ მიღება, ახლობლების დაკარგვა ეძლევა ადამიანს ყველაზე ძნელად.

ყველაზე მეტი დაცულობა სამყაროში ხდება ენერგიიდან. მართავს რა ყოველგვარ სიტუაციებს, კერძოდ, მაღალი ენერგია გვიცავს ჩვენ. მაღალი ენერგია სამყაროში – ეს არის სიყვარულის ენერგია. ამიტომაცაა როდესაც ჩვენ ვუყვარვართ,

განვიცდით სულის დაცულობას. როდესაც ჩვენ ვგრძნობთ, რომ ღმერთს ვუყვარვართ, წარმოგვეშვება შეგრძნება ღვთაებრივი რჩეულობის შესახებ. ეს არის უმაღლესი დადებითი აღქმა, როგორიც კი შესაძლებელია ადამიანისათვის. მაგრამ ღვთაებრივი ჩვენში მუდმივადაა და არ საჭიროებს არავითარ დაცვას. და რადგანაც, ღმერთთან ერთობის შესაძენად საჭიროა გაიარო ყველაფრის კრახი, მათ შორის იმის შეგრძნებისა, რომ ღმერთმა ზურგი შეგაქცია, დაგტოვა და მთელი სამყარო შენს გარშემო დაინგრა, ხოლო შენ ამ დროს ინარჩუნებ სიყვარულს, — არის უტყუარი ნიშანია იმისა, რომ იწყება ღმერთთან ერთობა. იესოს ჯვარზე გაუელვა გულგატეხილობამ — ეს ნიშნავს, რომ ჩვენთვის ყველაზე მძიმე იქნება ამ გრძნობის გადალახვა. იესო ქრისტეს სისუსტეების მეშვეობით მთელი კაცობრიობისთვის მონიშნულ იქნა საშიშროების მთავარი წყაროები, რომლებიც დაკავშირებულია სხეულის, სამშვინველის და სულის დაცულობასთან და, რომლებიც ანადგურებენ ღმერთთან ერთობას და გართმევენ მომავალს.

„საინტერესო სიტუაცია იქმნება მსოფლიოში, — ვფიქრობ, გამეგება რა, უკვე დროა დავიწყო ლექცია. — იუდაიზმში და ქრისტიანობაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სულის გადარჩენისა და მომავლის განახლების მთავარი წესები. სრულიად ლოგიკურია დავუშვათ, რომ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონები უნდა მიდიოდნენ ამ მიმართულებით. მაგრამ ყველა თანამედროვე კანონმდებლობა გამომდინარეობს რომის სამართლიდან, ძველბერძნული დემოკრატიის იდეალებიდან. ხოლო ყველა ისინი იყვნენ კერპთაყვანისმცემელი ქვეყნები, და მათი კანონები ატარებენ ადამიანის სხეულისა და მისი ინსტინქტებისადმი კერპთაყვანისმცემლური პატივისცემის ენერგეტიკას, და ამიტომაც დამთავრდნენ ის დემოკრატიები ასე სატირლად: თავიდან ზნეობრივი კრახი — გარყვნილება და ჰომოსექსუალიზმი, შემდეგ კი კრახი ფიზიკური“.

ვცდილობ რა ცამოვეთიშო სხვა ფიქრებს, გავიქნიე თავი და ცავიფიქრე, — დროა გადავიდე დიაგნოსტიკაზე და ლექციაზე.

ვხედავ უდიდეს ქვეცნობიერ კონცენტარაციას ფაქიზ დონეებზე. გამოდის, რომ ებრაელს არ შეუძლია მიიღოს სამშვინველისა და სულის დამცირება. დარბაზში სხედან ძირითადად რუსეთიდან ჩამოსული ადამიანები, მაგრამ მე ეხედავ თუ როგორ მოქმედებს მათ ენერგეტიკაზე ქვეყნის მდგომარეობა. რით შემიძლია დავეხმარო მათ?

ისინი შეეცდებიან აპატიონ, მიიღონ თავიანთი ბედი, მაგრამ მათი სული პროტესტს აცხადებს ამაზე. დიახ, შესაძლებელია ცნობიერებისა და სამშვინველის კრახის ყველა სიტუაციები გაიარო, დაინახო უმაღლესი აზრი და შესაძლებლობა უსამართლობის, მცდარობის და შეურაცხყოფისაგან განწმენდისა — ეს გაგიადვილებს სიტუაციას, გააუმჯობესებს დარბაზში მსხდომი ადამიანების მდგომარეობას, მაგრამ პროგრამას ვერ დახურავს. ჩვენზე გავლით მიედინება ენერგია, და მხოლოდ მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, თუ საით წავა იგი და როგორ რეაგირებას მოვახდენთ ჩვენ გარესამყაროზე.

ორი ათასი წელიწადია, რაც ებრაელ ხალხს მთელ დედამიწის ზურგზე ვდევნით და ვამცირებთ, და აქამდე მან ვერ შეძლო ღვთივრჩეულობის გრძნობით გამოწვეული უპირატესობისა და დაცულობის გრძნობის გადალახვა. გამოდის რომ, ეს პრობლემა არსებობს მთელ ახლანდელ ცივილიზაციაში. აფეთქებები და განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში ყოფნა ახლანდელ ისრაელში ყოველწამიერად არყევს სიმართლისა და დაცულობის შეგრძნებას, ეხმარება მის გადალახვაში. მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა არასახარბიელოა. „დამთავრდა, — ვფიქრობ მე, — დროა დავიწყო ლექცია“.

— სამყარო ერთიანია, ვიწყებ! — და, განუხრელად ფართოვდება რა, ის აგრძელებს ერთიანობის შენარჩუნებას, ანუ ყველაზე ფაქიზ დონეზე არის წერტილი. ის, რომ სამყარო ფართოვდება, იბერება, მოწმობს დროების, სივრცის და მატერიის ახალ ულუფებზე, რომლებიც მოედინებიან პირველმიზეზიდან. ჩვენ ვღებულობთ ამ ენერგიას, და ის ტრანსფორმირდება ჩვენში სხვადასხვა დონეზე. მაგრამ ამასთან ერთად, უნდა შენარჩუნ-

დეს პრიორიტეტების სისტემა. პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ ფესვების შენარჩუნებაზე, შემდეგ ხის ტანზე და ტოტებზე, და ბოლოს, — ფოთლებზე. თუკი ფესვებს მოვჭრით, გარკვეული დროის განმავლობაში ხე იდგება მწვანედ შეფოთლილი, მაგრამ ის განწირულია. თუკი მოვჭრით ხის ტანს, ძველი ხე უკვე არ იქნება, მაგრამ მის ადგილას ამოვა ახალი.

ასე რომ, ფესვები — ეს არის ღმერთთან ერთობა და მისი განუწყვეტელი სიყვარულის გრძნობა. თუკი ეს ერთობა დაიკარგა, მაშინ ყოველგვარი სიმდიდრე, რომელიც ადამიანს ექნება, განწირულია დაკარგვისთვის. გადაგვარდება სული, გადაგვარდება ცნობიერება და სხეული. თორაში გადმოცემულ მცნებებს აქვთ მთავარი დანიშნულება — ღმერთთან ერთობის შენარჩუნება. ახლა კი წარმოვიდგინოთ: ადამიანი სწავლობს ქუჩაში მოძრაობის წესებს, რომლის ცოდნის გარეშეც მას არ შეუძლია ატაროს მანქანა. აი უკვე მან იცის ყველა წესი და ისწავლა მანქანის ტარებაც. და უცებ, ახსოვს რა ასეულობით წესი, უშვებს მხოლოდ ერთ შეცდომას, ერთად ერთს! მიდის მოძრაობის საპირისპირო მხარეს, მის მიმართულებით მომავალი მანქანების საწინააღმდეგოდ. ამის შემდეგ სხვა დანარჩენი მოძრაობის წესები მას უკვე არ გამოადგება.

იუდაიზმში 613 მცნებაა და არის ათი, რომლისგანაც დანარჩენი გამომდინარეობს. რამდენადაც სამყარო ერთიანია, ათივე მცნება უნდა გამომდინარეობდეს ერთისგან. და თუკი ჩვენ არ დავიცავთ პირველ მცნებას, მაშინ დავარღვევთ დანარჩენ ათსაც.

— მითხარით, — მივმართავ დარბაზს, — რით განსხვავდება ცოდვა დანაშაულისგან?

მცირეოდენი პაუზის შემდეგ ვაგრძელებ:

— ცოდვა ეს არის მომავალი დანაშაული. თავიდან ადამიანი კრგავს ღმერთთან კავშირს, შემდეგ იწყებს ცოდვის ჩადენას, შემდეგ ჩადის დანაშაულს, შემდეგ ავად ხდება და კვდება. ცოდვა — ეს არის დანაშაული ღმერთის წინაშე. მცნებები, რომლებიც გადმოცემულ იქნა მოსეს მეშვეობით ნებას აძლევს ყველას,

ვინც მას მისდევს, შეინარჩუნოს თავისი მომავალი. მოდით განვიხილოთ ათი მცნება ამ ასპექტში. ჩამომითვალეთ გეთაყვა ათივე მცნება.

პაუზის შემდეგ იწყება მოგონების ნელი პროცესი. „საინტერესოა, — ვფიქრობ, — არც რუსეთში, არც უკრაინაში, არც ისრაელში არავის არ შეუძლია ნორმალურად ჩამოთვალოს მთავარი მცნებები. მაშინ რისთვის არის საჭირო რელიგია? იმისთვის რომ უაზროდ ვიაროთ ეკლესიაში და შევთხოვოთ ღმერთს სხვადასხვა სიკეთე?"

— მაშ ასე, პირველი მცნებაა, — ვამბობ მე, ღმერთი ერთია. როგორ ეხმარება ის ადამიანებს გადარჩეს მომავალში?

დარბაზი ჩუმდება.

— გახედეთ, რა მოხდა ინდოეთში. მოვიდა პირველი, ყველაზე ძლიერი იმპულსი — ინდური ფილოსოფია, რომელიც ლაპარაკობს აბსოლუტურ პირველმიზეზზე. გადის დრო — იმპულსი სუსტდება, და ჩნდება ერთიანი ღმერთის რამდენიმე განსახიერება: შემქმნელი ღმერთი, ღმერთი დამანგრეველი, ღმერთი, რომელიც იცავს სამყაროს წონასწორობას, და ასე შემდეგ. გადის კიდევ რამდენიმე ხანი — ენერგია მცირდება, და ჩნდებიან კიდევ უფრო მეტი ღმერთები. ამჟამად ინდუიზმში სამას მილიონზე მეტი ღმერთია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობა — დაახლოებით მილიარდია.

როდესაც ჩვენ ვგრძნობთ, რომ შემოქმედი აბსოლუტურად ერთია, იმისათვის რომ დავემსგავსოთ მას, ჩვენ უნდა შევკუმშოთ სამყარი ერთ წერტილამდე. ღმერთთან ერთობა — ეს არის განვითარების მიზანი ყოველი არსებისთვის. შეიძლება გაიქცე ერთდროულად რამდენიმე მიზნისკენ? არ შეიძლება! უბრალოდ თქვენ მაშინათვე გაჩერდებით. კერპთაყვანისცემა ნებას არ გვაძლევს გავიდეთ ენერგიის მაღალ დონეზე. კერპთაყვანისმცემელს არ შეუძლია მიიღოს შემოქმედის უმაღლესი ენერგია და, მაშასადამე, არა აქვს მომავალი. გაიხსენეთ ბიბლია: **თუ დაივიწყებ უფალს, შენს ღმერთს, თუ გაჰყვები უცხო ღმერთებს, თუ შეუდგები მათ სამსახურს და თაყვანისცემას, ცას და მიწას**

**ვიმოწმებ თქვენს წინაშე, რომ არ აგცდებათ გადაშენება. იმ ხალხებივით, რომლებიც გადააშენა უფალმა თქვენს თვალწინ, თქვენც გადაშენდებით იმის გამო, რომ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის სიტყვას (რჯლ. 8, 19-20).**

ხალხი, რომელიც ეთაყვანება კერპთაყვანისმცემლურ ღმერთებს, კარგავს გადარჩენის სტრატეგიულ პერსპექტივებს, იმიტომ, რომ უმაღლესი ენერგიები მისთვის მიუწვდომელია. ჩვენ დღეს ვხედავთ აყვავებულ ათეისტურ ჩინეთს, სწრაფად განვითარებად კერპთაყვანისმცემლურ ინდოეთს. მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ რამდენად ცოტა დარჩა მათი ძველი პოტენციალიდან, რომელიც აწმყოში რეალიზირდება.

ცოცხალი არსების დეგრადაციის იდეა, რომელმაც დაკარგა ერთღმერთიანობის შეგრძნება, კარგად არის გადმოცემული, ძველ აღთქმაში, სადაც მოთხრობილია დაცემულ ანგელოზზე, ანუ სატანაზე, ანუ ეშმაკზე.

მიპასუხეთ, გეთაყვა, რომელი მცნება დაარღვია ეშმაკმა? — ვეკითხები მე და, მოუსმინე რა, ვეთანხმები, — სწორია, პირველი და მეორე. როგორც კი ანგელოზმა წარმოიდგინა, რომ ის ღმერთზე უფრო მაღლაა, გამოვიდა, რომ უკვე ორი ღმერთია, ანუ დაირღვა ერთღმერთიანობის პრინციპი. პირველი მცნების დარღვევამ ავტომატურად მიგვიყვანა მეორის დარღვევამდეც: ანგელოზმა კუმირად გაიხადა საკუთარი თავი, თავისი ენერგია, თავისი შესაძლებლობები და ინტელექტი. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა გრძნობა განიცადა ანგელოზმა იმის წინ, სანამ ეშმაკი გახდებოდა?

— მოვუსმინე და ისევ თავს ვუქნევ:

— სავსებით სწორია, უპირატესობის, დაცულობის შეგრძნება, და იმის შეგრძნების დაკარგვა, რომ ღმერთში ყველაფერი ერთიანია. მაშასადამე, როგორც კი ჩვენ დავკარგავთ პირველსაწყისში ყველანაირი არსის აბსოლუტურ ერთობას, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ, მაშინ გვიჩნდება თავის განდიდების, სხვებზე უპირატესობის გრძნობა, და ჩვენ შეუმჩნევლად ვკარგავთ სიყვარულის უმაღლეს ენერგიას.

მე ვესაუბრებოდი დარბაზს იმის შესახებ, თუ როგორ მივყავართ პირველი მცნების დარღვევას დანარჩენი მცნებების, გარდაუვალ დარღვევამდე. პირველი ხუთი მცნება ჩვენ გვიცავს იმისაგან, რასაც ცოდვა ეწოდება, და მათი შეუსრულებლობა ბადებს დანაშაულს. მთავარ მცნებებს ჩვენ ვარღვევთ არა იმდენად საქციელით, რამდენადაც ჩვენი შინაგანი მდგომარეობით. ის, ვისაც არ შეუძლია შეინახოს სიყვარული ყველანაირი ადამიანური ბედნიერების დამცირების დროს, არღვევს პირველ და მეორე მცნებებს. ის, ვინც ეთაყვანება მატერიალურ კეთილდღეობას, გახდება ძუნწი და ვერ შეძლებს თავგანწირვას. ის, ვინც ეთაყვანება მშვინვიერ კეთილდღეობას, ხდება კატეგორიული, სხვისი განმსჯელი და ყოველთვის თავს თვლის მართლად. ის, ვინც ეთაყვანება ადამიანის სულს და უმაღლეს გრძნობებს, ვერ ითმენს სულიერ ტკივილებს, ღალატს და მის მიმართ უწესო დამოკიდებულებას. სიყვარულის გრძნობის გარეშე ყოველგვარი ტკივილი აუტანელი ხდება, ამიტომაც სულში სიყვარულის გრძნობის დაკარგვა არის მთავარი დარღვევა, რომლის შემდეგაც მოდის ყველა მცნების უგულებელყოფა და ყველა ფორმით მომავლის დაკარგვა.

„საინტერესოა, რა მოგვივა ჩვენ მომავალ თხუთმეტ-ოც წელიწადში, — ვფიქრობ მე, — რა არის ჩვენზე დამოკიდებული, და რა არა? შევძლებთ კი ჩვენ მივიღოთ ახალი მომავალი? ყველაფერი ეს წინაა, ჯერ კი გადასადგმელია პირველი ნაბიჯი".

# სარჩევი


ქართული გამოცემის რედაქტორისაგან ..... 3
როგორია იგი, მომავლის ადამიანი? ..... 10
ზეციერი საუფლო ..... 20
მისტიკა ..... 52
თვითმფრინავი ..... 80
სინგაპური ..... 91
შეხვედრა ტოლიატში ..... 120
მიღება ..... 142
თევზაობა ..... 166
ჭეშმარიტებასთან შეხება ..... 192
იუდას ტრაგედია ..... 208
სატელეფონო საუბრები ..... 224
პირველი ნაბიჯი ..... 249

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ᲖᲐᲣᲠ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ
ტექნიკური რედაქტორი: ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ოპერატორი: ᲡᲝᲤᲝ ᲫᲘᲚᲘᲤᲗᲐᲠᲘ
კორექტორები: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲬᲐᲮᲜᲐᲙᲘᲐ
ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲨᲐᲜᲐᲕᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

Email: inovacia@caucasus.net